

19 45/2



საქართველოს  
ხალხური ბიბლიოთეკა

# მნათობი

7-8

---

თბილისი  
1945



# მნათობი

სრულიად - საქართველოს სამჭოთხა მწერლუბის  
ჯგუბიტის ყთველთეი ერთი სალიტერატურით,  
სახელღუნთ დღა საბოტგადუბრთე - საბოლიტევეთ  
ქერნალე

წილეწადი მთოცღადრე

4304

## 7-8



19 ივლინი — აგვისტო  
სახელგაბი

45  
საბოლიტევეთ  
საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია



სარედაქციო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი  
ასათიანი ლევან  
ბაგსახურობა კონსტანტინე  
კალაძე კარლო  
მავაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)  
მოსაშვილი ილო  
ტაბიძე ბალაჭტიონ  
ქიაჩელი ლეო  
შინგაღია დიმიტრი

8-7

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VIII-45 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12.  
შეკვეთის № 1133. ში 08194, ტრაჟი 5000.

---

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ფარგლის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: მანაშის № 13, შვერალითა კავშირი. ტელეფ. 3-04-64.

## შთაბეგონებები წიგნი

ათი წლის წინათ, 1935 წლის ოცდაერთ და ოცდაორ ივლისს თბილისის პარტიული აქტივის კრებამ დაძაბული ინტერესითა და უდიდესი გულს-ყურით მოისმინა ამხანაგ ლავრენტი პავლევი ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამხანაგ ბერიას ეს მოხსენება შესანიშნავი მოვლენა იყო და არის მთელი ჩვენი პარტიის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, „პრავედა“ ეს წიგნი თავიდანვე შეათასა, როგორც ძვირფასი განძი ბოლშევიზმის მატრიანეში. ამხანაგ ბერიას წიგნი, როგორც „პრავედა“ აღნიშნავდა, „დეტალურად გვაცნობს ყოფილ მეფის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის დიდ ფაქტიურ მასალას და ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ორგანიზაციის განვითარებას. იგი დაწერილებით ლაპარაკობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა დიდი ლენინის ყველაზე უფრო ახლობელი თანამოსაქმე, მისი ყველაზე უფრო ერთგული და თანმიმდევარი თანამებრძოლი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი გვაცნობს პროლეტარული რევოლუციის საქმისათვის ნამდვილ გმირ მებრძოლებს, ამიერკავკასიის რევოლუციურ მარქსისტულ-ინტერნაციონალური ფრთის საუკეთესო წარმომადგენლებს, ამხანაგი სტალინის უახლოეს მეგობრებსა და თანამშრომლებს. ამავე დროს იგი დაუნდობლად ამკლავებს მუშათა კლასის ყველა მტერს, ყველა მოღალატეს, ვისთანაც შეტაკება და შეუბრალებელი ბრძოლა უხდებოდათ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს, რომლებსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა“.

ამხანაგ ბერიას მოხსენებაში ბრწყინვალედ არის ნაჩვენები პოლიტიკური ბრძოლის სტალინური სკოლა; ეს წიგნი „წარმოადგენს იმის ნიმუშს და მაგალითს, თუ რა სერიოზულად და საქმიანად უნდა მოვეუყრათ პარტიის მოთხოვნებს ბოლშევიზმის ისტორიის გულდასმით შესწავლის შესახებ, რა შეუპოვრად და სიყვარულით უნდა ვიმუშაოთ ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შექმნაზე“. („პრავედა“).

ამხანაგ ლავრენტი ბერიას წიგნმა თვალწინ გადაგვიშალა ის უდიდესი ისტორიული გამოცდილება ბოლშევიკური პარტიის მშენებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ წიგნმა რკინისებური ლოგიკით ნათელჰყო, რომ „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების

მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუტრეღად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან <sup>„სტალინი“</sup> (სტალინი).

ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხსენებულმა წიგნმა კლასიკური სინათლით გვიჩვენა, როგორ იზრდებოდა და ფრთებსა ჰშლიდა ახალგაზრდა სტალინის გენია, გვიჩვენა ის განუწყვეტელი, შეურიგებელი ბრძოლები, რომლებშიაც წარმოიშვა და განვითარდა ლენინ-სტალინის უძლეველი ფოლადისებური პარტია. ვკითხულობთ ამ წიგნს და ჩვენ ვხედავთ როგორ ებრძოდა ბოლშევიზმი მტრებს, აწრთობდა თავის რიგებს და ჰქმნიდა კაცობრიობის ახალ ისტორიას. ამ ისტორიის ყოველი ფურცელი, ყოველი ეპიზოდი წარმტაცი და აღმაფრენია. მხოლოდ იმ პარტიას, რომელსაც ასეთი დიდი ისტორია გააჩნია, შეეძლო დაემარცხებინა და გაენადგურებინა შუასაუკუნოებრივი ბნელეთი, დაემარცხებინა გერმანული ფაშიზმი, რომელიც წარლენითა და მოსპობით ემუქრებოდა კაცობრიობის ცივილიზაციას. განვიხილვა სამამულო ომმა კვლავ ბრწყინვალედ დაადასტურა ბოლშევიზმის ისტორიის სიდიადე და ცხოველმყოფელობა. ჩვენ გავუძელით უსასტიკეს ვაშოცდას სწორედ იმიტომ, რომ ურდევდი და მტკიცეა ის საფუძველი, რომელზედაც აგებულია ჩვენი ქვეყანა. სამამულო ომში გაიმარჯვა ბოლშევიზმის ისტორიამ, საბჭოთა ადამიანებმა გაიმარჯვეს იმიტომ, რომ ისინი აღზრდილნი არიან ლენინისა და სტალინის იდეებზე, აღზრდილნი არიან ბოლშევიზმის ისტორიის მაგალითებზე. საბჭოთა ადამიანებმა მტერი დაამარცხეს არა მარტო იარაღის ძალით, არამედ თავისი მსოფლმხედველობის უპირატესობითაც. ამაში გამოვლინდა ჩვენი სახელოვანი პარტიის ლენინურ-სტალინური იდეოლოგიის გამარჯვება და ყოველსმძლე ცხოველმყოფელობა.

ჩვენი ადამიანების ამ იდეურ-პოლიტიკურ გამოწრთობაში მთელი განვლილი წლების მანძილზე ამხანაგ ლავრენტი ბერიას წიგნმა უდიდესი როლი ითამაშა. ამ წიგნის ფურცლებზე ამოკითხული ბოლშევიკური სიმართლე, სტალინური სიმართლე გვაძლევდა ჩვენ ძალას და მხნეობას თავისი უმძიმესი განაცდელის წუთებშიც, გვიძლიერებდა საბოლოო გამარჯვების რწმენას, გვაძლევდა სულიერად, ეს წიგნი აძლიერებდა ჩვენს სიძულვილს ვერაჯი მტრისადმი, აძლიერებდა ჩვენს სიყვარულს და ერთგულებას დედასამშობლოსა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

ამით იხსნება ამხანაგ ბერიას წიგნის უსაზღვრო პოპულარობა, იმიტომ ასე გატაცებით კითხულობენ და სწავლობენ მას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

ხსენებულმა წიგნმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების საქმეს, წარაუღლის შესწავლისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეს. ამ წიგნმა გზა გაუნათა ისტორიულ მეც-

ნიერებას, მან წარუხოცელი ზეგაელენა მოახდინა ჰუმანტარულ მეცნიერებათა აღმავლობის საქმეზე.

მთელი განვლილი ათი წლის მანძილზე ამხანაგ ბერიას წიგნთა და არის მასალისა და შთავგონების დაუშრეტელი წყარო, წარმტაცი თემების უხვი არსენალი მხატვრული შემოქმედების ყველა დარგისათვის. ხელოვნებამ მხატვრული სახეების ენაზე უნდა სთქვას ის, რაც მეცნიერების ენაზე თქმულა პარტიის ისტორიის შესახებ დაწერილ წიგნებში. ამხანაგ ბერიას წიგნმა გამოქვეყნებისთანავე უდიდესი შემოქმედებითი სტიმული მისცა ქართულ პროზასა და პოეზიას, მხატვრობასა და სკულპტურას, მუსიკას და დრამატურგიას. ყოველი ქართველი ხელოვანის წინაშე უფრო ნათლად, უფრო ზუსტად წარმოსდგა სახე ხალხისათვის მეზობლი ადამიანების, სტალინური გვარდიის უბადლო მუშაკების, რომელთაც დაამხეს ძველი წყობილება და ჩვენს სამშობლოს თავისუფლებს უკედავი გაზაფხული დაუმკვიდრეს. ამ აღამიანთა ცხოვრების გაცნობამ, სტალინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და ბრძოლის ღრმად შესწავლამ გამოიწვია უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობა. ამის შედეგად შეიქმნა უდიდესი ციკლები ხელოვნების ქმნილებებისა, რომელნიც მხატვრულ სახეებში გადმოგვეცემენ ბოლშევიზმის მატჩანეს ცალკე ეპიზოდებს.

ყოველი ქართველი მწერლისათვის სტალინის ცხოვრება, სტალინის ბრძოლა — ესოდენ ნათლად გადმოცემული და მოთხრობილი ამხანაგ ბერიას წიგნში — ყველაზე უფრო მიმზიდველი და წარმტაცი თემაა. ამ თემას არაერთ გზის უბრუნდება თავის ლექსებში და პოემებში საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე („გორი“, „ორმოცი წლის წინ“, „ძღუელი სენი“ და მრავალი სხვა). გიორგი ლეონიძის ცნობილი ეპოპეის („სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“) დაწერაში ამხანაგ ბერიას წიგნმა შთამავგონებელი როლი ითამაშა. მან მისცა პოეტის ფანტაზიას სულიერი საზრდო და საფუძველი შეექმნა შესანიშნავი სურათი — ამსახველი ძველი საქართველოსი, კერძოდ ძველი გორისა, რომლის ფონზე მხატვრულ ფერადებში გამოიკვეთა საყვარელი სახე ყრმა სოსო ჯუღლაშვილისა. ამავე თემაზე საუცხოვო პოეტური ნაწარმოებები დასწერეს ალიო მანაშვილმა („სამშობლო ბელადისა“, „ჰიმნი სამშობლოს“, „დაბადება“, „60 წელი“ და სხვა), სიმონ ჩიქოვანმა („წიგნი პარტიის ისტორიისა“, „გორის ციხე“, „გმირული გაზაფხული“, „ბელადის მოძმე“ და სხვა), ს. შანშიაშვილმა („სტალინს“, „სიმღერა ბერიაზე“), ა. აბაშელმა („ფოლადაური“), ი. გრიშაშვილმა („სოსელი“, „კობამ დაიწყო ხასანბეგურა“), ი. აბაშიძემ („წულუქიძის სიკვდილი“), გრ. აბაშიძემ (პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“), ი. მოსაშვილმა, კ. კალაძემ, ს. ფულმა, ხ. ვარდოშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ა. ქუთათელმა, ს. თაგაძემ, ვ. გორგაძემ, კ. ბობოხიძემ და სხვ.

ნაყოფიერად იმუშავეს ამ თემაზე ქართველმა პროზაიკოსებმა: ლ. ქიანელმა და დემნა შენგელიამ დასწერეს მთელი ციკლი მოთხრობებისა და ნოველებისა, რომლებშიაც მათ წრფელი, მართალი სახეები წარმოგვამცნეს ბოლშევიზმის წარსულის ცალკე ეპიზოდები. კ. გამსახურდიამ დასწერა ვრცელი რომანი „ბელადი“, ამსახველი დიდი სტალინის ბავშვობის წლებისა. „მნათობის“ ფურცლებზე მთავრდება ბექდვა ბორის ჩხეიძის ვრცელი რომანისა „ლიახვის პირას“, რომელშიაც აღწერილია ცხრაასხუთის რევოლუციის ადამიანების ყოფა-ცხოვრება. ი. ლისაშვილმა გამოაქვეყნა რომანი „კეცხოველი“, რომელშიაც დამაჯერებლად მოთხრობილია გმირული ბრძოლა და ცხოვრება დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, მგზნებარე რევოლუციონერის ლადო კეცხოველისა. ნაყოფიერად მუშაობდნენ ამ თემაზე დავით სულიაშვილი, რ. ქორჭია და სხვები.

შალვა დადიანმა — ბერიას წიგნის შთავგონებით — შექმნა პიესა „ნაპერწყლიდან“. ეს პიესა, სცენაზე განსახიერებელი — ერთ-ერთ ყველაზე უსაყვარლეს საბექტაკლად იქცა ჩვენი მაყურებლისათვის.

ღრმა კვალი გააეღო ამხანაგ ბერიას წიგნმა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. უჩა ჯაფარიძის, აპოლონ ქუთათელაძის, თამარ აბაყელიას, შალვა მამალაძის, ს. ნადარეიშვილის, ი. ვეფხვაძის, ა. ვიგოლაშვილის და ფერწერის სხვა ოსტატების მხატვრულ ტილოებს, ი. ნიკოლაძის, ნ. კანდელაკის, მერაბიშვილის და სხვა მოქანდაკეთა ნამუშევრებს ბოლშევიზმის ისტორიის თემაზე ცნობს მთელი საბჭოთა კავშირი. ყოველივე ეს მჭერმეტყველურად ნათელჰყოფს, რომ ამხანაგ ლ. პ. ბერიას უკვდავ წიგნი მარად დარჩება ხელოვანთა და მწერალთა შთავგონების დაუშრეტელ წყაროდ.

დღევანდლობა და დიდება ამ ისტორიული წიგნის ავტორს — ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი სტალინის ღირსეულ მოწაფესა და თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მარშალს ლავრენტი პავლეს ძე ბერიას!

ალიო მახაშვილი

## ღაჰკენი ბეჩიას

ჩვენ გავიმარჯვეთ! ხარობს ქვეყანა,  
დე, არწივებმაც ფრთები გაშალონ.  
ვაშა, დიდება, ჩვენს სიამაყეს,  
ვაშა, საბჭოთა ქვეყნის მარშალო!

განსაცდელის ეამს, როს თავგანწირვით  
მტერი გვიქადა ცეცხლის გაჩენას,  
ქართლს მოველინე გმირი არწივი  
ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად.

წინ მოგიძლოდა დროშა ბრწყინვალე, —  
მთავარსარდალის ბრძნული სახეზა,  
ხალხს ამხნეებდა ორი მწვერვალის —  
კრემლის და გორის გადაძახება.

გმირთა მარჯვენით შეკრული ზღუდე  
მტერს არ დაუთმე, არ ჩააბარე.  
დასტრიალებდი მშობლიურ ბუდეს, —  
არწივის კალთა გადაათარე.

და კავკასიის ძმადნაფიც ერებს  
ჩამოაშორე ღამის წყვედიადი.  
სითბო შეჰმატე აღზნებულ კერებს,  
შეუნარჩუნე ხალხს განთიადი.

ჩვენი სამშობლო არ დაეცემა,  
შენი ძალაა შიგ ჩაკირული.  
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა  
შენი საქმე და ბრძოლა გმირული.

ჩვენ გავიმარჯვეთ! ხარობს ქვეყანა!  
დე, არწივებმაც ფრთები გაშალონ,  
ვაშა, დიდება, ჩვენს სიამაყეს,  
ვაშა, საბჭოთა ქვეყნის მარშალო!



## მე და ზაფხული

რა წვეალებაა, რა ძნელი საქმე,  
რა შრომას ითხოვს ოცნების ბალი,  
რომ შთაგონების ნერვი არ გახმეს,  
ჰყვაოდეს მარად ნორჩი და სალი.

კალმის მახვილით, სათუთად, დინჯად  
ვძერწავ ასოებს და ნაწყვეტებით  
სულჩადგმულ სიტყვებს ათასჯერ ვსინჯავ  
და წიგნში ვამყნობ სისხლის წვეთებით.

ასე, ჩემსავით შრომობს ზაფხულიც,  
მზის ფერებს არჩევს მცხუნვარე ფუნჯით,  
მასაც იგივე აქვს განზრახული,—  
ამეტყველოს ბუნება მუნჯი.

ჰსურს გულში ჩაწედეს, ჩახედოს შიგნით,  
მიწიდან სითბოც ამოეყვანა,  
გადაუშლია ცხოვრების წიგნი  
და ყვავილებით ხატავს ქვეყანას.

ირგვლივ მძვინვარებს სიცხის მორევი,  
ქარში ლივლივებს ტალღები ვერცხლის,  
ცა—საკირეა, ვიწვეთ ორივე  
შემოქმედების უშრეტო ცეცხლით.

ბინდდება, — მოდის ფერის-ცვალება,  
ბალშიც თანდათან ეშვება ნისლი,  
ბოლო მოელო ჩემს გაწვავლებას  
და სამელნეშიც გამშრალა სისხლი.



## წინაპრები

დღე მოკლეა და საქმე ურიცხვი,  
 ვაჰ, თუ სიკვდილი გადაგველობა?  
 ჩვენ ხომ საქვეყნო სამსახურათვის  
 ერთხელ სიცოცხლე აღარ გვეყოფა?!

განა წარსულში სძინავთ ანრდილებს,  
 აწმყოს ანათებს მათი ლამპარიც,  
 ვუხმობთ მამულის დარდით დაჭრილებს  
 და ჩვენს წინაშე დგას წინაპარი.

ჩვენი წარსულიც ემახსოვრებათ  
 როგორც გმირობა და თავდადება,  
 ისევ გაჩნდება ჩვენი ცხოვრებაც,—  
 ზოგჯერ სიკვდილი ჰგავს დაბადებას.

## რამ და მანძილი

ვინ იცის რა დროა, რომელი საათი,  
 არც დასაწყისია, არც დასასრულია,  
 ხან ბრძოლის ხალისით, ხან კიდევ ტატიით  
 მაინც დროს მივყვებით... გზაც განსაზღვრულია.

წრეც ისევ ის არის, მზის მწვანე ისარიც  
 დღეს-დღეზე თვლის ღერძის გარშემო ტრიალით,  
 ვინ იცის ქვეყანა რამდენი წლის არის,  
 რამდენხანს გრძელდება ვნებაც და ტრფიალიც?

სანამ არ ჩაქრება სიცოცხლის წასახიც,—  
 აკენადან აკენამდე სიარულს ვუნდებით,  
 დაბოლოს გვეწვევა სიბერის ასაკი,  
 ფეხ-ადგიულ ბავშვივით მშობელთან ებრუნდებით.



გიორგი ნატროშვილი

## ბ ი ა უ რ ი

ზნამენკის რაიონში ვიყავით, ერთ დიდ სოფელში, რომელსაც უცხაური სახელი ერქვა — ელანიუს ეძახოდნენ. გაპარტახებული ნაგებობის დაცარიელებულ სარდაფში ვისხედით. ამბობდნენ, აქ აღრე სპირტის ქარხანა იყო გამართულიო. სარდაფს ძალზე სქელი თალი ეფარა.

ეს იყო მტრის ღრმა ზურგში, სმოლენსკის ოლქში, როცა იქ ცხენოსანი გვარდიელები და სადესანტო ნაწილები მოქმედებდნენ.

ის იყო სადამო ახლოვდებოდა. შეადლიდან დაწყებული მტრის ხუთმეტრი თვითმფრინავი დაჰსეოდა სოფელს და ქვეს ქვეზე აღუღებდა. სარდაფში თავშეფარებულთა შორის ჯარისკაცებიც ბლომად იყვნენ, აქ თვალს მოჰკრავდით მედესანტეებს, რომელთაც დაბამბული მწვანე ქურთუკები ეცვათ და შარვალზე გარედან უზარმაზარი ჯიბეები ჰქონდათ მიკერებული. აქვე იყვნენ ცხენოსნებიც, რომელთაც საყვლოზე დაკერებული ემბლემების მიხედვით უმაღ გამოიცნობდით.

კუთხეში ვიღაცას სახეზე ფარაჯაფთარებულს ეძინა.

სარდაფში ჩუმი ბუბუნი ისმოდა. გარეთ ყოველ წუთს ისმოდა აფეთქებათა ძლიერი ხმები და ზეწაბმით ტყვიამტრქევეების კაკანი, ჯარისკაცები მაინც გადიოდნენ ეზოში, ახლებიც შემოდოდნენ, ახლადგადმოსხმულ დესანტზე საუბრობდნენ. მხოლოდ ერთი განმარტოვებულიყო. ტანსაცმელზე ეტყობოდა ცხენოსანი ჯარის მებრძოლი იყო. სარდაფის გრძელ კუთხეში ბოლთასა სცემდა, დრო და დრო შესდგებოდა, გარინდებოდა, თითქოს რაღაც მწვავე ფიქრმა წაიღოო.

სრულიად ახალგაზრდა ბიჭი იყო, ჩინით — სერკანტი, ხოლო სახით და იერით...

სახით და იერით მან რაღაც ნაცნობი მომაგონა. ქერა იყო და რუსს მაინც არა ჰგავდა. სამხედრო ფარაჯა ყველას ერთი-მეორეს ამგვანებს, ეს მაინც არავის არა ჰგავდა, და თითქოს ვიღაც დავიწყებულ ნაცნობსა თუ ახლობელს მახსენებდა.

გავეძრახე. ფიქრში გართულმა ჯერ უაზროდ ვადმოძხედა, მერე ისე ჩამამტვრედა, მოჭუტული, ქორული კროდა თვალებით, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— ქართველი ხარ, კაცო? — რატომღაც გაიოცა მან, — მერე-კი თითქოს დიდი ხნის ნაცნობიაო, შემეკითხა: — არ მოსწეე? — პასუხს აღარ დაელოდა, წეკოთი საეხე აბრეშუმის ქისა ამოიღო, თითონაც გაახვია და მეც შემომთავაზა.

კუთხეში ფიცარზე, მძინარე კაცის მახლობლად ჩამოგსხედით. ის ისევ წავიდა გარინდებაში და თითქმის წელანდელ ფიქრს გაჰყვავა — ისე წაბუტბუტა:

— რატომ ხელი არ მომტყდა, როცა იმას ტყვია ვერხროლე, ნეტავ ამეცდინა მაინცა?!

— ვისა კაცო? — ვკითხე ძალზე გაკვირვებულმა, — ვის ჰნანობ?

— ეგ აგრე ადვილად როდი იფქმება, ჩემო კარგო! — მიპასუხა მან და უფრო ახლოს მოიწია. — მაინც გეტყვი. გინდა გამეიცხო კიდევ, გული მინდა გადაგიშალო, ღვიძლ ძმასავით არაფერს დაგიმალოვ და მერე გამსაჯე...

და მან თავისი ამბავი დაიწყო.

— მე კახელი ვახლავარ. ძიძილაშვილები ვაგიგონია, იმათი გვარისა ვარ, სახელად ლექსო მქვია. უმჰოდ გაზრდილი ვარ, მონაგრით სავსე ოჯახის ნებური ვიყავი, სახლში მზე ჩემზე ამოსდიოდათ. დედაჩემი და ჩემი დები (ორი და მყავს, ერთი ჩემზე უფროსია — შორს სოფელს არის ვათხოვილი, მეორე — ჩემზე უმცროსია, ჯერ ისევა სწავლობს) მარტო ჩემს სახელსა ფიცულობდნენ. იმათი ბრალია, იმათმა სიყვარულმა გამათამამა. მეც გაუგონარი, ფიცხი და ამაყი ვიყავი. ჩიტივით მიფრინავდა გული და გამოუქნელი მოზვერვივით ყალბად დავდიოდი. უბანი აკლებული მჭონდა. ეჰ, შე ოხერო ჰქუავ, სად იყავ? — სინანულით წარმოსთქვა მან და მცირე ხანს შეჩერდა, პაპიროსი უქანასკნელად მაგრად მოქაჩა, ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო:

— ახლა რო ვიგონებ, მე თითონ მიკვირს: რაღაცა იყო გულში დაბუდებული, ეშმაკმა წაიღოს, და ის არ მაძლევდა მოსვენებას, რაღაცა თამაშობდა გულში, მაქვებდა, მაგიჟებდა, რა ვიცი ძარღვი თუ იყო რაღაც ისეთი, სხვანაირი. პატარაობიდანვე, ჯერ მიწას არ ამოვიცლებოდი და სულ რაღაც კისრისსატებ და საავზნეო საქმეზე მეჭირა თვალთ.

სახლში როგორ ვიქცეოდი, მაგას ნუღარ იკითხავ! წამოგხტებოდი დილა აღრიანად, პაიპარად ლუქმას გავტეხავდი, მერე მელაიჯეს (ძალი გვეყვანდა ერთი, იმას ერქვა ეს სახელი) დავუძახებდი, ყელზე ჯინჯილს შევბამდი და წავიდოდით სოფელში. დაედოდი უბნიდან უბანში, გამოვიტყუებდით მეზობლის ძალს, მივუტევიდი მელაიჯეს. დაეძგერებოდა ჩემი ფალაგანი, დაჰბეგავდა, დასჩეჩქავდა, თან მეც ჯოხით ვებმარებოდი, და როცა პატრონები გამოგვიცვივებდობდნენ, მაშინ გამარჯვებულები გამოვიქცეოდით და ახლა სხვა უბანში მივდიოდით. მლანძღავდნენ, მწყევლიდნენ, მამაჩემთან მიჩიოდნენ — შენ ჩემს სიბრიყვეს უყურე — ეს ვაეკაცობა მეგონა! ტოლი ბიჭები დაშინებული მყვანდა, სიტყვას შემომიბრუნებდა ვინმე და შიგნითა სარმა მზად იყო, ისე გაავაკრავდი მიწაზე, ღვაში რომ გინახავს თონეში ჩაკრული.

ერთი სიტყვით, უბნის ბიჭებსა და სოფლის ძაღლებს ჩემზე უფრო საშიში მტერი აღარა ჰყვანდათ. ერთხანს ითმინა მამაჩემმა, მერე მელაიჯე შირაქში წაიყვანა და ქედში ვილაცა ფშაველს აჩუქა. შერაქიდან არ იყო მამა ჯერ ჩამოსული, რომ მელაიჯე სახლში დაუხვდა, გუდამაქუნეცხთა და ლაქუტით მიეგება. ეტყობოდა უფრო მოკლე გზა ებოვნა. ჩაიქნია ხელი მამაჩემმა. მერე როცა დაინახა, რომ ეს ძაღლი ისევ ავიყოლე, თვალები აუხვია, ქალაქში ურმები მიდიოდნენ, მამაც მისდევდა. წაიყვანა მელაიჯე და სადღაც ვახიანის სადგურთან თურქე გაუშვა. ძაღლი ახლაც ერთ კვირაში ისევ დაბრუნდა.

მამაჩემმა რომ ვეღარა გააწყობრა, ერთ დღეს გამოიყვანა მელაიჯე, ეზოში ფურცლის ხეზე მიაბა და თოფი დასცა, მე ვიდექი და ვუყურებდი, შევეტყუროდი და ვტიროდი. პირველმა ტყვიამ ვერ მოჰკლა, შემომყურებდა ძაღლური დარღით და ტყვილით, თითქო მეძახოდა „მიშველო“. მერე მეორედ ესროლა მამაჩემმა და მაშინ კი დახუჭა იმ ტიალმა ცრემლიანი თვალები. „ახლა კი მოისვენა სოფელმა და მეც მოვისვენეო“, — სთქვა მამაჩემმა, მოკლული მელაიჯე ბიჭებს გაატანა და ხევში გადააგდებინა.

ეს იყო და ეს. იმ დღიდან ისე გამოვიცვალე, კაცი ვეღარა მცნობდა. ვეღარ დაევიწყე იმ ტიალის ცრემლიანი თვალები. გეცოდებოდა, მენანებოდა. ხანიც გავიდა, ეს ამბავიც მიმაგიწყდა. მით უმეტეს პატარა ბიჭობაში რა იმდენ ხანს უნდა გამყოლოდა ის ნაღველი. მერე ის იყო სიჭაბუკეში ჩაედგე, კვიცი ამოვიჩემე, ჩემი ხელით გავზარდე, მშვენიერი ცხენი დადგა, მაღალი ფეხები მუხლებამდე თეთრი ჰქონდა, იტყოდი ახალი წინდები აცვიაო.

უკვე სამი წლისა ვახდა ეს კვიცი. ის-იყო ომიც დაიწყო.

— გამოვეთხოვე შინაურებს, — განაგრძო ლექსომ მცირე ხნის შეყოვნების შემდეგ, — გამოვეხადდი კომისარიატში და სამობილიზაციო ფურცელი ჩაებაარე, იმავე დღეს წაგვიყვანეს.

პირდაპირ ფრონტზე არ გავუგზავნივართ, ჯერ აქვე, აზერბაიჯანში, ერთ პატარა ქალაქში გავგამწყესეს სამარქაფო ცხენოსან პოლკში. სამარშე ესკადრონის შესადგენად იზადება რომ დაევიწყეთ — კაპიტანსა ეთხოვე ფრონტზე ჩემი ცხენით განიშვით-მეთქი. ნება დამართო, სახლში მივწერე და მამაჩემმა ჩემი გავზრდილი კვიცი ჩამომიყვანა. იმ დღიდან კვიცის წვრთნა დაეიწყე. პირველად ძალიან იუცხოვა ტიალმა სამხედრო თვალა და მანეთი. ძალიან შფოთიანი კვიცი იყო. უსახელოდ, ხომ იცი, კავალერიაში ცხენი არ დაიტოვება, კაპიტანმა მონათლა, ძალიან ფიცხი და თანეზია, ამას სახელად ვიპოვე მოუხდებო — სთქვა. ასე დაერქვა ჩემს ცხენს გაიური და სიამიც ამ სახელით ჩასწერეს. ვეზადებოდი და იმასაც ვამზადებდი საომრად.

შემოდგომის მიწურული იყო, როცა ფრონტზე წასასვლელად მზად ვიყვიით.

დავიწყეთ ეშელონის დატვირთვა, საბარგო ვაგონების კარებიდან ბაჭანამდე ფიცრის ხიდები გაედეთ და ცხენები ვაგონებში ისე შევიყვანეთ. გიაური გაჯიუტდა, ფეხიც არ შედგა ფიცარზე, ძალით შევეჭმანა: ეცადე: ხან წინ გავეძებე — არ მომყვა, უკანიდან დაესპყვილტ მის ფეხს მარჯვნივ. საცოდავად აწყვეტებდა თავს, მოუსვენრად ტოკავდა, ყურები წყრომით დატკეპილი ჰქონდა და ჭიჭისებურად ჩამოქნილ ჩლიქებს ნერვიულად არტყამდა მიწაზე.

იმდენი ვეწვალე — ოფლში გავიწურე. ბოლოს მთელი ოცეული დავიხმარე, ფეხები გავეუკარი, ცივ-ცივად ავსწიეთ და ვაგონში შევიტანეთ.

მკვდარვით მეძინა იმ ღამეს. როცა თვალი გავაბრუნე და მატარებლის ფანჯრიდან გადმოვიხედე — უკვე რუსეთში ვიყავით.

ტიხორეცკაიასთან სალსკისკენ რომ გადავუხვევით, მივხვდი, დასავლეთის ფრონტზე მივდიოდით. მერე რუსეთი შუაზე გადავჭერით და მოსკოვის ოლქში, კაშირის ახლოს ბრძოლაში ჩავებით.

გიაური პირველსავე ბრძოლაში დაიჭრა. ეგვიც უცნაურად მოხდა.

ის იყო სოფელ მიტსკოეში ცხენები შევაფარეთ, როცა მტრის თვითმფრინავები მოახლოვდნენ, ჯერ რალაც ყრუ ღმუილი ისმოდა ჰაერში და არ კი სჩანდნენ. ძაღლებმა აქეთ-იქით წყვეტება დაიწყეს, გეგონებოდა, ყველა ერთად გაცოფდნო. ისე დარბოდნენ სოფელში, იტყოდი რალაცას ატყობინებენ ხალხსაო. ძროხები აბლავდნენ, წინა ფეხებით მიწასა ხტობდნენ. ის-იყო კიდევ დაუშინეს ზვედიან კაცსა და ქალს, სახლსა და საქონელს. ჯოჯოხეთი არ მენახა და იმ დღესა ვნახე, ამ ოხერმა გულმა მაშინ გადაწყვიტა: მოკვდი და ეს ჯაგრი არ შესჭამო, ყელი დაუნახო, სწედი და დაახრჩე, სანიშნოზე მოგიახლოვდეს — ტყვია არ დააციდინო, კლდესთან შემოგეყაროს, ისე გადაჩეხე, ძვლებიც ვერ იპოვნონ.

ამ ფიქრში რომ ვარ, ვხედავ ქუჩაზე გიაური დაბნეული, გაგიყებელი დარბის. არც ერთი ცხენი არა ჩანდა ქუჩაზე, მარტო იმან აიწყვიტა იმ ტიალმა, ქვეყნის დატყევა ეგონა ალბათ, თავის სახსნელად თუ გაიქცა. სოფლის ბოლოს საზენიტო ზარბაზნები ახმიანდნენ. ერთმა რუსმა, იმის მარჯვენას ვენაცვალე, ისე ესროლა თვითმფრინავს, რომ ცეცხლი წაუკიდა და ყირაზე დასცა. მფრინავი გადმოხტა ჰაერში და მიწაზე დაეშვა, ის იყო სხვა თვითმფრინავებიც გაფრინდნენ უკანვე, დაწყნარდა სოფელი.

მეც გამოვედი. გიაურის ძებნა დავიწყე.

სადღაც საბძლის კედელს აპკროდა. მოვეფერე, მისი თავი ილღიაში ჩაეხუტა, ტიტველ, ვარდისფერ ნეტოებზე ალერსით ხელი მოვეუჭირე და წუთით სუნთქვა შევეუგუბე; თითქოს გაბუტულაო, ჩემს ალერსს აღარ გამოვხმაურა, მერე მუცელში შეველიტინე, გამწარებით თავი მოიქნია და მხარში მწვდა, ხელი გამოვწიე უკან: თითები სისხლში შესვრილი მქონდა.

დაჭრილი იყო, ერთი ნალეწი მუცელში მოჭხვედროდა, მეორე კისერში.

მაშინ-და ჩაეხედე თვალებში. ღმერთო ჩემო, აღამიანივით ჩამოსვლიდა ცრემლი ხმელ, ღამაზ სახეზე.

რა უნდა მექნა? ესკადრონის ვეტინსტრუქტორთან მივიყვანე, „მოსკო-ტალში გავგზავნოთ“, — მითხრა მან.

მანამდე, მართალი ვითხრა, არც ვიცოდი თუ ცხენების კონსტიტუციურს არსებობდა.

მართლაც, მეორე დღეს, ჩამოიარა საბარგო მანქანამ. მანქანის მარაში დაჭრილი ცხენები იდგნენ, თავები გზისკენ გადმოეყვით და თითქოს გაოცებული იცქირებოდნენ.

მალე გააუჩიო იმ მანქანაზე ავიყვანეთ.

ასე დამშორდა გაიური. მერე იმაზე ფიქრისთვის სადღა მეცალა. ძალზე ცხარე ბრძოლებში ჩაგებით, ჩვენმა დივიზიებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს და მტრის ზურგში რეიდზე შემოვედით.

მას მერე ორი ცხენი კიდევ გამოვიცვალე, მაგრამ გაიურის ბადალი ვერაფერი ვეღარ ვნახე, იმას ისეთი თავისუფალი და ვანიერი ნაბიჯი ჰქონდა, რომ მასზე ჯდომა აკვანში წოლასავით სასიამოვნო იყო.

ჩორთიც ცოცხალი და ხალისიანი იცოდა, ნავარდზე და კარიერზე დამთხვეული და გადარეული იყო, მაგრამ მეც ეგ მინდოდა სწორედ.

არა, იმის ფასი ვეღარა ვნახე-რა. ერთხელ ნადავლ ბავარიულ იაბოზეც კი შევეჯექე, მაგრამ არც ალური მომეწონა იმისი და არც ამუნიცია მეჭამნოდა. იმავე დღესვე გადავცვალე.

გუშინ, აქეთ რომ მოვდიოდით, წინ გზაზე მარხილი გამოჩნდა, ჩვენსკენ მოდიოდა. მარხილს გვერდით პატარა გოგო მოსდევდა, ძნელი არ იყო მიხედრა: დაჭრილი მოჰყავდათ მარხილით და ეს გოგო გამყოლი იყო. სად იყო, სად არა მტრის სამაერო პატრულის სამსახურის თვითმფრინავი გამოჩნდა ცაზე; ხომ იცი, ის მთელ დღეს ასე ტრიალებს ჰაერში და, რასაც მიწაზე ცოცხალს და მოძრავს დაინახავს, უსროლელად არ დასტოვებს. ქორივით წამოუქროლა მარხილს იმ ოხერტიალმა, ტყვიამფრქვევის სროლა დაუწყო. გამყოლი თოვლში დაეცა, ცხენი დაფრთხა, მარხილი გაიტაცა, გზიდან გადაუხვია და ტყეს მიაშურა.

ფეთიანივით გარბოდა ცხენი. მარხილიდან სჩანდა დაჭრილის ვალენკიანი ფეხები, მიწაზე ეთრეოდა... ცხენი მირბოდა.

ვიცოდი, გონდაკარგული პირუტყვი დაამტვრევდა ისედაც საცოდავ, დაჭრილ კაცს. უნდა გვეშველა, მაგრამ როგორ? გაგიყებულ ცხენს ვინ დაეწევა? უცებ ერთმა აზრმა გამიბრინა თავში: ცალ მუხლზე წამოვიწოქე, თავში დავუმიზნე, დიდხანს ვერ გაუსწორე სანიშნო გაქენებული ცხენის ჰაერში მოქანავე თავს, მერე ვესროლე, მოხვდა, ცხენი გაჩერდა, წინა ფეხებზე დაიჩოქა, ჩაწვა, თავი თოვლზე გადააგდო.

ახლოს რომ მივედით, დაერწმუნდი, რომ დაჭრილი გადაარჩინა ჩემმა ტყვიამ. საცოდავი თურმე ჭრილობებს ახეთქებდა მარხილის ხეებზე, სიმწრისაგან გონი წასელოდა. მოგაბრუნე, მადლობის თვალით შემომხედა. გამახარა იმისმა გადარჩენამ, ხასიათი დამიბრუნა, თუნუქის მათარით არაფი მივაწოდე და ხუმრობაც კი ვეცადე, ღიმილით უთხარი:

— ნანადირევი კი იმდენი არაფერი შეჰლია, თორემ ეგებ სანაწავდესაც აგებრიდი, — და თან ცხენს შეეხედე.

შეეხედე და ელდასავეთ დამკრა რაღაცამ თავში. გერე მუცხედი რა იყო ეს: მომაკვდავი ცხენის თეთრი, ნოღა ცხვირი და ხქელის წაშლასფერი ფაფარი რომ დაეინახე, რაღაც ნაცნობი მომავონდა. ფაფრის ბეწვის ბოლოები ზამთრის მზის მკრთალ შუქზე სისხლისფრად ჩამუქებულოყვნენ და ბზინავდნენ.

ასე მარტო გიაურის ფაფარი ბზინავდა ხოლმე მზეზე, როცა პატარაკვიცი იყო.

ჩემს წინ თოვლზე მართლაც გიაური ეგდო. კისერთან ძველ ნაჭრილობებზე თეთრი ბალანი ამოსელოდა, თითქოს ეს აღგილი ხამუტმა წაუხდინაო.

დაეხარე, თავი წამოვეუწიე, ცრემლი შეჰყინოდა თვალზე. ცა რომ ჩამოტეუულიყო, ასე არ გამიკვირდებოდა. რა უნდა აქ გიაურს, საიდან სადაო, როდი-ღა ველოდი, თუ ბედი ისეე იმასთან შემყრიდა.

მერე-ღა მომავონდა: ხომ იცი — გვარდიაში კანონია: დაჭრილი, ცხენი იქნება თუ კაცი, ჭრილობის მორჩენის შემდეგ ისეე თავის ნაწილში უნდა დაბრუნდეს. არმიაში კი ასე როდია: სადაც საჭიროა, იქ გაგზავნიან.

აღბათ, გიაურიც ისე გადარჩა, რომ სადემობილიზაციოდ ვერ გაიმეტეს და ისეე ჩვენს დივიზიაში მოჰხვდა. საბარგულის ცხენად იქცა. აბა, ეს მე საიდან შეცოდინებოდა?

— იქნება მითხრა, რა ასეთი სადარდელია ეს ცხენი, როცა ისეთი ბუქები ჩაწვენენ მიწაში, ისეთი ვაჟკაცები, რომ იმათ შეხედვას არა სჯობდარაო. მართალიც იქნები, მაგრამ მაინც მენანება: რაღა ჩემი ხელით მოკვდა ის ტიალი, ისა!

## ს ი ზ მ ა რ ი

შებინდების ხანზე კურაკინოდან გამოვედით და მდინარე უგრას სათავისაკენ გავეწიეთ. მოწმენდილ ცაზე ნამგალა მთვარე ამოწვერილიყო, თოვლიანი მინდვრის სითეთრეს სიბნელე ძლივს ერეოდა. მაგრად ჰყინავდა საღდაც ახლოს ავტომატების ხშირი ტყაცუნი ისმოდა. ოცდაერთი წლის ეფრეიტორი ირაკლი კონწლიაშვილი, ომამდე მუხრანელი კოლმეურნე, რომელიც აქ, სმოლენსკის ოლქში ვნახე და გავიცანი — მძიმედ დაფიქრებული მომდევდა გვერდით. ის ძალზე მიაპიტი ბიჭი იყო; ხანდახან სრულიად უბრალოს ბავშვივით გაიოცებდა, ხოლო ნამდვილად საოცარს ისე შეჰხედავდა, თითქოს ცხოვრების სიბრძნით დამძიმებული ადამიანია, რომელსაც ამ წუთისოფელში აღარაფერი უკვირსო. აბა რა ჰქონდა კი ნახული? ომამდე თავის სოფლის მიდამოებს არ გასცილებოდა, ყველა ქართველი გლეხაკივით, ქალაქიო რომ ახსენებდნენ, ფიქრობდა აუცილებლად თბილისზეა ლაპარაკიო, და მდინარეს რომ ახსენებდნენ, აუფილებლად მტკვარს იგულისხმებდა. პოდა, უცებ იმდენი ქალაქი და მდინარეები ნახა იმ ერთ წელიწადში, რომ მათ სახელებს ვინა ჩიოდა, სათვა-

ლავიცი აღარ იცოდა. ყველაფერი ეს მაინც რაღაც ზედპირულ ფენად მოსდებოდა მის ცნობიერებას და ამ ცნობიერების სიღრმეში მაინც ყველა მდინარეს მტკვარი ერგვა. ეფრეიტორის მუნდირი ეცვა და ფულადი პატარა ღამის მეზრისა კქონდა, მდინარე უგრავზე იყო და მისი დაღვივება ეს, როცა იმ ამბის მოყოლა დაიწყო, რომელიც გუშინ შეემთხვა. წინა დღეს კინალამ ვაჟეციის სახელი წაიხდინა. კიდეც კარგი, დროზე მოიკრიბა აზრი და არ დაიბნა:

— ზიარების მადლმა, აღარ ვიცოდი რა მექნა, იქ რომ საქმე ჩაშლილიყო, რაღად მინდოდა თავი ცოცხალი. თუ მტრის ტყვია არ მომკლავდა ჩემს თავს თითონ მოვეუღებდი ბოლოს. მტკვარში გადავვარდებოდი...

მე მეცინება.

— ბიჭო, მტკვარში საიდან გადავარდებოდი, იცი სადა ხარ?

ის ხვდება თავის უნებურ შეცდომას და თითონაც ეღიმება, მერე თითქმის პასუხად მეუბნება:

— მართლა, რა ეგებერთელა ყოფილა ეს რუსეთი! ამას მტერი როგორ მოერევა, სად უნდა იშოვნოს მტერმა იმდენი ჯარისკაცი, რომ ეს მიწა დაიმორჩილოს! — და მერე შემეკითხა:

— კიდეც ბევრია ამას იქით?

— ამას იქით, — ვუთხარი მე და ჩრდილოეთისაკენ ვაჩვენე, — ასე რომ წახვიდე, ვიდრე დედამიწა გათავდებოდეს, სულ რუსეთია.

— ოჰ, შენი ქირიმე! — წამოიძახა მან განცვიფრებით.

— განა არ იცოდი?

— ამ ხელა მაინც არ მეგონა, — სთქვა მან დაბალი ხმით, მერე ცას გაბზედა, ახალი მთვარე მგონი პირველად მაშინ შეამჩნია და იმავე წამს მხიარულად, წკრიალა ხმით შესძახა:

„მთვარე, განახე ნებასა,

ჩემსა გახარებასა,

ქია—მკვდარი, მე — ცოცხალი“.

ჩემს წინ ახლა ისევე მუხრანელი ბიჭი იყო, პატარა ღამის მეზრე, ოდესღაც ალბათ ასე შესძახებდა ხოლმე ტოლბიჭებთან ერთად ახალ მთვარეს, რომ ვიდრე ის ჩავარდებოდა — ბედნიერი ყოფილიყვნენ.

— ნეტავ რამდენი დღისა იქნება? — მეკითხება ის და ისევე მთვარეს უტყერის.

— არ ვიცი, — ვუთხარი მეც, — მე კიდეც ევ არ მისწავლია.

— მე ვიცოდი, მაგრამ რაღაც მეშლება, ველარ მიანგარიშნია: ჯერ მგონი თვისთავი და ნიადაგი უნდოდა, მერე ზედნადები... ეჰ, აღარ მახსოვს, ბებნიამ კი კარგად იცოდა...

— რაში გაინტერესებს, განა შენთვის სულერთი არ არის?

— სულერთი რად არის? როცა მთვარე ოთხი დღისაა — სიზმარი ტყუილია, როცა ხუთისაა — ახდება, როცა ექვსისაა — მაშინ სიზმარი წლისთავზე ახდება.

არ ვიცი ხუმრობს, თუ მართლა ასე გაუგონია პატარა ბიჭობაში, როცა წაღლაც შორს, ცხრა მთას იქით, ქართლის მინდორში იყო.



— არ ვიცი, ჩემო კარგო, — ვეუბნები მას, — სიზმრის ახსნისა მე არა მესმის-რა და არცა ბეჯერა. შენ რაღა გაშფოთებს, ზომ არ მოუკლავხარა. სიზმარში?

— არა, მოკვლით არა, მაინც ვიამბობ, ყური დაპიგდები <sup>გარკინების</sup> <sup>გაქმნის</sup> <sup>საკ-</sup> <sup>ვირეელი</sup> სიზმარი ვნახე.

და ვიდრე სიზმარზე გადავიდოდა, მან ჯერ თავისი გუშინდელი თავგადასავალი დაიწყო.



— ზომ გახსოვს, გუშინ, კურაკინოზე გერმანელებმა ოთხჯერ მოიტანეს იერიში, — მითხრა მან, — როცა მესამე იერიშის დროს მტრის ქვეითი ჯარისკაცები ხელჩართულ ბრძოლას მოერიდნენ და უკანვე დაიხიეს, წამოვიწიე და სანგრიდან წინ გავიხედე.

პატარა შინდორზე, რომელსაც ირგვლივ ტყე ეკრა, ცხედრები ჰერეხებივით ეყარნენ. სულ ახლოს ის ზორბა ტანის ჯარისკაცი ეგდო, რომელიც ჩემმა ნასროლმა წააქცია, იმ წუთში როცა ის სანგართან სულ ახლოს მოვიდა. კარგად მახსოვდა: როგორც კი მოჰხვდა ტყვია, უეცრად შედგა და წაქცევამდე მარცხენა ხელი ფრენის საყულოში იტაცა და ჩამოიგლიჯა, მერე წაბარბაცდა და მიწაზე გაიშოტა, ეტყობოდა ადრე გათამამებული ჰყავდა ბედს. დაურიდებლად მოდიოდა, ასე ცოფით გააფებული სახე ჯერ არ მენახა. ახლა კი სახე აღარ უჩანდა, პირქვე დაცემულიყო თოვლში, ცალი ხელი სასიკვდილო კრუნჩხვისას სახსარში მოღუნული, მიწაზე დაედებულ აეტომატზე დაებჯინა, თითქოს ისევ უნდა წამოხტესო. ის იყო ნელი ქარიც ამოფარდა, ფარაჯის მწვანე, სიფრიფანა კალთას უფრიალებდა, გეგონებოდა ჯარისკაცი თრთის და ძაგძაგებსო. ერთი წუთით მომეჩვენა თითქოს სალდათი ცოცხალი იყო და ჩემი სანგრისაკენ მოფორთხავდა. მერე ის იყო ქარმა სახეში თოვლი შემეყარა, თვალები მაგრად მოვიფშვინტე, იმ ჯარისკაცს დავაკვირდი. თვალები ამიჭრელდა, მივხვდი, რომ საშინლად დაღლილი ვიყავ, ხმა ჩამწყვეტოდა. ორი ღამის უძილო ვიყავ და თანაც მძიმე და ძნელ ბრძოლაგადაბდილი. გარკვევით კი აღარა მახსოვდა-რა, თითქოს დიდ ქეიფში ნამყოფს ვაეღვიძაო. ეს მესამე იერიში მოვიგერიეთ ერთი დღეღამის განმავლობაში. კარგი ბიჭი ხარ და ნუ დაილღები! უცებ ისევ ის ჯარისკაცი გამახსენდა სანგრის წინ რომ ეგდო. წამოვიწიე და ისევ გავიხედე. ქარი ჩამღვარიყო და მწვანე ფარაჯის სიფრიფანა კალთა აღარ ფრიალებდა, ჯარისკაცის გვაში სანახევროდ თოვლს წაენამჭრა. ისევ ჩავიკეცე სანგარში და მუხლები რომ მოვლუნე — ყრუ ტივილმა გამკრა. ისევ გავჭიმე მუხლები და ოდნავი შვება ვიგრძენ — მივხვდი, ორ დღეს მუხლის ჩაუხრელობამ, ორ ღამეს ზეზეულად ყოფნამ გამტეხა, იმავე წუთს გამოვფხიზლდი, ფარაჯის სახელო გადავიწიე და ტიტელ ხორცზე მაგრად ვიკბინე. მერე ძილის გასაფანტავად შუბლი და ლოყები აეტომატის ყინულივით ცივ რკინას დავადე... ერთ წუთს თითქოს ამან მიშველა. „ახ, ნეტავ ერთი დამაძინა-მეთქი“, გამიბრინა ლიქჩრმა. „არა, არ შეიძლება“, გავიფიქრე ისევ, „არ შეიძლება“, გავიმეორე, მაგრამ დაქანცვა ისე მომერია, რამ ახლა, ამ მეორე წამს აღარ მახსოვდა რა „არ შეიძლება“. „ნეტავ რაზე ვფიქრობდი-მეთქი“, წავიხურჩულე,



მაგრამ რაკი ერთხელ დაეკარგე ძაფი აზრისა, ველარ ვიპოვნე. რბ რყო კიდევ წავედი ბურანში.

რალაც უცნაური, გაუგებარი და დაბურღული რამე, მესიჭმრავ. ვითომ შინ ვიყავ, მუხრანში, ზაფხულის დილა იყო და აბრეშუმის ხალაფის ამა-რა მეზობლისას გადავედი. უცრად ზშირი სროლა გავივინე. განციფ-რებულმა გავიხედე და დავინახე: ჩენი სახლისაკენ მწვანე ფარაჯიანი ჯარისკაცები მირბოდნენ, შეტევაზე გადადიოდნენ. ასე შორიდან მათ სა-ხეებსაც კი ვარჩევდი. აი ერთი ზორბა ტანის მეავტომატე მირბოდა წინ და დილის ნიავე მისი სიფრიფანა ფარაჯის კალთას აფრიალებდა, თით-ქოს სადღაც მენახა ის ჯარისკაცი, ვერ მოვივინე კი სად! ვიდექ გოგნე-ბულიეთი მეზობლის ეზოში და მიკვირდა: საიდან გაჩნდნენ შუაგულ ქართლში ეს ჯარისკაცები, ჩენს სახლს რომ უტევენ-მეთქი. გადარბიან, წუებიან, ფლანგებიდან ტყვიამფრქვევს ისვრიან. სახლში არაფინ არის, დედა მეზობლებშია, ჩემი და მარინე უზუნაანთ უბანშია, მამა—მინდორ-შია. მაშ ეს ჯარისკაცები ვის ეშმაკებს ესვრიან, ამას რას სჩადიან მეთქი—გავიფიქრე სიზმარში და უცებ მომაგონდა, რომ დერეფანში სკამზე კოს-ტუმის პიჯაკი დაეტოვე, ჯიბეში კომკავშირის ბილეთი, პასპორტი და ნინოს წერილები მქონდა შენატული. ელდა მეცა. ვინანე, რომ თან არ წამოვიდე. მერე ვითომ მეზობლის სახლიდან ვილაცამ თოფი გამოიტანა და მომაწოდა, ხეს მოვეფარე, მაღალ ფეხზე შევავყენე, რავუმიზნე და მსხლტზე დავაწიქ, თოფი არ გავარდა, გადავავდე, მეორე თოფი მომაწო-დეს, ვერც ამ თოფით გავისროლე, მესამე მომცეს, არც ეს გავარდა და ბრაზით დავახეთქე მიწაზე. თოფი შუაზე გადაიმტვრა. მეოთხე გამომიტა-ნეს, მეხუთე, მეექვსე — ისევ და ისევ ხელი მომეცარა. ამასობაში ჩენი სახლი აიღეს, ფურცლის ხს ჩრდილქვეშ შტაბი მოაწყეს, საბჭედი მანქანა დადგეს და რალაც ქალაღდებს ჰბეჭდავენ. საბჭედი მანქანა ისე აკაკუნებს, აი წელან ავტომატს რომ ესროდნენ. გრძელი სიტყვა—გრძელი ჯერივით იყო, მოკლე — მოკლე ჯერივით...

უცრად თვლები გავახილე, აღარც მუხრანი, აღარც აბრეშუმის ხალა-თი, აღარც ჩენი სახლი. ისევ სანგარში ვიყავ. სახენიტო ტყვიამფრქვევი გაბმულად კაკანებდა, ესროდა მზვერავ თვითმფრინავს, რომელიც მტრის არტილერიის ცეცხლს აწესრიგებდა. უცებ ვერ მივხედი რამდენ ხანს მეძინა. წელან სიწყინარე იყო, ახლა კი მტრის არტილერია ქვას ქვაზე აღუღებდა, ხელახლა ფატრავდა დაღადრულ და დაკაწრულ მიწას.

მართალი ვითხრა, უნადვლო კაცი არა ვარ, მაგრამ მაგარი ძილი ვიცი. აი ისეთი, სოფელში რომ იტყვიან ხოლმე, ზარბაზანი რომ დაუცალო ყურის ძირში, არ გავეღვიძებო, ჰოდა, ვინ იცის რამდენ ხანს მეძინა.

ამან ძალზე შემაფიქრინა.

არტილერია ჩაწყინარდა და მეოთხე იერიშიც დაიწყო. მეოთხე და უკა-ნასკნელი. ისევ წამოვიდნენ გერმანელები, ახლა კი ხიშტზე მიდგა საქმე-მეც ის იყო დავაპირე სანგრიდან ამოხტომა და მიწის კედელში ამოჭრილ საფეხურში ფეხი შევღვი, მიწა ჩამოზავდა, უკანვე ჩავვარდი და თუმცა იმავე წამს წამოვხტი, მაინც შიშით შეიფრთხილა გულმა: სიზმრისაგან ჯერ ისევ გოგნებული, შემფოთებული ვიყავ და მომეჩვენა, რომ სწო-რედ ვადამწყვეტი წუთი დაეკარგე. დაფეთებულეთ ამოვხტი სანგრი-

დან. ბიჭებს გადაეავლე თვალი, კარგი მომკლები თუ გინახავს ტრაიფონზე, სამხრობის შემდეგ ყანას რომ შეუტევენ ხოლმე, აი ისე მკვლობდნენ ბიჭები ხიშტითა და კონდახით. დანარჩენი შენ თითონაც ეცი, ხომ ნახე, დღეს როგორ ეყარნენ კურაკინოში გერმანელები, ვეღარც კი შეუძლებ ვერ წაუვიდა უკან. ცხადი ეს იყო, მაგრამ ეს ტიალი სიზმარი რაღა იყო — ვერ გამოვიდა.

— გაუგებარი მანდ რა არის, ბიჭო, — ეუთხარი მე, როცა სერჯანტმა თავისი ამბავი დაასრულა, — ის სალდათი ჩაგყოლია გულში, აი, ჩემს თვალწინ მოკვდაო, რომ ამბობდი.

— მართალი ხარ, — გამოფხიზლებულივით დაიძაბა იმან, — მაგრამ ჩვენს სახლში რა უნდოდა იმ ოხერს?

— წელან ვითხარი, სიზმრის ახსნისა არა მესმის-რა-მეთქი. მაგ სიზმარს კი აგიხსნი: შენ რომ ამბობდი წელან: რუსეთი რა ძალიან დიდი ყოფილაო, ხუთი ამდენი რომ იყოს — მაინც ერთი მტკაველი არავის დაუთმო, თორემ, ახლა შენ რომ კურაკინოში მტერი გაუშვა, მეორე კვირაში მართლა შენს ეზოში შემოვარდებდა; შენი სახლის ჭიშკარი განა მართლა მუხრანშია, აი იქ არი, შენს კერას იცაგ! გესმის?

— ეჰ, შენ პოლიტიკურზე გადახველი! ეგ ხომ მეც ვიცი. მაგრამ ეს სიზმარი მაინც რა იყო?!

სთქვა მან და ისევ ფიქრებში ჩაიძირა. მეც დავჩუმდი და ჩემს ფიქრებში წავედი.

ის იყო დივიზიის შტაბსაც ეუახლოვდებოდით, სადაც ჩვენ გაგზავნილები ვიყავით.

ალექსანდრე აბაშელი

## ნიკო ღოთქიფანიძე

ბშირად მგონია, რომ მე მასთან შეხვედრას ველი,  
რადგან არ სჯერა გულს, რომ იგი ბნელს მიეთვარა,  
ვინც ისე ნათლად დაგვიანახა ქვეყანა ძველი,  
თითქო წარსულის გასაღები იმას ებარა.

ღა ვფიქრობ, ალბათ, გადაურჩა სიკვდილის მახეს,  
მხოლოდ დროებით უცნაურად გაუჩინარდა.  
ასე მგონია, რომ თვალს მოვკრავ მის მღუმარ სახეს  
სადმე თეატრთან ღა ან ბაღში ნაცნობ ჩინართან.

შუალამის ჟამს გამოჩნდება ჩაფიქრებული,  
ნელი ნაბიჯით ამოპყვება რუსთველის ქუჩას,  
თითქოს უხილავ ჩვენებათა ახლავს კრებული,  
ვერაღის ამჩნევს ღა თვალეზში ნაღველი უჩანს.

იქნებ საოცარ საიდუმლოს გულში ინახავს?  
იქნებ ფიქრები აღუშფოთეს სამშობლოს მტრებმა?..  
ობერას ბაღთან, აკაკის ძეგლს რომ დაინახავს,  
შეაღებს ჩუმად წარსულის კარს ღა უცბად ჰქრება...

იგი გადადის იმ უკუღმართ ქვეყნის არეში,  
სადაც მძვინვარებს გარდასული ძველი თაობა,  
მის წინ იშლება ბნელ ვნებათა მკაცრი თარეში,  
ჟამთა სიღვის შემზარავი სანახაობა...

ღამეა. მთვარე გადმომდგარა კლდეზე ჯიხვივით.  
ცოშკზე ნაბადში გახვეული კანკალებს ქალი.  
ისმის ჩოჩქოლი ღა არჩილის ცხენის ჳიხვინი,  
იულოს გულში მძლვარების ეგზნება ალი.

შემდეგ უეცრად მოწამლული ბოდმის ანთება,  
სისხლის ნაკადად გადმოდერილი გულის ვარამი.  
დედასთან შეილის სასიკვდილო შეკამათება  
ღა აივნის ქვეშ საფლავევით ღია წყვარამი.

მეფის სასჯელს. უნამუსო დიდებულები.  
 თვალდაბრუნებული იქონის მწარე მუდარა.  
 გაუტანლობა, შური, მტრობა, ტანჯვა უღვევი...  
 ამ წუთისთვის სისხლის გარდა არა უნდა-რა.



მრისხანე ბატონს სისხლიანი უყვარს თამაში.  
 ბნელში გაზრდილი ორი კურო გამოჰყავთ გარეთ.  
 პირუტყვთა ზურგზე გაკრულია ქალი და ვაჟი,  
 ქალს თითქო სძინავს, ვაჟი იკვნეტს მშრალ ტუჩებს მწარედ.

მზიან ეზოში დამფრთხალ კუროს ღმულის ზმაზე  
 მორბის მეორე, სინათლისგან თვალდანაფეთი.  
 უცებ იელეებს ზანჯალივით მოქნეულ რქაზე  
 გაფატრულ ქალის სისხლიანი მკერდის ნაფლეთი.

და ისევ ბედით განწირულის სულის ღაღადი,  
 ხარზე გაკრული ვაჟის ოხვრა, წყევლა-მუდარა.  
 გაუტანლობა, შური, მტრობა, სისხლის ნაკადი,  
 ამ წუთისთვის სისხლის გარდა არა უნდა-რა...

ფითრდება ღამე. ის ბრუნდება ჩაფიქრებული,  
 ნელი ნაბიჯით კელავ გადასკრის რუსთველის ქუჩას.  
 თითქოს უხილავ ჩვენებათა ახლავს კრებული,  
 ვერავის ამჩნევს და თვალეზში ნაღველი უჩანს.

17 ივნისი, 1945 წ.



## ვინ შთაგაგონა?

დილით ჩიტვით მოდიხარ მუდამ,  
საბავშვო ბაღის მაღლობს აპყვები;  
შეხვალ ბაღში და ბავშვები გუნდად  
ნოგეხვევიან, როგორც ბარტყები.  
მომლიმარ სახეს ვარდივით გაშლი,  
ღღის სილამაზეს თვალს გაუსწორებ,  
შენს ხმას შეიცნობ ბავშვების ხმაში  
და მოიღერებ ყელს თავმომწონედ.  
იმათ უღარდელ, მხიარულ ტიტინს  
ისმენ გრძნობით და ეძლევი ღხენას.  
შეპყურებ ნორჩებს, ვით დედაჩიტი  
ბარტყებს, რომლებიც იწყებენ ფრენას.  
ქვეყნად ბევრი რამ შენით იციათ,  
საკუთარ შშობელს ბევრი გადაარებს.  
შენ ჯერ დედობა არ განგიცდია  
და დედასაეათ უფლი პატარებს.  
შინ დაბრუნებულ ფხიზელ გოგონას  
ძილშიც ბავშვების ჩუმი ხმა გესმის.  
სულ ახალგაზრდას ვინ შთაგაგონა  
ასე ძლიერად ბავშვის ალერსი?

## ახლაც ის დროა

ბაღის ბილიკზე ქვენა ქარი ბალახებს მიფენს,  
სადაც ოცნებით აგზნებულებს ერთად გვივლია.  
ახლაც ის დროა... ლალისფერად ბალია მწიფე  
და მომლიმარი კუნწულები მზეზე ღვივიან.  
მზის სიყვარული მზისთვის ჯერ ვერ გაუმხელიათ,  
ლაქვარდს უცქერენ მზის თამაშით ბევრჯერ განართობს.  
ხან დაირცხვენენ და ფოთლებში გაეხვევიან,  
რომ კვლავ გამოჩნდნენ და ძლიერად გამოანათონ.  
ახლა შორსა ხარ, ველარ გატკობს მათი ღიმილი,  
ტოტები — მოღზე ჩერობად მოფენილები,  
მაგრამ ჩიტები ეხვევიან ნაყოფს ვიფილით,  
შენი სიცოცხლის მახარობლად მოფრენილები.

# ქარიშხალი \*

ნაწილი პირველი

თავი მეოთხე

დამით წვიმა მოსულყო და დილას მთელი მიდამო ნისლში იყო გახეული. გაახილა თუ არა დათიკომ თვალი, მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და ჩაცმა დაიწყო. ტიხარს იქით ისმოდა მუშების ხმაური და ჩექმების ბრა-ხენი. ისინი სამუშაოზე გასასვლელად ემზადებოდნენ. ტიხარი იმდენად თხელი იყო, რომ დათიკოს კარგად ესმოდა მუშების საუბარი. ისინი ქალებზე ლაპარაკობდნენ.

— ვანო, რას აპირებ ახლა. — ისმოდა კედლის იქიდან დაბალი ბუბუნა ხმა. — რა გითხრა იცი, ის სქელი დედაკაცი რომაა, რო დაგეკიდოს, შეიძლება კიდევაც გხეთქოს ძირს.

— შენ ვითომ ხუმრობ და მაგ კი არა, მგონია, სანდრო კანდელაკიც ვერ მოერიოს იმას. რამხელა მაჯები აქვს, არ დააკვირდით? — მოისმა მეორე ხმა.

— ოღონდ დამეკიდოს და არ ვნალელობ, — წაიდუღუნა ვანომ.

— აჰ! მაგის იმედი ნუ გაქვ, ძამია, იმას ვერაფერს დააკლებ, — შენიშნა ილიკომ და იმ წამშივე ვილაცამ, თითქოს ეშინოდა, თქმა არ მომასწროს ვინმემო, აჩქარებით დასძინა: — ილიკო კაი ხანს ებუტუნა იმ ნაყვავილარ გოგოს, უნდოდა გარეთ გაეტყუებია, მარა... — უკანასკნელი სიტყვები საერთო სიცილმა დაძვარა.

დათიკომ პირსახოცი ქამარივით შემოირტყა წელზე და პერანგის ამარა, სახელოებდაკაპიწებული გარეთ გავიდა.

მთელი ეზო საესე იყო მუშებით. ქალები, როგორც ეტყობოდა, ყველაზე ადრე ამდგარიყვნენ. ბრეზენტის შარვლები და ქურთუკები ჩაეცვათ, ზოგს „ლაშურა“ ფარანი ეჭირა ხელში, ზოგს ბური აელლიაეებინა, — ყველანი მზად იყვნენ წასასვლელად. მელიტონს ელოდებოდნენ, რომელიც უნდა გასძლოლოდა მათ გვირაბებში.

საწყობის კარებთან შეგროვილ მუშების ყაყანმა უნებლიეთ მიჩქვია დათიკოს ყურადღება. ისინი სტეფანეს შემოხვეოდნენ. ზოგს ფარნის გამოცვლა უნდოდა, ზოგს ახალი ჩაქურჩები და უროები უნდა მიეღო, ზოგს კიდევ რა. აშკარა იყო, რომ ბიჭები გულდაწყვეტილი იყვნენ, რადგან ქალებისათვის ყველაფერი ახალი დაერიგებინათ და ამიტომ ბავშვებივით იბუტებოდნენ.

\*) იხ. „მნათობი“ № 6.

— გააღე საწყობი! — უყვიროდა ვანო საწყობის კარებთან აყუდებულ სტეფანეს, — გააღე მეთქი! არ გესმის?

სტეფანეს ფეხზე ძველის-ძველი საშინაო ჯღანები ჩაეცვია, მხრებზე გაეცეთილი პალტო წამოეხსა. ბუზუნზე ეტყობოდა, სრულწინად არა ჩქარობდა საწყობის გაღებას.

— მომცილდით აქედან! — ყვიროდა სტეფანე. — რა გინდათ ჩემგან?

— როგორ თუ რა გვინდა!

— ამ ფარანს ხედავ?

— შე ურო მინდა, ჩემსას ტარი არ უფარგა.

— ჩემთვის სპეცტანისამოსი რო უნდა მოგეცა, აღარ გახსოვს?

— ჩვენ ნაეთი გვინდა, აღარა გვაქვს.

— რაო, ნაეთიო, — გაბრაზებული ნაგაზივით შეხტა და შეტრიალდა სტეფანე: — რა უქენით იმდენ ნაეთში, დალიეთ?

— ჰო, შენი სადღეგრძელო გადაეკარით.

— თუ აგრეა, ეყარეთ ახლა, ბიძია. არა მაქვს ნაეთი.

— ეა, მაშ ბნელაში როგორ ვიმუშავოთ?

— როგორ და იშუ. არაა ჩემი შაქმე.

— კაცო, იარაღი მაინც გამოგვიცვალე, დღეს ქალებს უნდა შევეჯიბროთ! — არ ეშვებოდა ვანო, — არ გესმის?

— იარაღს მოვლა უნდა, ბიძია, მოვლა, შად მაქ შე ამდენი, რო ყოველ დღე ახალი და ახალი ფარნები გაძლიოთ.

— ქალებს ხომ დაურაგეთ ყველაფერი? — ცხარობდა ვანო.

დანარჩენებიც ეთანხმებოდნენ.

— ჩვენ რა, ნაკლებები ვართ?

— სპეცტანსაცმელიც ახალი, ფარნებიც ახალი, ყველაფერი ახალი.

ვანო ცხვირწინ უტრიალებდა სტეფანეს უშუშო და დაქვლეტილ ფარანს.

— ამით როგორ უნდა ვიმუშაო? დამალრიო მაღაროში ბოლმა.

— ჩემი ბრაღია მერე? — უყვირა სტეფანემ.

— მაშ ჩემი ბრაღია?

— შენი ბრაღია. მოეუფლიდი. რამდენჯერ გამოგიცვალე, აღარ გახსოვს?

კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ეს ყაყანი, მაგრამ დათიკოს გამოჩენისთანავე ყველანი მიჩუმდნენ, მარტია ვანო არ აპირებდა დამორჩილებას და განაგრძობდა სტეფანესთან დავას. დათიკოს პირი დაებანა და ახლა პირსახოცით სახეს იშშრალებდა.

— რა გინდა ვანო? — გასძახა დათიკომ.

— ფარანს ევხვეწები — გამომიცვალე-მეთქი, ამით როგორ ვიმუშაოთ, შუშა არა აქვს, ჩლა არ უფარგა, ისეთ ბოლს აყენებს, რომ ვინინასავით გამოვდივარ მაღაროდან.

— სტეფანე! — გასძახა დათიკომ — დაურიგე ყველას, რაც უნდათ, მერე რომ აღარ სთქვან, ცუდი იარაღი გქონდა და იმიტომ გვაჯობებს ქალებმაო.

სტეფანემ ბუზუნით გააღო საწყობი. მუშები, თითქო ტრამეის ვაგონში შედიოდნენ, ერთად მიესივნენ საწყობის კარებს.

საიდანღაც გამოძვრა მელიტონი. ბრეზენტის საწვიმარი ჩაეცვა, თავზე ჩაბალახი ჩამოეხურა და ხელში ფარანი ეჭირა.

— რა გვიქვნი წუხელი, დათიკო? — უთხრა მელიტონმა დათიკოს.

— სვით?

— გაგოგონია! სტეფანემ კინაღამ დაგვხოცა ყველა: დათიკოსთვის ამოვიტანე ეს ღვინო. არც ერთი არ წაგვაკარა.

— არა, მართლა?

— სინდისს გეფიცები. სიმონს კი დააღვებია ორი ჩაის ჭიქა. ამ საღამოსთვის გადავდევი. ხეალ კვირაა და ნება გვაქვს. ეს ამინდი მკლავს პირდაპირ, — ხავილით სთქვა მელიტონმა და ხველება აუტყდა. — ნისლს ვერ ვიტან.

— დღეს დარი იქნება.

— ეგ კი, მაგრამ... — მელიტონმა მიმოიხედა, — ამ ქალებს წავიყვან ბარემ.

— წადით, მეც მალე მოვალ.

მთებში ყრუ გრიალი გაისმა. წასასვლელად მიბრუნებული მელიტონი შედგა. ყური დაუგდო.

— სროლაა თუ ქუხილი? — იკითხა მელიტონმა.

— სროლაა, — უპასუხა მცირე ღუმლის შემდეგ დათიკომ. გარინდებული უგდებდა ყურს, გამეორდება სროლა თუ არა, მერე აჩქარებით დასძინა: — წადით, წადით, ამას რომ ყური ეუგდოთ, გაგვაგიყებს.

მელიტონმა თავი გაიქნია და შეჯგუფებულ ქალებს ხელით ანიშნა გაყოლოდნენ.

— წავიდეთ, გოგოებო! — დაიძახა პელაგიამ.

ქალებმა რიგრიგობით ჩაუარეს დათიკოს. ყველამ სათითაოდ საღამო მისცა. ბრეზენტის უხეშ ტანსაცმელში, რომელსაც ჯერ კიდევ ხდიოდა თავისებური შმორის სუნი, ქალები უფრო ლამაზები ჩანდნენ. ყველას ეარდისფრად ატყეცოდა სახე. ნაღიაც მიესალმა დათიკოს, თუმცა პირველად განზე უნდოდა გაეხედა და ისე ჩაეელო, მაგრამ შემდეგ სწრაფად მიიხედა და დათიკოს მოწყვეტით ესროლა:

— ზრასტე!

რადაც უცნაური თავისებურება გამოკრთოდა ნაღიას ამ შეხედვაში და მისალმებაში. დათიკო ოდნავ შეიჩხა. სინარული იგრძნო, ის უცაბედი სინარული, რომელსაც ხშირად განიცდიან მონადირენი, როდესაც მათ თვალწინ ფრთხილით აგარდება ცაში ზოზოზი თავისი ცეცხლიანი ელვარებით.

ქალებმა გაიარეს და აღმართს შეუდგნენ.


დათიკომ დააპირა ოთახში შესვლა, მაგრამ შედგა, რადგან თვალი მოჰქრა ქერათმიან გალინას, რომელიც მისკენ მიდიოდა. გალინას ისევე თავისი ჭრელი სარაფანი ეცვა. შიშველი ფეხები მაღალქუსლიან ტუფლებში ჩაედგა და აქა-იქ ამოჩრილ ძირკვებს რომ არ მოსდებოდა, ყანჩასავით მოაბიჯებდა.

— ჩემი საქმე როგორ იქნება, ამხანაგო ინქენერო? — კეკლუცად გაუღიმა გალინამ დათიკოს და მის წინ შეჩერდა.

დათიკომ ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, თმა გადაივარცხნა და ისეთივე ღიმილით უპასუხა:



— არ ვიცი.

აღმოჩნდა, რომ გალინას ცისფერი თვალები ჰქონდა,  ოღნაჲ ირავი და მიმზიდველად დაბინდული.

ყოველი ქალი მაშინვე გრძნობს, როგორი თვალებით უნდა იქნებოდეს მას მამაკაცი. გალინა მიხვდა, რომ მხოლოდ ახლა მოახდინა დათიკოზე შესაფერი შთაბეჭდილება. გუნებაში თან ეცინებოდა, თან უხაროდა კიდევაც, როდესაც დათიკომ ჯერ თვალებში ჩახედა, მერე შეშინებულეით შეაგლო თვალი შიშველ მხრებზე. შემკრთალმა ერთ წუთს განზე გაიხედა, სავარცხელი ჯიბეში ჩაიღო და ქურდულად შიშველ მუხლებს დააკვირდა. ო, შესაძლებელი ყოფილა მასთან ლაპარაკი!

— მაშ იმედი არ უნდა ვიქონიო? — ჰკითხა ხელმეორედ გალინამ და ელვის სისწრაფით გაიფიქრა. «დამაცადე, სულ დაგაბნევე, ჩემო კარგო». — ნუ მიცქერით მუხლებზე. მე საქმეზე გელაპარაკებით.

— ოჰ, ბოდიში, — მართლა დაიბნა დათიკო და უმწეოდ შეხედა გალინას: — ჩემი ბრალი არ არის.

— მაშ ვისი ბრალია?

— თქვენი.

— ჩემი? ესეც ახალი ამბავი.

— მე თქვენ კარგ სამუშაოზე მოგაწყობთ, — უთხრა სწრაფად დათიკომ.

— მართლა? რა სამუშაოზე?

— მოვიფიქრებ, ჯერ ცოტა დამაცადეთ.

— ჩემთვის მოიფიქრებთ?

— დიახ, თქვენთვის.

— ოჰ! — გალინას რაღაც უნდოდა ეთქვა მადლობის ნაგვარი, მაგრამ შედგა და დაბალი ინტიმური ხმით ჰკითხა: — რატომ წვერს არ ვაიპარსავთ? დათიკოს რატომღაც ამ სიტყვებზე ძლიერი გულისცემა აუტყდა. რატომ ეკითხებოდა ამას გალინა? ისევე შესედა შიშველ ლამაზ ფეხებზე. გალინა აღარ გაუწყრა.

— თუ თქვენ მიზრძანებთ, — გაუღიმა დათიკომ და წვერზე ხელი შეიხედა: — რა გაცეცხობა!

— მე... მე გიზრძანებთ.

— ჩვენ, ჭართველებს, ჩვეულება გვაქვს, ქალების ბრძანება უსიტყვოდ შევასრულოთ.

— ყველა ბრძანება?

— როდესაც თქვენ ჩემთან ლაპარაკობთ, როგორც ქალი, მე ყველა ბრძანებას შევასრულებ, მაგრამ როდესაც თქვენ დამელაპარაკებით როგორც თანამშრომელი, მაშინ კეთილი ინებეთ და შეასრულეთ ყოველი ჩემი ბრძანება.

— რომ არ შევასრულო?

— დაგსჯით!

— ო! — და მცირე პაუზის შემდეგ გალინამ ჩაიცინა, თვალები ძირს დახარა, ისევე გაიცინა, მერე დათიკოს შეხედა. — აი თურმე როგორი ყოფილხართ. ახლა რას მიზრძანებთ?

— წადით და ჩემს მაგივრად ექიმს უთხარით, — მას ამბულატორიაში თანამშრომელი ქალი სჭირდება, — უთხარით, რომ მე ვაგვზავნეთ. იქნებ ღინდათ სხვა სამუშაოზე მოგაწყობთ?

— არა, ამბულატორიაში შესანიშნავია. მე თქვენი დიდი მადლობელი ვარ. — უბრალოდ და გულწრფელად უთხრა გალინამ. უცბად ჩაპქრა მათ შორის გამართული საუბრის დაძაბულობა. ახლა ისინი ეფიქსიფიქსიფიდი ხნის მეგობრები იყვნენ. გალინამ მოხდენილი ტანის რხევები ეგრეთწინააღმდეგე დადგა და დათიკოს შინაურივით უთხრა:

— მე თქვენ ოთახს დაგილაგებთ.

— არა, რას ამბობთ! — იუარა დათიკომ. — მე თითონ დავილაგებ.

— ნებას არ მძლევთ?

— რად უნდა შესწუხდეთ.

— მე რომ გიპრძანოთ, როგორც... — გალინა დაიხარა, მეაუნას ფოთოლს დასწვდა, მოსწყვიტა და თავისი თეთრი კბილებით ფაქიზად მოკვნიტა დერო: — როგორც ქალმა?

— მაშინ რა გაეწყობა, უნდა დაგემორჩილოთ, — გაიცინა დათიკომ. — მხოლოდ არ შეშინდეთ ჩემი ოთახის დანახვაზე.

ორივენი ოთახში შევიდნენ. დათიკო ხალათს მისწვდა და ჩაცმა დაიწყო. გალინამ კი მიმოიხედა და წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, ეს ოთახი, მგონი, არასოდეს არ დალაგებულა!

— ეგ იმიტომ, რომ, როგორც ბერის სენაკში, ამ ოთახში ჯერ ქალს ფეხი არ შემოუდგანს.

ფუსფუსით შემოირტყა ქამარი და შემდეგ აღარ ახსოვდა ან რა უნდა გაეკეთებინა ან სად წასულიყო. სცადა ისე მიმოიხედა, რომ გალინა მხედველობის არეში არ მოხვედროდა.

— ჰო! — მოაგონდა როგორც იქნა დათიკოს, — მე უნდა წავიდე.

— მე კი ცოცხს მოვიტან.

ორივენი გავიდნენ ოთახიდან, დათიკო სამზარეულოსკენ წავიდა.

თომა კარებში იდგა და როდესაც დათიკო მიუახლოვდა, თავაზიანად გზა დაუთმო. მერე კუთხეში მიღვმულ პატარა დაბალ სუფრაზე დილის საუზმე დააწყო. თომა განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა დათიკოს და კერძსაც ცალკე უწვავდა.

— ეგ, ხომ იცი, ყველას ჯობია. მე დავაკვირდი, — სთქვა თომამ და სუფრა დათიკოს წინ დაუდგა.

დათიკომ პასუხი არ გასცა, თუმცა მიხვდა, რომ თომა გალინას შესახებ ლაპარაკობდა. მოაგონდა მისი თეთრი მუხლები და გული ისევ აუტკროლდა. საუზმეს დახედა და გულის რევა იგრძნო.

— სამუშაოზე რო არ გაუშვი, მაშინვე მივხვდი, — განავრძო თომამ და ტახტზე ჩამოჯდა, — ეჰ, ერთი შენი ხნის ვიყო და მეტი არაფერი მინდა.

— როგორ?

— როგორ და ცხოვრება თქვენია, ახალგაზრდების, ჩემო დათიკო, თქვენი! გოგო რო გაგიცინებს და მერე ყველაფერი რო გიხარია, რა ჯობია იმას? მთელ ქვეყანას რო მოხვით ზელი და გულში ჩეიხეტო, ის გინდა. ზგერ წელიწადნახევარია ვიყურებ და ისე იყავი, რო, შენ არ მომიკვდე, შეცოდებოდი. ახლა შენს მავიერად მე მიხარია. ბუნებას ასე გავუჩენივართ და რას იზამ. თავის დრო აქვს ყველაფერს. კონფუსი ბრძენს უთქვამს: ყოველი თავისუფალი დრო კაცმა სწავლას უნდა მოანდომოსო. შენ სწავლა არ გაკლია, ასე რომ... — თომამ აღარ დაამთავრა და ხელის თავისებური მოძრაობით შეეცადა გამოეხატა, რისი თქმაც უნდოდა.

საუხმე გემრიელი იყო, მაგრამ დათიკომ მაინც ვერ შეჭამა, ზღზე წამოდგა და თომას უთხრა:

- ეს შემინახე, მერე მოვალ. მუშებმა ისაუხმეს?
- ყველა. ჯერ ქალები ვაფუშვი. მერე დანარჩენები.
- აბა, მე მაღაროში ავალ და შალე დავბჭუნდები.
- რაევარც გენებოს.

დათიკომ წყო გაახვია, თომას მოწოდებულ მუგუზალზე მოუკიდა და გარეთ გავიდა.

თქორავდა და ზანტად ანოძრავებული ნისლი ისევ ფარავდა მიდამოს. მდინარიდან ცივი შმორის სუნი მოდიოდა.

გზადაგზა დათიკომ მესამე ბარაკში შეიხედა. ვალინა და ლიდა ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ ტახტზე. ლიდას ხელში ცოცხი ვეჩირა და რაღაცას უამბობდა ვალინას.

— ის არაშადა, ის, — ამბობდა ლიდა და ცოცხით ვიდაცას ემუქრებოდა: — როგორ ვიფიქრებდი, არა, შენ წარმოიდგინე, როგორ ვიფიქრებდი...

ისევ ეცა თვალეში დათიკოს ვალინას შიშველი მკლავები და ოქროსფერი კულულები. თავს ძალა დაატანა, ბარაკს მოშორდა და მაღაროებისკენ წავიდა.

თხილის ტოტს მისწვდა, მაჯის სწრაფი მოძრაობით მოსტება და ხელის ერთი გასმით გააცალა ფოთლები. მოქნილი სახრე რამდენჯერმე პაერში გააბივილა, მერე თითქო დაკეცვას უბირებდა, ტკაც-ტკუცით დაამტვრია და ანწლებში ისროლა.



გვირაბები დაკიდულ კლდეზე არიან სართულებად განლაგებულნი. მათ ძაფივით აერთებს გამადნებული ძარღვის ზოლი. სანასმეტრიანი კლდე ახლა ზღაპრულად მაღალი ჩანს. რადგან მისი თხემი ნისლშია გახვეული. და შთელი ეს პირქუში კედელი მრისხანედ ამართულა თავისი განიერი ბეჭეობით.

ღრუბლიან ამინდში მთები უფრო მაღალნი ჩანან. მაშინ ყოველთვის გეჩვენება, თითქო ღრუბლები კი არ დაწეულან დაბლა, — მთები წამოდგარან ფეხზე და თავიანთი ჩაჩქანებით გაუგლეჯიათ თავზე გაღმრფენილი საბნები. უსაზღვროდ მაღალნი არიან მაშინ მთები, რადგან მათ სრბოლას სიმამლისაკენ დასასრული არ უჩანს, ღრუბლებში იკარგებიან ისინი.

მოწმენდილ ამინდში სულ სხვაგვარად მოსჩანან. მაშინ ისინი ფეხმორახტებით სხედან და გარინდებულნი უცქერიან ერთმანეთს. ეს გვირაბებიანი დაღარული კლდეც არა სჩანს მაშინ ასე მაღალი.

ახლა კი საღ ანულა, როგორ ღონიერად აზიდულა, თითქო მიწაზე მიჯაჭვული გოლიათი, აწეულა და დედამიწა თან აუთრევიდა. აწეულა და ბეჭებმოხრილი, პირქუშად ვაცქერის სამყაროს.

ზანტად დღლავენ გადმოყირავებული ზღვა ნისლის ტალღები.

სინუშეა გარშემო. დათიკოს აშკარად ესმის თავისი მოქედელი ჩექმების ზრამა-ხრუში ქვიშით დაფარულ ბილიკზე. ქვიშა სველია. ქუჩად ამოზრდილ თომის ღეროებში აღმასებივით ბზინავენ ნამის მსხვილი წვეთები.

ლელეში, გიგანტური მორევის ძირში, ბუყბუყათ ამოქექს ვეპს და მის ნაკადულს ქანგით დაუფარავს რიყე. ქანგიანი აგურისფერი სილი/კარგა მანძილზე მიუყვება ლელეს და მდინარის კალაპოტში იქარგება.

ვეძა გემრიელია და მაჭარივით ფხაჭუნა. ყველანი სიამოვნებით სვამენ ამ რკინის წყალს და ყოველ დილა-სალამოს აქ ნანდვილი ქეიფი იმართება. სამუშაოზე მიმავალი ან სამუშაოდან მომავალი მუშები მუდამ იკრიბებიან ამ წყაროსთან. თუნუქის ჭიქებით სვამენ ვეძას და მზიარულად აბოყნიებენ.

წყაროს ნარცხნივ, ორომივით მომრგვალებული ტერასაა და თითქმის იქვეა კლდეში შეჭრილი პირველი გვირაბი.

დათიკომ პირდაპირ შეუხვია პირველ გვირაბში. სადღაც შორს, სიღრმეში, პატარა წერტილებივით კიანობდნენ ფარები. გვირაბში ნესტისა და ქვირტლის სუნი იდგა. აქა-იქ კედლებიდან წყალი ქონავდა. დათიკო თამამად მიამბობდა უფაროდ, რადგან გვირაბი სწორად იყო გაჭრილი და სინათლე თითქმის აღწევდა სანგრევამდე. ალაგ-ალაგ საოცრად ბზინავდნენ ლითონისა და ქარსის კრისტალები.

მთავარ სანგრევამდე ოთხი განივი შტრეკი იჭრებოდა. დათიკომ პირველ შტრეკშივე დაინახა სინათლე. განზე გაუხვია და სანგრევთან მივიდა. იქ ორი ქალი იდგა. ისინი დაბალ ხმით ლაპარაკობდნენ. — როგორაა საქმე? — იკითხა დათიკომ და ორივენი შეათვალიერა. — არ დაგიწყიათ?

ქალებმა მიიხედეს, დათიკოს დააკვირდნენ. — არ დაგიწყია, ამხანაგო ინჟინერო, — უთხრა ერთმა, — აი ვლავართ და არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. — განა ათისთავმა არ აგისსნათ? თქვენი სახელი? — ტანია. — თქვენი? — მიუბრუნდა მეორეს დათიკო. — მარია, — რაღაც დარცხვენით უპასუხა მეორემ და განზე გაიხედა. — არ აგისსნათ ათისთავმა? — გვითხრა, შვიდი შპური უნდა გაბურღოთო. თითო სამოცი სანტიმეტრი, — უპასუხა ტანიამ.

— ნერე? ოთხ შპურს კუთხეებში გასჭრით, სამს კიდევ შუაგულში, აი ასე, — უჩვენა ხელით დათიკომ, — ვითომ სანგრევის ამოგულვა გვინდოდეს. შპურის ბოლოები სიღრმეში ერთმანეთს უნდა უახლოვდებოდნენ. გაიგეთ?

— გავიგეთ, — უპასუხა ტანიამ, — ჩვენ ნახშირზე ვმუშაობდით და ამიტომ გვეპატიება არცოდნა.

— ჩაქურჩისა და ბურღის ხმარება ხომ იცით? — ვიცით. — ფრთხილად იყავით, ერთმანეთს არა დაუშაოთ-რა. აქ მაგარი ფენაა. აბა, დაიწყეთ, ვნახოთ, როგორ მუშაობთ.

ტანიამ ფარანი ჭერში დამაგრებულ ჩანგალზე დაჰკიდა და ჩაქურჩი აიღო. მარიამ ბურღი მოიშარჯვა. მოძრაობაში უხერხულობა ეტყობოდა, არ იცოდა, სად დაეწყო პირველად გაბურღვა. ფოლადის ბურღი მძიმე იყო და ადვილად არ ემორჩილებოდა ხელს. კუთხეში ადგილი ამოიჩრია, ბურღის წვერი მიაყრდნო და ტანიას მიუბრუნდა:

— მოიტა.

დათიკომ გაიცინა.

— დაიცათ! დაიცა, ტანია! მომეცი ბურლი აქ. პირველად <sup>ქვეყნულად</sup> ~~ქვეყნულად~~ გასა-  
ბურლი შპურები უნდა გასკრათ. ყველაზე ძნელია ქვედა ~~ქვედა~~ <sup>ქვედა</sup> ~~ქვედა~~ და  
შუათანა შპურების გაკრა. დაეიწყეთ ქვემოდან. ბურლი აი ასე უნდა დაი-  
ჭიროთ, — უჩვენა დათიკომ და ბურლი მარჯვეთ მიადგა ქვემო კუთხეს, —  
აი, ოდნავ დაქანებული. დაიჭირე!

მარიამ გამოართვა ბურლი და უნებურად წამოიძახა:

— იი, ასე ძალიან ძნელი იქნება დგომა.

— ცალ მუხლზე უნდა დაიჩოჭო. ახლა ხომ აღარ არის ისე ძნელი?

— არა, — დიმილით უპასუხა მარიამ.

— აბა, ურო მომაწოდე! — მიუბრუნდა ტანიას დათიკო. — დასაწყისში  
ძალიან მაგრა ნუ დაპკრავთ, თორემ ბურლი ასხლტება და შეიძლება მარცხი  
შეგემთხვეთ.

დათიკომ ორჯერ შემოჰკრა ურო.

— შეაბრუნეთ ბურლი.

— როგორ? — ვერ გაიგო მარიამ და დააპირა ბურლის მეორე ბოლო  
მიეყრდნო სანჯარევისათვის.

— ხელში აბრუნეთ ბურლი, — უთხრა სიცილით დათიკომ.

— ჰო, მართლა, რა სულელი ვარ! — გაიცინა მარიამ. — ეს როგორ მო-  
ვივიდა!

დათიკო ათი წუთის განშავლობაში მოხდენილად სცემდა უროს ბურლს  
და როდესაც რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმე შპური გაბურდა, ურო ტა-  
ნიას გადასცა.

— აბა, ახლა თქვენ განაგრძეთ.

ტანიამ ჩამოართვა ურო, ნარჯვედ დადგა და ხელი მოხდენილად აიჭნია.  
ლარტყმა მიინცდამაინც მოხერხებული არ გამოვიდა და ურო ოდნავ გან-  
ზე გაუსხლტა.

— მე წავალ. სანამ პირველ შპურს გაბურდავთ, ისევ მოვალ და გასწავ-  
ლით, როგორ გაბურდოთ დანარჩენები. ყოველი კუთხის ბურღვას განსა-  
კუთრებულად სკირდება ბურლის დაჭერა და უროს მოქნევა.

— არა უშავს-რა, ამხანაგო ინჯენერო, — სთქვა გამხიარულებულმა ტა-  
ნიამ, — ვიცით.

დათიკო წავიდა. ორთავენი თვალი გააყოლეს და როდესაც ნისი ფეხის  
ხმა მისწყდა, ტანიამ ხალისით წამოიძახა:

— კარგია, იცი!

— ძალიან კარგია, — დაემოწმა მარია, — მაგრამ არც მე და არც შენ.  
მოდით ებურდოთ.

— სულელი!

— არაფერიც. ნადიას ხელშია უკვე, — დარწმუნებით სთქვა მარიამ.

— ვითომ? ამ დილით ვერ დაინახე, გალინასთან რომ ჩურჩულებდა?

— მართლა, გალკა ისე იმანჭებოდა მის წინ, გეგონებოდა, ეს-ეს არის  
დანებდებოა. მოვიდა თუ არა, მაშინვე დაიწყო უფროსებთან თვალების  
პაჭუნი და კულის ქნევა. იცის, რითი გაიტანოს.

— მოდი ვიმუშაოთ.

— მოდი.

ტანიამ თანამად მოჰკიდა ხელი უროს, და შეუდგნენ მუშაობას. სანგრევში გამუდმებული ბაგა-ბუგი გაისმა.

ღათიკომ მეორე სანგრევში შეიხედა. ათი წუთის მუშაობამ საოცრად გაახალისა და ახლა მზად იყო მთელი დღე ემუშავა, გრძელგუნდის ქარ-ლეგებში ძალ-ღონემ გაიღვიძა. ზამთრის განწველობაში ის ხშირად მუშაობდა სანგრევში მბურღავად, რის გამო მუშების განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა. ჯერ ერთი, მუშაობით ყველას სჯობნიდა, რაც განსაკუთრებით ამდღებდა მის ავტორიტეტს მუშების თვალში და მეორე—ყველას ესახელებოდა ისეთი უფროსის ყოლა, რომელიც პირად მაგალითს იძლეოდა მუშაობაში და სხვებსავეთ არ პეწენიკობდა.

— ინტენერი ნაგისტანა უნდა, — ამბობდნენ ხშირად მუშები, — თუ ბიჭი ხარ, ამოუღეტი გვერდში! მერე და მე შენ გეტყვი, არ მოატყუო. ეს ქანი მაგარაა, იქ ყერ ვიმუშავებ, აქ ნორმა დიღია, იქ ფასს ცოტას ვლებულობ. დადგება თითონ, შენ თავზე დაგიყენებს, მოდი და უტკირე, როგორ იმუშაოს. რისი მაგარი ქანი, რომელი ნორმა, გაგაწითლებს კაცს. საქვეყნოდ მოგპრის თავს. მერე და მე შენ გეტყვი, საქმე არ იცის და შეეშლება! ნეტავი აგრე კარგად ჩვენ ხაჰაპურის ჭამა ვიცოდეთ, როგორც მაგან თავისი საქმე იცის.

მეორე სანგრევში ნადია და პელაგია დაეყენებინათ. ღათიკო ჩექმების ბრახუნით მიუახლოვდა ორთავეს და სანამ სინათლის შუქზე მათ სახეებს გაარჩევდა, იკითხა:

— აქ რომელნი მუშაობთ?

პელაგიამ ურო ძირს დაუშვა და მიიხედა.

— აა, თქვენა ხართ? — იცნო ღათიკომ. — როგორაა საქმე?

— არა უშავს-რა, — უპასუხა პელაგიამ, — ვმუშაობთ.

ბურღვა მათ სწორად დაეწყოთ, მარჯვენა ქვედა კუთხიდან. ნადია ბურღზე იჯდა. ღათიკოს დანახვისთანავე აღგა.

— აა, ნადია, თქვენც აქა ხართ? — ვითომ ახლა პირველად შენიშნა ღათიკომ და გაუღიმა.

— ჩვენ სულ ერთად ვმუშაობთ, — უპასუხა ნადიას მაგივრად პელაგიამ. ნადია ჩუმად იდგა.

ღათიკომ სანგრევი შეათვალიერა.

— ბურღვა სწორად დაგიწყიათ. მერე მარცხენას გაბურღავთ.

— ვიცი, — შეაწყვეტინა პელაგიამ: — შუაშიაც სამი შპური უნდა გავჭრაოთ. განა ბევრი არ არის?

— არა. ჩვენ ვცადეთ, მარტო ერთი შპური გავვეჭრა შუაში, მერე ორიც ვცადეთ. არაფერი არ გამოვიდა. ნახევარმეტრიანი ქანები დასტოვა.

— მაგარი ქანებია, — სთქვა პელაგიამ და უროს დასწვდა. — აქ ბევრს ვერ გამოვიმუშავებთ.

— ნახევარი მეტრია ნორმა, მაგრამ სამაგიეროდ ფასიც დიღია. — ღათიკოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა. იგი სულ სხვაგვარად ფიქრობდა ორთავესთან საუბარს, უფრო ინტიმურად, მაგრამ რატომღაც არ გამოუვიდა და ხასიათი გაუფუჭდა. — კარგი, იმუშავეთ, — დასძინა ბოლოს ღათიკომ და წასვლა დააპირა, — თქვენ, ვატყობ, სწავლება არ გვირდებათ. პირიქით, მე ხელს გიშლით.

დათიკო წავიდა. პელაგია ურო აიღო და დაუწყო ლოდინი, სანამ ნაღია ბურღს დასწვდებოდა. ის კი თითქმის არა ჩქარობდა, წელა ჩაიჩოქა, და ბურღი მოიპარჯვა.

ერეკლესული  
გიგლეშისძე

### თავი მხუთე

მთელი კვირა გავიდა. მარკუშეიდერი თვალით არა ჩანდა. სროლა ისევ ისმოდა და დათიკო დარწმუნდა, რომ ის აღარ დაბრუნდებოდა. ქანიდან გამოხეთქილმა წყალმა კი სამ სართულზე განლაგებული გვირაბები სრულიად აავსო: მეორე გვირაბის განივი სანგრევიდან, სადაც წყალმა გამოხეთქა, ეშვებოდა ოცი მეტრის სიღრმის ჰენენკი. იქიდან გამადნებული ძარღვის გასწვრივ, კიდევ მიუყვებოდა გვირაბი, რომლის ბოლოს ახალი, სამოცი მეტრის სიღრმის ჰენენკი იყო გაჭრილი, მას სიდიდის გამო შახტს უწოდებდნენ და გამომუშავებულ ქანებს იქედან ჯალამბარით ეზიდებოდნენ: ამ შახტის ფსკერიდან იწყებოდა მთავარი გვირაბი, რომელიც ჰკვეთდა გამადნებულ ძარღვის ძირითად მასას. ახლა მთელი ეს ჯურღმულში ჩაქიდული კა-გვირაბები წყალმა სრულიად აავსო და თითქმის მთელი სამუშაოები შეაჩერა.

ეს მოსალოდნელი შემთხვევა დათიკოს წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული. მან იცოდა, რომ ადვილი იყო წყალს საიდანმე გამოეხეთქა და ამისათვის რამდენიმე თვის წინათ ყველაზე დაბლა ხეობის მეორე დარტაფიდან დაიწყო ახალი გვირაბის გაჭრა. აქედან არა მარტო ქანებში გამოჩნაიონი წყალი უნდა გამოეშვა, არამედ მადნის გამოზიდვაც მომავალში ამ გვირაბით უნდა ეწარმოებინა. ამიტომ შედარებით სხვებთან ამ გვირაბის გაჭრას ყველაზე მეტად აჩქარებდა და მალე ის ისე ღრმად შეჭრეს, რომ მხოლოდ ოცდასამი მეტრი სიმაღლის მანძილით იყო დაშორებული იგი ზედა სართულისაგან. ახლა ამ გვირაბის სანგრევიდან საჭირო იყო ზუსტი მიმართულების მიცემა, რათა ეს დარჩენილი მანძილი სასწრაფოდ გაეცოთ და გვირაბებში ჩაგუბებული წყლისათვის გზა მიეცათ. დათიკომ სამი ცვლა დააყენა სანგრევთან. მიმართულებაც თითონ აღუნიშნა თეოდოლიტით, თუმცა ამ საქმეში საკმაოდ დახელოვნებული არ იყო და მისი სისწორე ცოტა არ იყოს ეეკვებოდა. ამიტომ რაც უფრო მიიწევდნენ წინ, დათიკოს მოუსვენრობა ეტყობოდა. თითქმის ყოველდღე ამოწმებდა გამოთვლებს და მიმართულების სისწორეს. ყველაფერი თითქოს რიგზე იყო.

მარტო მელიტონი ეკვობდა და სანგრევთან სულ მარცხნივ იცქირებოდა. მას რატომღაც ეგონა, რომ შემხვედრი გვირაბი იქით უნდა გაეჭრათ.

— რაო, მელიტონ? — ჰკითხა ერთხელ დათიკომ, — არ მივდივართ სწორად?

— არა, რაცხა ისე მგონია, — შეათამაშა მხრები მელიტონმა და თანაც ხელით ანიშნა, — რომ ასე უნდა წავიყვანოთ გვირაბი.

— რა ვიცი, ჩემო მელიტონ, გამოთვლები და ეს თეოდოლიტი ასე გვიჩვენებს და რომელს დაუჯეროთ, შენ თუ ამ ინსტრუმენტს?

— არა, რას ბრძანებთ. მე ისე მოგახსენებთ თორემ რა ვიცი. აღბათ, სწორია, — აჩქარებით მიუგო მელიტონმა, მაგრამ ხმაში ეტყობოდა, რომ ისევ ეკვობდა.



დრო ახლა შეუმჩნეველად გარბოდა. სროლის ხმას ყველანი შექმევივნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს ხმები ძალიან შორიდან მოედროდა. ალბათ, მაღალი მთები სარკესავით ისხლეტდნენ ამ ხმებს, თორემ ისე შეუძლებელი იყო ქედგადაღმიდან, ორასი კილომეტრის მანძილიდან აჭამდე, ზარბაზნების ქუხილს მოედწია.

მაქსიმეს სავაჭრო ფარდული ყოველ საღამოს სავსე იყო მუშებით, რომელსაც პირველ ორ-სამ დღეს, რაც მუშა ქალები მოვიდნენ, არაფერ ეკარებოდა. მაქსიმემ მოიწყინა, მაგრამ შემდეგ, როგორც კი ქალებისათვის განკუთვნილი საქონელით თაროები დაამშვენა, მისი ფარდული სკასავით ახუნუნდა. თანაც დურგალს ნარდი გააკეთებინა და ყოველ საღამოს ამ ნარდთან რიგი იყო გამართული.

ქალებს ოდნავ გაუჭირდათ შეგუებოდნენ ახალი სახის სამუშაოს. პირველ დღეს პელაგიას და ნადიას ბრიგადის გარდა ვერცერთმა ვერ შეასრულა ნორმა და ზოგიერთებმა სულაც ვერ მოახერხეს მაგარ ქანებში შპურების გაჭრა. დათიკო იძულებული იყო ისინი ამწმენდებად გადაეყვანა და ცვლათა სამუშაო დრო სულ სხვაგვარად გაენაწილებინა.

მთელ საზრუნავს ახლა შემხვედრი გვირაბის გაჭრა წარმოადგენდა, რადგან ჩაგუბებული წყალი აფერხებდა მუშაობის გაფართოებას.

მერვე თუ მეცხრე დღეს მელიტონმა სადილობის დროს მოძებნა დათიკო, რომელიც საკომპარტისორო დანადგარებს ათვალეირებდა და დაღვრევიანი სახით უთხრა:

— გავერით უკვე ოცდასამი მეტრი.

— მერე? — შეუბრა გული დათიკოს და მელიტონს მოუთმინლად შეატყვერდა.

— რა ვიცი, — მოიჭექა კისერი მელიტონმა, — არაფერი ეტყობა. მგონია...

— გაზომე? — შეაწყვეტინა დათიკომ.

— რამდენჯერ. თუ ახლად გაჭრილ შპურებს წაეუმატებთ, მეტიცაა.

— წამოდი, ვნახოთ.

ორივენი აჩქარებული ნაბიჯებით გაემართნენ ქვედა გვირაბისაკენ. დათიკო თითქმის გარბოდა. მელიტონი ქოშინით მისდევდა უკან. ორთავეს შესამჩნევი აღლუვება ეტყობოდა. მელიტონი წამლაუწუმ იქნედა თავს და უკმაყოფილოთ ბუნუნებდა.

— რატომ არ შეხვდა ახლა მაგ რჯულძაღლი...

სანგრევთან აბესალოში და ილიკო დაუხვდათ. ისინი მეორე ცვლაში მუშაობდნენ.

— როგორაა საქმე? — იკითხა დათიკომ და სანგრევი შეათვალეირა.

— რა ვიცი, ჩემო დათიკო! — უპასუხა აბესალომმა და ურო ძირს დაუშვა, — ავერ უკანასკნელ შპურს ვჭრით და ვნახოთ.

— როგორ ფიქრობ, სწორად მივდივართ თუ არა? შენ გამოცდილი კაცი ხარ.

— რა მოგახსენო. შავ-ქვაში რო ვმუშაობდი, იქ აღვილი იყო შეტყობა, გვირაბები ერთ სიბრტყეშია ყველა. ასე ზევით-ქვევით გვირაბებში, ახლაა რო ვმუშაობ და ნამდვილს ვერაფერს ვერ ვეტყვი. ვერაფრით ვერ მოვიმხარე. ისე კი მელიტონის არ იყოს, მეც შეეუბება.



— ვითომ!

— სწორად რომ მივდიოდეთ, რაც შენ თქვი, ის გაგვეჩივროს უკვე. ვთქვით ნახევარი მეტრი იაღლიში მოვედით, ეგ არაფერი მარა, წყალი მაინც გამოვინაგდა.

— არა მგონია. აქ სულ მაგარი ქანებია.

— მაგარი კი არა, რბილია. ასე იოლი საპრელი ნეტავ ზედა გვირბებზე იყოს. პატარა სინოტივეს მაინც შევატყობდით. ამას შეხედე, — შეუსვა ხელი სანგრევეს აბესალომმა, — უთოსავით მშრალია სულ.

— მაშ შენის აზრით ავცდით სწორ მიმართულებას?

— აგრე მგონია.

— ასე აქეთ უნდა გავგვეთხარა ჩემის აზრით, — ჩაერია ლაპარაკში მე-ლიტონი და ხელით ანიშნა, — ამას შეხედეთ აგერ, ა!

— რას?

მელიტონმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან, გვირბის ქერსა და კედელს ხელი მოუსვა და ფარანი მიანათა.

— შეხედეთ: ნოტიოა. აქეთა მხრიდან აწეება წყალი.

დათიკომ შეათვალიერა მელიტონის მიერ ნაჩვენები ადგილი. გვირბის კედელიც და ქერიც თითქოს უფრო ნოტიო იყო.

— თქვენ რას ტყვიო? — ჰკითხა დათიკომ აბესალომსა და ილიკოს.

— აგრე ვფიქრობ მეც, — უპასუხა აბესალომმა.

— არა, — გადაპრით სთქვა დათიკომ მცირე ღუმილის შემდეგ, — განაგრძეთ ისევე მუშაობა. მე წაველ, კიდევ შევამოწმებ გამოთვლებს. გავჭრათ კიდევ რამდენიმე მეტრი და მერე ვნახოთ.

— როგორც გენებოს, — უხასიათოდ ჩაილაპარაკა მელიტონმა: მას გული სწყყდებოდა, რომ დათიკო არ უჯერებდა და გვირბის მიმართულებას არა სცვლიდა.

დათიკო თავის ოთახში დაბრუნდა და გამოთვლებს ჩაუჯდა. თავიდან ბოლომდე შეამოწმა, მაგრამ შეცდომა ვერსად აღმოაჩინა. ყველაფერი რიგზე იყო. მანძილიც ზუსტად ოცდასამი მეტრი გამოდიოდა. მაშ რისთვის არ ზედებოდა ქვედა გვირბი ზედას? ასეთი უცნაური აუხსნელი ამოცანა მას არასოდეს არ შეხვედრია.

ჩაფიქრებული დასცქეროდა ნახაზს და აღარ იცოდა, რა ღონისძიებისათვის მიემართა, რომ ეს საიდუმლოებით აღსავსე ამოცანა ამოეხსნა.

სიმონმა დაუკითხავად შემოაღო კარები და ტაბატზე ჩამოჯდა.

— გეყოფა მაგდენი მუშაობა, — უთხრა ღიმილით სიმონმა დათიკოს.

— ნეტავი შენ, რომ არაფერი დარდი არ გაწუხებს. კარგი ხელობაა ეგ თქვენი ექსპობა. გამოუწერ წამალს ავადმყოფს, თუ მორჩა ზომ კარგი, თუ არა და მაგაზე დაგიდგა დარდი.

— შენ რა გაქვს სადარდო. მიადგებით ამ კლდეს, თუ აღმოჩნდა მადანი, ზომ კარგი, თუ არა და არც თქვენ იკლავთ, ბიძია, თავს. კაცო, — უცბათ შეცვალა კილო სიმონმა, — წამალზე გამახსენდა, ის ერთი ტიკპორა ღვინო როა აგერ დასალევი და მთელი თვეა შემაჩერეთ ზედ, წამალად თუ ინახავ, გამოეწერ ბარემ რეცეპტს.

— რომელი ღვინო? — გაუკვირდა დათიკოს.

— რომელი და ნიშანიკორა. სტეფანემ რომ მოიტანა.

— როდის?

— ქალები რომ მოიყვანა, მაშინ.

— ის ღვინო კიდევ შენახული აქვს? — გაუკვირდა დათიკოს.

— ევხევეწე, მომყადე, მაჩუქე, შენც არ მომიკვდე, არ გაგვაცარა, ე, ბიჭო, თქვეი პო-თქო, უშენოდ ზედაც არ შეგვახედა. მერე დღეებ ვართ წავი-  
და სათევზაოდ. ერთ ფუთ კალმახს მაინც დაიჭერს. ღმერთი გწაპს ახლა  
შენ? ადე ზეზე, გამოდი გარეთ. გელაპარაკები, სანამ ის ღვინო მეგულდება,  
აღარც ძილი მაქვს და აღარც მოსვენება.

— დავლით თუ აგრეა. მაგრამ ახლა კი არა, საღამოს, მუშაობის დას-  
რულებბის შემდეგ.

— მადლობა ღმერთს. შეცდა როგორც იქნა ბერი. ადე ზეზე!

ბერის ხსენებაზე სიმონს რაღაც მოაგონდა, მუშტში ჩაიფრუტუნა და  
საოცრად ცუდლუტი თვალებით შეხედა დათიკოს.

— მართლა, ის გოგო რომ გამონაგზავნე თანამშრომლად... ო რა პლუტი  
ხარ, აურიე ხომ?

— როგორ?

— არაფერი. მე, ხო იცი, მაგისტანები არ მიყვარს, ცოლშვილის პატრო-  
ნი კაცი ვარ, მარა აქ, ძმაო, მოწყენისაგან მგონია ქვას დაუწყუო არშიყობა.  
ეს ღვინო მეგულდებოდა და ზედ არ წამაქარეთ. მე ვთქვი, ამ გოგოს მაინც  
ვაეფთამაშები, ამით მაინც შევიყოლიებ თავს-მეთქი. რა მითხრა, იცი? არ  
გრცხვენია, შენი ამხანაგის სატრფო ვარ და ეგ როგორ იქნებაო? შენი ყო-  
ფილა, ძმაო, ყველაფერი. რაცხა სატრფოა, ისიც ვიცი. მაგრამ მე ამისთა-  
ნა ხასიათი მაქვს, მეგობარმა ტყვილა რომ შეხედოს ქალს, იმისაკენ აღარ  
გავიხედავ.

— კაცო, რომელზე ამბობ?

— როგორ? ანგარიშიც აგერია? თუ მოლას ვაქივით მოგდის, ხუთი ცო-  
ლის შერთვა რომ დააბირა ერთად.

ორივემ ლაღად გაღიხარხარეს. დათიკო იღუმალმა სიხარულის ვრძნობამ  
აღიტაცა. ვალინას მიმართ ის უცბათ გამისტვალა თავისებური იმპოზანტურ-  
რი გრძნობით, როგორც ყოველი მამაკაცი, რომელსაც მუდამ სიამოვნებთ  
ასეთი აღმოჩენები.

— წამოდი, ახლა, სტეფანესაც ვუთხრათ, რომ შენს ღვინოს ყლაპს ვუ-  
ზამთქო და თომასაც შევუკვეთოთ რამე, — ჩასჭიდა მკლავში ხელი სიმონმა  
დათიკოს და ფეხზე წამოაყენა.

ორივენი გარეთ გამოვიდნენ. სიმონი დაწინაურდა და სტეფანესთან გაიქ-  
ცა. დათიკომ ღმირით გააყოლა თვალი და, ის იყო დააბირა უკან გამოსდ-  
გომოდა, რადგან იცოდა, რომ სტეფანე არ დაუჯერებდა, მაგრამ ამ დროს  
ქვედა გვირაბის ესტაკადიდან ძახილი შემოესმა.

— დათიკოო... მოდი, მოდი ჩქარა!

— რა მოხდა? — მიადახა დათიკომ და იქით გაიქცა.

ბარაკებს რომ გასცდა, მოსახვევთან, ვიღაცას ზედ გულზე დაეჯახა.

— ოი, — წამოიძახა ნადიამ და შედგა, — თქვენა ხართ?

— რა იყო, ნადია?

— თქვენ დასაძახებლად მოვრბოდი. შეხედა გვირბი.

— შეხედა? შენ რა იცი?

— იქ ვიყავი. მე თავიდანვე სულ ვუთვალთვალედი და ვლეღავდი...

— წყალი წამოვიდა?

— ისეთი ქუხილით მოდის! წავიდეთ, ვნახოთ.

ორივენი გვირაბისაკენ გაიქცნენ. დათიკოს გული ბაგაბუგით უძვრდა.

მეორე ცვლის მუშები კლდის ქიმზე შეგროვილიყვნენ და გვირაბის პირს უცქეროდნენ. წყალი ერთის ქუხილითა და ზათქით მღვრივ ტალღებდად გამორბოდა გვირაბიდან და საოცარი სიციფე გამოჰქონდა.

აბესალოში შორიდანვე შეეგება დათიკოს.

— მოსალოცი საქმეა, დათიკო ბატონო!

— მოხვდა ხომ? — სიცილით უთხრა დათიკომ.

— იმე, რაფერ მერე. რო გავჰერით შპურები, დავტენეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, გამოვედით გარეთ. მელიტონმა მოუკიდა, გამოვიდა ისიც, თუთუნს ეახვევთ. აფეთქდა. არაფერი, ვითომ ჩვენის ჰკუთთ ვუცდიოთ, სანამ განიადგება გვირაბი, რომ შიგ შევიდეთ. ერთი დეიძახა წყალმა უო.. და გამოვარდა, მარა რაფერ, ა, შენც ქე პედავ აგერ, სულ ნოაქვს ცა და ქვეყანა. რო აღარ თავდება მაინც.

— ხუთი ათასი კუბომეტრი წყალია. ცოტა კი არაა.

უცნაური სიხარულის გრძნობას განიცდიდა დათიკო. მზად იყო გადახვეოდა ყველას და გადაეკოცნა. მოიხედა, მთელი მისი კოლონია აქ მოსულიყო. ბექობზე გამწვარიებულიყვნენ და გვირაბის პირს უცქეროდნენ. გვირაბის დაღებულ პირში კი ენასავით ტლაშუნებდა ძარღვიანი წყლის ნაკადი.

— რაო, მელიტონ, გამიშართლა ხომ?

— ვაკევაგ თითს, დათიკო ჩემო, — ღიმილით უპასუხა მელიტონმა.

— აბა, როგორ გეგონა!

— მეცნიერება სხვა არის, ჩემო ბიძია! — ჩაერია ლაპარაკში თომა, რომელიც სხვებთან ერთად მოსულიყო სეირის საცქერად, — პლიტარქოს ბრძენმა სთქვა, ყოველი მგზაფერი და გარეთ გასული ცდაშია, სახლში დაბრუნდეს, მხოლოდ მეცნიერნი კი ცდილობენ საბრძენ და ჰქვა შეიძინონო.

ყველამ გულიანად გადინარხარა. თომამ კმაყოფილად მოიხედა, დათიკომ კი ხელი სტაცა თომას და თავისკენ მოახედა:

— როგორ? როგორ? ეგ სწორეთ ჩვენებზეა ნათქვამი. გესმით, თქვენ? — გასძახა მუშებს დათიკომ, — ყველას რომ შინისაკენ გასაქცევედ გაჰირავთ თვალი, გესმით, რას ამბობს თომა? რა ჰქვიან იმ ბრძენს?

— პლიტარქოსი.

— რა უთქვამს პლიტარქოს ბრძენს, გესმით?

— მაგან რამდენი კილო ჰქუა შეიძინა, რაც სახლიდან წამოვიდა? ჰკითხე ერთი მაგას, — დაიძახა მელიტონმა.

მუშები უფრო ახარხარდნენ.

— ჰა, ყოჩად თომა!

— მიდი თომა!

— მეცნიერია მაგ დაღუპული!

— მართალი ქე თქვა.

— მაგ რაჰველებზე უთქვამს იმ... რა ქვია იმ შენ ბრძენს?..

ნადიაც ილიმებოდა, თუმცა არ ესმოდა, რაზედაც იცინოდნენ მუშები. მერე დათიკოს ჰკითხა.

— რა მოხდა, რაზე იცინიან ბიჭები?

— ოჰ, დიდი ორიგინალია ჩვენი თომა, — უპასუხა დათივომ, — სარტყელით  
ლაპარაკობს,

— სასაცილო სიბრძნეებს?

— არა, მაგრამ მაგისი თქმული ყველაფერი სასაცილოდ მოისმის.

ნადიას სარაფანი ჩაეცვა და ზურგი მხოლოდ ჯვარედინი ბაფთისებური  
სარტყელით ჰქონდა დაფარული. ფეხებზე ისევ თავის ქუსლებმოჭედილი  
ჩექმები ეცვა. რისთვის არ აიღო საწყობიდან ტუფლები?

— ნადია.

ნადიამ მოიხედა. ადგილიდან კი არ დაძრულა. დათივო მიუახლოვდა,  
ოდნაე დაიხარა და დაბალი ხმით უთხრა:

— ნადია, რად არ აიღებთ საწყობიდან ტუფლებს?

ნადიას გაუკვირდა, ჩექმებზე დაიხედა და დათივოს დაბნეულად უპასუხა:

— ფული არა მაქვს ჯერ.

— ფული? მე გასესხებ. თუ აგრე იყო, რად არ მითხარი. წამოდი ახლაც  
მოგცემ ფულს.

— არა.

— კარგი ერთი, როგორ თუ არა?

— არა, მერე. აი შეხედეთ, წყალი უკვე აღარ მოდის. დაიცალა გვირაბი.

მართლაც წყლის დენა გვირაბიდან მოულოდნელად შეწყდა და დათივომ  
ვერც კი შეამჩნია ეს მომენტი. მელიტონი უკვე იჭყიტებოდა გვირაბში.  
აბესალომი ფარანს ანთებდა.

დათივო გვირაბისაკენ გაიქცა. აბესალომმა აანთა ფარანი, მელიტონს  
გაუწოდა და სამივენი გვირაბში შევიდნენ.

გვირაბის კედლებიდან წურწურით ჩამოდიოდა წყალი და ისე მძლავრად  
სცემდა ჰაერის ნაკადი, რომ მელიტონის ფარანი მაშინვე ჩააქრო.

— ჰო, ჰო, არ მოქაჩა ჰაერი! — წამოიძახა ალტაცებით მელიტონმა, —  
არიჭა, მომეცით ასანთი. ხომ ხედავთ ფარანი დამიქრო. ვენტილაცია ამაზე  
უკეთესი შეიძლება?

ჰაერის განიავება გვირაბებში ყველაზე მტკიცნეული და ძნელი საქმეა.  
განსაკუთრებით, როდესაც მუშაობა აფეთქებითი მეთოდით მიმდინარეობს.  
დინამიტის მომწამვლელი აირი მთელი საათობით გუბდება სანგრევებთან  
და შეუძლებელს ხდის მუშაობას. ამისთვის გაეხარდა ყველას ჰაერის ეს  
ძლიერი ქროლა გვირაბში.

ფარანი ისევ აანთეს, მელიტონმა ალი დაუყენა, საწვიმარის კალთა მოა-  
ფარა და წინ წავიდა. მას დათივო და აბესალომი მიყვნენ.

სამთავემ დაათვალიერეს შეხვედრის ადგილი და აღმოჩნდა, რომ გვირა-  
ბები იშვიათი სიზუსტით შეხვედროდნენ ერთმანეთს, მხოლოდ მანძილში იყო  
მცირეოდენი განსხვავება. ისიც თუ გვირაბის ჰერიდან გადაზომავდი, ზუს-  
ტად ხვდებოდა, თუ იატაკიდან, მეტი გამოდიოდა, რადგან ქვემო შემხვედ-  
რი გვირაბი აღმა იყო შეჭრილი და ჰერით ებჯინებოდა ზედა გვირაბის  
იატაკს.



ბარაკში კრაქი ბეუტავდა. მუშა ქალებს ეძინათ. არ ეძინა მარტო ნადიას. მას თავქვე ხელები შემოეწყო და გარინდული იწვევდა, თითქო დაეძინა, მაგრამ მოულოდნელად გულმა მძლავრად დაპკრა და ნადიამ თვალი გაახილა. ლოგინებს გადახედა. ყველანი თავიანთ საბნებში გახვეულიყვნენ და ეძინათ. ერთი საწოლი ხელუხლებელი იყო. გალინას საწოლი. ის არ მოსულა საღამოს დასაძინებლად.

ნადიამ მაჯის საათს დახედა. ნაშუალამევის სამი საათი სრულდებოდა: ნადიამ ისევ შემოიღო თავქვე ხელი და ჰერს შეაცქერდა.

ერთი ციციქნა საათი განუწყვეტლად წკაპუნებდა ყურთან.

ვილაცა გადაბრუნდა, ტახტი ააჭრიალა და ისევ მიჩუმდა.

„რა ბედნიერი ვიქნები, რომ დამეძინებოდეს, გაიფიქრა ნადიამ, — საკითხავი მაინც მქონდეს რაიმე“

დააპირა ადგომა და გარეთ გამოსვლა, გარეთ თბილოდა და წყნარი ღამე იყო. გადაიფიქრა. შეიძლება ვინმეს წასტეზოდა, ან ვინმეს თითონ მისთვის მოეკრა თვალი და ეფიქრა — გალინას უთვალთვალეზო.

არა, ძილი ჯობია, ძილი, ძილი, ძილი, ნუ თუ ასე ძნელია დაძინება. ძილის წამლები ხომ არის თურმე. შეიძლება ექიმს კიდეცა აქვს თავის ამბულატორიაში. მაგრამ იქ არ შეიძლება მისვლა. ახლა ღამეა და ხეალ დღისითაც არ შეიძლება მისვლა. გალინა იქ იქნება. ის გაიგებს, რომ ნადიას დასაძინებელი ფხვნილი ჰქონდა. გაიგებს და გაიცინებს.

აი, პელაგიას რა მშვიდად სძინავს. რა კარგად იმუშავეს დღეს ორთავემ. სამოცდახუთმეტი სანტიმეტრი გაჭრეს. ორივენი დაილაღნენ, მაგრამ ყველას აჯობეს. მამაკაცებსაც. ერთი მუშა — ვანო პქვია, გოცებული ეკითხებოდა ყველას: მართლა ამოდენა გასჭრესო. არ დაიჯერა. წაიღია თითონ გაზომა. მერე დაბრუნდა და პელაგიას მკლავები მოუსინჯა. შენ ჩემზე ღონიერი როგორა ხარო.

— სულელო! — უთხრა პელაგიამ, — განა ღონეზეა საქმე. ოსტატობაა საქმით, თორემ მე შენზე ღონიერი როგორა ვარო.

ნეტავ რა ხერხს უნდა მიმართოს ადამიანმა, რომ უცბად დაიძინოს.

უნდა ითვალოს.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი...

ჩუ! ეს რა ისმის?

არაფერი. საათი წკაპუნებს, მეტი არაფერი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი...

— შენ რა? არ გძინავს?

ნადიამ მოიხედა. პელაგია, ოდნავ წამოწეული, საოცრად ფართოდ გაღებული თვალებით უცქეროდა ნადიას.

— რომელი საათია? — იკითხა პელაგიამ.

— ერთი, ორი, სამი... სამი, — უპასუხა ნადიამ, — გამეღვიძა და აღარ დამეძინა.

— რას კუდიანობ? დაიძინე! — პელაგია კედლისაკენ გადაბრუნდა, საბანი წაიხურა და თითქო დაიძინა. მერე უცბად წამოიწია, ტახტზე დაჯდა და ბარაკს თვალი მოავლო.

— რა იყო? — ჰკითხა ნადიამ.

— ვველანი აქ არიან? — პელაგიამ შენიშნა ერთი ლოგინი, რომელზედაც არაფერი იწვა. — ვისია ის საწოლი?

ნადია უტბად ჩაძვრა ლოგინში და საბანი თავზე წაიხრია, მასვე ვითომ არ გაუგონია, რასაც ეკითხებოდნენ.

პელაგიამ დახედა ნადიას, მერე ისევ ცარიელ საწოლს დააკვირდა, ვველაფერს მიხვდა.

— მასთან წავიდა? — ჰკითხა პელაგიამ.

ნადია ხმას არ იღებდა.

— მე გეკითხები, ნამდვილად იცი, რომ მასთან წავიდა?

ნადია კვლავ სდუმდა.

— ხვალვე გავიგებ აქედან, — სთქვა გაბრაზებით პელაგიამ და ისევ გაეხვია საბანიში.

— არ გაბედო, პაშა! — წამოიძახა ხმის კანკალით ნადიამ და საბნიდან თავი გამოჰყო.

— ჩუმად იყავი. არაა შენი საქმე. ვიცნობ მე მაგ ქალბატონებს. ნახა ტყეში ნასუქი ბულა და მიიფრინდა მაშინვე. არც ჩვენა ვართ ქალწულები, მაგრამ ნამუსს არ ვკარგავთ.

ნადიამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ბალიშში თავი ჩარგო და ცდილობდა თავი შეეკავებინა, რომ არ აქვეითებულყო. პელაგიამაც აღარა სთქვა, რა, გარინდული იწვა და წარბებშეკრული შესცქეროდა ჰერს.

— პაშა! — ასწია თავი ნადიამ.

— რაო? — გულმოსულად გადმოხედა პელაგიამ.

— წავიდეთ აქედან.

— ახლავე წავიდეთ?

— არა, ხვალ წავიდეთ.

— ხვალინდელზე ხვალ მელაპარაკე. ახლა კი დაიძინე. არაა საჭირო ამ შენი გრძნობების სარეცხივით გაფენა. მერე და რა მოგივიდა? კაცი არ გინახავს თუ?

— არა, შენ არ გესმის.

— რა არ მესმის? — წამოიძახა პელაგიამ ხმამაღლა, მაგრამ შეამჩნია, რომ ლოგინებზე აქა-იქ შეირხნენ და გადაბრუნდნენ. იმის შიშით, სხვებმა არ გაიღვიძონო, ჩურჩულით განაგრძო, — გგონია შენს მეტს არაფის ჰყვარებია ვინმე?

— არა, პაშა, შენ იცი მე გათხოვილიც ვიყავ, ქმარი მყავდა, მეგონა მიყვარდა, მაგრამ თურმე... თურმე... არ ვიცი, როგორ გითხრა... ვცხოვრობდი ქმართან, ვეზვეოდი, ვკოცნიდი... მაგრამ არასოდეს არ განმიცდია ის, რაც... რაც ახლა განვიცადე. ეს მხოლოდ ვნახე, მხოლოდ ერთჯერ თუ ორჯერ დაველაპარაკე და დავინახე, თუ არა, აი სრულიად გადმომიბრუნდა გული... მე მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ესაა ის.... აი ის, რომელთანაც შეიძლება განიცადო ნამდვილი სიყვარული. გესმის, პაშა, მე ახლა მივხვდი, რომ შეიძლება ისე იცოცხლო და მოკვდე, რომ ნამდვილი სიყვარული ვერასოდეს ვერ განიცადო, თუნდაც ხუთი ან ათი ქმარიც რომ გამოიცვალო. ნამდვილი სიყვარული ბედნიერ შემთხვევაზე ყოფილა დამოკიდებული. შეხვდი — კარგი, არ შეხვდი და, ისე გაივლის შენი ცხოვრების გზა, რომ წარმოდგენაც კი არ გექნება ამ გრძნობაზე. დაგეძინა, პაშა?

— არა.

— შენ ხომ გესმის ჩემი?

— მშვენიერად.

ნადია ერთ ხანს გარინდებული იწვა და უძრავი თვალმკვრივების ზემოდან კედელს უცქეროდა. ის ახლა ვერაფერს ვერ ხედავდა. თვალუბრაყვი არ ახამხამებდა.

— რა სულელი ვიყავი, როდესაც იურას მივეყვებოდი, მეგონა მიუვარდა. ახლა მაგონდება. თურმე არაფერი არ მესმოდა. იცი რა, შეიძლება არაფერს არ გეტყოდო, მაგრამ, ახლა უკვე ყველაფერი გათავიებულია. იქნებ გულზე მომიშვას. ოჰ! ახლა მესმის, დარდისაგან რატომ სვამენ. ალბათ წამალივით მოქმედებს. პაშა!

— რა გინდა?

— სულელი ვარ ხომ?

— არც უმაგისობაა!

— შენ არასოდეს არ გყვარებია?

— რა იცი. იქნება შენზე უარესად.

— მერე?

— მერე რა. ხომ მხედავ?

— დაგავიწყდა?

— მაშინ შენსავეთ სულელი ვიყავი. თუმცა არა. არ დამავიწყდა, 'ელ მესსომება.

— თითონ მიგატოვია?

— არა, თეთრებმა მოჰკლეს.

— ოჰ!

ტახტმა გაიჭრიალა. ორივენი გაჩუმდნენ. ნადიას ისევ მოესმა თავისი ციციქნა საათის წკაპაწკაუბი.

კარგა ხანს იყვნენ ორივენი ჩუმად.

შორიდან ლაპარაკის ხმა მოისმა. რამდენიმე კაცი ერთად ლაპარაკობდა. ხმები ნელნელა ახლოვდებოდნენ. ერთი მათგანი ხანდახან რაღაც გულამოსკენილი ხმის კანკალით იწყებდა სიმღერას.

„ცოლი ეუბნება ქმარს...“

მე შენ დაგიყენებ თვალს...“

და მცირე პაუზის შემდეგ, თითქოს სადღაც ჩასძახოდა, განაგრძობდა:

„თუ არ მიყიდი გიტარას...“

მაშინ შევიყვარებ სხვას...“

და უცბად რამდენიმე შეწყობილი ხმა მზიარული ყიფინით დასძახოდა:

„გიყიდი, გიყიდი, გრამაფონს,

როცა ფული მექნება...“

ლაპარაკზედაც ეტყობოდათ მზიარულება, ისინი რაღაცაზე ხუმრობდნენ და ხშირად იცინოდნენ. მალე აშკარად შეიძლებოდა ცალკეული ხმების გამოცნობა.

პელაგიამ წამოიწია და ყური დაუგდო. ნადია გაუნძრევლად იწვა. მხოლოდ თავი შეაბრუნა იმ მხარეს, საიდანაც ხმები ისმოდა.

— აქამდე ქეიფობდნენ? — სთქვა პელაგიამ.

— რაო?



— შე ვამბობ, აქამდე ქეიფობდნენ? ახლა გამახსენდა, საღამოს მეც მი-  
მიწვიეს. მითხრეს, კალმახების საჭერად მივდივართ ქვემოთ.

— კალმახების?

— ჰო. აქ ბევრი ყოფილა კალმახი, — სთქვა პელაგია <sup>ქარაქუშული</sup> და იქმე დაწვა, —  
უარი ვუთხარი, დაღლილი ვიყავი. მერე, ვიფიქრე, დაითვრებიან და...

— შე რატომ არ მითხარი, ვინ მიგიწვია?

— დავით გეორგიევიჩმა. შე ვიცი ეგ შენა გაბატეებდა, მაგრამ შე  
მომმართა. როგორც დედას, ისე რომ გთხოვოთ ჩვენთან წამოსვლა, გეწ-  
ყინებათ, არც იმდენი ხნისა ხართ და, როგორც უფროსს დას, ისე მოგ-  
მართავთო.

მოქეიფენი მესამე ბარაკს დაუახლოვდნენ. ისინი, ეტყობოდა, გალინას  
მოაცილებდნენ. ექიმი სიმონი წამდაუწუმ იწყებდა სიმღერას და ცდი-  
ლობდა დანარჩენებიც აეყოლებინა.

ბარაკთან შეჩერდნენ და სიმონმა ისევ წამოიწყო. მაგრამ დათაკომ  
შეაჩერა.

— დაიცა სიმონ, ძინავეს ხალხს.

— ჰო, რაო? იზვინიტე, პარდონ... შეყვარებული ვის არ ჰყოლია...  
ვარალეე...

— სიმონ! — შეუძახა დათაკომ.

— ბოდიში, ბოდიში, — ტუჩზე ხელი დაიფარა სიმონმა. — აბა, გალინა  
ნიკოლაევი, თქვენ ხომ... ხომ არავინ შეურაცხყოფთ.

— რას ბრძანებთ, სემიონ ევსტაფიევიჩ, — უპასუხა გალინამ.

— ნება მომეცით ძილი ნებისა გისურვოთ, — უთხრა სიმონმა, — თქვენ  
ჩემი თანამშრომელი ხართ და არავის არ მივცემ უფლებას, რომ ვინმემ  
რამე გაწყენინოთ. სტეფანე! შენა ხარ? ო, რა ღვინო იყო, რა ღვინო,  
ჭირიმე... შენი... ჭირიმეე...

— კაცო სიმონ, რა მოგივიდა? — გულმოსული ხმით უთხრა დათაკომ  
და შემდეგ გალინას მოუბრუნდა, — დამე მშვიდობისა. თუმცა დამე კი არა,  
გათენდა უკვე.

— დამე მშვიდობისა, დავით გეორგიევიჩ. გმადლობთ პატივისცემი-  
სათვის.

გალინამ ფრთხილად შეაღო ბარაკის კარი, ფეხაკრეფით მივიდა თავის  
ლოჯინთან და ტანისამოსის გახდა დაიწყო.

პელაგიამ და ნადიამ თავი მოიპძინარეს... ორივე მიხვდა, რომ გალინაზე  
გაჯავრების უფლება არა ჰქონდათ.

ტახტის ქრიალზე, პატარა ლილამ, რომელიც გალინას პირდაპირ იწვა,  
გაიღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და იკითხა:

— რაო, გათენდა?

— არა ჯერ, — უპასუხა გალინამ და კაბა თავზე ერთის გაჭირვებით გა-  
დაიძრო. — თენდება.

— შენ, რაო, ახლა წვები?

— ჰო.

— სად იყავი?

— პირველყოფილ ადამიანთა გამოქვაბულში.

— რაო?

— გულები, გამოქვაბულში ვიყავი-მეთქი.

— ვისთან იყავი?

— ერთი ამას უყურე. შენ რა? ანგარიში უნდა ჩავაბარო?

— არა, ისე...

— ხაზენებმა მიმიწვიეს. კალმახი დაეჭირათ და ქვეყნის მთელი ქველ გამოქვამულში.

— მერე იქ როგორ წაპყევი? ხომ დაითვრებოდნენ? მე საშინლად მეშინიან მთერალი მამაკაცების.

— გალინამ გაიხადა, ლოგინში სწრაფად შეგორდა და თხელ შალის საბანში მაგრად გაეხვია. თივით გატენილი ლეიბი უცნაურად შრიალებდა.

— რას ამბობ, — უთხრა გალინამ ლიდას, როდესაც ლოგინში კარგად მოეწყო და თავი ბალიშზე დადო, — მე იშვიათად მინახავს ასეთი თავაზიანი მამაკაცები.

— არ თავხედობდნენ?

— ოჰ, როგორი კარგები არიან, რომ იცოდე. რა კარგი ყოფილა სტეფანე. ბებერი სტეფანე. რა კარგად ზუმრობდა. ისინი კი არ სვამენ, ჩვენ რომ ვიცი, ისე, ისინი ქეიფობენ და სულ სადღეგრძელოებს ამბობენ.

— აგრე ისხედით გამოქვამულში?

— ჰო. დიდი გამოქვამულია. დერეფნებით. შუაში ცეცხლი დაანთეს, ჩვენ გარშემო ვისხედით, კილობებზე და ჭყავებზე. თევზები კი არ მოხარშეს, კაკლის ფოთლებში გაახვიეს და ნაკვრცხლებზე შესწვეს. ეს რალაც არაჩვეულებრივი რამ ყოფილა. აჭაური სიმინდის ფქვილის მჭადებიც კი მოიტანეს. ლენოს კი თიხის ჯამებით სვამდნენ.

— ბევრნი იყავით?

— ათამდე. ოჰ, ასე მგონია ზღაპარში ვიყავი. ახლაც სიზმარი მგონია. დაიცა, როგორა სთქვეს, ვითომ ტროგლოდიტები ვართო.

— რაო?

— ტროგლოდიტები.

— ეგ რალაა?

— არ ვიცი. არ მახსოვს. მგონი გამოქვამულში მცხოვრებ ადამიანებს ჰქვია.

— არაფერი არ მესმის.

— ვერც გაიგებ. უუუ... აჰ! — დაამთქნარა გალინამ, — უჰ! მეძინება.

— შიამზე კიდევ, გალინა.

— ზვალ გიამბობ. ახლა მეძინება.

— კარგი. დაიძინე. — უთხრა ლიდამ.

ბარაკში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ გარედან კიდევ ისმოდა ნაქეიფარი ხალხის მიყრუებული ხმები, ლაპარაკი, სიცილი და სიზონის სიმღერა:

„გულში ჰირიმე, სულში ჰირიმე, შენ გენაცვალე...“

## თაში მემამსა

რამდენიმე დღის განმავლობაში საროლის ხმა სრულიად აღარ ისმოდა და ყველამ შევებით ამოისუნთქა. მაღაროებში მუშაობა წესიერად დალაგდა. ცვლიდან მოსული მუშები მუდამ ეკითხებოდნენ დამხედურებს.

— დღეს აღარ გაგვიგონიათ?

— აღარ. მიწყნარდა ყველაფერი. — უპასუხებდნენ მეორე ცეცხლზე მიმავალნი.

— ალბათ მიარტყეს მაგრად ჩვენებმა.

— ალბათ, მაშ როგორ ეგონათ!

ასე გავრძელდა რამდენიმე დღეს, ყველანი გამზიარულდნენ და გაბალისდნენ, მაგრამ ერთხელ, ნაშუადღევს, ისევ ატყდა ყურისწამლები ქუხილი და გრიალი. დათიკომ მაშინვე გამოსთქვა მოსაზრება: ჩვენი ჯარები, ალბათ, შეტევაზე გადავიდნენო და ამ მოსაზრებამ საოცრად დამამშვიდებელი გავლენა მოახდინა ყველაზე. მართლაც სროლის ხმა თითქოს უფრო ახლოდან ისმოდა. ამიტომ პირველ და მეორე დღესაც მუშები ამ ჭექა-ქუხილს აღტაცებაშიაც კი მოჰყავდა. მაგრამ, როდესაც ეს ხმები კიდევ უფრო მოახლოვდა, თანაც შეუწყვეტელი სიძლიერით ისმოდა, მაშინ კი ყველანი დარწმუნდნენ, რომ საქმე ცუდად იყო.

მთელი საათობით იდგნენ ყველანი და ყურს უგდებდნენ სროლის ხმებს. ერთმანეთს აღარც კი ელაპარაკებოდნენ. მუშაობის ხალისიც დაეკარგათ. იდგნენ და უცქეროდნენ ჩრდილოეთის მწვერვლებს. სროლის ხმა სულ სხვადასხვაგვარად ისმოდა. ხან ზუსტი თანმიმდევრობით, სამ-სამი გასროლა ერთად, ხან კი გამუდმებული არეული გრიალი აყრუებდა მიდამოს. ხან კიდევ დაიქუხებდა მძლავრად და სადღაც, შორს, ისმოდა გამომახილი, დაიქუხებდა კიდევ და ისევ ისმოდა გამომახილი. ასე გრძელდებოდა მთელი საათობით.

სამუშაოდან დაბრუნებულ მუშებს ავიწყლებოდათ სასადილოც და საკუთარი საწოლებიც. ვეღარც კი გრძნობდნენ დროის არსებობას. იდგნენ და ყურს უგდებდნენ. რომელ მხარესაც არ უნდა გაგეხედათ ბარაკების გასწვრივ, საწყობებისაკენ, ბილიკზე, მდინარის პირას, ყველგან მოჩანდნენ მდუმარედ გარინდებული მუშები. ყველანი უცქეროდნენ ცაში ზარმაცად აზიდულ მთებს, თითქოს და მთები უყეფდნენ ერთმანეთს ზარბაზნათა შიმში ქუხილით.

ხანდახან თავს იქნევდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— გესმის? რა ამბავია, კაცო, ეს?

— იქცევა ქვეყანა!

ქართლელი ვანო პირქუშად იგინებოდა.

მუშაობაზედაც გული ატყრუვდათ. უხასიათოდ მიდიოდნენ გვირაბებში. აქ-იქ კიდევაც დაიწყეს ლაპარაკი სამუშაოების დახურვაზე და შინ წასვლაზე. ყველა პოულობდა რაიმე მიზეზს და გათავისუფლებას თხოულობდა. ვერც ქალების მოსვლამ და მათმა გულმოდგინე მუშაობამ წაახალისა ისინი. მართალია პირველ ხანებში ყველა გაფაციცებით ცდილობდა თავი გამოეჩინა. ვანომ თითომეტრიანი შპურებიც კი გაჭრა და პელაგიას თავი არ დაიჩაგრინა, მაგრამ მალე ხალისი სრულიად გაუჭრა და ახლა სანგრევთან უფრო მეტ დროს ლაპარაკს ანდომებდა. ყველაფერი ხელს უშლიდა: უროც, რომელსაც ტარი ერყვოდა, გამოუპირავი ბურებიც და განსაკუთრებით ლამპა. ნავთი სულ მუდამ საზიზღრად ხრჩოლავდა. პატრუქის თავს წამდაუშუმ გამხმარი ტალახიანი ნაწივე ფარავდა და თუ ყოველ წუთს არ მოწმენდდი, ან ჩაჭრებოდა, ან ისეთ ბოლს აუშვებდა, რომ შეუძლებელი იყო გვირაბში გაჩერება. ნესტიან ჰაერში ძაფებივით ეკიდებოდა მკვარტლი.

ენან ივინებოდა ბინძურად, ჯივრიანად.

ასეთი განწყობილებით იყო ყველა შეპყრობილი, მაგრამ ერთ დღეს ისევ გამოუკეთლათ ხასიათი.

შალვამ, როგორც იქნა, დაამთავრა საკომპრესორო დანადგარების მონტაჟი და მანქანები აამუშავა. მათმა ხმაურმა უცბად ჩააწმომთების გადაღმიდან მოსული გამუდმებული სროლის ხმები. შალვამ მანქანის ბოლის გამოშვებ მიღებს საგუდავები მოხსნა და ორივე კომპრესორი ისე ავრიალდა, რომ მთელი მიდამო ვააყრუა.

ამ ხმებმა ისეთივე გავლენა მოახდინა მუშებზე, როგორც კარგად დაკრულმა მარშმა საპარადოდ გამოსულ ჯარზე. ყველას გულში და ფეხებში შეუღიტინა. მუშები აფუსფუსდნენ, გამზიარულდნენ. მაშინვე გაიქცნენ და ამუშავებული მანქანები დაათვალიერეს.

მანქანები რიტმიულად გუგუნებდნენ. დინჯად და საქმიანად. გაზოლინის მიმწოდებელი სარკველის მუშტები ჩიტებივით კენკავდნენ ცილინდრების თავებს. კბილანა ბორბლები, ციბრუტა რეგულატორები წადმა-უკულმა ტრიალებდნენ და მთელი ეს ველოსიპედის მაგვარ ბორბლებზე გამართული ორივე დანადგარი შეშინებული არაბული ბედაურივით თახთახებდა. ზეთში ვათხუპნული შალვა მეჯინიბესავეთ უტრიალებდა მანქანებს, ხან ქვემოდან უყირკიტებდა, თითქოს სამურგელით უნდოდა მათთვის მკერდი და მუცელი გაეწმინდა, ხან რომელიმე ქანჩს უფრო მაგრად უჭერდა, ხან რალაც იღუმალ ონკანს გახსნიდა, და მანქანას სურდოშეყრილივით აცემინებდა.

შემდეგ, როდესაც ჰაერის ბალონების მანომეტრთა ისრებმა საკმაოდ აიწიეს, შეუღდნენ პნევმატიური ჩაქუჩების გამოცდას. აქამდე მიყრუებულ გვირაბებში, წინანდელი დაგუდული ყრუ ბაგაბუგის ნაცვლად, გაისმა მჭექაჩე გრიალი, თითქო სანგრევთან მძიმე ტყვიამფრქვევები დაედგათ.

პირველ გვირაბში მთელი დღე არ შეწყვეტილა ცნობისმოყვარეთა სიარული. საწყობის გამგეც, მეჯინიბეც, ბუხალტერიც რიგრიგობით მოდიოდნენ და ბოლოს თომა მზარეულიც კი მოვიდა, რომ საკუთარი თვალთ ენახა ამ უცნაური ჩაქუჩებით მუშაობა. გზადაგზა ერთი ორჯერ თავი აარტყა გვირაბის ჰერს და ხელების ფათურით, როგორც იქნა, მიფრატუნდა სანგრევთან. ჰაერი სქელი თეთრი მტვერით იყო გაქლენთილი და ლამპები ამ მტვერის ნისლში ოდნავ ბეუტავდნენ. სანგრევთან ცალ მუხლზე ჩაჩოქილი ნადია შპურს ბურღავდა. პელაგია იქვე იდგა და თავის პნევმატიურ ჩაქუჩს რეზინის შლანგზე ამაგრებდა.

— ჰო, ჰო! ეს რა ყოფილა თქვენი ქირიმეთ! — ხმამალა დაიძახა თომამ, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს. თომამ თავის ხმა თითონაც ვერ გაიგონა.

პელაგიამ შლანგის სახელური მაგრად მოქაჩა, ჩაქუჩის ლულაში ბური ჩადგა და მეორე შპურის გაბურღვას შეუდგა. მაგარ ქანებზე ამუშავებული ჩაქუჩები ძლიერად უკუცემდნენ, რის გამო ორივენი, პელაგიაც და ნადიაც მთელი ტანით ირხეოდნენ, თითქო ციებისაგან თახთახებდნენ. შპურებიდან ერთის სტეენითა და ქშილით გამობოდა ორთქლის მაგვარი მტვერი.

— რაა, კაცო, ეს ტექნიკა! — წამოიძახა თომამ, მაგრამ მან მხოლოდ იგრძნო რომ ეს სიტყვები სთქვა. ყურებში გამაყრუებელი რახრახის მეტი არა ესმოდა-რა.

ნადიამ თავისი ჩაქუჩი გამოთიშა, რადგან ახალი, უფრო გრძელი ბური უნდა დაემაგრებინა ჩაქუჩზე. ბურებს ძებნა დაუწყო და როდესაც თომას მოჰკრა თვალი, გაუღიმა.

პელაგიამაც გამოთიშა თავისი ჩაქუჩი. მოიხედა.

— რას ეძებ? — ჰკითხა მან ნადიას.

— ბურებს.

— აი იქ აწყევია, — მიუთითა პელაგიამ და მერე თომას მოუბრუნდა, — რაო თომამ?

— ძალიანაა, ძალიან.

— მოგწონს?

— რა საკითხავია. აი ამას ჰქვია მეცნიერება და ტექნიკა. სიმაქოს ბრძენმა სთქვა, როგორც გლახაკი ცდილობს გამდიდრდეს ეგრეთ ჩვენ უნდა ვეცადოთ სწავლა და განათლება შევიძინოთ.

— ეინა სთქვა ეგ?

— სიმაქოს ბრძენმა.

— სადილების შესახებ რას ამბობს შენი სიმაქოსი? — სიცილით უთხრა პელაგიამ, თან ნადიას ბური გამოართვა და ჩაქუჩის ლულაში ჩადგა, — ლობიოს შეჭამანდს გაუმჯობესება არ ეჭირვებაო?

— ღლეს ცხვარი დავკალი.

— ეგ კარგია, მაგრამ შენ თუ იცი, რომ კარგი სადილის დამზადებაც მეცნიერებაა.

— ღლეს ისეთი სადილი გაჭამოთ, რომ თქვენი მოწონებული.

— აბა ერთი ვნახოთ...

კიდევ რაღაც სთქვა პელაგიამ, მაგრამ თომამ ვეღარ გაიგონა, რადგან ნადიამ ისევე აამუშავა ჩაქუჩი და ამ წამსვე პელაგიამაც ააგრიალა თავისი იარაღი.

თომამ ერთხანს კიდევ უცქირა ქალების მუშაობას. ის უალრესი პატივისცემის გრძნობით გაიმსჭვალა ამ ბრეზენტის ტანსაცმელში გამოწყობილ, ღონიერ ქალებისადმი, რომელნიც ქვისაგან გამოთლილ ქანდაკებებით მიყრდნობოდნენ სანგრევისაკენ მიმართულ ჩაქუჩებს და გრიალით ჰბურღავდნენ კაჟისებურ მაგარ ქანებს.

— დაილოცა თქვენი მარჯვენა! — ჩაილაპარაკა სივრცეში თომამ, გაბრუნდა და თავდაბრილი, რათა კიდევ არ დაეჯინა თავზე კოპები, გაემართა გარეთ. შორს პატარა ოთხკუთხა სარკესავით ანათებდა გვირაბის პირი.

„ღლეს რაღაც კარგი უნდა გააკეთო სადილად, — უთხრა თომამ თავის თავს. მას ჩვეულება ჰქონდა თავისთავთან, როგორც გარეშე პირთან, ისე ესაუბრნა — გესმის, შენ? ისეთი კერძი უნდა გააკეთო, რომ თავი ისახელო“.

„ეგ კი მესმის, მარა რაფრად, ჩემო თომამ! — უბასუხა თავის თავს, — რაფრად? მასალა უნდა კარგი კერძის დამზადებას, მასალა“.

„ე, დაიწყო ახლა ამან თავისი ამბები, — გაბრაუნდა თომამ. — ამისთანა ზალხს პატივი უნდა სცე. მასალა არ მაქვს, რო იძახი, უნდა მოიფიქრო რამე“.

„ბიჭო, რა მოვიფიქრო! სადილის გაკეთებას ათასი რამე ჰქირდება. ვერ ზედავ რომ ნიორის მაგივრად ჰყანტა ბალახს ვნაყავ?“

„თუ ვარგობარ, კიდევაც მოიფიქრებ“.

„რაფრად, კაცო? გევი არაა ეს ვიღაცა?“

„ამას უყურეთ ახლა? აბა რაღა გინდა. ხომ ხედავ, ეს ხალხი რაფერ მუშაობს და რას არ აკეთებს? ამ უღრან მთაში ზურგიით ამოზიდეს ამხელა მანქანები და ამ კლდეს გადმობრუნებას უპირებენ. შენ რა ლმობი გაგიწყრა. გადი ავერ ტყეში, შეაუნა რამდენიც გინდა, იმდენია. ახლა შინც და შინც ბანკებში დაბეჭდილი ტომატი თუ არ მოგართევს, ისე ნუ იკადრებ ნურაფრის გაკეთებას. ჭანჭი, პიტნა, თმბალო შენს ბოსტანში არ მოდის იმდენი, რამდენიც მარტო ამ შენი სამზარეულოს გვერდით იზრდება. პატარა მილექი, მოლექი. შენ რაღა გგონია, ჯერ მარტო რაც ტყეში მწიფე ყოლო, უურძენევით მოცხარი და კინკრეთაა, მაგ რო დაკრითო და მოიტანო, სუფრას დაამშვენებს. ქალაქში მაგ ხილს გრამობით ყიდიან. მერე, შე კაცო, ფხალი გააკეთე, ჩვენებური, ნიგვზით. საცივი გააკეთე, ჩიხირთმა, ბოზბაში. მასალა შენც იტყვი რაღა!“

„არა, მართალს ქე ამბობ, იცი შენი!“

„შენმა თავის გახეთქამ, აბა ტყუილს გეტყვი. ამ რესტორანებში რომ არქმევდი ჩვენებურ ისპანახისაგან და მწვანინლისაგან გამზადებულ კერძებს: სალატ ოლივიე, სალატ ნატურელ, შპინატ ალა პარიზიენ, ვითამ რაღაცა განსაკუთრებულს აკეთებდი. იმაზე უკეთესი არ შეგიძლია აქ გააკეთო? შემძერალხარ ამ ქუჩნაში, დაადგამ ერთ დიდ ქებას და ჩაუშვებ შიგ ან ლობიოს ან ხორცსა და მაკარონს და ეგაა სულ. გამოდი, გამოდი გარეთ, ბევრს ნუ ლაპარაკობ. მოსკოვში მიმუშავებია პოვრათო, რო ტრამბახობ, თუ ბიჭი ხარ, ქეც უნდა აჩვენო ხალხს შენი ოსტატობა.“

„მოგიკედეს თომა, თუ მაგ ვერ მოახერხოს. გავიდე ერთი გარეთ, რო აღარ გათავდა ეს გვირაბი“ — აჯობა თავის თავს კამათში თომამ, ფეხს აუჩქარა და გარეთ გამოვიდა.

ზედა გვირაბიდან ჩამოვრებილ ბილიკზე ჩქარა ნაბიჯით მოალაჯებდნენ მუშები. მათ წინ დათიკო მოუძლოდა, რომელმაც მხიარულად გადმოსძახა თომას:

— სად იყავი, თომა?

— გვირაბში! — უბასუხა თომამ. — ვნახე თქვენი ტექნიკა.

— მოგაწონა? — დათიკომ ჩამოივიაკა და თომასთან ახლო შეჩერდა.

— ნულა მკითხავ, ნულა მკითხავ. ჩემი ქუჩნისთვისაც რომ მაგისთანა რამე მოგაგონებია, ტექნიკური მაშინა...

— შენს ქუჩნას მაშინა არ ჰირდება, თავი უნდა, თავი — უთხრა თომას ვანომ, რომელიც იქვე შორიახლო შედგა და თუთუნის ხევეას შეუდგა. — მაშინა რაო, გემოს მოუმატებს შენს შავ სუბსა?

— მაგაზე რო გითხრათ რამე, ტრამბახი გამომივა. დღეს ვფიქრობ რაღაცა კარგის გაკეთებას და... მართალია ეფრიდოს ბრძენს უთქვამს, სმენა კარგი სიტყვისა და მირთმევა ტკბილეულისა ერთიაო, მაგრამ...

— რაო, რაო, რა უთქვამს? — შეაწყვეტინეს თომას სიცილით აქეთ-იქედან.

— აცი იმიტომაც მუდამ ტკბილი სიტყვით არ გვიმასპინძლებდი! — სთქვა სიცილით დათიკომ, — როგორაო, მაშ, მირთმევა ტკბილეულისა და მოსმენა კარგი სიტყვისა ერთიაო?

— არა, მე ის მინდოდა მეთქვა... — დაიწყო თომამ თავის მართლებას. მას უნდოდა განემარტა ყველასათვის თუ რისთვის მოიყვანა ეს მოსაზრება,

მაგრამ დათიკომ აღარ აცალა, მუშებს ხელით ანიშნა გაპყოლოდნენ და ყველანი პირველ გვირაბისაკენ გაემართნენ.

მარტო ვანო ჩამორჩა მათ. კვესი გაპკრა, პაპიროსი გააბოლა, მერე ერთ წუთს ჩაფიქრებული შედგა და ცოტა მოგვიანებით გადხარხარა:

— ეგ რა უთქვამს, კაცო, — თავი გაიქნია ვანომ და წასულებს დაედევნა. — ეგ რა ზორბად უთქვამს....

— რაზე ვთქვი ეგ, იცი? — სცადა თომამ ვანო მაინც შეეჩერებინა და მისთვის განემარტა, რომ ის სწორეთ კარგი სადილით უპირებდა დღეს ყველას გამასპინძლებას და არა მარტო ტკბილი სიტყვით, მაგრამ არც ვანომ შეიცადა.

თომამ ხელი ჩაიქნია და სამზარეულოსაკენ წავიდა.

დათიკომ მუშები გვირაბის სანგრევთან მიიყვანა. პელაგიას და ნადიას, პნეემატიური ჩაქუჩების გამაყრუებელ ხმაურში არც კი შეუმჩნევიათ მათი მისვლა.

— პელაგია სემიონოვნა, — მოჰკიდა მაჯაში ხელი დათიკომ პელაგიას და თავისკენ მოახედა. მერე ხელით ანიშნა ჩაქუჩები გამოეთიშნათ. — პელაგია სემიონოვნა, დღეს სხვაგვარად უნდა გავანაწილოთ მუშაობა.

— როგორ?

— აი თქვენ ამ ხუთ მნგრეველთან იმუშავეთ. პრაქტიკულად აჩვენებთ სანგრევთან ჩაქუჩით მუშაობას. ამათ წინასწარ თეორიული მომზადება გაიარეს. მაგრამ პრაქტიკულად არა გავგებათ რა, იქ ერთ ჯგუფთან აბესალომი მუშაობს. ის ჭიათურელია და ეს საქმე კარგად იცის. თქვენ ესენი აიყვანეთ ბუქსირზე.

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — ღიმილით უპასუხა პელაგიამ.

— ნადიას კი მეორე სანგრევთან წავიყვან. წავიდეთ, ნადია. ერთი ჯგუფი გველოდება.

ნადიამ უსიტყვოდ მოხსნა ჩაქუჩი შლანგიდან, ბურები აკრიფა და სანამ დათიკო პელაგიას უხსნიდა თუ როგორ ევარჯიშნა მუშები, თვითონ ნელ ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ.

როდესაც ნადია გვირაბიდან გამოვიდა, მას აჩქარებული ნაბიჯით მომავალი დათიკო დაეწია. ორივემ ერთმანეთს შეხედეს და რატომღაც გაიღიმეს.

— მართლა, მე თქვენთვის საჩუქარი მაქვს, — უთხრა ნადიამ.

— რა საჩუქარი? — გაუკვირდა დათიკოს.

ნადიამ ნაბიჯი შეანელა, ბრეზენტის ქურთუკის ჯიბეში ხელი ჩაიყო და დათიკოს გაუწოდა ოთხკუთხედად, ლამაზად გამოტეხილი ნამცხეარის მაგვარი ქვის ნატეხი. ეს იყო, ერთმანეთში შეზრდილი მინდვრის შპატისა და გამჭვირვალე კვარცის არაჩვეულებრივი კრისტალი: მინდვრის შპატი ჩუქურთმასავეით მჩხვილი სხივებით განშტოებული შეჭრილიყო აღმასივით მოელვარე კვარცის კრისტალებში და მთელი ეს პატარა ქვის ნატეხი ბეჭა ოპიზარის ხელით ნაჭედი ხატივით ბრწყინავდა.

დათიკოს აუარებელი მშვენიერი ნიმუშები ენახა და თითონაც ჰქონდა დაგროვილი კრისტალების იშვიათი კოლექცია, მაგრამ ამის მსგავსი ჯერ მას არ შეხვედროდა, იმდენად აღაფრთოვანა ამ შესანიშნავმა საჩუქარმა,



რომ სრულიად გულუბრყვილოდ, ისე როგორც ძმა მოეხვევა თავის დას მადლობის ნიშნად, დათიკომ ორივე ხელი მოხვია ნადიას.

— გმადლობთ საჩუქრისათვის, — წაილულულა დათიკომ და კრისტალს დახედა.

— კარგი კრისტალია? — ჰკითხა ნადიამ დათიკოს, რომელიც მისი ჩაქვირკიტებდა კრისტალს, თუმცა სულ სხვაზე ფიქრობდა.

— ბრიტანეთის მუზეუმშიაც კი არ ექნებათ ასეთი ნიმუშები, — უპასუხა დათიკომ და ნადიას თვალბში შეჰხედა.

ორივეს თითქო ერთმანეთის შეეშინდათ. ისევე განზე გაიხედეს, მაგრამ ამავე დროს უცნაური სიახლოვე იგრძნეს ერთმანეთისადმი.

ჩუმიად იდგნენ...

ისევე შეხედეს ერთმანეთს.

ნადიამ თავი დახარა და თითქოს ამოიკვნესა, ისე ჩაიცინა.

— წავიდეთ, — სთქვა დათიკომ.

— წავიდეთ. — უპასუხა ნადიამ და დაიხარა ბურებისა და ჩაქუჩების ასაკრებათ.

დათიკომ ნადიას ხელი ბურებს მოაჩიდა, თითონ დააელო ხელი იარაღს, იდლიაში ამოიჩარა და წინ წავიდა.

— თი, ეგ რისთვის? მომეცი მე წამოვიღო, — დაედევნა ნადია.

— არა.

— მომეცი-მეთქი!

— ჯერ ერთი, თქვენობით ნუ მომმართავ.

— მაშ როგორ?

— მე დათიკო მქვიან.

— დათიკო, მომეცი ჩემი იარაღი.

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ...

დათიკოს რაღაც უნდოდა ეთქვა, ფეხს აუჩქარა. თითქო სურდა სათქმელს გაქცეოდა. სწრაფი, თავისუფალი ნაბიჯებით აიარა აღმართი. შედგა, მოიხედა.

ნადია იმავე ადგილას შეჩერებულყო. სახეზე თავსაფარი აეთარებინა, მხრები ისე უთახთახებდა, თითქო ტიროდა.

— რამდენი ყვავილებია!

— გიყვარს ყვავილები?

— მე არ ვიცი ისეთი ქალი, რომელსაც არ უყვარდეს ყვავილები. რა მშვენიერი გვირილებია.

— კარგი. მე აი აქ მოლზე წამოვწყები.

დათიკო მოწყვეტით გაიშხლართა მოლზე. ნადია ყვავილების კრეფას შეუდგა. ალბიური ბალახი წელზე წვდებოდა. მთელი მინდორი დაფარული იყო გულყვითელა, ხელის გულისოდენა გვირილებით, ლურჯი ლომისპირე-

ბით და წერწეცა შროშანებით. აქა-იქ ქოლგასავით ამართულიყრ გიგანტური ანწლის მაგვარი ბალახი.

ბალახში გამუდმებით ბზუოდნენ კრაზანები. დათიკო ხანგამოშვებით იგერიებდა ამ სისხლისმწოველ ბუზებს, რომელნიც თავიანთ ხორთუმებს თავისუფლად აძერენდნენ ტანსაცმელის მკიდრო ქსოვილში. მინდვრიდანაც ესმოდა ნადიას შეკვივლება და ხელის ტყაპუნი.

- რაო ნადია! — გასძახა დათიკომ.
- კრაზანები! როგორ მწარედ იკბინებიან.
- დაგესიენენ გერმანელებით?
- ოჰ! რა საზიზღრებია.

ნადიამ მოაგროვა მთელი ილია ყვავილები, დათიკოს გვერდით დაყარა.

- როგორი სიჩუმეა. — სთქვა დათიკომ. — უკვე ორი კვირა იქნება რაც სროლის ხმა აღარ ისმის. ალბათ ჩვენებმა განდევნეს მტერი.

- ვითომ?
- აუცილებლად.
- ოჰ! ნეტავი აგრე იქნებოდეს.
- გაზეთები მაინც მიგველო. არც რაიონიდან მოსულა ვინმე.
- როგორი მიყრუებული კუთხეა ეს ადგილი. ყველასაგან მივიწყებული-მგონია მტერი კიდევაც რომ მოვიდეს, ჩვენ ვერც კი მოგვაგნოს.

- ნადია, რას იზამდი, მტერი რომ მოვიდეს?
- არ ვიცი, შენ?
- ტყეში წავალ პარტიზანად.
- მეც შენთან ერთად.
- იარაღი რომ არ გვაქვს?
- ვიშოვით.

- მაშ, ჩემთან ერთად იბრძოლებ?
  - უჰუ!
  - ... მერე სროლა რომ არ იცი?
  - ვინ ვითხრა? ოცდახუთი შესაძლებელიდან ოცდახუთს ვაგროვებ.
- ნადიამ თავიული შეკრა, განზე გადადო. მერე გვირილებს მიასწვდა და გვირგვინის წენა დაიწყო.

- დათიკო.
- რა?
- შენი ცოლი ლამაზი იყო?
- ძალიან.
- გიყვარდა?

დათიკომ პასუხი არ გასცა. მთებს უცქეროდა. თავქვეშ ხელები შემოეწყო და მთებს უცქეროდა.

- გიყვარდა? — გაუმეორა კითხვა ნადიამ და დათიკოს შეხედა.
- რასაკვირველია, — ახლა დათიკომაც შეხედა ნადიას. რისთვის მკითხები?
- ახლაც გიყვარს?

— არა. ახლა მე ნადია მიყვარს, — თითქო უგუნებოდ სთქვა დათიკომ. თითონვე არ მოეწონა ისე უხეშად და ცივად წამოიძახა ეს სიტყვები.

ნადიამ ამოიოხრა და გვირგვინის წენა განაგრძო. მერე თითქო-თავისთვის ჩაილაპარაკა:

გიგლიძისთვის

— მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ეგ მართალი იყოს.

— რისთვის? — წამოიწია დათიკომ. — ჩემი არა გჯერა?

— არა.

— რატომ?

— ეჰ, დავანებოთ ამას თავი. შენ ეს მითხარი...

— არა, მიპასუხე, რისთვის არა გჯერა?

ნადია ერთხანს სდუმდა, თითქო არ სურდა პასუხი გაეცა. დაწნული გვირგვინი ხელში შეათვალა და თავაუღებლად უპასუხა დათიკოს:

— მჯერა.

მაგრამ მას, რასაკვირველია, არ სჯეროდა.

სიო ოდნავ არხევდა ბალახს. ტყე ზანტად შრიალებდა. მთები გარინდულიყენენ და მათ კალთებზე ლანდებივით მიიპარებოდნენ ჩრდილები. ღრუბელთა ჩრდილები. დაფლეთილ ღრუბლებში ჩამალული მზე ხანგამოშვებით იჭყიტებოდა ცელქი ბავშვივით.

ნადიამ ახლო მიიწია დათიკოსთან, ხელებზე დაეყრდნო და ქვემოდან ახედა:

— იცი რა?

— რა?

— მე ვჯობივარ, თუ გალინა.

დათიკომ არ უპასუხა. ღიმილით დასცქეროდა ზემოდან.

— რატომ არ მიპასუხებ?

— სისულელეს შეკითხები.

— შენ ხომ სეირნობდი მასთან?

— არასოდეს.

— ნუთუ შენ გიყვარს გალინა? მე ხომ ვიცი ყველაფერი, რისთვის მიმაღავე?

— უკვე იჭვიანობ?

— ო, არა, არა, მე რა უფლება მაქვს. მე ისე გკითხე. არ შეიძლება რომ გკითხო?

მერე სიცილით მოხვია ხელი კისერზე, თმებში თითები შეუტურა და თავით მკერდზე დაეყრდნო.

— აი შეხედე, ღრუბლის ჩრდილი ჩვენსკენ მოდის, — ანიშნა ნადიამ, — თუ ის ჩრდილი ჩვენ გადაგვივლის, მაშინ შენ გიყვარვარ, თუ არ გადაგვივლის, მაშინ არ გიყვარვარ.

ორივემ დაუწყო ცქერა ჩრდილს, რომელიც ნელა უახლოვდებოდა მათ. დათიკო უცხად წამოიჭრა ფეხზე და ნადიამ ხელი წაავლო.

— რა იყო? — ჰკითხა ნადიამ.

— წამოდი ჩქარა, ჩრდილი განზე მიდის. თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაშინ თვით მაჰმადი მივა მასთან, წამოდი.

ნადიამ დასტაცა ხელი თავის თაიგულს და ორივენი სიცილით დაედევნენ ჩრდილს. ისინი მას მინდვრის ბოლოს დაეწივნენ, ჩრდილმა ორთავეს გადაუარა, ნადიამ თვალი გააყოლა მას და ამოოხერით სთქვა:

— წავიდა, როგორა ჰგავს ამ ჩრდილის ჩავლა ჩვენს...  
ველარ დაამთავრა, უცბად მოერია ცრემლები, მერე, ხელის ვითომ უცაბედი მოძრაობით მოიშორა უბის ბოლოზე დაკიდული ცრემლი და ძალდატანებით გაიღიმა.

დათიკომ ორივე ხელი მოხვია, თავისკენ მიიწიდა და თვალეში ჩახედდა: „გინდა, იყო ჩემი ცოლი?“ — გაიფიქრა დათიკომ და მერე ჩურჩულით გაიმეორა.

— გინდა იყო ჩემი ცოლი?

თავისი ხმა თითონვე არ მოეწონა. „ეს რა გლახად ვთქვი, უნიჭოდ“.

ნადიამ ერთხანს გაკვირვებით უცქირა თვალეში დათიკოს. ეტყობოდა თავის თავს ებრძოდა. ძალიან დიდი იყო ცდუნება. მერე გულზე ხელუბი მიაბჯინა, თავი გაითავისუფლა და მტკიცედ სთქვა:

— არა.

— რატომ? — იწყინა დათიკომ.

— მე არც ისე სულელი ვარ, როგორც შენ გგონია.

თმები და ტანსაცმელი შეისწორა, მერე თაიგულს დასწვდა, რომელიც ძირს დავარდნოდა.

— მე მოწყალებას არავეისაგან არა ვღებულობ, — განაგრძო ნადიამ, — შენ არ გიყვარვარ. ხომ სწორია? არ ისულელო და არ დამიწყო იმის მტკიცება, რომ გაგიყვებით მიყვარხარო. შენში მხოლოდ ხეაღმა გაიღვიძა, მეტი არაფერი. ასევე თავისუფლად შეგეძლო გალინა მოგეწვია, მასთან ერთად გესეირნა და კიდევაც გადახვეოდი. შენ ჯერ, მე მგონია, არც კი იცი, თუ რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული. წავიდეთ შინ.

დათიკო აღვილიდან არ იძროდა და წარბშეჭმუხვნილი დაეინებით უცქეროდა ნადიას.

— წავიდეთ, — გაუმეორა ნადიამ, — არ გეწყინოს, რაც მე გითხარი. ჯულაც არ მინდოდა შენი შეურაცხყოფა. მე მხოლოდ სიმართლის თქმა მიყვარს.

— მაშ რისთვის წამოდი ჩემთან?

— იმისათვის, რომ მეც ადამიანი ვარ. გარდა ამისა... — ნადია შეჩერდა, უნდოდა ეთქვა, რომ გარდა ამისა მე მართლა მიყვარხარო, მაგრამ გადაიფიქრა და აჩქარებით დასძინა, — წავიდეთ, არ მოდიხარ?

— არა, წადი. მე აქ დავრჩები.

— როგორც გინდოდეს, — უხასიათოდ უთხრა ნადიამ და თავდახრილი წავიდა. თაიგული, დაკლული ქათამივით თავდაყირა ეჭირა ხელში და ისე მიჰქონდა.

მინდორი ჩაიძრა და ისე მიიმალა ტყეში, უკან არ მოუხედნია. დათიკო დიდხანს იცქირებოდა იმ მხარისაკენ, სადაც მიიმალა ბეჭებშიშველი, კრელკაბიანი ნადია, მერე შუბლზე ხელი მოისევა და მიმოიხედა.

შიმშილი იგრძნო.

„რისთვის არ წავედი მასთან ერთად? — გაიფიქრა დათიკომ, — ერთად ვისამხრებდით. მთელი დღეა მშვიერი ვარ. რისთვის დავრჩი. ვითომ განსაკუთრებული განცდები მაწუხებს. არაფერაც არ მაწუხებს“.

აღმართს აუყვია. გზადაგზა მოაგონდა რომ დღეს თომა კუპატებით გამასპინძლებას დაჰპირდა. ტაფაში ჩაწარაყული კუპატები, ალბათ, ღუმელში უდგას თომას და ელოდება.

გერმანული  
გიგლიჩიშვილი

მართლა! მკადიც ხომ უნდა გამოეცხო.

სიმონს სამი ბოთლი ღვინო აქვს გადამაღული. იმას ოღონდ კუპატები უხსენე და მაშინვე მოარბენინებს ღვინოს. ყველი, ცხელი მკადი, კუპატები და ფუცხუნა ღვინო.

დათიკო შედგა და აღმართი გაკვირვებით შეათვალიერა. რა უნდოდა ამ აღმართზე, რომ მიაბიჯებდა, სად მიდიოდა?

სწორედ ამ დროს ქვემოდან ძახილი მოესმა:

— დათი... კორო!

— ეჰე... ჰეეეი... — გასძახა დათიკომ.

მინდორზე ვიღაც იდგა და ქუდს უქნევდა. დათიკომ სწრაფად ჩაირბინა დაღმართი და, როდესაც ტყისპირს დაუახლოვდა, იცნო ვანო, რომელიც დღინჯმოყრილი ელოდებოდა.

— რა ამბავია, ვანო? — ჯერ კიდევ შორიდან გასძახა დათიკომ და, როდესაც სულ ახლო მივიდა, კიდევ ჰკითხა, — რა ამბავია?

— წამოდი ჩქარა. თბილისში გიბარებენ.

— ვინ მიბარებს?

— არ ვიცი. რაიონიდან შეიკრიკი მოვიდა.

— რა ამბავიაო?

— წამოდი, ვიამბო. ამბავიო! რაიონს სცლიან თურმე.

— რაო?

— გერმანელები უდელტეხილზე მოსულან და სადაცაა ჩვენც გვეწვევიან. დათიკოს თითქოს გულზე უკბინა რაღაცამ. მწვავე ტკივილი იგრძნო, ისეთი მწვავე ტკივილი, რომ სულე ძლივს მოითქვა. შეჩერდა და წარბებშეკრულმა გულმოსულად გადახედა ვანოს:

— ხუმრობ, თუ მართალს ამბობ?

— ერთი ხელი აიდე, თუ ძმა ხარ. რა დროს ხუმრობაა.

— კაცო, მე შეგონა გერმანელები გადაარეკეს მეთქი. ორი კვირაა სროლის ხმა არ გაგვიგონია... ეს... ეს..

ველარ დაამთავრა. ხელი ჩაიქნია და თავქვე თავგამეტებით დაეშვა. ვანო ვანიერი ნაბიჯებით მისდევდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ი. გრიშაშვილი

## ბრძოლის გმირებს.. სწავლის გმირებს..

თვალციმციმა ვოგონებო, ჰაბუკებო ჩვენი მხარის,  
ყველა თქვენგანს ჩემი რითმა შესცინის და შემოაზარის.

ნეტარების უამსა დაჰკრა, აშრიალდნენ ჩონგურები:  
დაგვიბრუნდნენ, დაგვიბრუნდნენ ვალმოხდილი ლომგულები.

აცქრიალდით, მეგობრებო, მიეგებეთ სტუმრებს გუნდათ,  
თქვენი კარის მეზობელი სახლის კერას დაუბრუნდა.

დაგვიბრუნდნენ, არა როგორც ჯაბანი და ნარისხელი,  
დაგვიბრუნდნენ, როგორც ჭარქაშს უბრუნდება თავის ხმალი.

ბევრმა ველარ მოაღწია... გადაექცა მიწა ბინად,  
მტერს შეაკვდნენ მამულისთვის, რომ თქვენ ტკბილად დაგეძინათ,

რომ შეეშროთ თქვენს ლოყებზე მოკამკამე ცრემლთა დენა,  
რომ დაეცვათ თქვენი გაზრდა, თქვენი კარგი დედაენა.

თქვენც მებრძოლთა ნაწილი ხართ, მათი წიბო, მათი ძვალი,  
თქვენ სუნთქვა ხართ ბელადისა — ჩვენი ხალხის მომავალი.

დაახვედრეთ ჩვენს მეომრებს სიმამაცე, შრომა, გარჯა,  
გაიმარჯვებთ, როგორც მტერზე ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა.

კალე ბოგოხიძე

## ბოღუჰიკი

მომაქვს სინათლე ნათელგონების,  
მოვდივარ ტანჯულ ხალხთა დამხსნელი,  
მე დავანგრძე ჩაგვრა-მონობის  
ციხე-სიმაგრე უკანასკნელი!

მოვდივარ. მკერდში მიცემს მხნე გული,  
ჩემს სწრაფვას ბნელი ვერ მოერიოს,  
მაქვს სიჭაბუკე — ძალა მთებური,  
რა ვუყოთ, თმაში თეთრი მერიოს!

სხვებმა ეძიონ ხაფის წარსულის,  
მეფის, თუ ღმერთის შთამომავალის,  
მზესთან ბრძოლაში ფერგადასული,  
მეწყერს გაჰყვება, მჯერა, მრავალი!

მოვდივარ, მომაქვს ხალხთა ღიდება  
ლენინ-სტალინის დროშის ნათებით  
და იმედივით გულში ბრწყინდება  
გამარჯვებულთა განთიადები!

---



პლ. ჯაფარიძე

## ზ ი ჯ რ ი

დაღამდა... დიდხანს არ დამეძინა,  
ვხეტიალობდი ფიქრებით ველად,  
თითქო კედლები მოერდვა ბინას  
და ავედევნე ოცნებით ბელადს.  
მყის შემომესმა წელი შრიალი,  
თითქო ვიღაცამ წიგნი გაშალა,  
კარადისკენ რომ შემოვტრიალდი,  
აენტო გული, როგორც მაშხალა.  
გამოჩნდა ლანდი დიდუ ლენინის,  
ის წიგნებიდან ამოიმართა,  
ცეცხლში ნაწრთობი ფიგურა რკინის  
დადგა მრისხანედ სამშობლოს კართან.  
ქარმა მოჰბერა აქ ბრძოლის ველით  
ქარიშხლიანი ამბავი ომის;  
ააშრიალა ყველა ფურცელი  
ლენინმა თავის ორმოცი ტომის.  
მან ყოველ სიტყვას შეასხა ფრთები  
და ბრძოლის ველზე გადააფრინა,  
მიწას გააკრა შავი ყორნები  
და შეაგება ცეცხლი და რკინა.  
გრიგალებს ზრდიდა მშობელი მხარე,  
აზავთებული სული ბორკავდა,  
ქარი ფრთიანი რეკავდა ზარებს  
და დამარცხებულ დუშმანს ჰბორკავდა.  
არ დამეძინა, არა და არა...  
სიოც მოიჭრა სისხლში დილის.  
ჰქუხდა ლენინი, ვით ნიაგარა,  
და მოძრაობდა მისი აჩრდილი.

1  
რეზა მარზიანი

## დეკანოზი ხორბალი მაქვს...

დეკანოზზე ხორბალი მაქვს ფარდაგივით გაფენილი,  
ოქროსფერად დახატული, სუფრასავეთ გადაშლილი.

— ნეტავ, ბევრი ჩიტი ენახო ასაკენკად დაფრენილი!

— ჰყენკონ, ჰყენკონ, ბევრი ჰყენკონ—ასაკენკი სხვებსაც ჰჭონდეთ.

ნეტავ ჩემი ხორბლისათვის ერთი ვინმეც გაჩნდებოდეს  
და ჩემს მყუდრო დეკანოზზე სამუდამო ბინა ჰჭონდეს.

— მოდით, ჩემო ჩიტუნებო! მოუთმენლად გელოდებით!  
დეკანოზზე ხორბალი მაქვს, გადმოლახეთ ლურჯი მთები.  
ხელგაშლილი მასპინძელი გულგახსნილი დაგინებდებით!  
... საყვარელო ჩემო ჩიტო, შენ როდისღა მოფრინდები?..

## კავკასიის ღაჯო მთავო...

შორეული სიზმარავით რა ბურუსში მაგონდებით,  
კავკასიის ლურჯო მთებო, ღრუბლის თეთრი იალქნებით!

თითქოს გუშინ, ასე მახსოვს, იყო მხოლოდ უკუნეთი;  
დათოვლილი ბებერ მხრებით, ბოდმით სავსე გუგუნებდით,—

შორეული სიზმარავით ჩემთვის მარად საოცნებო,  
ელვის ისრით დახატულო კავკასიის ლურჯო მთებო!!

## გინდა კვირიკეს გაძაკი

გინახავს ლურჯი ტაძარი კლდის ქიმზე დაკიდებული,  
ჩვენი წარსულის ზღაპარი — ზეცაში გარინდებული?

კვირიკეს მადლით ნაწენი, მშფოთვარე სულით ნაგები,  
ტაძარი ირგვლივ შემკული ნისლეების ბაირალებით.

გინახავს? გათენებისას როცა აჰყვები ბილიკებს,  
როცა მადლიდან დაგცქერის გარინდებული კვირიკე.

გინახავს? დაგავიწყდება? ჩამჭრალი კერის ნაცარი,  
აფეთქებული კვარებით განათებული ტაძარი;

ან კურთხეული სენაკი, შავი მღვიმე და უკუნი,  
ხატის წინ მოყმის ჩურჩული და წინაბრების გუგუნა!

გინახავს ლურჯი ტაძარი, უხმოდ მოსული ცისკარი?  
გინახავს შშის მობრძანება — გალაღებული, ცინცხალი,

ან ის ქედები ზღაპრული, ნანატრ ზღაპარში ხილული  
ზეცაში გადმოკიდული აღმოდებული ყინული?

გინახავს, მოგისმენია, ჩიტების ფრთების ფათქუნი,  
მათი წარმტაცი ვალობა — ჩვენი ლამაზი ქართული?

გინახავს? დაგავიწყდება? როცა აქყვები ბილიკებს,  
როცა მაღლიდან დაგცქერის გარინდებული კვირიკე.

მაშინ ზეცამდე მაღლდება სინათლე, სულში რაც არი,  
გოზიდავს, მისკენ გეძახის განათებული ტაძარი!



## ი რ ე მ ი

მოჩუხჩუხებს უკვდავება,  
მოჩუხჩუხებს წყარო ცივი  
ლურჯდალალა, ლურჯთვალემა  
მერცხლის ენით დალოცვილი.

მძივებს, წყალში დაკარგულებს,  
ბროლის მძივებს რა დაიტევს?  
ტალღა წყნარად აკაეუნებს  
ნაცახცახარ მარგალიტებს.

დილით, როცა ბალახები  
შეიბნევენ ნამის ღილებს,  
ხარირეში ვალაღებით  
მივა წყალთან, გაიღიმებს.

რქებს სარკეში აკვირდება,  
მარგალიტი თუ დაება,  
შეისვენებს, გაგრილდება,  
დაატყვევებს უკვდავება.

წყალი უყვარს და ოცნებად  
მოფრენილი სურვილები,  
როცა ფიქრში გამოჩნდება  
ნატყვიარი ფურირეში.

გამოჩნდება ნეტარება,  
შეჩერდება, დაისვენებს.  
წყალს ტუნებით ეპარება,  
მერე რქებსაც დაისველებს.

გადალულავს ხარა თვალებს,  
საკოცნელად დაეხრება.  
ნატვრას ველარ გაიქარვებს  
და ცრემლები დაელვრება.

გარინდება, გაქვავდება,  
როცა იგრძნობს ფიქრი არი.  
ისევ მთისკენ გაქანდება  
სვედიანი მთის ფირალი.

ალაშ მიცკევიჩი

## გემოგებას ჩასეთში

კიდევ გახსოვართ? როცა მსუსხავ რკინის ხუნდებში პოლონელ ძმების თვალწინ მიდგას ტანჯვა, გოდება — მაშინ უსაზღვრო მწუხარების მძიმე წუთებში, როგორც ნუგეში, თქვენი სახე მომაგონდება.

სად ხართ თქვენ ახლა? მე აქედან ვუგზავნი გმობას მათ, ვინც რჩეულ შვილთ შეუმოკლა დღენი წამებით: მუდამ საყვარელს, ჩემს რილევეს, ძვირფას მეგობარს, კისერზე თოკი წაუჭირეს მეფის ბრძანებით.

ბესტუჟევს, ვინაც რეაქციის უღმობელ დროში დევნილ პოეტის შეიწყნარა დარდი, იარა — ცივი ციმბირი მიუსაჯეს, და მაღაროში მან პოლონელთა მწარე ხეღური გაიზიარა.

ზოგს, შესაძლოა, ერგო მეტი უბედურება, ზოგსაც სასჯელი უფრო მკაცრი მიეზღო წილად: მეფის წყალობას ანაცვალა თავისუფლება, და ტირანის ტახტს მუხლმოყრილი დაემორჩილა.

მოყიდულ სიტყვით დღეს აღიღებს თვითმპყრობელობას — ჩემი მშობელი ხალხისაგან წყვეული მარად, — მას საამაყოდ მიაჩნია ძმათა მკვლელობა, და განწირულთა უმანკო სისხლს ის აფრქვევს ღვარად.

თავისუფლების წმინდა ხმებმა, გულში აღძრულმა, დე, გაანათოს თქვენი ქვეყნის ცა დათალხული, და, როგორც ზამთრის დასასრულზე წეროთა გუნდმა, დაე, გახაროთ თქვენ ნანატრი დღე გაზაფხულის!

თქვენ იცნობთ ჩემს ხმას! ვიდრე ბორკილს პატიმრად ვყავდნ, თვითმპყრობელ ტირანს მე ვეგონე მშიშარა, მზდალი? მხოლოდ მეგობრებს საიდუმლოდ არ გიმალავდით, და მხოლოდ თქვენთან მე ვიყავი გულით მართალი!

შხამით აღსავეს გამოცეცალე მე თასი ჩემი,  
 და ჩემი სიტყვა რისხვის გრდემლზე არის წრთობილი—  
 მასში სისხლის ტბად ამოხეთქავს საშობლოს ცრემლი,  
 დეე, მან დასწევას... თქვენ კი არა, თქვენი ბორკილი

თუ ვინმე ამ ღროს მე საყვედურს მომასმენს ავსა—  
 მე მას მშიშარა, გაბრაზებულ ძალს შევადარებ—  
 ვინაც საყელს მოთმინებით მუდამ ატარებს,  
 და იკბინება, როცა კისრით უხსნიან ჯაჭვსა!

თარგმანი **3. ზორბაძისა.**

## აღოგში

ნეტა მას, ვინცა შენს ხსოვნაში ჩაიძირება,  
 ვით მარგალიტი, ვით მარჯანი. რომელიც მარად  
 ბალტიის ლაქვარდ ზვირთებიდან ზე იმზირება  
 და ქალწულებრივ მის წიაღში ირწყევა წყნარად.

მე, როგორც კენჭსა, სიტურფე რომ არ აბადია,  
 არა აქვს შუქი მარგალიტის და მარჯნებისა,  
 თუნდ ერთის წუთით თამაშობა ზვირთთან მწალიან,  
 მერე კი სილა წამეყაროს დაეიწყებისა...

თარგმანი **კონსტანტინე მიხინაძისა.**



# ყ რ მ თ ბ ა

## I

ზაფხულის ცხელი დღე განსაკუთრებით შემხუთავე იყო. კვირა დღეს გორის ბაზარში მიღეთის ხალხი მისწყდომოდა ურემებით მორკალულ მოედანს.

დახლები საესე იყო სანოვაგით.

ბაოაშლილ ატმებითა და კალოს მსხლით საესე კალათებით მოფენილი იყო მტვრად-ქცეული მიწა.

ფეხშეკრული, დასიცხული ფრინველი ძლივსლა იბრუნებდა სულის-თქმას.

— ჩამოდექით, ხალხო! — გაიძახოდა დაგვიანებული მეურმე, რომელსაც ატენურით საესე კასრებიანი ურემი ჭრიალით მოჰყავდა ბაზრის მოედანზე.

— აბა გორული ვაშლი!

— მსხალი! — ისმოდა განუწყვეტლივ.

გუდა-აკრული მათხოვრები დაძრწოდნენ ერთი კუთხიდან მეორეში და ღეთისმშობელს ავედრებდნენ მოწყალების ვამღებს.

კვერცხით საესე კალათებთან მიწაზე მორთხმული დედაკაცები, ხალხის სიმრავლით შეწუხებულნი, წუწუნებდნენ და თავშლის ყურით იშვენდნენ ოფლიან დაწვებს.

ხალხისაგან მოშორებით ჯოგად იდგა ხარი, კამეჩი, ჯიშინი ღორი და ცხვარი. მათ შორის ჯგუფ-ჯგუფად ჩამდგარიყვნენ გლეხები.

ბაზრის მოედანზევე ხალხისაგან მოშორებით იდგა სახელდახელოდ შეფიცრული ფარდული, რომლის ახსნილ დარაბაზედაც აბრეშუმის დარაიები, მანიანი ხელსახოცები და ნაირნაირი არშიები იყო გამოფენილი. ფარდულის გვერდით გადატრუსულ ბალახზე ელაგა თიხის კოკები, ჯამები, ქოთნები, რაკრაკა ჭინჭილები და სხვა.

ჯამებს შუაგულზე ფერადი მინანქრით ეწერა: გიგო, თამარ, ტატე, ნინო, ბესო და ქალეაის მრავალი სხვა სახელი. ქაშანური მზეზე ბრწყინავდა. სუფთა ნამუშევარს იმ ოსტატის წმინდა ხელი ეტყობოდა, რომელიც ქურჭელს თავზე დასდგომოდა. ამ გლეხთანვე იდგა შუა ტანის ახალგაზრდა ქალი, რომელიც ფხიზლად ადევნებდა თვალს ირგვლივ ყოველივეს.

— დაეილაღე ფეხზე დგომით! — სთქვა ქალმა.

— დიღლებოდი მა რა, ამდენი ხალხის ხმაურით და ყურებით წადი, ვაიარე სადმე, — უპასუხა ქალარა გლეხმა და ახალუხიდან ამოდებული ხელსახოცით გადაიწმინდა ოფლიანი შუბლი. მამაშვილის ყურადღება



ვერცხლის ქამრიანმა წითურმა კაცმა მიიქცია, რომელმაც არღნის ჭიჭვი-  
ნით გაარღვია ზღვად ჩამდგარი ხალხი და აბრეშუმის დარაიებით შეტურ-  
ვილ ფარდულთან გაჩერდა. არღნის თავზე შესკუბულ ყვითელ თუთი-  
ყუშს სელის მარცვალი დაუყარა და კოხტად ჩაქეცილი ქალაქდებოთ საე-  
სე ყუთი მიუდგა. მეარღნეს თან მოჰყვა ორღობეში ადევნებული ფეხშიშ-  
ველა ბიჭების გროვა, ისინი მრავალჯერ დატუქსვის გამო ფრინველთან  
მიახლოვებას ვერა ბედავდნენ.

თუთიყუში კი ბაიათის სევდიან ხმაზე თავდავიწყებით შეექცეოდა-  
საკენკს და ბრძანების შემდეგ მორგძო ყუთიდან ზანტად იღებდა ბედის  
ქალაღს.

ფრინველმა სელის კენკვა შესწყვიტა, როდესაც სადაფით მოვარაყე-  
ბულ არღნის თავზე დაგდებული აბაზიანი გაწყრიალდა.

კისერი წაიგრძელა, გადმოშვდარი მრგვალი თვალები უცნაურად დაუ-  
ბრიალა შუა ტანის ახალგაზრდა ქალს და ნისკარტში ჩაჭერილი ბედის  
ქალაღდით ჰაერში შეფრთხილდა.

ფრინველმა მოკლე კამარა დაარტყა ხალხით საესე მოედანს, დაუბრუნ-  
და პირვანდელ ადგილს, ანთებული თვალებით გადახედა მეარღნეს და ქა-  
ლაღს ნისკარტი შეუშვა.

— უცხო ბედისა ყოფილხარ, ქალო, — წაულაპარაკა მეარღნემ ქალს,  
ქალაღი გაუწოდა და ბაიათი შესცვალა.

ვახალისებულმა ბიჭებმა სტვენითა და შეძახილებით ჰაერში შეისრო-  
ლეს ნაბდის ქუდები. მკიდროდ შემოერთყნენ მეარღნეს და მოჭრიდებე-  
ლი მუჯღუგუნებით განზე გასწიეს ქალი, რომელიც დატუქსული ბავშვი-  
ვით გასცილდა სანახაობას.

— დაინახე, რა ჰქნა იმ უცხო ჩიტმა? — უთხრა ქალმა თიხის ჭურჭელთან  
მდგომ მამას მისელისთანავე.

— დაინახე, მამა, — სთქვა გლეხმა.

— მე იმისი შემეშინდა, სულ არ გაფრენილიყო.

— სულ როგორ გაფრინდებოდა, ე მაგათ ხომ გრძელი ფრთები დაცლი-  
ლი აქვთ.

— რადა აქვთ დაცლილი?

— იმიტომა, რომა შორს არ გაფრინდნენ.

— კიდევ იმიტომ უყურებდა მეარღნე ისე გულგრილად აფრენილ  
თუთიყუშს.

— შენ ვერ ასწავლი მაგ ჯამბაზებსა, ისე მოაქცევენ ჩიტსა, რომ სი-  
კედილამდე მაგათ ემსახუროს.

ამ ლაპარაკის შემდეგ ქალმა ცნობისმოყვარეობით გადაშალა ქალაღი  
და ხმადაბლა წაიკითხა.

— შეხედე, რა სწერია? — წამოიძახა გახარებულმა.

— კარგი სიტყვით იგებენ თქვენ გულსა, — ჩაილაპარაკა გლეხმა და  
მის კეთილ გამომეტყველებას კმაყოფილი ღიმილი დაერთო.

— როგორ, განა ყველა ქალაღს ერთნაირად აწერია?

— ერთნაირად არა, მაგრამა ყველას ისე აწერია, რომ გულს ესია-  
მოვნოს.

ამ სიტყვებმა ქალს თითქოს სევდა მოჰგვარეს. ქალაღი შეინახა და  
შორს დაიწყო ჭერეტა.

ბაზრის მოედანზე ხალხი შეთხელებულიყო. შემორჩენილ სანთგაგესა და ხილის კალათებთან აღარ სჩანდნენ ფუსფუსა დიასახლისები.

კონკილაზე შეყენებული ურმების ჩრდილში შორიდან მოსულ გლეხებს სახელდახელო სუფრა გაეფინათ და ატენურ ღვინოს აყრდნობდნენ. სანთგაგე

აქა-იქ ჯგუფად დამდგარიყვნენ ახალგაზრდები, რომლების მოურიდე-ბელი ჭერეტის გამოც ქალმა წარბები შეიკრა და მიშვიდველ სახეს ჩვეუ-ლებრივი ელფერი დაუკარგა.

მამამ ჩქარა შენიშნა შვილის უხერხულობა.

— კეკე, წადი, შვილო, სახლში და ტატე გამომიგზავნე, — უთხრა გიორ-გიმ შვილს.

— ესლავე წავალ, — სთქვა ქალმა. ხელში შერჩენილი რამდენიმე აბა-ზიანი ცხვირსახოცის ყურში გამოჰკრა და გზას გაუღდა.

ზაფხულის სივხე მთელი სიცხოველით ჩამოდგა. მტვრად-ქცეული მიწა შემხუთავად ეფინებოდა მოედანზე მყოფთ, რის გამოც ხალხი საგრძნობ-ლად შეთხელდა.

— ლაზათი მოგეცეს, ლაზათიანი ჭურჭელი გაქვს, ძმაო, — გამოელაპა-რაკა გიორგის შუა ტანის ჩოხოსანი ახალგაზრდა, რომელმაც მიმავალ კეკეს თვალი გააყოლა და თიხის ჭურჭელთან მივიდა.

— ლაზათიანი რატომ არ უნდა იყვეს, შვილო? — მიაგება მოსულს სიტყვა გიორგიმ, ნაბდის ქუდს ოდნავ ხელით შეეხო და განაგრძო: — მა-მა-პაპიდან ქაშანურის ჭურჭელს ვაკეთებთ, ვიცი მავისი ყადრი, აბა ცოდ-ნას რა დაუდგება წინა!

— ეს წმინდა საქმე მამა-პაპიდან მოგდევს? — შეეკითხა ახლად მისული.

— უფლის მალღმა, მამა-პაპიდან, მაგრამ... — დაუმატა გლეხმა თით-ქოს სინანულით.

— რას ნანობ, ძმაო? — ჩაეკითხა ჩოხოსანი გლეხს, რუსული ქუდი შუბლზე აიწია, ქამარში ჩაკეცილი ხელსახოცით შუბლი გადაიწმინდა და ცნობისმოყვარე თვალები მიწაზე დალაგებულ ჭურჭელზე გადაიტანა.

— არა, მოკეთე და შვილი როგორ არა მყავს, მაგრამ ახალგაზრდები თავიანთ ჭკუაზე მიდიან, აღარ მისდევენ მამა-პაპის ხელობას.

— მართალს ამბობ, ძმაო, — დაუდასტურა ჩოხოსანმა, რომელმაც მო-საუბრესა და წასულ ქალს შორის დიდი მსგავსება შენიშნა.

— ეგე ის ჯამი მომაწოდე, გეთაყვა, — სთქვა ჩოხოსანმა.

გლეხმა ჯამი აიღო და მყიდველს მიაწოდა.

ჯამს შუა გულზე ფერადი მინანქრით ეწერა: „ბესო“.

— მშვიდობით, ძმაო, კეთილი იყვეს ჩვენი გაცნობა, — დაეშვიდობა ჩოხოსანი გლეხს, როდესაც ანგარიში გაასწორეს.

— სიკეთე მოგეცეს მამა უფალმა! — უპასუხა თავის მხრივ გიორგიმ და ნაბდის ქუდს ოდნავ ხელით შეეხო.



გელაძიანთ უბანში ხმა გაგარდა: ბესო ჯუღაშვილი გიორგის ქალს თხოულობსო.

— მერე რა უჭირს, გეთაყვა? ბიჭად ბიჭი კარგია და ხელობაც კარგი

აქვს. მე შენ გითხრა, პურმარილი და მეგობრობა არ იცის — ამბობდნენ უბანში.

მართლაც იმ დღიდან ბესომ გუნებაში ჩაიღო კეკე და ცოლის თხოვა გადასწყვიტა.

გიორგის შუაქაცები მიუგზავნა და შვილი სთხოვა.  
— დმერთმა ხელი მოუშარათოს ჩემს კეკესა! თუ თანახმა იქნება, ბედნიერი იყვეს, თუ არა და ძალად არ გავათხოვებ, — უთხრა გიორგიმ შუაქაცებს.

ბესომ გიორგის ოჯახში სიარული დაიწყო. კეკესაც გულში ჩაუფარდა საქმრო, და საქმე ჩქარა გადასწყდა.

იმ წელს შემოდგომა კარგა ხნის მოწეული იყო, როდესაც გიორგი გელაძის დარბაზში საქორწილოდ გაშლილი სუფრა ეკლესიიდან მობრუნებულ ნეფე-დედოფალს ელოდებოდა.

ორწყებად გაშლილ მაგიდაზე უხვად ელაგა პურ-მარილი. ეზოში ნაზუქისა და შემწვრის სუნი ისე გამდგარიყო, რომ ცეცხლის პირად მოფუსფუსე მზარეული უბნის გლახაკთ ვეღარ იგერიებდა.

ტატემ უკანასკნელ ტაბაქზე გადმოალაგა თევზეული და შეუტია ბიჭებს, რომლებიც სამწვადე ნაკვერჩხლის გაჩაღების მაგიერ მსუნვაგობაში გართულიყვნენ.

— შემოდგი ფეხი, დამილოცინხართ! — დაიძახა სიძემ, როდესაც დარბაზის კარებში ჯამი გაატეხინეს და ატენურით სავსე რქა მიაგებეს.

— მოდი, შვილო, ბედნიერებით და დოვლათით აგვესოთ სახლი! — გამოეპასუხა გიორგი და ადგილიდან დაიძრა. სიძე-სიძემარი ერთმანეთს გადაეხეივნენ და ყანწები დასცალეს.

კარებში თეთრებით შემოსილი პატარძალი გამოჩნდა. დედოფალს თან მოჰყვა მთელი გუნდი მეგობარ ქალიშვილებისა.

სადარბაზოდ გამოწყობილ გიორგის, რომელიც დინჯად დაიძრა ადგილიდან და შვილისაკენ გაემართა, შავი სატინის ნაოჭ-აყრილი ახალბი და კოხტად მოქობილი ქართველური შარვალი დიდკაცურ შეხედულებას აძლევდა. მან უშებლზე აკოცა შვილს, გვირგვინი დაულოცა და წმინდა გიორგის შეავედრა მისი მომავალი.

გიორგის დალოცვის შემდეგ ნეფე-დედოფალს მანდილოსნებმა მიულოცეს ბედნიერი დღე და კარგი მომავალი უსურვეს.

მაგიდის გარშემო მზრუნველობით აფუსფუსდნენ თავმომწონე დიასახლისები. სტუმრებს სუფრის წესით შესაფერი ადგილი მიუჩინეს და კარებზე მომდვარ გოგო-ბიჭებს პატარძლის სახელით ნაზუქის ყუები დაურიგეს.

იმ ღამეს ქორწილში მყოფთ სუფრაზე დაათენდათ. მეორე დღეს კი გაშლილ მაგიდას მხოლოდ ნეფისა და დედოფლის ახლო ნათესაებები ესხდნენ და ახალი ოჯახის მოწყობაზე ლაპარაკობდნენ.

— კეკეს მზითვეში დედისეული სკიერი და ქართული ტახტი ექნება, შვილო, — უთხრა გიორგიმ სიძეს.

— სიმდიდრეს რა თავში ვიხლი, ოღონდ კეკე ჩემს გვერდში ტრიალებდეს, — სთქვა ბესომ და სიმამრის ლაპარაკს აუჭკია.

განვლეს ქორწილის დღეებზე. ბესომ შემო უბანში ერთა ოთახი იქირავა, პატარა ოჯახი მოიწყო და თავის საქმეს გულდინჯად ჩაუჯდა.

მუყაითი პატარძალი ახალ ოჯახს დიდი ხალისით მოეკიდო, მაღლიან ახარებდა საკუთარი კერა, მაგრამ ხელმოკლეობა დრღინდა ხალისით სავსე მის გულს.

ეკეკეს

— ვითომ რა მოხდება, მეც რომ საქმეს მოეკიდო ხელს—დასწამსქექმად არ ვიჯდე? — ხშირად ეტყოდა ქმარს.

— ნუ ჯავრობ, ქალო, მუყაითი შრომით უქონლობას ქონება მოჰყვება. ერთი ხელის დადებით ქალაქი ვის აღშენებია? — ამწვიდებდა ბესო ცოლს.

ერთ დღეს კეკემ დილითვე მოათავა საოჯახო საქმეები, კარები გამოჰკეტა და მეზობლად ეგნატაანთსა გადავიდა.

ეგნატაანთ ზემო უბანში კარგა შეძლებული ოჯახი ჰქონდათ.

მოცილილ დროს შეგვიღო კეკეს დიასახლისი სიხარულით შეეგება, ჯანმრთელობა გამოჰკითხა და ოთახში შეიპატიჟა.

— კი არ გეწყინოს, კეკე, და ერთი რამე უნდა დაგსაქმო, — თუ დრო გაქვს, ერთი ჩითის კაბა გამომიჭერი! — სთხოვა კეკეს დიასახლისმა მუსაიფის შემდეგ.

— რატომაც არა, თუ მოგწონს ჩემი ხელსაქმე, ეგ რა დიდი რამეა! — უპასუხა კეკემ თავის მზრივ და მაგიდას მიუჯდა.

იმავ საღამოს კეკესთვის გასამრჯელო გამოეგზავნათ. არ უნდოდა კეკეს აღება, მაგრამ არ მოეშენენ.

არც კეკე დარჩა უმადური თავის გარჯისა, რადგან მისი შრომა უჯილდოდ არასოდეს არ დარჩენილა. ოჯახსაც ჩქარა დაეტყო მოულოდნელად შემოსული ცოტაოდენი ფულის ბარაქა.

კეკეს დაულალავი გარჯის ამბავი უბანში ყველამ ჩქარა გაიგო. ბევრი აქებდა მის შრომისმოყვარეობას, მაგრამ ბევრიც ძრახავდა.

— ნეტა ჩემი ჯაფა ვისა ჰდღის? შრომა კი არ არის სირცხვილი, სირცხვილი მუქთად ჯდომაა, — სთქვა კეკემ, როცა ეს ამბავი მის ყურამდე მივიდა.

ზამთრის ერთ-ერთ თოვლიან ღამეს, როდესაც მთელი ქალაქი თეთროსაბნით იყო დაფენილი ჯუღაანთ ოჯახს ვაჟი შეეძინა.

ახალგაზრდა მშობლები აკვანში ჩაკრულ პატარა ბიჭუნას მზრუნველობით დასტრიალებდნენ თავზე. სიხარულით შეჰყურებდნენ, როდესაც ბავშვი საძილოდ მიწაზე თვალს დასაქმული ხელებით დაუწყებდა სრასას, როდესაც მუხლის მომაგრების შემდეგ მიუხმარებლად ჩერდებოდა დედის კალთაზე, რასაც მოჰყვებოდა ფრთხილი ნაბიჯის გადადგმა კედელკედელ, გაბედული ცანცალი, ტიტინი, შემდეგ ბეჯითი ლაპარაკი და თამამი სირბილი.

საღამო ეკამს სამუშაოდან დაბრუნებული მამის მუხლზე შემონჯდარი ბავშვი ნებიერად ჰყვებოდა, რაც ენახა მთელი დღის განმავლობაში. მაგრამ ჩქარა იგი არა კმაყოფილდებოდა თავისი მოყოლით, არამედ თვითონ მოითხოვდა, რომ მისთვის ეამბნათ.

ამიტომ ყოველ საღამოს, როცა დასაძინებლად გამზადდებულ ბავშვს დედა გვერდით მიუწვებოდა, უყვებოდა არაკს:

— იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული ხელმწიფე და ჰყავდა სამი ვაჟიშვილი.

როდესაც ხელმწიფე ღრმად მოხუცდა, სიკვდილის წინ დაიბარა შვილები და უთხრა:

— შვილებო, მომიტანეთ თქვენი შვილდის ისრები.

მიართვეს მეფეს ისრები. მეფემ ისრები ერთად შეკონა და უთხრა:

— გადასტეხეთ!

შეეცადნენ შვილები, მაგრამ ისრების კონა ვერ გადასტეხეს. მაშინ მეფემ კონა გაახსნევინა, ისრები სათითაოდ გადასტეხა და შვილებს უთხრა:

— ხედავთ, შვილებო, ერთად შეკრული ისრები ვერ გადასტეხეთ, სათითაოდ კი ადვილად გადატყდნენ. გახსოვდეთ, ცალ-ცალკე მტერი ადვილად დაგამარცხებთ, ზოლო თუ ერთად იქნებით, ვერას დაგაკლებთ, რადგან ეგეთია ძალა ერთობისა.

უთხრა ეს მეფემ თავის შვილებს და სული განუტევა.

როცა დედა არაკის თბრობას გაათავებდა, მკერდთან მიყუჩებულ შვილს მზრუნველობით საბანს გაუსწორებდა, და ქოჩორს დაუქოცნიდა.



იმ წელს მარტი დაილია, მაგრამ დაძლეული ზამთარი თავისას მაინც არ იშლიდა. თუმცა ერთხანს ისე დათბა, რომ ვაზი ატირდა და ხეხილს კვირტები დაეხერა, მაგრამ მერე ქართია და უამინდობით გაბეზრდა ხალხი.

გახშირდა ავადმყოფობა. წითელა და ყვავილი ისე მოედო მოსახლეობას, რომ ოჯახი არ იყო, ავადმყოფი არა ჰყოლოდათ. ამის გამო კეკე შვილს უშვებდა მხოლოდ მეზურიაანთ ქიტას ოჯახში, რომლის სახლშიც სოსოს ტოლი ორი ჯანსაღი ბიჭი დარბოდა.

იმ დღეს სოსო ქიტას ბავშვებთან თამაშობდა და რაკი შეაგვიანდა, დედამ მიაკითხა შვილს.

— თებრო, რა დაემართა სოსოს, ასე რომ აბუზულა? — იკითხა კეკემ, როდესაც დარბაზის კარი შეაღო და ჭილობ-გადაფარებული ტახტის კუთხეში მიმჯდარი შვილი დაინახა. დედის მისვლა ბავშვს არაფრად ჩაუგდია, იგი ისევ გაბუტული იჯდა: არც ბუზრის წინ კაკლობაში გართულ ბიჭებს უყურებდა და არც მის გარშემო მბტუნავ ცინდალს, რომელიც, ყურებდაწკებილი, კედს შეუჩერებლად ანძრევდა და ბრჭყალებ-აშლილი შეჭყურებდა ბავშვს, რამ მის განძრეულ ხელფებს ერთი მსუბუქი ნახტომით დასცემოდა.

— არ ვიცი, გეთაყვა, წელან მშვენიერად თამაშობდნენ, — მიუგო თებრომ, როდესაც მეზობელს შეეგება და სოსოს მზრუნველობით გადახედა.

— ალბათ, კარგად არ არის, თორემ ამან განზე გადაგომა არ იცის, — ჩაილაპარაკა კეკემ, შვილთან მივიდა და მუხლებზე დაისვა.

ჭილობზე მბტუნავი კატის ცინდალი ციბრუტივით შეტრიალდა და რამდენიმე ნახტომის შემდეგ ბუზრის წინ გაჩნდა.

— სიცხე აქვს! — სთქვა დასვედიანებულმა დედამ, როდესაც ბავშვს ხელის გულები გაუსინჯა, და უსიტყვოდ დაუწყო ჩაცმა.

— ყოლა, მოუტა სოსოს თავისი კაკლები! — უთხრა თებერძან შვილს. ყოლა იმავე წამს შეტრიალდა, იდაყვებით აინჩჩა ჩვეჯღერდნეუ შარვალი და წაავლო ხელი თაროზე შემოდებულ თუშურ ქუღს, რომელშიაც ათიოდე კაკალი ეგდო.

— აჰა, შენი კაკლები! — უთხრა ყოლამ მორიდებით ამხანაგს. სოსომ კი გამორთმევის მაგიერ ბიჭს განურჩევლად გადახედა და პირი დედისაკენ იბრუნა.

იმ საღამოს სიცხის აღში გახვეული ბავშვი ჭირვეულად იხდიდა საბანს და გამუდმებით მოითხოვდა წყალს.

საგონებელში ჩაეარდნილი მშობლები შეშფოთებულნი დასტრიალებდნენ ერთად-ერთ შვილს. მრავალი ფიჭრი მოსდიოდათ თავში, მით უმეტეს იმის შემდეგ, როდესაც სოსოს ყვავილის ნიშნები დააფინა.

საბადით დიდად შეშინებული დედა სოსოს სიცხიან ხელს ლოყაზე ისეამდა და ეუბნებოდა ბავშვს:

— არაფერი გიჭირს, შვილო, სიცხე ჩქარა გაგივლის და ისევ კარგად გახლები.

გული კი მდულრად ეწოდა, ტრემლები შეუჩერებლივ სდიოდა ნაძალადევიდ მცინარ სახეზე. მეტადრე მაშინ, როდესაც ბავშვი სიცხისაგან აპრიალებულ თვალებს დედას მიაპყრობდა და იტყოდა:

— დედი, წყალი!  
— აი გენაცვალე, აბა, წამოსწიე თავი, ტკბილი წყალია, სადაცაა მამაც მოვა, მოგიტანს ყინულშაქარსა. ასე ტკბილად დაამდით, ბატონებო, — დააყოლებდა ხოლმე წყლის ყოველ მიწოდებაზე.

იმის შემდეგ, რაც სოსოს ბატონები გამოაჩნდნენ, ყვავილნახად მეზობლებმა ბავშვს პურის ჩიტებითა და ტკბილეულით საესე ხონჩა შემოუტანეს.

კეკე ცდილობდა ბავშვი გაერთო, გამუდმებით უამბობდა ზღაპარს მეწისქვილის მიერ ნაბოენ ოქროს ქოჩრიან ყმაწვილზე ან ჩონგური ეჭირა და ნელის ხმით იმღეროდა:

იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო,  
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავ ნანინაო,  
შეჭრაღ, ტკბილად, უღარდელად, იავ ნანინაო,  
შვილ სოფელსა მოფინენ, იავ ნანინაო,  
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავ ნანინაო.

— ხომ მოეწონა შენს ბატონებსა, გენაცვალოს დედა? დაამდით, დატკბით სიამით, — უთხრა კეკემ პატარა სოსოს, გაუღიმა და ქოჩორზე ხელა გადაუსვა, თან გამწარებულმა გულში ხელი ჩაიხაგუნა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ღმერთო, შენი მუხლის ჭირიმე, იოლად მოეკიდე ჩემს პატარა სოსოსა! — და უხმოდ აქვითინდა.

ბავშვმა თვალი გაახილა. როდესაც მტირალი დედა დაინახა, განცვიფრებულმა ერთ ხანს თვალი მიაშტერა და ისევ წყალი მოითხოვა.

— აჰა, ღმერთო! — დაიძახა ამ დროს ოთახში შესულმა თებრომ, ბეჭებზე მოგდებული შალი შესვლისთანავე სკამზე მიაფინა და კეკეს მიუბრუნდა: — ჰა, შენი არ მიკვირს, რა გატირებს, ქალო? ღვთის მოგზავნი-

ლი ბატონების დატირება როგორ შეიძლება?! — ამის თქმას თებრომ ოთახის კუთხეში ჩამოკიდებულ ხატისაკენ იბრუნა პირი და პარჯერის წერით შეევედრა: — ღმერთო, ნუ უწყენ გაჭირვებულს! მწერე კეკეს მიუახლოვდა: — ადე, მიმიშვი ბავშვთან, შენ განა მატრტა... მატრტა... მატრტა... ხარ?

თებრომ კეკეს ადგილი დაიკავა, იქვე აყუდებულ ჩონგურს ხელი წააგლო და დაამღერა:

მე ერთი ჩიტი გავზარდე, ელვარე იყო, წითელი,  
ქოჩოხი პქონდა ფირუზი, ყბა და ნისკარტი ყვითელი.

ასი ხევი ავიარე, ასი ნუკრი მოდიოდა,  
ერთსა ფეხი მოსტეხოდა, ყველა იმას მოსტიროდა.

იამა გშობა შობითა, გარდმა გავზარდა ქებითა,  
ნარგინმა ძუძუ გაწოვა, მას პგებარ სურნელებითა.

ერთ დღეს პატარა სოსო ცუდად გამოიყურებოდა. მუწუკები დაუბებრა, სიცხე აბორგებდა და ქავილ-ატეხილი ბავშვი ღონემიზილი იწვა ლოგინზე.

— მიშველეთ, გადამირჩინე ჩემი სოსო, მამა უფალო! რა ექნა, როგორ დავაამო ბატონები? — ეუბნებოდა კეკე ოთახში თავმოყრილ მეზობლებს.

— მოიცა, კეკე, მოიცა, ეხლავე მოვა ცისკარიანთ მართა, შეულოცავს და დაატეხობს ბატონებსა, ის არის მაგათი საყვარელი, ხომ იცი? აბა, ნახე, კარგად თუ არ გახდეს ჩვენი ბიჭი, — ამშვიდებდა ციხითათრიანთ მამა შეშფოთებულ დედას და ქავილ-ატეხილ პატარა სოსოს ზეითუნის ზეთში ამოვლებულ ბატის ფრთას უსვამდა ამობურცულ ყვავილებზე.

იმ უბანში ცხოვრობდა ყვავილნახადი მართა ცისკარიშვილი, რომელიც მეტად კეთილი ქალი იყო. ბავშვებს ძალიან უყვარდათ ეს ადამიანი და როცა ყვავილით შეწუხებული ბავშვი უკანასკნელ დღეში იყო, იმას დაუძახებდნენ ხოლმე. ახლაც გაიღო კარი და ოთახში შევიდა შუა ტანის, ტანწერილი, შუახნის ქალი. მას თავით ფეხებამდე წითელ-ყვითელი სამოსელი ეცვა. ქალი შესვლისთანავე საწოლთან ჩვიდა და წკრიალა ხმით შესძახა:

— ბატონებო, დღეს მე თქვენთანა ვარ, აბა მომხედეთ, გიამებათ ჩემი დანახვა. თქვენთვის მოვირთე და მოვიკაზმე!

ბავშვმა ქალის შეძახილზე თვალი გააზილა და განცვიფრებით დაუწყო ცქერა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონებო! — განაჯრძო ქალმა: — შეგიპყრიით ბავშვი და ასე დაგიფენიათ. დაამდით, დატკბით, დაშუშდით! შეგიტყვი თქვენი მობრძანება და მუხლს ეიყრით თქვენს წინაშე.

ქალმა მუხლი მოიყარა, ზე აპყრობილი ხელები გულზე დაიკრიბა და თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა.

გაოცებულმა ბავშვმა წამოიწია და ცნობისმოყვარე თვალები მიაშტერა.

ქალი უეცრად წამოდგა, ჩონგურს ხელი წამოაგლო და ბავშვისათვის ადვილად საყურებელ ადგილზე დაიწყო ნელი დავლა და ჩონგურზე დამღერება:



შვიდ სოფელსა შვიდწინ შვიდნი და-მანაო,  
 შვიდ კარვადა დატებენ, დაცხრენ შვიდნი და-მანაო,  
 იაე ნანა, ვარდო ნანა, იაენანაო.  
 ჩვენც ბატონები გვესტუმრენ, იაენანაო.  
 დატებით, დაცხრით, დაშოშინდით, იაენანაო,  
 ამ ხონასაც შემოვწირავთ, იაენანაო.



ბავშვი ყურადღებით და ცქციტად ადევნებდა თვალს ბრჭყვიალა კაბის ნელ რხევას. სმენაც დაუტკბო იმისმა წყრილა ხმამ. გამოფხიზლდა და როდესაც ჭრელკაბიანმა ქალმა შემოვლა გაათავა, ყველასათვის მოულოდნელად წამოიძახა:

- ვის უნდა მისცეთ ჩემი ჩიქები?
- დიდ ბატონსა, გენაცვალე! — შესძახა მართამ და სოსოსთან მივიდა.
- სად არის დიდი ბატონი?

— აი იქა, — აღაყრო ხელები მართამ ცისკენ და დააყოლა: — გარეთ გაუდღვამ შენს ტკბილ ხონასა და ჭრელები აუტანენ ძღვენსა, აი იქ, დიდ ბატონსა!

— აბა, კიდევ დაუჯარი! — სთქვა ბავშვმა და მანამდე იდაყვზე დაყრდნობილი თავი ბალიშზე დაუშვა, — აბა კიდევ დაუჯარი, — გაიმეორა დაეინებით.

— დაამდით, დიღო ბატონებო! — დაიწყო ხალისშიცემულმა მართამ, მსუბუქად შეტრიალდა, ისევ დაუჯრა და თანაც ნელი ხმით აყვავა ჩონგურს.

ბავშვმა მოიხედა.

მეორე დღეს დილითვე აცქრიალდა. წითელი მანებიანი საბანი ფეხებით მოიშვლია და ადგომა მოითხოვა. ბავშვის გამოკეთებამ მშობლები გაახარა, თვით ბავშვიც ხომ ლაპარაკად გადაიქცა.

- ვინ იყო ჭრელკაბიანი, ლამაზი ქალი?
- რად მოვიდა?
- სად წავიდა?

— რად გაუტანა ჩემი ხონა ბატონებსა? — კითხულობდა განუწყვეტლივ ჩქარა სოსოს სიცხე დაუცხრა, აბურცული მუწუკები დაუქნა, დაეფუცა და ქერქებად დასცივიდა.

— გენაცვალოს დედა, რალამც გადამირჩი, ეხლა მე ვიცი, როგორც მოგივლი! — ეუბნებოდა დედა შვილს, როცა ავადმყოფობის შემდეგ ლოგინიდან აყენებდა.

ბავშვი ისევ ძველებურად აცქრიალდა, დედ-მამას ყელზე შემოეჭდო და ლოყები დაუყოცნა.



წავიდა ზამთარი და თან წაიღო წყვედიანი ხანგრძლივი ღამეებისა. აპრილის თბილმა მზემ ცხოველი სხივი სტყორცნა დედამიწას, ჰერს სიცოცხლე შეაფრქვია, კვრტებს მოედო, მოელამუნა, გაუხსნა გული და ააყვავა. შეიმოსა ბაღი. ველ-მინდვრად ახალი ბალახის სუნი დატრიალდა.

გაზაფხულის წყნარი და მშვიდი საღამო იყო. ქართლს სიგრიერ-სიგანემდე ცის ლაქვარდი ჩაპკროდა, რომელიც თავის პირმშოს იღუმეზელ მიწნებებოდა.

გორში ამ იღუმელ სიმშვიდეს ქალაქის ხმაური არღვევდა. ქუჩებში გაისმოდა ბავშვების ევილ-ხივილი, ფანჯრებში ქალების გაბაასება, გარეუბანში კი ნახირის ბლავილი და ოჯახის მზრუნავ დიასახლისების ხმაგაბმული ძახილი.

ამ საღამოს ჯუღლანთ ოჯახის კარი ფართოდ იყო გაღებული. საქმეში ხელჩართული კეკე შეუჩერებლივ ფუსფუსებდა. უცბად შესდგა, წამოწყებულ საქმეს ხელი გაუშვა და განჯინას მიაშურა. ჯამში მოგროვილი მაწვნის თავნახადი გადმოიღო, ბოთლში ჩაასხა და დღევნას შეუდგა.

ბოთლის შეუჩერებელ რყევაში დრო შეუშინეულად გავიდა. ოთახში სინელე ჩამოწვა. კეკემ კამოდზე შემოდებული შუშის ლამფა აანთო, მაგიდაზე გადადგა და ბოთლში ჩაწოლილი კარაქი ორჯამიანზე გადაცალა. მერე სადღლიდან მორჩენილი კერძი და შოთი პური მაგიდაზე გადაიღო და ეზოში გავიდა.

— თებრო! ჰაი, თებრო! — გადასძახა კეკემ ხმაგაბმულად მეზობელს: — ბავშვი გამომიგზავნე, ქალო, გეყურება?

— ჰო, ეხლავე, — გადმოსძახა თებრომაც.

თებროს ეზოდან კეფაზე ნაბდის ქუდით სოსო ასკინკილად გამოვიდა და სახლისაკენ გაემართა. გზაში იმღეროდა:

კურდღელი მოცანცალებდა, დილივმე, დილივმე,  
ფეხმოტეხილი საწყალი, დილივმე, დილივმე,  
ზურგზე ეკიდა საგზალი, დილივმე, დილივმე,  
ჩაფნახევარი მაჭარი, დილივმე, დილივმე!

შუაგულ შარაზე სიმღერით მორბენალ ბავშვს ვეება ფური შემოეყარა, რომელიც ზანტად მიაბოტებდა. წითელი ხალათისა და განიერი შარვლის ფრიალით მსტუნავ ბიჭს რომ მოპკრა თვალი, შესდგა, თავი მიძიმედ დაპკიდა, ბიჭს თვალეზი მიაშტერა და თავი ურჩად გაიჭინა.

სოსოს წამოწყებული სიმღერა ყელშივე შეაცივდა: „ვაიმე, დედა!“ — გაიფიქრა მან და ადგილზე ვაშეშდა. მაგრამ უეცრად სახე შეეცვალა, განზე გადახტა და ჩიტივით მიაფრინდა მესერს. სწრაფად მოექცა ღობეს თავზე.

— ეგეი! შე სამგლე შენა! — გადაპყვირა იქიდან, ცალი ფეხიც აიჭინა და თან იმნაირად დასპყვილა, რომ დაფეთებული პირუტყვი შეტრიალდა და ჰაერს წიხლები დააყარა, მერე გვერდზე გადახტა და ოთხით თავქვე დაეშვა.

სოსო კისკისით ჩახტა მესერიდან, ასკინკილა წავიდა და სიმღერით განაგრძო გზა:

ზურგზე ეკიდა საგზალი, დილივმე, დილივმე,  
ჩაფნახევარი მაჭარი, დილივმე, დილივმე!

— უი, დამიდგეს თვალი, ბიჭო, რამ დაგაოფლიანა ეგრე? — შესძახა დედამ, როდესაც ბავშვი ოთახში შევიდა.

— არაფერმა, დედი. მე, კოლა, ვასო, ჩარკვიანთ ბიჭები და სანდრა დამალობას ვთამაშობდით, — ამის თქმანზე ონავარმა თავიდან ქუდი მოიშვლი-

მა, ტახტზე გადაადგო და დედასთან მიიბრინა:—დედი, დედი, რომ იცოდე, რა კარგ ადგილზე დავიმალე. თებროს სათონეში ჩავძვერი და სეზონიდან ლასტი გადავიფარე. იმდენი მძებნეს, რომ მე თითონ მომწყინდა ნაცარში ჯდომა და ამოვედი.

— რა მოუსვენარი ხარ, ბიჭო!—სთქვა კეკემ და ბავშვი ლამფის შუქზე თავით ფეხამდე დაკვირვებით დაათვალიერა.—აბა, ეხლა შენ შარვალსა და ფეხებს დახედე, თეთრად რომ გაგუნგლულხარ. ან და რა ძალა გედგა თბილ სათონეში რომ მოიგულდე თავი?

— სათონეში ისე კარგად ვიყავი მოწყობილი, რომ წიგნი და მაკლდა.

— იცი, სოსო, დღეს მასწავლებლიანთა ვიყავი და ორი წიგნი წამოვიღე.

— აბა, დედი?

— ემანდ სკამზე დევს, ნახე, შვილო!

სოსომ სკამთან მიიბრინა, წიგნები მოძებნა და განათებულ მაგიდას მიუჯდა.

იგი წამდაუწუმ ენის წვერით ისველებდა საჩვენებელ თითს, ფურცლავდა და ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს. თან ფიქრობდა: „რა კარგია, კითხვა რომ ვიცოდე, ამას წაეიკითხავდი“,—თითი პატარა ლექსს დაადო და ისე დაჟინებით დაამტერდა, თითქოს ასოები ეუბნებოდნენ:—ესა და ესა ვარ, წამიკითხეთ. ბრაზი მოუვიდა, რომ ვერ წაიკითხა და დედას უთხრა:

— დედი, როგორ მინდა ეხლა, კითხვა რომ ვიცოდე. ასო ასო კი არა, აი ასე, წყალივითა,—საჩვენებელ თითთან ერთად აჩქარებულად ჩააყოლა თვალი ბწყარებს, მერე მეორე გვერდზე გადავიდა და იქაც განაგრძო.

— უი, შენ გენაცვალოს დედა!—წამოიძახა გახარებულმა კეკემ:—ეგრე კი არა, მაგაზე კარგად გასწავლი, თავი რად მინდა ცოცხალი, რომ მასწავლებელი არ გამოგიყვანო. ოღონდ კარგი ბიჭი იყავი და ეგ ჩემზედ იყოს. სხვანაირი დრო მოდის, შვილო, სხვანაირი!—ჩაილაპარაკა კეკემ თავისთვის ჩუმი ხმით და ისე გაჰხედა სარკმელს, თითქოს თვალით ხედავდა მომავალსაო,—უსწავლელი კაცი გროშად აღარ ეღირება, ლუკმას ვეღარა სჭამს, ხეირიან ხელოსნებსაც უჭირთ ცხოვრება!—უკანასკნელი სიტყვები კეკემ სევდიანად სთქვა, საქმეს ხელი გაუშვა და შვილთან მივიდა.

— როდის დავიწყებ სწავლას?—აკითხა დედას სოსომ და ცნობისმოყვარე თვალებით მიაცქერდა.

— ჩქარა, შვილო, ჩქარა, ჯერ სკოლაში არ მიგიღებენ, ექვსი წლინახევრისა ხარ.

— მაშ, რამდენისა უნდა ვიყო, რომ მიმიღონ?

— რვა წლისა, გენაცვალე.

სოსომ საჩქაროდ გადაშალა რვა თითი, ექვსი დაჰკეცა და ნაწყენმა სთქვა:

— ეე... როდის ვიქნები რვა წლისა!

დედამ ბავშვს ვახშამი მიაწოდა, თითონაც მაგიდას მიუჯდა, და დედა-შვილი შეექცნენ.

სოსოს თვალები უცნაურად აუციმციმიდა, შუბლზე ჩამოცვენილი ჯიუტი თმა უკან გადაიყარა და დადინჯებულმა რაღაცაზე დაიწყო ფიქრი.

სოსო, ცელქი, მოუსვენარი და მოძრავი ბავშვი, სწრაფად დინჯი და დაფიქრებული გახდებოდა ხოლმე.

იმ დღეს, როდესაც თამაშით მოქანცულმა ბიჭებმა ციხითათრინათ აივანთან მიიბრინეს, ბავშვებს ქალაქიდან ჩასული უცხო სტუმარი დაუხვდათ. უცნობი თავმდაბლად ჩაერია ბავშვებში და რაკი ქვეყნის ყურადღება მიიჭყია, გადასწყვიტა, ეამბნა რამე.

— ეგე რომ კავკასიონის მთებია, — დაიწყო სტუმარმა და ხელი ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა: — იმ მთაზე ერთი დევე-გმირი ვაჟაკია მიჯაჭული, რომელსაც სახელად ამირანი ჰქვია. ამირანს ღვთისთვის მოეტაცნა ცეცხლი და დედამიწაზე ჩამოეტანა ადამიანისათვის, რომელაც უცეცხლობის გამო ბნელსა და ცივ სამყოფელოში მოუთუთქავად სძიძგნიდა ნანადირევ ხორცს, პირიდან მონადენ ორთქლით ითბობდა გათოშილ ხელ-ფეხს და შეჭლადებდა ამომავალ მზის სხივს, რომ მიეტანა სითბოც და სინათლეც. ცეცხლის მიწაზე ჩამოტანისთვის ღმერთი დიდად განრისხებულა, გულკეთილი დევე-გმირი იალბუზზე მიუჯაჭვნია და მისი გულ-მკერდისათვის ყვაე-ყორნები მიუჩენია.

— ეხლაცა ჰკორტინან? — შესძახა შუბლშეკრულმა სოსომ და თვალების ციმციმით შეაცქერდა სტუმარს, რომელმაც განაგრძო:

— მაგრამ ხალხმა, რომელიც ღმერთის ურჩობას ვერა ჰბედავდა, საყვარელი გმირის ჯაჭვებს ძაღლის ლეკვები მიუჩინა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ლოკავენ რკინას და აწერილებენ. ბოლოს რკინა ისე გაწერილდა, რომ ამირანი ღონივრად მოეძალა და აიწყვიტა კიდეც.

— უჰ, შენი ღმერთის ქირიმე! — შესძახა სოსომ და სახე გაუბრწყინდა. — მაგრამ, — განაგრძო სტუმარმა: — ღმერთმა იმაე წამს შეიტყო ამირანის ურჩობა, კვლავ შებოჭა დევე-გმირი და კვლავ მიუჩინა მის მკერდს ყვაე-ყორნები.

— ეე, ეგ რაღა გამოვიდა! — ჩაურთო ციხითათრინათ სანდრამ და ამხანაგებს გადახედა.

სოსომ თანაგრძნობით შეაგება თვალი სანდრას, მერე შუბლშეკრულმა სტუმარს შეხედა: ამბის ბოლოს დაელოდა.

— ღმერთი ყოველთვის განაახლებს ზოლმე ჯაჭვს, როდესაც ამირანი აიწყვეტს, მაგრამ ხალხი მაინც არა ჰკარგავს იმედს და იმღერის:

კავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭული,  
ყვაე-ყორნები ეხვეოდნენ,  
დაფლეთილი ჰქონდა გული.  
... მოეა დრო და თავს აიშუებს  
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,  
სიხარულად შეეცვლება  
ამდენი ხნის გამჭირი!

დაასრულა უცნობმა და დაურთო:

— თქვენც ისწავლეთ ეს ლექსი და უმღერეთ კავკასიის ქედზე მიჯაჭულ გულკეთილ დევე-გმირს.

ლექსი უცხო სტუმარმა რამდენჯერმე გაიმეორა.

სოსომ ჩქარა დაიხსომა ლექსი, ზოლო მერე დღეს ტოლებთან ხელგადაკდობილი კარმიდამოებს უვლიდა და მათთან ერთად წყრილა ხმით უმღეროდა ამირანს.

ზაფხულის ცხელი დღე გრილმა საღამომ შესცვალა. სიციხის შეწუხებულ ხალხი სიგრილეზე ეზო-ბაღებს მოეფინა. ბავშვებმა საცხარო ხელით ნაკეთებ შვალდებით და ცხენებით ეზო-ეზო დაჯირითობდნენ.

ჯულანთ პატარა ეზოში სოსო თავისი ტოლებით კარგა ხანია სალდა-თობას თამაშობდა: „მარჯუნისაკენ! მარცხნისაკენ!“ გაისმოდა ეზოში უფროსის ბრძანება...

შემდეგ ბიჭები ერთხანს ფიჩხებზე ჩამოსხდნენ და ყველანი ერთად აყაყანდნენ.

— კარგი, ბიჭებო, რაც იყო, იყო, ეხლა ცხენებზე შევხსნეთ და ციხისაკენ გავექცეთ, — დაიძახა სოსომ, პირველი თვითონ წამოხტა და თავის ცხენს მოაჯდა. მერე შეილდ-ისარი გადაიყიდა მხარზე და ამხანაგებს დაელოდა.

— გააკე, გააკე! — შესძახეს ბიჭებმაც და ერთ წამში ყველანი მზად იყვნენ.

ბიჭები გაიქცნენ. სისწრაფისაგან ქიმარ-შეხსნილი ხალათები და მუხლ ქვეითამდე ჩაშვებული ფართოტოტება შარვლები ნიაზე ფრიალებდნენ. ზაზე კი ჯოხის ბოლოთი მოფხაჭნილი მიწის კორიანტელი დგებოდა. შვილდისარი წარა-მარა ტრიალდებოდა და წნელის კუთხე ზედ კისერზე ერჭობოდა სოსოს.

ბიჭები ჩქარა მიადგნენ ქალაქის შუა აღმართულ ციხეს. ქშენა-ქშინით აიარეს აღმართი და ციხის დანგრეულ გალავანზე დასასვენებლად ჩამოსხდნენ.

— არაფერი არ მინდა, მართალი ცხენი მყავდეს, — სთქვა კოლამ, ჰერში ჩამოკიდებული ფეხები თავისუფლად აბარტყუნა და წინ გადაშლილ შინდვრებს თვალი მიაველ-მოაველო.

— კარგი რამეც ინატრე, — გააწყვეტინა სიტყვა თებროს ბიჭმა: — ბიჭო, ცხენს ჭმევა უნდა და მოვლა, ცხენს ერთი ბერდენკა არა სჯობია?

— რას ამბობ, ბიჭო, ბერდენკა კი არა, ისარსაც ვერ არტყამს მიზანში, — მიუგო სოსომ, რომელიც ამდენხანს გაჩუმებული რაღაცას ათვალიერებდა.

— არა, ვერ ვარტყამ მამ, იმ დღეს ორმოცი კაკალი ვინ მოუგო ცაკლიბიჭსა? — სთქვა ნაწყენმა კოლამ და სოსოს გადახედა.

— კარგი, ეხლავე ეცადოთ, რა მსროლელიცა ბრძანდები! ამის თქმაზე სოსო გალავანზე შეხტა და მინდვისაკენ ხელე გაიშვირა:

— ეგე, ბიჭებო, ქიტას ნახირი მოუღის, რომელიმე ფურს ვესროლოთ, მაშინ გამოჩნდება, ვინ არის მსროლელი და ვინ არა.

ბიჭებს ჭკუაში დაუჯდათ სოსოს ნათქვამი, ერთმანეთს ეშმაკურად გადახედეს და უთქმელად წამოიშალნენ.

— წამოდით, წამოდით! — დაიძახეს ბიჭებმა და დაეშვენენ თავიქვე.

ციხის დაღმართი ჩქარა ჩაიბინეს, სირბილითვე გადაიარეს რამდენიმე ქუჩა და გარეუბნის ორღობეში ჩასაფრდნენ.

ზანტად მოდიოდა, მოიზღაზნებოდა მსუქანი ბალახით მაძლარი საქონელი. ნახირს წინ მიუძლოდა თვალბრიალა ახალგაზრდა მოხვერი, რომელიც

თავს დინჯად აქნევდა და თავმომწონედ მიიბოტებდა. ნახირს გარე შეფ  
ლაფში ამოსვრილი ზაქები ღებვით და ცოხვით მიიზღაზნებოდნენ, ჯიქან-  
საგსე თვინიერი ძროხები შუაში მოემწყვდიათ.

— ეგე, ბიჭებო, წითელი ფური, კრელ ძროხას რომ ვერტოლუ, სიბა ე მა-  
გას დაუკვირდით. იმ დღეს კინალამ რქებზე ამაგო. მაგას ვესროლოთ—  
უთხრა სოსომ ამხანაგებს.

— რომელი, ბიჭო?

— რომელი და ძროხას რომ არ უსვენებს, წითელი ფური, ეგე, ეგე, ქი-  
ტამ რომ სახრე მოუქნია.

— ხოო... ეგ წობწობაანთ მაშოსია.

ნიშანი მოძებნილი იყო. მშვილდისრის მსროლელები ნახირის მოახლოე-  
ბას და ელოდებოდნენ. ამ დროს ამოიარა ნახი-დაწინაურებულმა ხარმა,  
რომელმაც კულის ქნევით და თვალების ბრიალით ბიჭებს წინ ჩაუარა.

— ერთი შეხედე ამასა, როგორ ყოყოჩად მოაქვს თავი! მოდი, ამასაც  
ვესროლოთ, თუ ძმა ხარ, — უთხრა პეტამ კოლას და მუჯღუგუნე წაპკრა.

კოლასაც მამაცობის გამოჩენა უნდოდა. ამხანაგს მეორედ აღარ ათქმე-  
ვინა, და ორთავემ მიზანში ამოიღო ხარი. მაგრამ ისრებმა პაერში გადა-  
იშხველეს და უაზროდ დაიკარგნენ.

ნახირი თანდათან გზას მოეფინა. წობწობაანთ ფურიც გამოჩნდა. მეძრო-  
ხე ნახირს ბოლოში მოექცა, ცოტახანს შესდგა და გატენილ ჩიბუხს ცეც-  
ხლი გაუღვია.

ბიჭებმა დრო იხელთეს, მშვილდი მოზიდეს და სამმა ისარი ერთდროუ-  
ლად გაიზუზუნა.

მაგრამ წითელ ფურს მხოლოდ სოსოს ისარი დაერტო ბარძაყზე, ვანოს  
და კოლას ისრები კი უკვალოდ გადაცივიდნენ სადღაც.

ფური ისრის მოხვედრისთანავე შეხტა, შეტრიალდა, საქონელს დაერია,  
რქენა-რქენით გზა გაარღვია და დაფეთებული გაიქცა.

სოსომ მეგობრებს კმაყოფილებით გადახედა, გაუღიმა და უხმოდ ჩა-  
მოიკიდა კისერზე მშვილდი.

— აბა, ბიჭებო, ეხლა კი წავიდეთ, თორემ ქიტა დაგვინახავს, — სთქვა  
სოსომ.

ღობის ძირში ჩამსხდარი ბიჭები ჩოჩვით გაპყვენენ მესერს და რაკი გზის  
თავში მოექცნენ, თამამად დაუწყეს ცქერა ქიტას, რომელიც სახრით მის-  
დევდა წობწობაანთ მაშოს ფურს.

— ეე... სოსო, რა გემოზე მოარტყი, ბიჭო! — წამოიძახა ვანომ.

— ერთი სროლა რა არის, შეიძლება უცაბედად მოვიხვდა, — სთქვა კო-  
ლამ და სოსოს მოგება გაუქარწყლდა.

— მაშ თუ უცაბედი იყო, ხვალაც მოვიდეთ!

— კარგი, ხვალაც მოვიდეთ და ვნახოთ, ვინ აჯობებს! — და ბიჭებმა პი-  
რობა დასდეს.

მეორე დღეს დანიშნულ ადგილზე მოიყარეს თავი მშვილდის მსროლე-  
ლებმა და ქიტას ნახირს ჩაუსაფრდნენ.

მეორე დღესაც პირველობა სოსოს ჰხვდა წილად. მშვილდისრის სროლა-  
ში პირველობა სოსოს დაუთმეს.

მაგრამ ქიტა ისეთი გამწარებული იყო მშვილდოსნებზე, რომ მაშოს  
ფურზე იყარა ჯავრი და ნახირიდან გააგდო.

— სად არის და სად არა, ბუნაკალი ე მაგან უნდა მოძებნათ ირჩო-  
ლება და ურევს ნახირსა. ისრის შერტობამდე ღვთის რისხვა იყო და ისარ-  
შერტობილი რაღა იქნება—ამბობდა ქიტა და თან დააყუღებდა ბოლმე—  
აი დედი-ჩემის ღმერთსა, ერთი ხელში მომაგდებინა ის ბიჭები და ღვთის  
მადლმა ზედ ლაჯზე გაეგვიჯავს!

როცა წოწოპაანთ მამოს ფურის გამოგდების ამბავი ბიჭებმა გაიგეს,  
უთქმელად გაისუსნენ.

— აი გაგიგოს, სოსო, მამომა, რომ შენი მიზეზით აღარ მიჰყავს ფური  
ქიტასა... — წასჩურჩულებდნენ ბოლმე ბიჭები სოსოს.

— ძალიანაც კარგი, რომ არ მიჰყავს. გიყვია და რჩოლია მთელ ღღეს  
ამწარებს საწყალ ქიტასა. მე მიზეზი მივეცი, რომ გამოვეგდო. აბა, ცუდი  
ხომ არაფერი მიქნია! — ამბობდა სოსო.



ცხელი და ნათელი ღღე იდგა. ისეთი ნათელი, თითქოს მზე მიწაზე ჩა-  
მოვიდა და ქვეყანას ცეცხლს უკიდებსო.

სოსო ღღეს ძალიან ადრე ადგა. ჩაიცივა თუ არა, ლიტრას ხელი დააეგლო  
და აივანზე პირის დასაბანად გავიდა. ის იყო, ორი მუჟა წყალი შეიშხა-  
ბუნა პირზე, რომ გზაზე თებროს მოჰკრა თვალი. ქალს ხბო მიჰყავდა ბალ-  
ში, ხბოს კი ფეხები ჯიუტად გაებოწყა და ადვილიდან არ იძვროდა.

— შენ კი გვერანდი, შენა! რა ჯიუტი რამა ხარ, წამო, შე ტიალო! ისე  
ჯიუტობ, თითქოს სასაკლაოზე მიმყავდე! — შესძახა გაჯავრებულმა თებ-  
რომ, თოკი ხელში მოიმოკლა და უკანიდან დაუარა. ხბო წინ წასვლის მა-  
გიერ გვერდზე გადახტა და პირი საბლისაკენ იბრუნა.

— ერთი შეზედე ამასა, შეხედე ერთი! — შესძახა კიდევ უფრო ხვამალა  
გაჯიუტებულ ხბოს და მაგრა გასწია.

— მოიცა, ძალო, მე წაგაყვანინებ, — გადმოსძახა აივნიდან სოსომ თებ-  
როს, ხელზე დასხმული წყალი პირზე შეისხა და მისკენ გაიქცა. გზა და  
გზა სოსომ ხალათის მაჯით შეიმშრალა სველი სახე.

— აბა ეხლა რაღას იზამ, შე კუნტრუშაე შენა? — ჩაეკითხა ბიჭი გაჯიუ-  
ტებულ ხბოს და წინ გაიგდო. — ძალო, შენ ეგრე წინ გაუძებ მე კი უკან  
მოგყევები! — სთქვა სოსომ ხალისიანად და აღერსიანი ხელის სმით მიჰყვა  
ბოჩოლას.

ხბომ თავისი ღიდრონი სველი თვალები ერთი კიდევ გადააბრიალა და  
კუნტრუშით წავიდა.

ბალიდან სოსო ჩქარა დაბრუნდა და თან ერთი პატარა მწვანე საზამთრო  
მიიტანა. მისვლის უმალ საზამთრო ამოგულა და ურემი გაიკეთა, შერე დე-  
ლის ძაბილზე სახლში შევიდა და ნაჩქარევად ღილის საუზმე სჭამა.

— დედი, ე მად ციხითათრიანთსა გადავალ? — უთხრა ბავშვმა დედას.  
როცა ნასაუზმევს ურემი მოათავა.

— წადი, მაგრამ, ჰკუთით ითამაშე, არაფერი იტკინო! — დაარიგა კარებ-  
ზე მომდგარმა დედამ და კავების სწორებით ოთახში შეტრიალდა.

სოსომ ურემს ხელი დააეგლო და ეზოდან გავიდა.

თებროს სახლის წინ, კაკლის ქვეშ, მან თვალი მოჰკრა თავმოყრილ ტო-



ღებს, ცნობისმოყვარემ ურემი ხელში მოიმარჯვა და ერთი წუთის შემდეგ ტოლებში ჩაერია. ბავშვები მისწი-მოსწია და წინ გაჩნდა.

ბრმა მეფანდურე მოკეცილი იჯდა მიწაზე. წელში გამართულ, მაგრამ ბეჭებში მოხრილ მოხუცს ეტყობოდა, რომ თავის დროზე ახლად და მხარბეჭიანი ვაყაყი უნდა ყოფილიყო. ეცვა დახეული ფარავა და განიერია, ოდესღაც ლურჯი ქართული შარვალი, ხოლო ფეხებზე — დაგლეჯილი ქალამნები და ჭრელი პირმოყრილი წინდები, რომლებშიაც დაყოფრებული თითები ჰქონდა გამოყრილი.

შეხედავით თუ არა სახეზე მოხუცს, გაიგებდით, თუ რითი მიიყვანა ბავშვების ყურადღება ამ დაფლეთილმა მეფანდურემ, რომელსაც ჯერ არც დაეკრა და არც ემღერა.

მოხუცს სახე წყნარი და სევდიანი ჰქონდა. უკვე გათხლებული წვერი გულზე ეფინებოდა. თვალის დაშრეტილ ბუდეებში ჩანაოჭებული ქუთუთოები გაცივნების დროსლა შეინძრეოდნენ ხოლმე.

თუმცა მის სახეს აქლდა ის, რაც სარკვე ადამიანის ბუნებისა, ის, რითაც განმსჭვრეტი თვალი ადვილად იცნობს ხოლმე თავის მოძმეს, მაგრამ სამაგიეროდ ის თავით ფეხამდე სარკვე იყო თავისი თავისა და თავის მოძმე მოდგმისა.

იგი დინჯად ლაპარაკობდა და მწარედ იღიმებოდა და ამ ღმილის დროს უცნაურად შეეცვლებოდა ხოლმე უძრავი სახის ყოველი ნაოჭი.

— ეს ეილა გვესტუმრა? — იკითხა მეფანდურემ, როცა სოსოს ბავშვებში ჩაჩევა იგრძნო. გამბდარი ხელი წინ გაიშვირა და სოსოს მოულოდნელად ზედ თავზე დაადო, მერე თმაზე გადაუსვა და დააყოლა:

— გაიზარდე, გაიზარდე დიდი კაცი!

— ეს ჩვენი ამხანაგია, შეხედე, პაპა, რა კარგი ურემი გაუკეთებია! — წამოიძახა კოლამ და ამხანაგებს ეშმაყურად თვალი ჩაუკრა.

— დააყე ენა, თორემ... — უთხრა მკვებედ ამხანაგს სოსომ და ისე გადახედა, რომ ბიჭს თითონაც არ დაუჯდა ჰკუპამი თავისი საქციელი.

სოსოს ძალიან მოეწონა მოხუცი. მოწონების ვარდა შეეცოდა კიდევ.

— პაპა, სახლი გაქვს? — კითხა სოსომ მოულოდნელად მოხუცს.

— არა, შეილო, სახლი კი არა, ამილახერიანთ ყმობაში თვალის სინათლევ კი აღარ შემჩრა.

— რატომა, პაპა, რატომა? — ჩაეკითხა სოსო.

— ეე რატომა, რატომა და იმიტომა, რომა გლეხები უბედურები ვართ, უბედურები რომ არ ვყოფილიყავით, ღმერთი უთანასწორობას არ დააწყესებდა.

მეფანდურეს ეტყობოდა, უნებლიედ დაიწყო ლაპარაკი. გლეხის ბედის გახსენებაზე სახე უცნაურად შეეცვალა და ლაპარაკს აუქცია.

— აბა, ყმაწვილებო, ეხლა ფანდური დაუკრათ, — სთქვა მან და მუხლებზე დადებულ ფანდურის სიმებს თითები ჩამოჰკრა.

დავბრდი, დავჩანაკდი,  
წვერი გამიხდა ჭალარა,  
შინ ჯალაბს მოვჭლებივარ,  
გარეთ უნდივარ აღარა!

ამილახერიანთ ყმობითა  
ფქვილი ვერ დავდვი ვობითა,

ვერც ლურჯი ჩოხა ჩაიცივი,  
ვერც ახალუბი ქობითა,  
ვერც გაფიტანე გუთანი,  
ვერც კალა ვლევწე მოზგრიოთა.



როსტომ სთქვა, მიწა რბილია,  
სიტყვას მით უნდა რბილობა:  
ვაეკაცს რომ ვაუპირდება  
მაშინლა უნდა ცდილობა.

დაამღერა მეფანდურემ შაირები, რომლებსაც ბოლოს მიაყოლა:

შაირ სიტყვითა მესტიერემ  
ღმერთი მალაღი ახსენა,  
ღმერთმა მოგცეს განათლება,  
ომელაშვილო არსენა..

და მეფანდურემ თავისი სიმღერა არსენას სავაეკაცო შაირებით ჩაათავა. სიმღერით დამტკბარი ბავშვები მოხუცს წინ ჩამოუდგნენ, მერე ნელნელა მიწაზე დასხდნენ და ასე უბრად იყვნენ, სანამ მეფანდურე შაირობას გაათავებდა.

სოსოს ძალიან მოეწონა მეფანდურის სიმღერა, მეტადრე არსენას ლექსი, რომელიც მამისაგანაც ხშირად სმენია.

„მამა ასე კარგად არა მღერის“, — გაიფიქრა სოსომ, როდესაც მეფანდურემ სიმღერა შესწყვიტა.

შაირებით დამტკბარი ბავშვები ერთხანს უმოძრაოდ გაჩერებულნი ისხდნენ. ხოლო როდესაც მოხუცმა მიწაზე დადებული გუდა და ჩონგური დააბინაეა, პატარები სახლებში გაიქც-გამოიქცნენ და მოხუცს გუდა გაუფესეს.

— აი ღმერთმა გაგზარდოთ! — დალოცა მეფანდურემ ბავშვები, კომბალი ხელში მოიმარჯვეა და ნელნელა წამოდგა.

— კიდევ მოდი, პაპა!

— მალე მოდი! — გასძახოდნენ ბავშვები მეფანდურეს, როცა იგი კომბლის კაკუნით გზას გაუდგა.

მეფანდურის წასვლის შემდეგ სოსომ ხელში შერჩენილი მწვანე ურემი გულზე მიიკრა და სახლში წაივინა. ბავშვს მოხუცი თვალიდან არა შორდებოდა. გული სიბრალულით აეფსო. დიდხანს იჯდა უსიტყვოდ აივანზე. თვალწინ მეფანდურე ედგა, თითქოს მისი ნათქვამი შაირებიც ესმოდა.

— სოსო, მოდი, გენაცვალე, ლიტრით წყალი მომიცუნცულე, მერე თოკი გამიბი! — ასაქმებდა დედა, მაგრამ არათერს ეკითხებოდა: იცოდა დედამ შვილის ამბავი.

სადილზე მშობლები გაკვირვებული უყურებდნენ ერთმანეთს.

მამამ კიდევაც სცადა შვილის გახალისება, მაგრამ ბავშვი ისევ კუმტად იყო.

ნასადილეს დასვენების მაგიერ ბესომ ჩოხა ჩაიცივა და ცოლს უთხრა:

— ჩააცივი ბავშვს, გავატარებ! — ამის თქმასზე მამა შვილს მიუბრუნდა, ერთი აქნევით მხარზე შეისვა და უთხრა: — ეხლა მე და ჩემი ბიჭი ცოტანს ვავივლით.

თუმცა სოსოს წასვლა არ უნდოდა, მაგრამ არა სთქვა რა, მამის მხრი-

დან უხმოდ ჩამოხტა, ხალათი და შარვალი გამოიცვალა, ქოჩორი გადაივარცხნა და მამა-შვილი გზას გაუდგნენ.

ქუჩაში ხალხი შეცოტავებულიყო, უჩვეულო სიჩუმე იდგა. ქალაქის მყუდროებას იშვიათად ჩამოვლილი ეტლის გრიალი თუ დაარღვევდა; აქა-იქ ხელზე მოსამსახურე პატარა ბიჭები დუქნის წინ ქვაფენილს ჰგვიდნენ. საეპტროს წინ ვაჭრები სკამზე გამოჰიმულიყვნენ და ქარვის კრიალოსნით ერთობოდნენ.

— მოდი, მოდი, ბესო, ეს შენი ბიჭია?— მოესმათ მამა-შვილს, როცა ისინი ერთ დუქანს გაუსწორდნენ.

— ჩემი ბიჭია, მაშ ვისი იქნება?! — თავმომწონედ სთქვა მამამ და ნელის ნაბიჯით გაემართა ნაცნობისაკენ.

— მობრძანდი, მობრძანდი, ბესო! — გაიმეორა მელდუქნემ და კარებისაკენ შეტრიალდა, — ბიჭო, სკამი! — დაიძახა მან და ისევ ბესოს მიუბრუნდა. — მოდი, კაცო, კვირა ძალია, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ.

ბესო ნაცნობს მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა, ჯანმრთელობა გამოჰკითხა, ჩამოჯდა და შვილიც იქვე დაიყენა.

სოსოს არ მოეწონა ეს ახალი ნაცნობი.

თუმცა მაღალი და ახოვანი კაცი იყო, მაგრამ სისუქნისაგან კისერი ისე გასქელებოდა, რომ ცხვირპირი ერთიანად გადასწორებული ჰქონდა. დიდრონი, ღრმად ჩამჯდარი თვალები კი უცნაურად ჩასისხლიანებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მათ ორიოდვე ხელოსანიც შეემატა, და აუჩქარებელივ ბაასი გააბეს.

— ხელოსნის ფასი დღე და დღე ეცემა, აბა, მითხარი, რას გახდება კაცი, როცა ქალაქიდან უფრო იაფად და უფრო კარგი საქონელი მოსდის მყიდველსა?

— იმას გახდება, რომა, სანამ ფასი გვაქვს ჩვენი მარჯვენა მოხერხებულად უნდა დავფასოთ.

— ნეტავი თქვენა, ეხლავ მატირეთ ჩემი სიკვდილის დღე! სანამ ფული ჯიბეში მაქვს, ვსვამ და ვჭამ, როცა არ მექნება, როგორც სხვა იცხოვრებს ქვეყანაზე, მეც ისე, — სთქვა ერთმა ხელოსანმა და მელდუქნეს მიუბრუნდა: — აბა, ისაკ, ჩვენი თავი შენ გენაცვალოს, შენებურად გაგვატარებინე საღამო.

ხელოსნები დუქნის უკანა ოთახში გავიდნენ და ისაკას პატარა სუფრა გააშლევინეს.

მამამ სოსო მაგიდაზე შესვა და ბავშვს რომ არ მოსწყენოდა, ისაკას ფონიანი კამფეტები მოატანინა. სოსოს არც ისაკა მოსწონდა და არც მისი მოტანილი კამფეტები.

ხელოსნები ჩქარა შექეიფდნენ, ენამახვილი და დარდიმანდი მელდუქნე კოდახლსა და სუფრას შუა მიჰქრა-მოჰქროდა. ქეიფის გათავებაზე არა ფიქრობდნენ. სახელდახელოდ გაშლილი პურ-ღვინო ყველას ძალიან გაუტკბა.

მოსწყინდა სოსოს შექეიფებული ხელოსნების არეული ლაპარაკი, ისაკას გაუთავებელი ტუნძული დახლსა და სუფრას შუა ხომ თვალებს უჭრებოდა.

„განა ამათ მეფანდურე არა სჯობია“, — გაიფიქრა სოსომ და ახლა უკვე სიძულვილით გადახედა არა მარტო ისაკას, არამედ ყველა იქ მყოფს. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა მაგიდაზე. მერე უცერად სახე შეეცვალა და ისევ

მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეძებდა იმ მოხუცს, ვისი ხმა, შაირები და გარე-გნობაც ჯერაც კიდევ გონებაში უტრიალებდნენ.

მისი თვალები ისაკას ჩასისხლიანებულ თვალებს შეეფეფო და მან და-  
„ბრმა მეფანდურე მირჩვენია, რა კარგია მეფანდურე!“ გაიფიქრა მან და  
მაგიდიდან ჩამოხტა.

— მამა, მე ეხლავე მოვალ, — უთხრა სოსომ მამას და პასუხის მიღებამ-  
დე კარებს მიაშურა.

ქუჩაში ბნელოდა. კაცი აღარსად ქაჭანებდა. აქა-იქ სიცხისაგან შეწუ-  
ხებული ძაღლების წყავწყავი-ლა ისმოდა, ხოლო შორს, გზებსა და ბილი-  
კებს გადაღმი, მტკვრის შეუზოვარი შხუილი. ქუჩაში გამოსვლისას ბავშვი  
ერაზხანს გაჩერდა, თავისუფლად ამოისუნთქა და რაც ძალი და ღონე ჰქონ-  
და გაიქცა.

როცა სირბილით დაქანცულმა თავისი სახლის ფანჯარაში შექს თვალი  
მოჰკრა, ისე მიაშურა, თითქო საშველი ნახაო.

სოსომ ოთახის კარი ფართოდ გააღო და შეკავებული სუნთქვით დინ-  
ჯად შევიდა ოთახში.

— დანიდგეს თვალი, სადა ხარ ამდენ ხანს? — მიაძახა შესვლის უმალ  
კარებისაკენ მაცქერალმა დედამ. სიბარულისაგან ბავშვს ქონორი დაუკოც-  
ნა და გულში ჩაიკრა. — სად იყავი, ბიჭო, მამა სადლა არის?

— მამა ამხანაგებთან დარჩა, მე კი სახლში წამოვედი, — სთქვა ბავშვმა.  
იმ ღამეს სოსოს კარგა ხანს არ დაეძინა, რადგან ბავშვის გონება რაღა-  
ცას მეტად დაეტვირთა.

შემოდგომა კარგახნის დამდგარი იყო. დილ-დილაობით ყინვა ერეოდა  
სითბოს. ისე ხშირად აღარ ისმოდა ეზოებში ბავშვების დაუდგარი ღრიან-  
ცელი. მოვიდა დრო სწავლისა და პატარებმა წიგნს მოჰკიდეს ხელი.

ეს ამბავი არც სოსოს გამოეპარა. ერთ დილას ჩანთა აკიდებული ფანჯა-  
რას მიდგომოდა და მოუსვენრად ეუბნებოდა დედას.

— კარგი, დედი, ჩქარა ჩაიცივი, წავიდეთ მასწავლებელთან. შეხედე,  
ჩემს მეტი ყველა სკოლაში მიდის, მე კი...

— ახლავე, გენაცვალე, — ამშვიდებდა კეკე შვილს.  
სოსოს საწადელი ასრულდა, დედა-შვილი გაუდგნენ გზას და მალე ყო-  
ტე ჩარკვიანის სახლს მიაღწიეს.

— კოტე სახლში ბრძანდება? — ჰკითხა კარების კაკუნზე გამოსულს  
ღიასახლისს კეკემ.

— მობრძანდი, ჩემო კეკე, სახლშია, — უთხრა ღიასახლისმა და ოთახის  
კარები ფართოდ გააღო.

ის იყო დედა-შვილმა ოთახში ფეხი შესდგეს, რომ კარები გაიღო და  
ნუა ტანის პირმცინარი კაციც შევიდა.

— გამარჯობა, კეკე, ეს არის შენი ბიჭი? აბა, დამანახე! — სთქვა მან,  
სოსოს მიუახლოვდა, თავზე ხელი დაადო და გაცინებულ თვალებში ჩახე-  
და. — ეს რა კარგი ბიჭი გყოლია, ქალო! აბა, ეხლა ნახეთ, რა ჩქარა ის-  
წავლის წერა-კითხვასა, — დააყოლა მან.

ამ დროს ოთახში პეტა და კოლამ შეჭყვევს თავები. როცა ამხანაგს მოჰკრეს თვალი, უფროსებთან კრეკის მეტი ვერა გაბედეს-რა, ცოტა ხნის შემდეგ ოთახში მასწავლებელი და მოწაფე დარჩნენ.

— ჯერ ეს მითხარი, სოსო, რა უფრო გიყვარს—თოფი თუ ცხენი? —  
სოსომ შეკითხვაზე ჯერ არაფერი უპასუხა, მერე მოულოდნელად წკრი-  
ალა ხმით გადაიკისკისა და სთქვა:

— თოფიც მიყვარს და ცხენიცა!

— ყოჩაღ, ბიჭო, ეგრეც უნდა იყვეს,—წამოიძახა ბავშვის ვულაზდილობით ალტაცებულმა კოტემ და დააყოლა: — აბა, ეხლა ვნახოთ, რა უფრო შეგიყვარდება ამის შემდეგ: წიგნი, თოფი თუ ცხენი? — ამ სიტყვებით კოტე მაგიდას მიუჯდა და ბავშვს თვალით ანიშნა, დაეკეტო.

სოსოს პირველი შეხედვისთანავე მოეწონა პირმცინარე კოტე მასწავლებელი, თავი თამამად იგრძნო და მაგიდას მკერდგაშლილი მიუჯდა.

კოტემ სოსოს ჩანთიდან წიგნი და რვეული ამოაღებინა. წიგნი გამოართვა, გადაათვალიერა და ბავშვის ყურადღება ერთ-ერთ ფურცელზე შეაჩერა.

— აბა, სოსო, დაუკვირდი ამ სურათს და მიამბე, რაც ჰხატია.

სოსო სურათს დაკვირვებით დააკვირდა და მასწავლებელს ცოცხლად გადასცა ნახატის შინაარსი.

— ყოჩაღ, ბიჭო! — სთქვა კოტემ, როცა სოსოს აზრიანი ლაპარაკი მოისმინა, წიგნი გამოართვა, პირველ ფურცელს დაუბრუნდა და ჰკითხა.

— ეს რა არის დახატული?

— ია, — უპასუხა ბავშვმა.

— აი აქაც ია სწერია. ეს პირველი ასო „ი“ არის, მეორე კი „ა“, — აღუსნა კოტემ ბავშვს, რის შემდეგაც კალამი აიღო და აჩვენა, როგორ იწერება „ი“ და „ა“.

იმ დღეს მასწავლებელიდან წამოსულმა სოსომ სახლში წასვლის მაგიერ ქვემო უბანს მიამურა. კახტა ფარდულებს ფხიზლად ჩაურბინა წინ და დარბაზ-ახსნილ პატარა წიგნის მალაზიასთან გაჩერდა. მინებს იქით აღარებელი წიგნი იყო გამოდებული.

„უჰ, როგორი კითხვა უნდა იცოდე, რომ ყველა წიგნი წაიკითხო!“ — გაიფიქრა სოსომ, როდესაც თვალი ჩააყოლა სათითაოდ.

— ეგე, ეგე ის დედაუნა, მე რომ ვსწავლობ! — წამოიძახა მან და დატუქსულვით აქეთ-იქით მიმოიხედა.

ბავშვი კმაყოფილი დარჩა რომ მისი სიტყვების გამგონი არაფინ აღმოჩნდა. ერთი კიდევ ჩაუკირკრტა წიგნებს. მათ ყდებზე მასწავლებლის მიერ ნაჩვენები ასოები იცნო, და ისე გახარებული გაიქცა სახლისაკენ, თითქოს რაც იქ წიგნები იყო, აჩუქესო.

სოსო მარტო დაცუნტულებდა მასწავლებელთან. ჯერ დღე გამოშვებით, მერე კი ყოველდღე. ერთხელ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ სოსომ ჰკითხა მასწავლებელს:

— მასწავლებლო, ეხლა ხომ ყველა ასო ვიცი?

— იცი.

— მაშ, კითხვა ვიცი, არა? — დააყოლა გახარებულმა ბავშვმა.

— რასაკვირველია, იცი, მერე რა?

— წიგნი კი არა მაქვს და... — სთქვა სოსომ და აღფრთოვანებული თვალები სევდით დაებურა.

— შენ არა გაქვს, სამაგიეროდ მე მაქვს შენთვის, — უფრო ნათქვამი, წამოდგა, განჯინიდან თხელი, სურათებიანი წიგნი გადმოიღო და დააყოლა: — როცა წაიკითხავ, მიახმე, რა სწერია შიგ.

სოსო გახარებული წამოხტა, მასწავლებელს დაემშვიდობა და სახლისაკენ გაეშურა. ის იყო წიგნი გზადაგზა ერთხელ გადაათვალიერა და ხელმეორედ დაუბრუნდა, რომ შარაზე ციხითათრიანთ ბიჭი წამოეწია.

— სოსო, ვისია ეგ წიგნი? რა კარგია! — უთხრა სანდრამ და წიგნი რომ დასათვალიერებლად მიეღო, ხალათის უბიდან მკვდარი მტრედი ამოიღო და ამხანავს გაუწოდა.

— რად მოკალი, ბიჭო?

— მე კი არ მოკვალი, ეგე ქვემო უბნელ ბიჭს დავაგდებინე, — მიუგო სანდრამ, წიგნი ჩამოართვა და ჩიტი გადასცა.

სოსომ ხელის გულზე დაიგორა მკვდარი მტრედი და სასიცოცხლო ნიშნების სინჯვა დაუწყო.

ბიჭები ეზოს კარებთან დასცილდნენ ერთმანეთს, სოსომ წიგნი ჩამოართვა სანდრას და ხელისგულზე დაგორებული მტრედით სახლისაკენ გაიქცა.

— დედი, აბა, შეხედე ამ მტრედს! — დაიძახა მან, როდესაც ნაჩუქარ ფრინველის თვალიერებით შეაღო ოთახის კარი.

— რა აქვს შესახედი? — ჩაილაპარაკა მშრალად კეკემ და თავაუღებლივ განაგრძო ტახტზე დალაგებული საცვლების გადარჩევა.

— საწყალი, არ გეცოდება, დედი? — სთქვა სინანულით სოსომ, მაგიდასთან მივიდა, წიგნები დასდო და დედისკენ მიბრუნდა.

— თუ გეცოდება, რატომ არ გაუშვებ? — უთხრა კეკემ შვილს კვლავ უგუნებოდ.

— როგორ უნდა გამეშვა, — წამოიძახა სოსომ და დედასთან მიიხრბინა, — ამას ხომ ფრენა აღარ შეუძლია, — შესძახა დედას, როდესაც ფრინველი თვალებთან მიუტანა.

— ჰოო, მე ცოცხალი მეგონა.

— არა, მკვდარი მტრედია, — სთქვა სოსომ და სიტყვები პირში შეაცივდა, რადგან დედის თვალზე ბავშვმა პირველად დაინახა ცრემლები.

კეკე ერთხანს დაიბნა, როდესაც შვილმა ცრემლი დაუნახა. შეტრიალდა, თითქოს რაღაცას ეძებსო, მაგრამ ჩქარა შემობრუნდა, დაუფარავად შეიმშრალა თვალები და შვილს უთხრა:

— სოსო, იცი, ხვალ დილით მამა ქალაქს მიდის, იქ უნდა იმუშაოს, მე და შენ კი აქ ვიქნებით.

— ქალაქს მიდის, მერე რადა ტირი, დედი? — ჩაეკითხა ბავშვი სწრაფად.

— რა ვიცი, რადა ესტირი, მწყინს და იმიტომაც, — ჩაილაპარაკა კეკემ.

დედის გულაზდილობის შემდეგ ბავშვმა აღარაფერი სთქვა, მკვდარი ფრინველი სარკმლის რაფაზე დადო, ფეხსაცმელი გაიხადა, ტახტზე ავიდა, აზღადმოტანილი წიგნი მუხლებზე დაიდო და ჩუმად დაუწყო თვალიერება.

კეკე დინჯად ალაგებდა ქმრისათვის საჭირო ნივთებს. ცდილობდა ბავშვისათვის გაეცა ხმა, მაგრამ იმ დღეს თითქოს ენაღაბმული იყო.

სალამო ემს, როცა ბესო სახლში დაბრუნდა, შვილი მუხტუნე დაისვა, და ჩვეულებრივ ტკბილ ბაასში დაალამა ჯუღანთ ოჯახში.

მამამ უთხრა სოსოს, რომ სამუშაოდ ქალაქს მიდიოდა. ჩემს შვილად ინახულებდა და ბევრ ახალსა და კარგ წიგნებს ჩამოუტანდა. იმ საღამოს ძალიან გვიან დაწვა სოსო. მამამ ჭოჩორი დაუკოცა ერთადერთს და შეპირდა, ჩქარა გინახულებო.



იმ დილით, როცა კეკემ დიდგზამდე გააცილა ქმარი, გვიანი შემოდგომის სუსხი ისე გამდგარიყო, რომ თეთრი კირხლი დასდებოდა სახლის საფურავებსა და გზებს.

განთიადისას ამოჭრილი ცივი ქარი ხეხილს უკანასკნელ ფოთოლს აყრევინებდა და ლაპარაკით მიმავალ ცოლ-ქმარს სულისთქმას უხუთავდა.

— შვირად ჩამოგხედავთ ხოლმე, შენ იცი, როგორ გაუფრთხილდები ბავშვს, — უთხრა ბესომ ცოლს, როდესაც გამოსამშვიდობებლად მიუბრუნდა, გამოეთხოვა და წავიდა.

— ჩვენი ჯავრი ნუ გეჭნება, — მიაგება სიტყვა კეკემ, ერთხანს შესდგა, თვალი გააყოლა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქმარს, მერე შებრუნდა და შემციფნებულმა სახლს მიაშურა.

თუმცა მტრედისფრად იყო ნანათლი, მაგრამ როდესაც კეკე ოთახში შევიდა, ლამფის შუქი მაინც სჯობნიდა დღის ნათელს.

ქალმა წარბები შეიკრა, როდესაც ქმრის საწოლს შეავლო თვალი. ღარც კარდია განჯინაში მოსჩანდა ოჯახის უფროსის ლაზათიანი ტანისამოსი. მაგიდაზედაც უჩვეულოდ ეწყო მგზავრისათვის დასანაყრებლად გადმოღებული პურ-ღვინო.

— ქალმა სთქვა, თავზე ფოთოლი დამადეთ, ვიტყვი, პატრონი მყავსო, — ჩაილაპარაკა კეკემ, თვალი მოავლო ოთახს და სანამ ბავშვის ლოგინს მიღწევდა, თვალწინ გაურბინეს ყველაზე ბედნიერმა დღეებმა. — არა, შორს კი არ არის, ახლთა, შვილო! — წასჩურჩულა უნებურად გულის ძილით მიყურებულ ბავშვს, რომელმაც დედის ლოყის მიკარებისა ვერაფერი შეიტყო.

ბავშვის მიაღერსების დროს ქალს საზე შეეცვალა. მძინარეს თითები დაუკოცნა, მერე ~~ქალი~~ ააცალა და თვალი ოთახის კუთხიდან დაჩერებულ ხატს მიაპყრო.

— გვედრები, ღვთისმშობელო, გვედრები! — შესთხოვა მან ხატს და მოკლე ღუმულის შემდეგ ფეხზე წამოდგა. — რას მიქვია შიში! — ჩაილაპარაკა უეცრად, ბეჭებზე მოდებული შალი ტახტზე გადაისროლა და სწრაფად მობრუნდა: აივნისა და შეშა შემოიტანა და ქმრის მიერ გამართულ რკინის ღუმელში ცეცხლი გააჩაღა.

ფანჯარაში უხვად შემოსული დილის მზის სხივები პირველად შეეგებნენ ფეხწითელა მტრედს, რომელიც ნახატებიან წიგნის გვერდით სარკმლის რაფაზე ეგდო, იმ სარკმლისა, საიდანაც ერთი წლის შემდეგ სკოლაში მიმავალ სოსოს დედა თვალს ადევნებდა.



სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებში მყოფი პატარა ბავშვების ცნობისმოყვარე თვალებით გაპყურებდა ორსართულიან შენობის ქვემოთ დერეფნებს და კარგა შემოკავებულ ეზოს, რომლებიც ბავშვების ხალისიანი ღრიალით იყო ახმაურებული.

სოსოს ზეიმიდ ეჩვენებოდა სასწავლებელი. ალტაცებული ათეალიერებდა მოზრდილების წრელახტისა და ახტურმის თავდავიწყებულ თამაშს. შემდეგ მის ალტაცებას გაკვირვებაც დაერთო.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ დასვენებაზე გამოსული სოსო თავის პატარა ამხანაგებთან იღვა და სახლიდან წაღებულ კარაქიან შოთს შეეკცეოდა.

ეზოში ცივი ქარი ჰქროდა, დერეფანი ბავშვებით იყო გაქედლი. უცერად უფროსი კლასის მოწაფეების ჯგუფს ჩოჩქოლი შეუღდათ:

— Возьми скорей, возьми! — იძახოდა ბიჭი ქადილით. იგი ამხანაგის მარჯვენას ჩაბლაუჭებოდა და გრძელ სახაზავს აჩერებდა ხელში.

— რას ჩადის ბიჭი? — წამოიძახა გაოცებულმა სოსომ და ბიჭებისაკენ ჯაიქცა.

ის იყო მოწაფეებთან მიიზბინა, რომ სად იყო და სად არა, სკოლის ზედამხედველი გაჩნდა. ზედამხედველი ახლოს მივიდა გაჯიუტებულ ბიჭთან, რომელიც ბუტირსკის გამოეკიმა და შებლშეკრულმა სახეში შეხედა.

— Опять Химшнев! — დაიძახა ზედამხედველმა ნიშნის მოგებით. ბიჭს სახაზავი ჩამოართვა და ხიმშიაშვილს ისე შემოსცხო ყბებში, რომ ცრემლები წამოსცვივდა.

— რადა სცემს, რადა? — წაიბუტბუტა სწრაფად სოსომ და თავვიდელა კაცს ცოცხალი თვალები შეაშტერა.

— იმითმა სცემს, რომ ქართულად დაულაპარაჯნია! — წასჩურჩულა სოსო'ს გვერდით ატუზულმა დავითაშვილმა, რომელიც სოსომ იმ დღეს გაიცნო, სკოლაში.

— არ შეიძლება? — სთქვა თავისთვის განცვიფრებულმა სოსომ და ამხანაგისკენ შეტრიალდა.

მაგრამ ბიჭი გვერდით აღარ ედგა, რადგან დერეფანში ატეხილი ჩოჩქოლის დროს ბავშვების ნაკადს შორს გაეტაცნა პატარა.

„ქართულად ლაპარაკი არ შეიძლება? — ჩაჰკითხა გაოცებულმა სოსომ თავის თავს და თითქოს ზიფათს წაადგაო, უცერად შემობრუნდა. — მაშ დედას როგორ უნდა ველაპარაკო, თუ ქართულად ლაპარაკი არ შეიძლება? მე თუ რუსულად კარგად ვისწავლი, ვინ დამიშლის ქართულად ლაპარაკსა?“ — გაიფიქრა წარბშეკრულმა და საკლასო ოთახისაკენ გაიქცა.

ოთახში ჯგუფად დამდგარი პატარები ერთმანეთს რალაცას ედავებოდნენ. სოსომ თანაგრძნობით გადახედა ბიჭებს და თავის მერხს მიაშურა.

ზარი დაირეკა.

საკლასო ოთახში შესულმა მასწავლებელმა თვალი გადაავლო მოწაფეებს და გვარების ამოკითხვას შეუდგა.

ყველასათვის მოულოდნელად კარებში სკოლის ზედამხედველი გამოჩნდა. ბავშვები ფეხზე წამოიშალნენ.

ბუტირსკი ნელი ნაბიჯით წავიდა მასწავლებლისკენ, რომელიც გზაში შეეგება ზედამხედველს.

— Остался на четвертый год да еще с опозданием! — დაიძახა ზედამხედველმა, რაკი მასწავლებელს ორიოდეკანდუმი და კარებისაკენ შეაბრუნა მხრები. — Хуцнев, — წამოიძახა ბუტირსკიმ, როდესაც კარებში თავჩინილიანმა, შუბლვიწრო ბიჭმა შემოაბოტა. — Найди себе место, дикарь! — შეჭყვირა ზედამხედველმა და სწრაფად დასწვდა ბიჭის ყურს, როცა მიუახლოვდა.

ბიჭი ზანტად დაიძრა ადგილიდან და რაკი სოსოს გვერდით თავისუფალი ადგილი იყო, იქითვე მიამშურა.

— დაჯე, დაჯე! — წასჩურჩულა ვილაცამ, როდესაც ბუტირსკიმ საკლასო ოთახი მიატოვა. მერსში ჩამდგარი ბიჭი ერთ ადგილზე განაგრძობდა დგომას.

„დედავ, ნეტა ამხანაგებში როგორა ჩნდება, ოთხჯერ თუ დარჩა ერთ კლასში?“ — გაიფიქრა სოსომ და ბოტა ხუციშვილს ფარულად გადახედა.

— ეხლა რა გაკვეთილი გვაქვს? — წასჩურჩულა ბიჭმა სოსოს, როდესაც ამ უკანასკნელის გადმოხედვას შეასწრო თვალი.

სოსომ პასუხის მაგიერ რუსული ენის წიგნი გაუჩოჩა მეზობელს და ყურადღებით მიჰყვა გაკვეთილის მსვლელობას.

ბოტამ გულგრილად გადახედა გადაშლილ წიგნს, მერე ტოტყი ხელები მერსში შეჭყო და რალაცას დაუწყო ფათური.

— რა გქვიან? — კვლავ წასჩურჩულა მან სოსოს, როდესაც ატმის ჩირით სავსე მუჭი წაჰკრა გვერდში.

სოსომ პასუხი არ გასცა, მწყურალად გადახედა ბიჭს და გაკვეთილის საპასუხოდ მასწავლებელს თითი გაუწოდა.

უყურადღებოდ დატოვებულმა ბოტამ დაირცხვინა, ჩირი მერსში შეყარა და თვალი წიგნის ბუკარებს მიადევნა. იმ დღეს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ტოლებში ჩამდგარ სოსოს დედამ საარკმლიდან მოჰკრა თვალი. ბავშვები ლაპარაკით მოუყვებოდნენ შარას და რაკი ეზოების მიჯნას მიადგნენ, ყველა ცოცხლად გაიქცა სახლისაკენ. კეკე კარებში შეეგება შვილს და როცა ბავშვმა ჩანთა დააბინავა, ხელები დააბანინა, დედა-შვილი საუზმეს შეექცნენ.

— იცი, დედი, სკოლაში ქართულად ლაპარაკს რომ უშლიან? — შესძახა სოსომ დედას და უამბო სკოლაში ნახული უცხო ამნავი.

კეკე კმაყოფილი შეჭყურებდა შვალს და ჰფიქრობდა: „შეხედე, რამდენი ხანი გავიდა: თითქოს გუშინ იყო, აკენის არტახებს რომ ებრძოდა, ანდარამდენი ხევწნა დამჭირდა, რამდენი, რომ ბავშვი სკოლაში მომეწყო. მაგრამ რა ვუყოთ, ბოლოკეთილ საქმეს გარჯაში აღარ ედავებიან“.

• •

— ვინა, ბიჭო? სოსოს აჯობებს? რაში ნეტა, რაში, ის მაინც სთქვი!  
— კარგი, კარგი, ისე ექომაგები, თითქოს ამბობდე, მე ვჯობნიო. თუ არ აჯობებს, ვნახოთ, აღდგომა და ზეალაო!

ასე გაცხარებული ლაპარაკობდნენ სასულიერო მასწავლებლის ეზოში გაკვეთილის შემდეგ დასვენებაზე გამოსული უმცროსი განყოფილების

ბავშვები, რომლებიც შენობის კედელთან ჩამწკრივებულნი იყვნენ და უფროსი კლასის მოწაფეებს გასცქეროდნენ.

მოწაფეთა შორის სოსოს ყველა დარგში პირველობა ჰქონდა მოპოებული, რის გამოც ბავშვები განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. სოსოს თაყვანისმცემლები ელისაბედაშვილი, ალიმბარაშვილი და ირემაშვილიც იყვნენ. სოსოსაც უყვარდა პატარა ამხანაგები და ზშირად ტოლებთან თამაშის დროს იმათაც ჩაირევდა ზოლმე. ბიჭები ამყობდნენ ამით, რადგან სოსოსთან თამაში ბევრს სურდა, მაგრამ ბავშვი გარკვეულად ირჩევდა ამხანაგებს.

სკოლის ეზოში უცნაური ყოინა და მზიარულეობა იდგა. ზოგნი ჩილიკა ჯოხს თამაშობდნენ, ზოგნი — წრელახტს, ზოგნი კი მახობლიანი პურით მადიანად იღმურძლებოდნენ.

ამ საერთო მზიარულეობას ერთი უფროსი კლასის მოწაფე დასცილებოდა. ამდენ მოძრავ ბავშვებში ის იპყრობდა თვალს თავისი სიღინჯით.

ის იყო მარტო-მარტო. ღობის გასწვრივ დადიოდა ჩაფიქრებული. ღიმილის ნასახიცი კი არ ეტყობოდა მის სახეს, და ღრმად ჩამუჯდარ მის გონიერ თვლებს. სახე მეტად ამაყი და წყნარი ჰქონდა. მისი მშვიდი სახე მოჭარბებულ სიამაყეს, ერთგვარ სიმკაცრესაც კი გამოჰხატავდა. ტანად მაღალი და გამხდარი ქაბუკი ფერმკრთალი იყო.

აი შესდგა, მაღალ შუბლს ჭმუნვის ნაოჭი შეასია, თვალის ბუდეები ოდნავ გააფართოვა, მერე მოულოდნელად შეტრიალდა, თითქოს ჩაკითხვანგ პასუხი მიიღო და კვლავ განაგრძო სიარული.

ზშირად დადიოდა ასე. სოსოც ზშირად ზედაედა. იცოდა კიდევ, რომ მეოთხე კლასის მოწაფე იყო, კეცხოველი, მაგრამ არასოდეს არ ჰქონია მასთან საუბარი.

სოსოს მოსწონდა იგი, ჯერ კიდევ შორიდან, რაღაც უცნაური სიყვარული დაებადა მისდამი.

იმ დღეს სოსო რატომღაც თამაშის გუნებაზე არ იყო.

— არ მინდა თამაში, — უთხრა კვიპატ ბიჭებს და ზარის დარეკვის შემდეგ წიგნით ხელში გარეთ გავიდა.

— თუ ძმა ხარ, სოსო, ხელი გადაგვიჭერი, სანაძლეოსა ვდებთ! — უთხრეს ეზოში სირბილით გაოფლიანებულმა მოწაფეებმა გლურჯიძემ და კასრაძემ, როცა ეზოში გეზად წამდგარ სოსოს ჩაურბინეს და წიგნზე ხელი დაუფარეს.

— აიღეთ ხელი! — უთხრა მკვეთრად სოსომ ბიჭებს. ისინიც ცივად გასცილდნენ, რადგან იცოდნენ სოსოს ხასიათი.

სოსო იმ ადგილს აღარ გაჩერებულა და ნელი ნაბიჯით და კითხვით ღობისკენ გაემართა.

— სოსო, რა გვარი ხარ? — მოესმა ამ დროს სოსოს მაღალი სასაიამოვნო ხმა.

ხმა უცნობი იყო და კითხვაში გართულმა ბავშვმა შეეცრაღ მიიხედა.

— გატყობ ვიყვარს წიგნების კითხვა, — უთხრა ბავშვს კეცხოველმა.

— დიან, მიყვარს, — უპასუხა სოსომ.

— მერე, სად შოულობ წიგნებს?

— აქამდე სასკოლო ბიბლიოთეკაში ვიღებდი.

— ამის შემდეგ, თუ გინდა, მე დაგეხმარები.

— დიდად მადლობელი ვიქნები.

— მაშ გაკვეთილების შემდეგ მომიცადე და სამკითხველოში წაგიყვან. ამ დროს ზარი დაირეკა. კეცხოველი ნელის ნაბიჯით შენობისაკენ გაემართა, გახარებული სოსო კი ერთი ფეხის დაკვრით საკლასო ოთახში გაჩნდა, თავისი ადგილი დაიკავა, თანაც ფიქრობდა: „მომწონს! კარგია!“

ნაშუადღევს სოსომ კეცხოველს სკოლის შენობიდან გამოსასვლელ კარებში მოუცადა. ჩქარა ისინი მეფის ქუჩისაკენ გაემართნენ. გზაში ლადომ ჰკითხა სოსოს, სად მუშაობდა მისი მამა, როგორი წიგნები მოსწონდა ან რა აინტერესებდა.

ამ ლაპარაკში ისინი მიადგნენ ქუჩის ნაპირზე წამოდგმულ ორ-ოთახიან ბინას.

— წიგნებისათვის ხშირად ძია არსენასთან დავდივარ ხოლმე მალაზიასში, — უთხრა ლადომ, როდესაც ორივენი სამკითხველოში შევიდნენ.

ლადოს დანახვაზე არსენა გახარებული დაიძრა ადგილიდან.

— ჰობრძანდი, ჩემო კარგო, რას მეტყვი, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე წიგნმა? — ჩაეკითხა იგი მოსულს, მოუსვენარი ბავშვური ხალისით.

— ძალიან კარგი, — უპასუხა დინჯად ლადომ.

— მეც ეგრე ვფიქრობდი, — სთქვა არსენამ. ფერმერთალი სახის ნიკაბზე დატოვებულ მოკლე წვერს რამდენჯერმე დაუსვა ხელი, ფართო წარბების აწევით მაღალ შუბლზე ნაკეციები დაეფინა, ღრმად ჩამჯდარი თვალები გულკეთილად აუციმციმდნენ.

არსენას ეგრობულ ტანისამოსზე გახამებული საყელოს მაგიერ ლურჯი სატინის ხალათი ეცვა, ხოლო გულის ჯიბეზე პატარა გულანჭრით სათვალის შავი თასმა ჰქონდა გამაგრებული. ოთახში ფეტრის ქუდით დადიოდა.

ოთახების თაროები და განჯინები სავსე იყო წიგნებით. აქა-იქ იატაკზე დასტა-დასტა და უწყსრივოდ ეწყო წიგნები, ხოლო ერთ-ერთ კუთხეში საწოლი იყო მოწყობილი.

ყველაფერს ეტყობოდა, რომ ის პირმცინარი, მაღალი კაცი განცხრომით არ იყო გატაცებული.

— რამ იცოდე, როგორ გამახარე, ჩემო ლადო, შენი პასუხით! — განაგრძო არსენამ ლაპარაკი ოთახში მოუსვენარი ბოლთის ცემით. — გამახარე იმით, რომ ჩვენ პატარა ხალხს თურმე უკვე ეზრდება ისეთი შვილები, რომელთაც მაგისტანა წიგნების შეფასების უნარი აქვთ. ჩემის აზრით, ეს უკვე სიკეთის საწინდარია.

ლადომ თითქოს დაირცხვინა შეჭება, ერთხანს დატუქსული ბავშვით თავი დახარა და წამოერი სიჩუმის შემდეგ სთქვა:

— აი, ბატონო არსენ, მოგიტანეთ ეს წიგნი და თან ერთი პატარა მკითხველიც მოვიყვანე. — ლადომ სოსოს მზრუნველობით გადახედა, მერე წიგნი მაგიდაზე დასდო და თაროს მიუახლოვდა.

— დიდებულია, ჩემო ბატონო, — სთქვა მუდამ თავაზიანმა არსენამ. — ვერ წარმოიდგენ, ჩემო ლადო, როგორ მახარებს, როდესაც ჩემ სამკითხველოს ახალი მკითხველი შეეძინება ხოლმე. მაშინ ვგრძნობ, რომ ამ პატარა წიგნთსაცემმა ერთი წვეთი განათლებისა კიდევ ჩაალენთა ხალხში, — სთქვა არსენამ, ლადოს აღგზნებული სახით შეხედა და კმაყოფილების ნიშნად სათვალეები გაისწორა.

— ვნახოთ, ვნახოთ. დარწმუნებული ვარ, რომ სოსო არ მიტოვდება და თქვენი ხშირი სტუმარი გახდება, — ამ სიტყვებით ლადო სოსოს მეგობრულად მხარზე ხელი დაადო, წინ წააყენა და დააყოლა. ამ ბავშვს წიგნის კითხვა უყვარს.

— წიგნია ყოველივე, ჩემო პატარავ! — წამოიძახა ადგნებულმა არსენამ, სოსოს თვალბეჭდში შეხედა და დამაჯერებელი კილოთი განაცხადა: — ეისაც წიგნის კითხვა უყვარს, ხალხის კეთილდღეობას იმისაგან მოველი. ხალხს სწავლა უნდა და როდესაც ხალხის შვილები ამ იარაღით აღიჭურვებიან, მაშინ მოელება ბოლო უსამართლობას! — არსენამ განსაკუთრებულ ხაზგასმით წარმოსთქვა ეს სიტყვები, თვალები უცნაურად აეგზნო და ოთახში უმიზეზოდ დაიწყო სიარული.

სოსო ოდნავ გააკვირვა მისმა საქციელმა, თანაც მოეწონა ამ ახალი ნაცნობის აზრები. ბავშვმა ისე მიიხეღ-მოიხედა, თითქოს კარგისა და ავის მიჯნაზე იდგა და გზის ასარჩევი დრო აღარ გააჩნდა.

— ასე, ჩემო პატარავ, — განაცხადა გატაცებით არსენამ, — წიგნი ისეთი რამაა, რომელიც ცხრა მთას იქით გაგიჩენს მეგობარს. აბა, ეხლა აი ეს წიგნი წაიღე და ნახე, რომელ კუთხიდან გიამბობს თავის თავგადასავალს სიმონა. — ამ სიტყვებით არსენამ სოსოს პატარა, თხელი წიგნი გაუწოდა, ბავშვმა ხალხით ჩამოართვა გაწვდილი წიგნი.

ამ საუბრის დროს ლადო თაროებზე წიგნებსა სჩხრეკდა და გაღიმებული გადმოხედავდა ხოლმე არსენას, რომელიც უფრო სიბარულისაგან ატიტინებულ ბავშვს წააგავდა, ვიდრე შუახნის კაცს.



იანვრის ცივი და სუსხიანი დღე იყო. ცა ნაცრისფერ ღრუბლების დიდრონ ნაფლეთებით შექედლიყო და ნათელი დაეფარა.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაჭიმულ კვერნაკსა და ტირიფონის ველებს ღრუბელი დასცემოდათ და თვალთახედვიდან წარეხოცათ რუისისა და გორიჯვრის მთები.

პატარა რახარაბა ნაკადულებს ყინვისაგან პირი შეეკრათ და დაღუმებულიყვნენ, ხოლო დიდი და დაუდგარი მტკვარი ყინულის დიდრონ ბელტებს სათამაშო ბურთებივით მჩატეთ და იოლად მოაგორებდა. გზადაგზა ზვირთებს შეათამაშებდა და გორის ზიდს გადაღმა სახელდახლოდ გაკეთებულ სანათლილებო ბოგირს ნელნელა და შეუჩერებლივ ეხეთქებოდა.

შუადღევ წამოვიდა, ცაზე ღრუბელი აიშალა, მზე აქა-იქ ნათელ ლაქებად დაეფინა მიწას. გარშემო ველ-მინდორზე ღრუბელი აიყარა და ფარდა ახადა თვალწარმატე ქართლის ველს.

დღეს გორში სანათლილებო დღესასწაული იმართებოდა, რის გამოც რუისის უბნიდან წამოსული ჯარი მთავარ ქუჩაზე და ხიდის თავში ჩამწყრივდა. ქუჩაში ხალხმა დაიწყო დენა. ხიდის ახლო-მახლო ადგილები და სანათლილებო ბოგირთან მისასვლელი გზა ხალხით დაიფარა.

ხიდის თავში ნათლილების დღესასწაულზე საგალობლად სასულიერო-სასწავლებლის გუნდიც ჩამოდგა. ბავშვებს ეტყობოდათ, რომ ნაკრები გუნდი უნდა ყოფილიყო, რადგან გუნდის შემადგენელი ბავშვები სხვადასხვა ასაკისა იყვნენ.

სიცივით შეწუხებული ბავშვები მოუსვენრად დარბოდნენ ხიდის ახლო განაღებულ ცეცხლის კოცონთან. ითბობდნენ ხელ-ფეხს და იხევე ჩქარა იკავებდნენ თავიანთ ადგილს.

სოსოც ამ გუნდში იყო. მას თავისი წკრიალა დისკანტი საგალობლის წამოწყება და წაყვანა ევალებოდა.

— აბა, შენ იცი, სოსო, უნდა გვასახელო დღეს, — უთხრა გალობის მასწავლებელმა გოგლიჩიძემ, როცა ბავშვი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ჩქარა დაიწყება, მასწავლებლო? გავიყინებით!

— ჩქარა, ჩქარა, ოღონდ შენ შენებურად აუჩქარებლად წაიყვანე საგალობელი.

ამ დროს გამოჩნდა სადღესასწაულოდ მორთული მღვდლების კრებაც, რომლებიც ლოცვის ღალადით სანათლილებო ბოგირისაკენ მიემართებოდნენ.

ხიდის შუა ადგილას თავმოყრილი ახალგაზრდები საბანაოდ მოემზადნენ. პროცესის გამოჩენაზე გუნდში მყოფმა ბავშვებმა თავიანთი ადგილი დაიკავეს.

ოქროსფერ სამოსლით მორთულმა მღვდლებმა ხალხს ჩაუარეს და სანათლილებო ბოგირს მიაშურეს, რის შემდეგაც ჩქარა დაიწყო წყალკურთხევა.

— ბავშვებო, მოემზადეთ საგალობლად! — ზიმართა მათ დაბალი ხმით გალობის მასწავლებელმა და ნიშანი მისცა. გაისმა წყნარი და მელოდირი საეკლესიო საგალობელი.

ამ დროს ოჭონის ეკლესიასთან ზემოდან მომავალი „ნაგიარის“ ეტლი გამოჩნდა. ეს უცნაური ზედმეტი სახელი მეეტლეს თავისი ეტლის გიჟური ქენებისათვის დაარქვა ხალხმა.

ნაგიარს იმ დროინდელ გორში ყველა მეეტლეზე კარგი ეტლი და ცხენები ჰყავდა. თითონ ნაგიარიც, ყველაზე კარგად ჩაცმული, თავმოშრონედ კოფოზე წამომგდარი, თავის მეტოქეებს მუდამ თვალში ფრჩხილივით ერჭობოდა.

თავმოშრონე და უდარდელი „ნაგიარის“ მუშტრები გორის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც ფულის ხარჯვას არაფრად ერიდებოდნენ, ოღონდ ნაგიარის ეტლი ჩაეგრიალეზინათ ხალხის წინ და ჯიბის ბარაქა ერთხელ კიდევ ეჩვენებინათ მაყურებლისთვის.

დღესაც ნაგიარს ნათლილებაზე დაგვიანებული დარდიმანდი ახალგაზრდები მოჰყავდა. ისეთი სისწრაფით მოაქანებდა იგი ეტლს, რომ ნესტო-დაბერილ ცხენებს ოფლის ოშხივარი ასდიოდათ, ხოლო ნალებით დაკვესილი ნაპერწყლები აქეთ-იქით ცვიოდა.

— ნაგიარი კი არა, ნამდვილი გიგია! შეხედე ერთი, როგორ მიაჭენებს! ჩამოდექით, ხალხო, ჩამოდექით, თორემ ე მად მართლა არაფერი უბედურება მოახდინოს! — წამოიძახა ვილაყამ და ხალხი მისწი-მოსწია.

ეტლის მოახლოვებისა მგალობელ ბავშვებს არაფერი გაუგიათ. ისინი მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა ეტლი მოურიდებელი გრიალით ხალხში შეიჭრა და როცა ცხენების ფეხის ხმამ საგალობელი ჩააჩუშა.

უეცარ ხმაურზე ბავშვები უაზროვ ერთმანეთში აირივნენ. მიიხედა სოსომაც და დაინახა, რომ ახლო, სულ ახლო ნესტოებ-დაბერილი კოფო-ლიანებული ცხენები თავშეუკავებლად პირდაპირ მასზე მიდიოდნენ.

— არქა, ბიჭებო, — დაიძახა სოსომ და გაქცევა დააპირა, მივრამ სწორედ ამ დროს დაეჯახნენ მას ცხენები, მიწაზე დაანაცხვეს და წერძის ქვეშ შეისროლეს.

— შენი ოჯახი დაქციოს ღმერთმა რა ჰქენი, კაცო? ბავშვი გამიძყლიტე! — შეჰყვირა მეეტლეს გაფითრებულმა გოგლიჩიძემ და მივიარდა მიწაზე გამოტილ ბავშვს.

ხალხი ხმაურით ერთმანეთში აირია. მაგრამ ზოგმა არ დაჰკარგა წონასწორობა. თავალებულ ცხენებს მოხერხებულად შეუძახა და აქაფებულ პირში ამოდებული ლავამი ღონივრად მისწია.

ეტლი შეჩერდა, მაგრამ მსხვერპლი, რომლის ნახეაც ყველას ძალიან უნდოდა, ფერმიხზილი, უგრძობლად ეგდო მიწაზე.

გუნდში მყოფი ბავშვები თავზარდაცემულნი დაჰყურებდნენ საყვარელ ამზანავს და თვალცრემლიანნი უსუსურად ჩასჩინებდნენ გრძნობადაკარგულს.

იმ დღეს სოსოს შემცველი არავინ იყო, თანაც უცნაური ხიფათით თავზარდაცემულ ბავშვებს გალობა აღარ შეეძლოთ. გუნდი დაიშალა. გულშეწუხებული სოსო კი, გოგლიჩიძისა და ორიოდ ახლო ამზანავის მკლავებზე გადასვენებული, ნაგებარისვე ეტლით სახლში წაიყვანეს.

— ვაიმე, ვაიმე, ეს რა უბედურებაა ნეტა ჩემს თავზე! — შეჰყვირა კეკემ, როცა ეტლი ჯუღიანთ კარების წინ გაჩერდა.

— არაფერია! — უთხრა აულღელებლად გოგლიჩიძემ, როდესაც დედა ეტლთან მიიჭრა და მოსულებს თვალი გადაავლო.

— რაღაც უბედურებაა ჩემს თავზე, ვაიმე შეილო, ვაიმე! — შეჰკივლა მან უფრო ხმამაღლა და ეტლს ისე მივიარდა, თითქოს შეილის დასახსნელად ეს უკანასკნელი გაბედული იერიშილა დარჩენილი.

— ექიმო, ჩქარა ექიმო მომგვარეთ! — იძახოდა ცრემლმორეული კეკე მკაცრი ხმით, როცა მკლავებზე გადასვენებული ბავშვი ოთახში ტახტზე დააწვინეს.

ახლა უკვე ყველანი თავშეუწყავებლად ჩურჩულებდნენ, რადგან ამდენი ხნის გულშეწუხებული სოსო ჯერაც არ მობრუნებულყო.

თავზარდაცემულ დედას შავი ფიქრები მოეძალა თავში, ელვის სისწრაფით თვალწინ ჩაუტარა ყოველგვარმა უბედურებამ. მაგრამ ამ დროს ბავშვმა თვალი გააზილა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, წამოიწია და დედას თვალი მიასტერა.

— ნუ გეშინიან, დედი, მე კარგადა ვარ, — სთქვა ოდნავ გასაგონად, და უღონოდ დაუშვა თავი ბალიშზე.

— თუ ღმერთს სამართალი აქვს, კარგად უნდა იყვე, შეილო, ჩემო ერთადერთო ნუგეშო, აბა მომხედე, ერთხელ კიდევ დამელაპარაკე! — ჩასძახა მშობელმა და თითქოს ახლა გამოერკვაო, ბავშვს მოურიდებლად დაუწყო ხელით სინჯვა.

(დასასრული იქნება)



## სამშობლო

შემომხედეთ, სიცოცხლე ვარ — სიხარული,  
განა მართო მტკვარ-რიონის დარღები ვარ,  
სიჭაბუკის, სიამის და სიყვარულის  
სამაისო თაიგულის ვარღები ვარ.  
შემომხედეთ, ჩემს ბაღებს და ხეივანებს,  
ფიქვნაძენართა სატრფიალო შრიალი ვარ,  
ციხე-კოშკებს, წარსულ ომთა ხეიბარებს  
უშბას რისხვის ლილეს მძლავრი გრიალი ვარ.  
შემომხედეთ, რა კალთა მაქვს მაღლიანი,  
ობიზარის ჩუქურთმაში ნამღერი ვარ,  
მტრისთვის სუსხი ზამთარი ვარ, ავღრიანი,  
მყინვარწვერით მოვარდნილი ნამქერი ვარ.  
შემომხედეთ, ნეტარებით დარბეული,  
კოჯრის მთიდან მონაბერი სიამე ვარ,  
დროშა მომაქვს ძველ ბრძოლებში დახეული,  
ფიცვამტეხზე ხევესურული სიამე ვარ.  
შემომხედეთ, ნისლის ბოლში გახვეული,  
გიე ენგურის აქონრილი ტალღები ვარ,  
ქართლ-იმერის ლიხის მთა ვარ გარღვეული,  
ჩემს კრწანისზე შეკერილი თალღები ვარ.  
შემომხედეთ, რუსთაველის ანამღერი,  
თამარ მეფის მოქედილი ჩონგური ვარ,  
თმოგვის ციხის ძველი სევდის და ნადველის,  
ნარიყალას დანგრეული ქონგური ვარ.  
შემომხედეთ, კახის ხმალით განაბრძოლი,  
ვაჟკაცობის, გამარჯვების ასპინძა ვარ,  
ჩემს თბილისზე სიყვარულით ანაერეოლი  
შევერცხლილი სიონი და მთაწმინდა ვარ.  
ირმებს, ჭიხვებს ჩემს გულმკერდზე უძოვნიათ,  
ვეფხთა გმირულ საქმეების მხმობელი ვარ,  
ჩემი ძუძუ, დედის ძუძუ უწოვნიათ,  
ქვეყნის ბედის — ჯულაშვილის მშობელი ვარ.

## უგზო ქარავანი

გზა არს ზომიერი კაცთა სავილი.  
საბა-სულხან ორბელიანი.

იგი დიდხანს უვლიდა ჰალაბის დილეგს. აქ იყვნენ ისინი. მათმა კვალმა აქ მოიყვანა. გზაში, ვისაც ჰკითხა, — ყველა უდასტურებდა «გურჯების» ჰალაბის ციხეში ჩაყრას... და ნოსტრეველმა გლეხმა გორგასალ ნასყიდა-შვილმა საშინელ სიციხადით იგრძნო მათი განწირულება. შორს, მეტად შორს, საქართველოდან უკუდმართად გადახვეწილი, თურქთა ქვეყნის შუა-გულში ლალათით შეპყრობილი ერთი მუჰა ქართველთა ბედი, რაღა თქმა უნდა, უნუგეშო იყო.

ვინ იყო მათი გამკითხავი... მათი მფარველი?!

აზამ-ვეზირმა — ზოსროვ ფაშამ თავიდანვე აითვალისწუნა გიორგი სააკაძე. მას თავის მარცხი, ერანელებთან ბრძოლაში, ისე არ აწუხებდა, როგორც გურჯი მოურავ-ბეგის წარმატება ამავე ბრძოლაში.

ხოლო სააკაძის ყაპრამან-კონიის ბეგლარბეგად დანიშვნამ სულ გააგულისა. ზოსროვ-ფაშა შეუდგა ფარულ სამზადისს, მრავალი ფანდებ-ხუნდები დაუგო. ვილაიეთის დიდკაცობა აღმხედრა, სამჯერ რჯულ ნაცვალ «ქიაფირს» და ვერაგული თავდასხმა შეუმზადა.

აზამ-ვეზირის ქვებუდანობა დროზე აცნობეს სააკაძეს.

მაგრამ კონიაში ჩაჩიხულს გზა ყოველმხრივ მოჭრილი ჰქონდა, ისევე საქართველო ინატრა. სასწრაფოდ შეჰკრიბა მასთან მყოფი ასიოდ ქართველი და ხმელთაშუა ზღვისაკენ იბრუნა პირი. მერმე ჰალაბის გზაზე გაიჭრა. მღვერისათვის გზის დაბნევა იყო საჭირო... შემდგომ კი მალათისაკენ შებრუნებას ვარაუდობდა... ამ ვილაიეთზე გადიოდა შორი, იქნებ მიტუწდომელი გზა საქართველოსაკენ.

კუშტად იყო ოტებული ბეგლარბეგი... სიტყვაძვირობდა, არვის უმხელდა განზრახვას.

არც ვინ იცოდა, რა გრძნობა ჰქონდა, ან რა გორთხი სურვილები ეხატებოდა.

მით უფრო რა უნდა სცოდნოდა მის უხუცეს რაზმელს გორგასალ ნასყიდა-შვილს... ნოსტრეველ «უწიგნო» გლეხს, რომელიც მხოლოდ სამ ზატს ფიცულობდა ამ ქვეყანაზე: მისი სამშობლოს მფარველს — ღვთის მშობელს, გიორგი სააკაძეს და თავის შვილს ბეჟანს.

... ჰოდა, როცა მათ «ქრისტე-ღმერთი» გაუწყრა და დიდმოურავი კვლავ გადიხვეწა საქართველოდან, იგიც კვლავ თან გაჰყვა, ამჯერად თავის წამოზრდილი შვილიც გაიყოლა.

ახლა ყველანი ჰალაბის დილეგში არიან, ხოლო გორგასალი კი გართ... ლეკვებწავრილ მგელივით უვლიდა ამ დილეგს მოხუცი.

ოდნავ დამრეცილი ქალაქი კეცებ-კეცებად ჩაპყროდა ტერლომს. შერუჯულ მიხაკის ფერს გადაერბინა ბორცვებზე. გვიანი შემოდგომა ყვითელ ფორეჯებად შესწყობოდა ბალ-ბოსტნებს. თითქოს თორნიდან მობერილი ნიაეი ზანტად მოიხვეტდა ხრემსა და ლოგორებს... შენეტიკური ოფლად ახმებოდა შებლზე გორგასალს.

უეცრივ ტანში აიძაგრა მოხუცი. ნიაემა რაღაც უჩვეულო ხმა შემოაწია.

უფრო ახლოს მივიდა დილეგთან. დიდ, მოკედილ ალაყაფს ჩაეხანგებოდა კბილები. მის თავზე, გალაენის გასწვრივ, ვიწრო სათოფურები და სარკმელები თითქოს ბურღადდნენ დილეგის გარემოს. ვეება ბუსავით აჯდა გალაენს კოშკის ქონგური. ნიაეს იქიდან მოჰქონდა რაღაც გაურკვევეი ხმა. შეიმცნო გორგასალმა. იქნებ მიხვდა უფრო. მღეროდნენ. ისინი აყვნენ. ტყვეები. კილოც გაარკვია—„გაფრინდი შავო მერცხალოს“ მღეროდნენ პყრობილნი.

მამამ დამწყების ხმაც იცნო. იგი იყო—ბეჟანი. მისი შვილი, მრავალ შეილთავან ერთადერთი ამდენ ჭირგარამსა და ომებში ძლიეს შერჩენილი. ამას კი არ იშორებდა არსად. ზრდილობაშიც თავად გამოწურთნა და ცხენიარალშიც. ხელმარდი დაპირმართალი ვაჟკაცი დაუდგა გორგასალს. ცხოვრების გამოცდილება აკლდა მხოლოდ. იგი ხომ სულ 19 წლისა იყო. ჯერ კარგად არც კი ჰქონდა შემკული საულეაშე... და ახლა კი... „გაფრინდი შავო მერცხალო“?! აი მისი ხმა—იგი... იქ... დილეგში... მისი უბედური მამა კი გარეთ... მერმე იქ მყოფთ დილეგს ვინ აკმარებს... იქნებ...?! და გორგასალმა გადაისახა პირუჯარი. მაშინ შეამჩნია—მის ათას ომგადახდილ მარჯვენას დასჩემებოდა ტოკვა... ბადეში გაბმულ მიმინოსავით ფეთქავდა მკლავი.

— ეჭვი დედასა! — ჩაიდუღუნა გულმოკლულმა და მკმუნვარე მოგონებას მიეცა... რა მოიმოქმედოს? რა ძალა შესწევს? ათასჯერ ზომავდა უპასუხობ კითხვებს... ან კი რა შეემთხვათ იმ ბედკრულ დილას? სულ ათიოდ დღეა, რაც ულოდნელად დაშორდა თავისიანებს. განა ასე არ იყო? შეძრწუნებელი გორგასალი იღუღავდა გულისპირს, იშმეშნიდა სიცხისაგან დამშხალულ ლაწვებს. მას ყოველთვის კარგი მეხსიერება ჰქონდა. სიბერეშიაც საღად შეჰყვა გულისყური. მახვილი თვალის პატრონი იყო თავიდან. არც ამჯერად გამოჰპარვია რამე. კონიიდან რომ მოსხლიტეს ცხენები, შეუჩერებლივ ვიდოდნენ დასიცხულ ველსრიოკ სავალზე. ქართულად — მარიამობისთვის დამლუვი იყო. თურქულად — მუჰარრემის თვეს იტყოდნენ. თაკარა სიცხე უმოწყალოდ თენთავდა ჯანსა და ნებას. ცხენ-აქლეტები ვერ უძლებდნენ დღე-ღამე გასწორებულ სელას. მოურავი შაინც აჩქარებდა ყველას. დავარდნილ ცხენ-აქლეტებს სტოვებდნენ, ან თუ შესძლებდნენ სცვლიდნენ გზადაგზა. სააკაძე დაუღალავი იყო, თავად დაუვლიდა ჩამორჩენილებს, შეუძახებდა, მათ ცხენებს კი მათრახით შეაზსენებდა სისწრაფეს. ერთჯერ გორგასალის ცხენსაც მოსწვდა, წინ გაიჯღო, მერმე გაუსწორდა და გაბზარული ხმით შეესიტყვა:

— წამომყე, მისმინე, მოხუცო... ჩემი და შენი ტოლი აღარავინ გვახლავს... ეჰ, გორგასალ, ერთი საქართველო მაჩვენა კიდევ და მერმე... თუნდაც...?! — ყელში გაუნასკვა სიტყვა.

— ვნახეთ! კიდევაც მოვესწრებით, ბატონო, შენი ქირიმე! აკადრა გორგასალმა, მაგრამ თვალი ვეღარ გაუხსწორა სიტყვას. მათი ცხენების ფლოქვებქვეშ უკულმა მირბოდა უსიხარულო ველ-ხრიოცი, უცხო შიწა და ყოველი ნაბიჯი უფრო ამორებდა მათ იმ სანუკვარ მიდამოს, რომელსაც ვერ აფასებ, როცა ახლოს ხარ და რომელსაც შით უფრო ესწრაფვი, რაც უფრო მიუწვდომელი ხდება იგი. ახლა გორგასალმა თავად შეჰკადრა მოუ-  
რავს:

— ახლა კი სწორ გზაზე მივალთ? — აელერდა სიტყვა, როგორც ოდეს-  
ღაც უთქმელი საყვედური. — მხარი ხომ არ გვეცვალა ამ ტიალ უდაბნოში,  
ბატონო?

ირიბად შეხედა გიორგიმ:

— მხარი გვეცვალა? ეგონებ ჩვენ დიდა ხანია გვეცვალა მხარი! მთელი  
სიცოცხლე სწორ მხარს დავებდბდი, სამი რჯული გამოვიცვალე და ბოლოს  
ყველგან ცოდვილი აღმოვჩნდი. ათ გზას გავეყვი და ბოლოს ყველგან მარც-  
ხა განვიცადე! — გიორგიმ ხელი ჩამოსხვა სპეტაკ წვერზე, მერმე ხელის  
გულს დახედა...

— აი, რა შემჩნია! — და გორგასალს გაუწოდა დამტვერილი და ჭუჭყმო-  
დებული ვეება ხელი. მერმე ბრაზმორეულმა მათრახი გადუქირა ცხენს და  
დაწინაურდა. შეძრწუნებულმა გორგასალმა თვალი გააყოლა მოურავს... თუ  
უმტყუნა დალილიმა თვალმა? გიორგის ვეება ზურგი რაღაც მოდუნებული  
მოეჩვენა, ხოლო მის ჯაჭვის პერანგს, მზრებში, უცნაური ტოკვა შეამჩნია.  
მახვილი თვალი ჰქონდა გორგასალს — მაინც ეჭვი შეეპარა. თავი ჩალუ-  
ნა და მიჰყვა. ფხაშერეული გრძნობით უმზერდა ბუქის კორიანტელს, მისი  
ცხენის ლაფშურს რომ რჩებოდა ამ უნდო გზაზე.

უეკრივ რეჩხი უყო გულმა. გზაზე მათრახი ეგდო. უმაღ იცნო ორ-  
შოლტიანი მათრახი. მას მუდამ უკვირდა ეს ორი შოლტი. ერთი სამტრო იყო,  
მაგრამ მეორე? ახლა გზაზე ეგდო მათრახი. უპირველესს მხედარს გავარდ-  
ნოდა. დაიქვეითა. აიღო. ქვეითად გაჰხედა ცხენოსანს. იქ წინ, ჩადაისებულ  
შვის ნასხივზე ტაატით მიილტოდა უზარმაზარი მხედარი. აბოლქვებულ  
მტვერში მუქ ჰიაფრად კიდევ ბზინავდა მისი აბჯარ-ჩაქჩანი... მაგრამ  
ჩრდილი დაკარგოდა მხედარს. ტანის გასწვრივ უძლურად ჩამვებოდა,  
ბევრის შემძლე, ორი ვეება ხელი. ერთი მტრის შემმუსვრელი იყო, მაგრამ  
მეორე?

სამოცი წლის ნაღვაწი სიბრძნით გორგასალმა შეიმცნო, რომ იმ აბჯარში  
უდრეკი მებრძოლი კი აღარ იჯდა, არამედ გათელილი და გზადახშული  
ტყვე ამ აბჯარისა. ხოლო მას მკვდრის მზე უნათებდა, იქნებ უკანასკნელ  
ბედის ანაბარა სავალს.

დაეწია. მათრახი მიაწოდა. არაფერი უთქვამს მხედარს.

ამომშრალ ხეობის თავთან ჰას წააწყდნენ. ოდნავი ნოტიო შერჩენოდა  
ფსკერზე. აქ მოუცადეს ჩამორჩენილთ. ძლივს მობორგავდნენ ილაჯგა-  
წყვეტილი აქლემები და ცხენები.

ღამის თევა შესთხოვა გორგასალმა. აქაც არაფერი უთქვამს გიორგის,  
ოღონდ ცხენიდან ჩამოსვლისას, როყოოდ გადაუგდო მიახლებულ გორგა-  
სალს:

— ეჰ, მოხუცო, ჩემს უნავირს რაღად უნდა უზანგის დაქერა?! მე უნა-

გირზე ვიჯექ მეგონა, თურმე მთელი სიცოცხლე სხვას ვუჭერდი... — მერმე ხელი ჩიქნია და ჰის გვერდზე მიჯდა.

გორგასალმა კარავი დაადგმევინა ბეჟანს. უმაღლესი მოურავი, მცირე ხალიც გაუშალა, „იქნებ მაჰმადურ წესით ინფანტოლოცვა“. თავად კი პირველი გადიწერა და განზე მოდგა.

ფეხი გაჰკრა ხალს გიორგიმ:

— ჩემი გაჰედლილი ხატი ვერ ვიწამე და სხვისას რა რივად ვიწამებ, მოხუცო?! — ბალთა გაიწყვიტა, მუზარადი გადიძრო და შუბლი გაიგრილა. ხმალი ამოებორკა ფეხებში. ავად გაჰკრა ხელი.

— ხან წაღმა რომ ვიქნევდი ამ ხმალს და ხან უკუღმა ან სიბრძნე არ მეყო, ან ზნეობა?! —

— ღმერთია ჩვენი მფარველი!.. — გაეხშიანა გორგასალ, თუმც კარგად ვერ გაეგო ბატონის ნათქვამი.

— კაცად-კაცმა ისე უნდა გავლო სავალი, ბოლოს არსად შეგრცხვეს და თავიდან რომ მოგიხდეს დაწყება, ისევე ის გზა ირჩიო, ისევე ის!..

განა გორგასალს არ აწუხებს გზის ამბავი?! —

— აგრე, ბატონო! ბოლოს ხომ შემოვბრუნდებით საქართველოსაკენ? მოურავი კი თავისას ჰფიქრობდა ხმამაღლა.

— ჩემი გზა ინდოეთიდან — სტამბოლამდე გადასერილა, მაგრამ ვაი თუ მისი ნამჯა და ზევე ერთ ქართულ კალოსაც არ ეყოს საღეწად?! —

...და შეშინდა გორგასალ, მიხვდა — მას კი არ ესაუბრებოდა გიორგიმ სააკაძე, არამედ თავის თავს. ასეთი რამ ავად ჰქონდა დაცდილი.

პირველად ლუარსაბის ქორწილზე შენიშნა თავის ბატონს ასეთი ბაასი. მეფის ქორწილზე — თავის და რომ მიათხოვა, ალბათ ქედმაღალ ზრახვებით უკვე ნაპყარმა.

მეორედ შაჰ-ბაზთან გადახვეწის დროს... შემდგომ კახ წარჩინებულთა ღალატით ამოკლეთის ღამეს.

ო, გორგასალს დაღად აზის თითო თარიღი...

კიდევ ერთხელ — თავის შვილის — ჰაატას მოკვეთილი თავის მიღებისას... დაბოლოს ბაზალეთთან, ქართველთაგან ღმარცხებისა და ახლა თურქეთში გადაკარგვის საშინელ დრო-ჟამს.

ჰოი, როდენ უკუღმართობის უნებური მოწმე გახდა გორგასალ. მოწმე არა, მონაწილე! გორგასალი მოურავის ერთგულია, მაგრამ მას თავის ჯივარი აქვს. ტაშის კარი, მარტყოფი, მარაბდა, აქ კი იგივე გიორგის დიდი საქმეების გულდაგული მონაწილე იყო.

— ბატონო! მიბრძანეთ რამე. მე მიბრძანეთ! — შეჰლაღადა შეძრწუნებულმა.

— შენ ვითხრა? კარგი, ერთ სიბრძნეს გეტყვი — თუმც მე და შენ კი აღარ გამოგვადგება, მოხუცო... მსხვერპლი შინაგანად წმინდა უნდა, თუ არა, ისე ათასი ხარ-კამეჩი იკვლება სასაკლაოზე! ერთხელ უკუღმა მოქნულ ხმალს, ათჯერ წაღმა მოქნული ხმალი ველარ გამოაბრუნებს. მე მარჯვენა მიჭრიდა, გული კი გაბზარული მქონია. რალაც ვერ დავთმე. მომერია, სჩანს დამძალა... ხმლის მარჯვედ-ქნევა კი რა ბედენაა?! —

ზეწამოჭრილმა სააკაძემ, ელვის სისწრაფით გაიძრო ხმალი, მიწას ჩასცა. იღმუვლა ფოლადმა. დარეკა. ნახევრად ჩაითხარა შშრალ ბელტში, მერმე გადაჰყვა სააკაძის ფართო მაჯას და მარილივით გადატყდა.

— ისეთი ხმალი მომეცით, ზედ ქართული სისხლი არ ეცხობს! — ყრუდ მიაყოლა სიტყვა გატყორცნილ ვადას.

ჯერ დაიბნა გორგასალ. მერმე შეიხსნა თავისი ხმალი, ~~ემოხვეა~~ და მიაწოდა.

გიგლაძისთვის

— ნასყიდთან ხმალია, მაგრამ არ გაყიდულა არაოდეს!

— მერმე ბაზალეთი?!

— შემინდე ბატონო! ხმალი არ გამიძვრია ბაზალეთთან... ქარქაშიანად ვირიღებდი მომხდურებს... აბა დაჰხედე! — და ქარქაშზე მრავალი ნაჰდევო აჩვენა.

ზეწამოღვა გიორგი. მრისხანე თვალი გაუყარა. აღარც გორგასალმა დაჰხარა თავი.

საშინელმა სიბრაზემ დაუშარნა სახე მოურავს:

— შენ ჩემზე ბრძენი ყოფილხარ... მოხუცო! გამეცალე! არ დამენახო! — უეცრივ მოიხარა, შეიკუმშა... ქონდრის კაცის ოდენა ვახდა. შებრუნდა. კარავში შევიდა და ყრუდ ჩამოიღვარა კალთა.

ის იყო და ის. მეტი აღარც უნახავს გორგასალს თავისი ბატონი. ენა ამოვგლოჯა და არაფერი ეთქვა. ფეხი მოსტეხოდა და არ წასულიყო იმ ღამეს. ბანაკში დარჩენილიყო. ახლაც მათთან იქნებოდა. თავის ბატონთან, თავის შვილთან... თვისტომებთან.

მაგრამ რა იცოდა გორგასალმა. იგი საქმისათვის ზრუნავდა. კეთილად გაისაჯა. მდევარი რომ მისდევდა, ეს კარგად იცოდა ყველამ. მთელი ღამე არ უძინია გორგასალს. მოურავის კარვის ზღურბლზე იყო გარინდული. თვალთა იწვა. თუმც მან ძილიც ფხიზელი და თვალთა იცოდა.

იმ ღამეს არვინ მიიკარა გიორგიმ. გათენებისას გამოიჩრქვა, რომ თრმოციოდ ცხენ-აქლემი აკლდათ ლტოლვილებს.

ზოგი უკვე დავარდნილიყო, ზოგიც დავარდნაზე იყო მისული. გორგასალმა ითავა საქმე. შვილი წაიყვანა, დილა-ბინდზე დაწინაურდა. აღარც თუ შორს მომთაბარე მეჯოგენი ეგულუბოდა. სამარქათო ცხენების შოვნა გადაეწყვიტა.

თავზე დაათენდათ საჯოგესთან. ორიოდ ფარები სჩანდა ცხერისათვის დაცხენების ქალტა-სადგომი. ბეგლარ-ბეგის, მოურავ-ჟაშის რაყამით მოვიდნენ. ორმოციოდ ცხენის შეცვლა მოსთხოვეს. გაჯიქდნენ დამხედურნი. არ ისურვეს მიცემა. არც რაყამი ირწმუნეს. სატევრების ტრიალი დაჰჭირდათ მამა-შვილს. ოთხი მამაკაცი შეიპყრეს, მიწურში შეამწყვდიეს დათოკილნი. ფარებიდან გამოსვლა აუკრძალეს ქალებს. ორმოცი ცხენი მოსხლიტეს რემას. გორგასალმა ბანაკისაკენ ცხენებითურთ გაისტუმრა ბეჟანი. თავად კი ორი ჰედილა წამოაქცია, ააფეშოვა და ქვაბ-შამფურები შეუღდა შუა ცეცხლს. დააურება სჭიროდა რაზმეულს.

შუადღემდე მოელოდა ოტებულთ. მალ-მალ გაჰხედავდა სავალს. საამო ოშხივარი ასდიოდა ქვაბ-შამფურს. არ გაუმართლდა იმედი, ამოდ ელოდა გორგასალს. ჩამიჩუმე არ იყო გზაზე. შეწუხდა. ლექმა ვერ გასტეხა მარტოხელამ. მხოლოდ უნებური ტყვეები დააპურა.

გვიან სამზრობამდე ელოდა, მერმე კი გაანათვისუფლა შემწყვდეულნი, თავად კი ცხენს მოახტა და გაჰქუსლა. მზის ჩასვლისას მიადწია ნაბანაკარს. აი ამ ზეობის დასაწყისში დასტოვა ისინი. ბანაკი აღარსად იყო. იქნებ შეცდა, მხარი ეცვალა გორგასალს? არა — აი ჰა. აქ დაჰკრა სააკაძემ

თავისი მახვილი... აი ხმლის პირიც იბოვნა იმედით გადატეხილა.  
თიხა-ქვიშიან სავალზე ნათლივ ემჩნეოდა ქარავენის ახალი კვილო. მისი  
გუბი ოდნავ უკან ბრუნდებოდა და მერმე ჰალაბისკენ მტკვებუფუფუფ... ესხი-  
რულო ზევ-ხრიოკს და უგზო სავალს.

გორგასალისათვის ყველაფერი გასაგები გახდა. აუჭირა ცხენს მოსარ-  
თავი, აიღო სააკაძის ხმლის ნატეხი და ჩორთით უკან დაედევნა წაყ-  
ვანილთ.

დასახლებულ ადგილებს რომ მიუახლოვდა, ეჭვი რომ არ აეღოთ, ოსმა-  
ლური ძონძები გადაიცვა აბჯრის ზემოდან. ცხენიც მალე მოიშორა მუქთ  
ფასად. ბოლოს მიადწია ჰალაბამდე. კითხვა-კითხვით გამოარკვია ამბავი.  
...ესეც ჰალაბის ძველი დილეგი, ჩახავსებულ ხეივლოვანი კედლებით, ჩა-  
ქანგებულ ალაყაფი. ერთი და რჩენია... მისი გზაც და ადგილიც აქ არის  
დილეგში, მის ბატონთან, შვილთან, თანამებრძოლებთან ერთად! ნეტავ ფე-  
ხი მოსტეხოდა და არ გაჰშორებოდა მათ იმ დამეს. მაგრამ, არა უშავს რა—  
ახლა ხომ იცის სად არიან... მივა, დააკაქუნებს დილეგის კარს. ნუთუ არ  
გაუღებენ? არ შეუშვებენ? შეშვებას ითხოვს, გამოსვლას ხომ არა! ეტყვის  
ვინ არის. რა თქმა უნდა გურჯების ჯგუფს შეუერთებენ. მათ ბედს გაი-  
ზიარებს. მხოლოდ ეს ეჩოთირება ვეკაცს — თავის ფეხით, უბრძოლველად  
როგორ მივიდეს დილეგში? მაგრამ რაღად უნდა ეს გახრეკილი თავი და  
ტანი. სააკაძის ხმლისა არ იყოს, თავდაც ხომ რაღაც სხვა დიდი ამბის  
ნამუსრევსა ჰგავს.

მიიჭრა, ალაყაფის რკინას მიუკაკუნა. ხმა არვინ გასცა.

უმატა კაკუნს. წიხლიც მიაწილა ძვიდეს. ფეხის ხმა მოისმა. შიგნიდან  
სათვალურში გამოიხედა ვიღაცამ.

— ვინ არის?! რას მოთრეულხარ! — შემოსწყრა თურქულად ვიღაცა.

— კარი გამიღეთ! კარი! მხოლოდ ამ მოწყალებას ვითხოვ! თავად მოე-  
სულვარ... — თურქულათვე შევევდრა გორგასალ და უნებურად ჩაქინდრა  
თავი. კარი მართლაც გაიღო და უეცრივ ვიღაცამ მათრახი გადაუჭირა  
გორგასალს.

— აიტ, ძაღლის შვილო! დილეგში მოსულხარ სამათხოვროდ? — შემო-  
უკურთხა იასაულმა. ცეცხლი მოეკიდა გორგასალს. ჯერ ვერა გაიგო რა,  
მერმე ძონძებზე დაიხედა და მიხვდა. მაგრამ უმალ დაავიწყდა ეს მარცხი.  
მთავარი ის იყო, რომ შან მათრახი იცნო, დიახ, ისევე ის ორ-შოლტიანი  
ვიორგისიული მათრახი... და ახლა მტრის ხელიდან მას ხელებოდა ალბათ  
მეორე შოლტი.

— დამარტყი! კიდეც დამარტყი ღირსი ვარ! სად მოვდიოდი? სად?! —  
დაბნეულად ჩიფჩიფებდა გორგასალი.

იასაულმა არ ახეწუნინა, კიდეც ერთჯერ გადაუჭირა ცალი შოლტი და  
კარი მიიხურა. მაგრამ ახლა სულ სხვამ შეაჩქვიფა გორგასალი. ანაზღად  
დაინახა — სამი თითი აკლდა იასაულს, სწორედ მარჯვენა ხელზე: შუათი-  
თი, არათითი და ნეკი! ხმაც ეცნაურა თითქოს! სახის ნაკეთებშიაც აგო-  
ნებდა ვიღაცას.

— დმერთო მიშველე! ვინ იყო ნეტავ?! — ჭიჭირობდა გაოგნებული გორ-  
გასალი და შეჰყურებდა გამოკეტილ ალაყაფს.

სულ დაავიწყდა ნამათრახევის ზიზღი და სუსხი. მერმე მოაგონდა:

— ეს ხომ ჰალაბია?... ალებო, როგორც ის იტყოდა?



შებლზე იტყვიან ხელი და ბაზრისაკენ გაეშურა — ქრთამად ნობათის ყიდვა განიზრახა. ჯარასავით ტრიალებდა ნივთი და კაცი... ხედაგი თუ ფრინველი... ხმაურ-ყვიენია. თვალში სპილოს ძელის კრფაღრუხანდაცხიბრავორგასალს... ველარ მოსწყვიტა თვალი და ფიქრი. *კანტონის* მანქლავი იყო — ორმოცდაათი ცალი თხილის ოღენა თავის ქალა იყო აბრეშუმის ძაფზე აცმული. მზაკერულად ენიშნა სანობათე. საზონჯრეში შავდღისათვის ჩაყერილი ბატონის ნაწყალობევი ოქროფული ჩაუთვალა ვაკვირებულ სოვდაგარს, ვზაზე ერთი დიდი საზამთროც იყიდა და უშალ დილეგთან გაჩნდა.

ახლა უფრო გაბედულად მიუცაკუნა ალაყაფს. ისევ იმ იასაულმა გამოკხედა. ერთი უწმაწურად შეაგინა და ქადილით გარეთ გამოვიდა.

გორგასალმა მის ფერხებით დაახალა საზამთრო. წითელ მარაოდ გაღიშალა ჩაშაქრებული ნაყოფი. ნაპერწყლუბად იფეთქეს დილის ოღენა კურკებმა. გორგასალმა ძონძი გადაიგდო და აბჯარი გამოაჩინა.

შეკრთა იასაული. უკან დადრკა. მრუდე სატეგარზე მოისწრაფა ხელი...

— ამ საზამთროს საღბუნის შადლი ვაგიწყყრეს, თუ ვერ მიცნო! აბა მოიგონე, ისკანდერ-თურქო! — ქართულად მიამახა გორგასალმა.

ხელი მოიჩრდილა თურქმა. შემოუარა და ახლა გვერდიდან შეხებდა.

— ალაყას ვფიცავ! ნოსტეველი გორგასალი უნდა იყო — გიაურო?! ისკანდერ ყოველთვის იცნობს კაცურ-კაცს! — ენამძიმე ქართულით უპასუხა თურქმა, და გადაეხვია...

— შენ ნახვას არ მოველოდი პალეპოს! — მერმე უეცრივ მიმოიხედა, — არც გამხარებია აქ შენი ნახვა, ძმავ! შენ ალბათ იმათთან ხარ? — უკვე შემკრთალი ხმით განაგრძო საუბარი.

გორგასალმა თავი ჩაპხარა.

— წადი მალე! ვინმე არ მოვიდეს. ვერც შენ წაუხვალ მათ ბედს.

— მეც ეგ მინდა! ამაღ მოვსულვარ!

უეცრივ შეტრიალდა თურქი, ფეხის ხმა თუ მოესმა.

— წადი მალე! მოსულხარ — მე შენ გეტყვი ბაირამობაა?! თავის აღვილზე საზამთრო ხომ არ გაბია. ნოსტეში გონიერი იყავ, აქ რამ მოგიყვანა?

— მხარი მეცვალა, ისკანდერი მხარი გზა დამიბნიეს!

— იქ ჩადი... ყავახანში. მალე მოვალ. მე ვაგიველევ გზას. მე ისკანდერ მქვია. შადლის გადახდა შადლით ვიცი. — თავად მოახურა ძონძები, აბჯარი შეუბურა გორგასალს და შეიკეტა ალაყაფი.

ყავახანის კუთხეში მყუდროდ მიჯდნენ. დახლთან სთელემდა პატრონი. ბიჭმა მოართვა ყავა და გაეცალა.

ისკანდერ თურქი და გორგასალი დიდხანს უსიტყვოდ უმზერდნენ ურთიერთს. გორგასალი აუჩქარებლივ მარცვლავდა კრილოსანს. წყვილწყვილად მისდევდნენ თითებს თუ ფიქრებს, სპილოს ძელიდან მოკვეთილი თავის ქალები. თურქმა უთითო ხელზე დაიხედა, თანაც გორგასალის მაჯას შეეხო.

— მაჩვენე ერთი...

გორგასალმა მარჯვენა მკლავი გაიშვილა. ნიდაყვიდან მაჯამდე ჩასდევდა შეხორცებულ კრილობის ნაწიბური.

— ნიშანი მეც დამჩა... შენი არ იყოს!

მოკვეთილი თითები ჩაუტულისხმა გორგასალმა.

დანჯად შეექცეოდნენ ყავას და წარსულს იგონებდნენ. ოცი წლის/ამბავი იყო. საქართველოზე ერთ-ერთ ლაშქრობის დროს, თურქთა ლაშქარს ისკანდერიც ახლდა. მოთარეშედ მოხედა ქართლში. აქ შეხვდა გორგასალს. გორგასალა მეწინავე გუშაგად იდგა სოფლის განაპირა ორღობეში. დაზვერვის დროს წააწყდა მას ისკანდერ-თურქი.

შეიბნენ მართონი. მხნედ შეაკვესეს ხმლები. შესაფერისნი შეხედნენ ერთ-ერთს. დიდხანს იბრძოლეს უშედგოდ. არც ვინ მოსდიოდათ ქობაგად.

ცაცია ხელსაც კარგად ხმარობდა გორგასალი — აქ უგებდა ილეთს, უკან-უკან იწყობ დახევა — გაათამამა მტერი, მერმე ხმალი შეათამამა და ზელი გამოიცვალა. მომხედურმა დაასწრო, მარჯვენა მკლავს სივრძით გაუკრა ხმალი — ნიდაყვიდან მაჯაშდღ დააჩინა ღრმა ნაქდევნი, კვლავ მოუნაცვლა მეორედ, მაგრამ გორგასალმა ცაცია ხელით ქვემოდან ამოუქნია ხმალი, ვადის ძირში აწვდინა ფოლადი, სამი თითი წაათალა უმაღ.

ხმალი გაუვარდა თურქს. გორგასალმა არ იკადრა ხმალდახმალ მისგლა, თავადაც გააგდო. მარცხენა ხელითვე მოასწრო სატევარი, ნეკნებს შუა დასცა. მერმე ხელდახელ მისწვდა და წამოაქცია მიწაზე.

ისკანდერ-თურქი გონზე რომ მოვიდა — ხელფხვშეკრული ეგდო ნაომარ ადგილზე. შორს კი ბრძოლის ყიყინა ისმოდა.

მაღე მობრუნდა გორგასალი, თურქების დამარცხება ამცნო ტყვეს.

— წყალი! — ეხვეწებოდა დაქრილი ისკანდერი. თურქული კარგად იცოდა გორგასალმა.

— შენ ქვეყანაში განა წყალი არ იყო, აქ რომ მოდიოდი?

— ექ! ჰალეპოში წყალიც კარგია, ჰაგრამ... ვინ დამაყენა, გურჯო? განა შენ კი სულ ყველგან შენი ნებით დადიხარ?

ენიშნა გორგასალს თურქის სიტყვა, თან მომაკვდავი ეგონა, წყალი არსად იყო მახლობლად, ღობეზე გადავიდა, ბაღია იყო — საზამთრო მოუტანა უმწიფესი. სატევარი გაიძრო. ღარში სისხლი დარჩენოდა სატევარს, სამოსის კალთაზე შეაწმინდა თურქს და საზამთრო მოუტრა, წყურვილი მოუკლა დაქრილს. თავადაც შეექცა. სისხლის ფერი იყო საზამთროც.

— ალლაჰი იყოს ამ ყარფუზის სალბუნის მოწმე! — მაღლობის ნიშნად წაილულულდა დაქრილმა.

ღრო გავიდა. დაშოშმინდა ქვეყანა, კრილობა გადაიტანა თურქმა. გორგასალმა მოარჩინა თავისი ტყვე. თურქების თარეშის დროს დამწვარი სახლი ერთად ააშენეს. ნოსტეს ციხეზეც ერთად იმუშავეს. სამი წლის შემდეგ თურქების მეციხოვნეთ ჩაჰგვარა ერეყანს, იქ გაათავისუფლა, ერთი თანამესოფლევ გამოიხსნა სამაგიეროდ. განშორებისას ძმურად გადაჰყოცნეს ურთერთი. და აი ახლა ისკანდერ-თურქის სამშობლოში — ჰალაბში, — ბედად თუ მარცხად შეხედნენ ერთმანეთს.

— ჰოჰო! ცაცობით მაჯობე მაშინ! — როხროხებდა თურქი.

— არა, გულით გაჯობე... მე ჩემ მიწაწყალზე ვიყავ!

— ახლა კი?

— ახლა კი... მე წაგებული ვარ, ძმო... აჲ ისინიც, დილეგში რომ არიან, — კრილოსანივით მარცვლავდა სიტყვებს.

— ექ, იმათ კი ავი დილა გაუთენდებათ... — ჩუმად ჩაიდუღუნა თურქმა.

— ყველას?

— არა... ამ კრიალოსანს რამდენი მარცვალი აქვს? — სიტყვა გაუფიქრებლად თურქმა.

— ორმოცდაათი თავი... დახედე... ადამიანის თავი... ჩემგან ნობათად ჯქონდეს... — და კრიალოსანი ორთითა ხელზე მოახვია...  
უფრო მოიღრუბლა ისკანდერ.

— მეც ორმოცდაათი თავი უნდა ჩაებარო კონიაში — ხოსრევ ფაშას. დანარჩენები კი დაბორკილები უნდა მიეგვაროთ. გაჰყიდოთ, — კარგი მაზანდა აქვთ გურჯ ტყვეებს...

ალარ ესმის გორგასალს.

— ორმოცდაათი... — იმეორებს ზარდაცემული. განა არ იცოდა თავადაც, ცუდი დღე მოელოდათ პურობილთ?! მაგრამ სხვის პირიდან გავონილი მაინც ზარდამცემი იყო ეს ბავთი.

— ვინ? მაინც ვინ? რომლები? — თავისდაუნებურად შეეკითხა თურქს.

— ყველა მოთავენი და ვარგისნი.

გორგასალს ფიქრი აერია. აზრი გაუწყდა. უნდა ჰკითხოს კიდევ... ყველაფერი უნდა გაიგოს... მაგრამ არ ძალუძს კითხვა. არ ძალუძს.

— რას აკეთებენ? რას? როგორ არიან? — ძლივს ამოდებდა სიტყვა. და განა ეს უნდა ეკითხნა არა, სრულიადაც არა... აბა რას გააკეთებენ განწირულნი.

— რას აკეთებენ? მღერიათ! — მხრები შეჰყარა ისკანდერმა და მერმე თითქოს თავისთვის განაგრძო, — საკვირველი ხალხია გურჯები: მუშაობენ — მღერიან, იბრძვიან — მღერიან, ქორწილი აქვთ — მღერიან, კვდებიან და მაინც მღერიან! ან დიდი ჰკუთისაგან სპირთ, ან დიდი უჰკუთისაგან! — მერმე სუფრაზე ორი გროში დააგდო და წამოდგა.

— მღერიათ? სულ მღერიათ! — იმეორებდა გორგასალი და მოჩვენებითი სიღინჯით იშმუშნიდა წვერს.

— ისიც სასიკვდილოა? აი, ყველაზე ახალგაზრდა... სიმღერის წამომწყები? ბეჯანი? — ხელი გაიშეშა წვერულვაშზე, — მაინც შეშფოთებულად მოუვიდა შეკითხვა.

შეკრთა თურქი.

— შენი შეილი ხომ არ არის? გგავს, იცოდეს..

— არა! — იცრუა გორგასალმა. რად იცრუა... რად? ალბათ იმიტომ, რომ ეშინოდა, ტყუილის ეშინოდა — მამას სიმაართლეს არ ეტყოდა ისკანდერი.

მიუხედა თურქი ამ ნაძალადეგ უარს. თავადაც მამა იყო... მასაც ჰყავდა შვილი...

— არა! იგი არა! — მანაც იცრუა, მაგრამ უეცრივ დაჰხედა კრიალოსანს და დადუმდა. ორმოცდაათი მოკვეთილი თავი უმზერდა ხელიდან. განა თავად მას არ ჰქონდა დავალებული ეს მძიმე საქმე? მასვე უნდა ჩაებარებინა კონიაში თავები და ტყვეები.

— ისკანდერი! ბეჯანი შეილია ჩემი... ერთად ერთი შემოჩა... არ მომატყუო, სიმაართლე მინდა ვიცოდე... იქნებ ვუსაშველო რამე.

— აბა რაღას უსაშვალე! აბა რაღას? — ვეღარ დაჰფარა ისკანდერმა. გორგასალმა ერთი კი ჩაჰკიდა თავი. ღრმად ამოიოხრა და მერმე ზეადმართა სახე... წამოდგა. უფრო ახლოს მიეახლა:

— ისკანდერი! შეილის თავსა გთხოვ! რას იტყვი?

კრიალოსანი ჩაიქნია თურქმა...

— ანგარიშითა, უპატრონო ჩემსას დაადებენ მეორმოცდაათს!

— რატომ შენსას? — გულწრფელად გაიკვირვა გორგასალმა.

— მაშ არა და შენსას? — უკმეხად უპასუხა თურქმა.

— ჰოდა ეგრე ჩემი უფრო უბრაანია... ჩემი თავიც <sup>მეტიერმოცდაათს</sup> ანგარიშში. სპილოს ძელისა არც ერთია და არც მეორე!

ეს ისე უბრალოდ და უყოყმანოდ იყო ნათქვამი, რომ თურქი გახევედა, მერმე თითქოს ეჭვი შეეპარაო, საყინძე გაუხსნა გორგასალს, კისერზე შეავლო გამოცდილი ხელი. დასაკლავ ხარევით გაუსინჯა ქეჩო.

— აფსუსია, ამ კისერმა თავი სხვის სათვალავში დაქაჯგოსი..

— ემ! რატომ სხვისი? შეილის სათვალავში... შენც ხომ მამა ხარ, ისკანდერ?! — და მერმე უფრო დინჯად განაგრძო:

— ერთიცაა — მთელი ჩემი სიცოცხლე მოურავ-ფაშასთან გამიტარებია... და ეს რაღა ბედენაა? განა მცირე ხანი... მთელი გრძელი და გატანჯული სიცოცხლე... სად არ ახლდა თავის ბატონს... რა ქვეყანაში არ ყოფილა... სად არ უომია... რაოდენი გამარჯვება და მარცხი უნახავთ ერთდ... რამდენი ჩუმი ფიქრი და ოცნება უტარებიათ... ზშირად თავის ბატონს ჰტუქსავედა კიდევაც გუნებაში... აი როცა იგი ქართველებზე იშიშვლებდა ხმალს... მაგრამ ვინ იცის — სად იყო სიმართლე ამ ეაზის კლერტივით დაგრეხილ ცხოვრებაში? მაშინ კი, როცა გული რეჩხს უზამდა, ხმალს არ იშიშვლებდა გორგასალი. მისი დასერილი ქარქაშია მოწმე... მას თავისი პატარა სიმართლე მუდამ ჰქონდა და ახლდა... მაგრამ ათეულ წლების გამუდმებულ ბრძოლა-ხეტიალში სარდალს რომ შეაბერდები, მერმე სიკვდილიც ერთად სჯობია ბარემ... — „შვილსაც იხსნის!“ „შვილსაც იხსნის!“ ღვივოდა ძირა გრძობა და ცეცხლმოკიდებულ პატრუქივით გასდევდა ყოველ ფიქრს. არც გაუგია, როგორ გამოვიდნენ ავახანიდან, როგორ შეუდგნენ მცირე აღმართს დილეგისაკენ. გარეთ ღამე ჩამოწოლიყო უკვე... შემოღვამის მიძმე სიცხე ჯერ არ განელებულოყო მაინც. თურქმა ოფლი მოიწმინდა. გულჯუ კაცად იყო ცნობილი ისკანდერ. თავების „გადათვლასაც“ ავალებდნენ ხანდახან. დღეს კი სულ მოიშალა. მარჯვენაზე თითქოს სამი ნათითარი ეწოდა. ფერდის ძველი ნაიარევიც სტკიოდა ეგონებ...

განცვიფრება კი უფრო და უფრო ეუფლებოდა...

— ეს როგორი ამბავია!? სად გაგონილა? — ბუზღუნებდა თავისთვის.

— შენთვის განა სულ ერთი არ არის?! თავი — თავია! მით უფრო მამა-შვილის. სხვას ხომ არ გთხოვ? შეუძლებელსაც არას ვითხოვ! თორემ იქნებ სარდლისა შეთხოვა?

გალიეს საეალი. უკვე ახლო იყო დილეგი. თურქი კი სდუმდა.

— მაშინ, მეც წამოყვანე მათთან, მეც! იმ, მათთან ერთად... ეს ღა დამრჩენია სათხოვარი. ოდესმე მადლი მიქნია... იცის ღმერთმა, არ ენანობ. მადლს გადახდა უნდა... არც თქვენი ღმერთი იქნება ამის წინააღმდეგი, მეც მათ მიმავოლე...

— ემ! — ხელი ჩაიქნია თურქმა — აზამ ვეზირის სისხლისმსმელობა, თორემ, — ან კი ამათი გაწყვეტა მართალი საქმეა? შენი ზედმეტი თავი რაღად მინდა?

— შენთვის ბეჯანის თავია ზედმეტი! იგი ჩათვალე მეტად...

გორგასალმა წინ გადაურბინა, მისწვდა და დაუჩოქა.

რამდენი უცხოვრია, რამდენი უბრძოლია, რამდენი რამ გატყუტანი, მაგრამ მუხლებზე არ მდგარა გორგასალი. სწორედ ამიტომ იბრძოდნენ ისეთი გაშმაგებით. მუხლმორთხმული მხოლოდ ლოცულობდა, დანარჩენმა „ღმერთთან საუბარი“ იცოდა მსურვალე.

ახლა კი დაუჩოქა, კისერი წარზიდა და ქვევიდან შესძახა ისკანდერს:

— ისეთ რამეს ნუ იზამ — არც კაცისა იყოს, არც ლეთისა!

... მაგრამ ისკანდერი აღარ უსმენდა მას.

— უჰ! გურჯი-შაიტანი! კიდეც მღერიათ! გესმის?

მართლაც ღამის გარინდულ ჰაერში მკაფიოდ მოისმოდა ქართული სიმღერა. ჰალაბის დილეგიდან გაყუჩებულ უცხო მიდამოს ეფინებოდა ხალისიანი, მაგრამ განწირული ხმა.

გორგასალმა კვლავ გაარკვია ხვერდოვანი ხმა, ლექსს რომ წამოიწყებდა ხოლმე... იგია მისა შეილი — ბეჟანი! ბანს კი ჰაბუნა ეტყვის. მოძახილს გაგია, ეს კი თედოა, ცოტა ხმას რომ შეაცდენს ხოლმე სიმღერას. ბრძოლაში გამოყრუვდა მოხუცი. ყველას ხმებს არჩევს გორგასალი. ყველასი ესმის — გარდა ერთისა... იმის ხმა არ ესმის — ყველაზე უფრო რიხიანი და ბოხი.

ის აღარც მღერის. არც ხმას იღებს. არც რამ დარჩა სათქმელი. მან ყველაფერი სთქვა — ზოგი კარგად, ზოგი ცუდად.

გორგასალს თვალწინ წარმოუდგა მკვდრის მზით განათებული, ხელუბლი-შეებული ვეება მხედარი.. თითქოს სიჩუმის ხმა ჩურჩულებდა სადღაც.

„ხან წაღმა რომ ვიქნევდი ამ ხმალს და ხან უკულმა — ან სიბრძნე არ მეყო, ან ზნეობა!“

გული ჩასწყდა გორგასალს და სადღაც ქვესკნელში გმინვა ჩაიტანა. მარტოობის საშინელი სუსხა იგრძნო. სიკვდილზე უფრო შეუქმამდა ეს გრძნობა.

— ახლავე წაიღე ჩემი თავი! ახლავე! დანარჩენი შენს ვაჟკაცობაზე იყვეს! გენდობი... ჩვენ ურთი-ერთ შორის სისხლიც გვიღვრია და პურიც გაგვიტეხია!

მერმე ულოდნელად წასწვდა თურქის მარჯვენას და ნათითურებზე დაასო კბილები. მწარედ უკბინა.

— შეგიტყუებეს ეს მარჯვენა, თუ შენი ხელით, მათთან არ მალირსო სიკვდილი — ისკანდერმა ერთი დაიგმინა და ხელი ჰკრა მოხუცს.

— ახლა რა ჰქირად მინდა შენი თავი! დილაზე უფენია დამხვდი აჰ! არ დაიგვიანო — არ მოგიცდი, იცოდე!

მოსხლტა ისკანდერ და შეაღო დილეგის ალაყაფი.

... რას დაიგვიანებს გორგასალი! რას დაიგვიანებს! სულ არ წავა აქედან! აჰ, ამ დილეგის ზღურბლზე არის მისი ადგილი. სულაც არ წავა!..

ალაყაფში უფრო ძლიერად მოისმოდა სიმღერა. მიხურვისას თურქი შემობრუნდა და გორგასალს გაჰხედა. იგი კვლავ მუხლებზე იდგა და გარედან ბანს აძლედა ტყვეების სიმღერას!

გორგასალს წინ ჰქონდა მთელი ღამე. განწირულისათვის ეს დიდი ვადაა. ჩავიდა იქვე მახლობელ ქასთან. გადიორო ჯაჭვის პერანგი, შიგ გაახვია თავის ხმალი, სააკაძისეული ხმლის ნატეხიც და შეთხელებული ქისაც. ყველაფერი თოფრაში ჩასდო.

მერმე საცვალი გაირეცხა, გაიწურა და ვაუშრობლად ჩაიცვა ფეხები და ხელპირი დაიბანა. ოფლიან კისერზე სველი ხელი რომ გადასვა, თითქოს ფოლადის სიცივე იგრძნო... ერთი წუთით თვალები დახუჭავდა და ცხელი შილმა გადაიხედა. ნათლივ წარმოიდგინა თავისი დაგორებული სახეები. მაგრამ სრულიად არ აღელვებულა, არც არაფერი სტყენია. საკინძის ქვეშ მცირე ჯვარი მოებორკა ხელში. ჩამოიხსნა და თოფრას გამოაბა. ხახაში შეკვეთილი ნერწყვი ძლივს გადაყლაბა, პეშვით ცოტა წყალიც მოსვა და ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით შეუდგა შედმართს. დილეგისაკენ მიეტანა. ღამეში მიუყჩებელი უცხო ქალაქი უზარმაზარ ხნულებად, კალოებად, რუებად და წისქვილებად ეჩვენებოდა ნოსტეველ გლეხს და მიწის სიყვარულის მოუკლავი ეინი თან მიჰყევბოდა გოლგოთაზე მიმავალს. მაგრამ ბინდმა ეკვიც იცის. ჩალამებულ შიდაშოს დაეკარგა სხვაობის ნიშანი და საოცრად ჰგავდა სულ სხვა შორეულ მხარეს...

... იქნებ ახლაც გორის ციხეზე აღის გორგასალი და ქვევით, ღამეში ჩაბუზნული მხარე — ქართლის ველია? იქ, სადღაც ალბათ, მტკვარი სდის, ლიახვიც ბორკავს... მაშინ — თუქამიც. აი ის შავ-რუხი ქედშურვი რით არა ჰგავს თრიალუას? კალთებზე მეჩხრად სოფლები მოთესილან... ზეობებში შეხიზნულან ბაღ-ვენახები... ზენა-ქარი კურდღლაობს ნოსტეს ყანებში. ეს უთუოდ ასეა! ჰო და რა უქიროს, რომ ეს მართლა ასე იყოს? ვის რა დაუშავდება ამით? ვის რა? დილეგის მახლობლად შედგა გორგასალი. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

— ღმერთო! დიდება შენდა! რათა მეტი? ვის რა დაუშავდება? — ერთი კი აღიმაღლა სიტყვა. მაგრამ უმაღ პირჯვარი გადაიწერა და დადუმდა. დიდხანს მდუმარედ „ესაუბრა ღმერთს“, მერმე სმენად გადაიტყა. ადამიანი უსმენდა ზეცას, მაგრამ ახლაც სრული სინუშე სუფვედა, ზეცას თითქოს არაფერი ჰქონდა სათქმელი. აღარც დილევიდან ისმოდა სიმღერა. შორს უგზობობაში მიმავალი ქარაენის ზინზილაკის ხმაც დიდი ხანია მიწყდა. მხოლოდ დილეგის ირგვლივ შმაშურით ფრინავდნენ დამურები და აუგად აღრჭიალებდნენ კბილებს.

მეორე მუხლისთავზეც ჩაიჩოქა გორგასალმა. მერმე მოიხარა და მიწას დაადო ყური. ასე გვერდზე მიწვა. მიწის შეილი ახლა თითქოს მიწისაგან მოვლოდა ამოთ ბასუსს.

... ასე დაათენდა თავზე. დლაბინდისას ფეხის ხმა მოესმა დილევიდან. ჩუმად გაიღო მცირე კარი. უმაღ შეეგება გორგასალი. დიახ, იგი იყო, ისკანდერი. იცოდა გორგასალმა, არ მოატყუებდა უთითო!

თურქმა ხელი დაუქნია უხმოდ. ასკერის ფართო მხარსასხამი გადმოუგდო. კიდევ ერთხელ — ახლა ალბათ უქანასკნელად, მოიხურა გორგასალმა სხვისი სამოსი და სხვის ქვეყანაში საზეარაკოდ მზად იყო სხვისი სიყვდილის ქურდი. თოფრა გზის შილმა მოზრდილ ქვის ქვეშ ამოაფარა, და ისკანდერს დაუბარა:

— იმას ვადასცემ! — მერმე ჩუმად გაჰყვა ჯალათს. ალაყაფში შესვლისაბ ერთჯერ კიდევ გაჰხედა დილეგ-გარეთა სამყაროს.

... იქ არაფერი შეცვლილიყო. მიწაზე კვლავ ბინდი იწვა, ხოლო ცაზე უღუთო განთიადი იფერებოდა.

მზე კარგა მაღლა იყო აწვერილი, ზოცა დილეგის ალაყაფიდან უცნაური

ქარავენი გამოვიდა.. აქლემები მოზრდილ ხურჯინებით დარტყილათ... გარდა ამისა თითოეულ აქლემს დაბორკილი ტყვეები მისდევდნენ ფეხდა-ფეხ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად, საერთო თოკით იყვნენ მიბმულნი აქლემებზე.

გაიგზოქიქიქიქი

მათ ცხენშუბოსნები ახლდნენ. აქლემი, რომელზედაც ბეჟანი იყო მიბორკილი, სულ ბოლოს გამოვიდა. დილეგის მახლობლად კვლავ შეაჩერეს აქლემი და გზიდან გადასულ ქარავენაშს დაელოდნენ. მალე იგიც დაეწია... დინჯად იჯდა ცხენზე და კრილოსანს მარცვლავდა.

ბეჟანმა მთიდან რომ გადაჰხედა ქვევით მიმავალ ქარავენს, მხოლოდ მაშინ დაინახა ტყვეები. ზინზილაკისა და ბორკილების ხმა ირეოდა და შორით განაგონ ზარების სამგლოვიარო რეკვასავით გამოისმოდა. ეცოტავა ტყვეები ბეჟანს. „ნუთუ მხოლოდ ნაწილს გვაგზავნიან კონიაში?“ გულუბრყვილოდ ფიქრობდა იგი. ქარავენს ჩამორჩენილი აქლემი კი საწყალობლად ბლაოდა, მიისწრაფოდა და მიითრევდა ბეჟანსაც. იგი კი კარგად ვერც კი მოსულიყო აზრზე. რა მოხდა! ან რა მოელოდათ წინ!

ცხენები რომ მოჰგვარა გიორგი სააკაძეს უკანასკნელ ბანაკში, იქ უკვე მღვერის — ზორა ფაშის მოციქულები დახვდნენ. პალაბს იწვევდნენ მოურაეს. აზამ-ვეზირის შემორიგების სიგელი მოართვეს. უვნებლობის ფიცით შეიუჯერეს. ახალგაზრდა იყო ბეჟანი, მაინც ვრძნობდა, ნდობა არ შეიძლებოდა არამც. რად ენდო ასეთი იჭვიანი და ფრთხილი გიორგი? რად იბრუნა პირი პალაბისაკენ? რად არ დაანება მამის დამახება? გორგასალი მიხვდებოდა, ბეჟანს კი ცხოვრების გამოცდილება აკლდა საამისო. მხოლოდ შემდეგ... გვიან მიხვდა, რომ სააკაძემაც იცოდა ამ ფიცის ფასი, მაგრამ საბრძოლო ხმალი და ხერხემალი გატეხილი ჰქონდა მას. თავისი პირადი სიმართლის რწმენა დაჰკარგოდა, ხოლო სხვა საყრდენი არ გააჩნდა არასდროს.

სდუმდა, საქართველოს მოურავ-მეფე, შაჰ-აბაზის უპირველესი სარდალი, ყაპრამან-კონიის ბეგლარ-ბეგი, კრიჟა შეეკრა — რადგან უგზოდ ვიდოდა მისი ქარავენი. იქაც კი, პალაბში მოსვლისას, უაშასთან რომ მიიწვიეს, მან უსიტყვოდ გადაჰხედა თავის გაოგნებულ თვისტომთ, ხელი ჩაიჭნია და გაეცალა... მათთვისაც არ დარჩენოდა სიტყვა და სიტბო.

ქართველები დიდის პატივით ნაწილ-ნაწილ მოათავსეს ცალკე სადგომებში, ხოლო ღამე თავს დაესხნენ და დილეგში ჩაჰყარეს. ბორკილ გაყრილი სააკაძე უკვე იქ დახვდათ. ორმოცდაათი რჩეული, მათ ბელადთან ერთად დილეგის მარჯვენა კოშკში გამოამწყვდიეს, ხოლო დანარჩენები მარცხენაში წაიყვანეს. მარჯვენა კოშკში მოხვდა ბეჟანიც. მას სამუდამოდ დარჩება ხსოვნაში საკნის უცნაური კარი. ქვემოდან ზევით იღებოდა მძიმე, კიდემოკედლი მორი. დახურვისას გრუხუნავით დაემხობოდა ქვედა ზღურბლს. შეუძმიშდათ ქართველთ თავისუფლების დაკარგვა. მხოლოდ ორფა სიმღერით ირობდნენ თავს, ურთ-ერთის ამბავსაც იგებდნენ მარჯვენა-მარცხენა კოშკების ტყვენი.

ერთ დღით, ადრიანად, თითო-თითოდ გაიყვანეს ტყვეები. პირველად დიდმოურავი წავიდა. მან ახლა კი სათითაოდ გადაჰკოცნა ყველა. ბეჟანი ყველაზე ახალგაზრდა იყო და ალბათ ყველაზე ნაკლებად ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. მხოლოდ სააკაძის კოცნამ შეაშფოთა — მას საშინლად ცივი, გაყინული ტუჩები ჰქონდა.



კარში ერთხელ კიდევ შებრუნდა გიორგი...

— არც ხმალი ვარგა თრპირი, არც მათრახი ორმოლტიანი... დიდ სიბრძნეს ზოგი თავში გაიგებს, ზოგი ბოლოს...

დანარჩენი შორის ხმაურმა შთანთქა.

ასე თითო-თითოდ გადიოდნენ. უფრო უსიტყვოდ. არც იცოდნენ, სად მიდიოდნენ. სანამ ჯგუფი განახევრდებოდა, ყველა ფეხს იორეგადა გასვლაზე..

აქ ყოფნა ერთიათ. მაგრამ როცა წასულთა რიცხვმა გადააქარბა, შერმე ყველა ჩქარობდა, თავად მიიწევედა გასასვლელად.

გარეთა ურდულის წმას გაიგებდნენ თუ არა, ერთმანეთს ასწრებდნენ კარისაკენ. ერთი-ორჯერ ბეჯანმაც მიატანა, გასცდა კიდევაც კარს, მაგრამ ვიღაცა ორთითა კაცმა, მახინჯი ხელი გაჰკრა გულში და უკან შემოაბრუნა.

— სად გეჩქარება, მამა-გიცხონდა! — და სხვა გაიყვანა მის მაგიერ.

ორმოცდა ცხრაჯერ დაიგრუხუნა კარმა. გაიცალა კოშკი. ბეჯანი მეორე-მოცდაათე იყო და ახლა მარტო დარჩა. სულ მარტო.

აღარც ის უცხო ორთითა მოდიოდა... ბეჯანს მესხიერებაში ნაქდევად დარჩება მისი სახე-შეშლილი იერი, ელმად გასული, მკაწრავი თვალები, პინით შეღებილი მეჩხერი წვერი, მოტვლებილი თავი და კეფაზე შერჩენილი ამაგრული თმა. ვეჯანის ფერი წამოსასხამი შილიფათ მოეხურა, თითქოს საქმიანობის დროს მისი გაძრობა უხდებოა წამდაუწყებ. იგი მაინც მოვიდეს... იგი მაინც. ვეღარ აიტანა სიჩუმე ბეჯანმა. ახალგაზრდობას უფრო უჭირს მარტობა. ჯერ სინდერა სცადა. არ გამოუვიდა. გატეხილ ქვეყრის ხმა გამოიღო დაცალიერებულმა საკანმა. შერმე სიარულს მიჰყო ხელი, აახსრილა ბორკილი. ვეღარც ამითი გააფრთხო სიჩუმე. მაშინ კარის მორს მისწვდა, დაუწყო უმოწყალოდ ჯაჯგუნია... ხმა არც მაშინ გასცა ვინმემ. თითქოს ყველანი ამოწყდნენო დილეგში.

დაიღალა. უნებურად მიყუჩდა. მამის ირგვლივ შემოიფარგლა ფიქრი. ის ხომ გარეთაა? იგი ასე არ დააგდებს ბეჯანს. პალაბის დილეგამდე მოაგნებინებს მამის გული... კიდევ კარგი, რომ არც დაუცადეს მაშინ. არც გაამხილეს გორგასალის გარეთ ყოფნა, მასაც მოელოდა ტყვეობა.

... დიდმა დრომ განვლო, ბეჯანის ფიქრით, იმოდენამ, — რომ გაეშვათ, საქართველომდე მიადწევედა ალბათ.

ბოლოს ფეხის ხმა მოესმა. ადგა. აიშოტა კართან. ხანა დაალო ცარმა, თითქოს დაამთქნარა... ასწია ზედა ჩარბი. კარს იქით, ისევ იგი ორთითა ცაცი იდგა... ახლა მას სხვა, ახალი სამოსი ჩაეცვა, ხელპირი დაეხანა. წვერი ჩამოვეარცხნა, ზოლო კეფაზე შერჩენილი ამაგრული თმა ბეწვიან ჩაღმაქედით დაეფარა. ორი თითით კრიალოსანს ჰკენკავდა... სახეცვლილი ჩამქრალი თვალებით შემოჰხვდა ბეჯანს და ხელი აუქნია. ბეჯანმა ხელი ამოავლო ფეხბორკილებს და უსიტყვოდ გაჰყვა. მის უკან დაიგრუხუნა ცარმა, დააკაკაბა ღრჭილები და დადუმდა.

ვიწრო კიბეზე არავეინ შეხვედრიათ. ეზოში ჩავიდნენ. ალაყაფში ქარავეანი გადიოდა, ზოლო მოშორებით, შეხავსულ კედელთან მიწას თხრიდნენ, თუ ორმოს ავსებდნენ ასკერები. ალაყაფთან აქლემი ელოდა მათ. თოკ-ჯაჭვით მიაბორკეს ბეჯანი აქლემს და ფეხაჩქარებით წინ წასულ ქარავეანა აადვენეს.

მარცხენა კოშკისაკენ ვაჭხედა ბეჟანმა. იქ სრული სიჩუმე სუფთავდა. „ქარაევანს თუ გააყოლეს ისინიც“ გაიფიქრა და ნაბიჯს მოღუმატა. ქალაქს თავიდანვე უგანა ქარაევანმა. კონიის გრძელსა და დამტვერებელ გზებს კედლები ნელი ტაატიო.

ბეჟანს სული უსწრებდა ქარაევანის დასაწევად... მაგრამ ქარაევანბაში ბოლო აქლემს თითქოს განზრახ ათრევივინებდა ფეხს. თავადაც იკავებდა ცხენს. შუბოსნებიც წინ გაისტუმრა... „საბანაკო ადგილის შესარჩევად, კარების დასადგმელად“.

ბეჟანი გზადაგზა განზე აცეცებდა თვალებს, ალბათ მამა მისი სადმე აქ იქნება ახლო-მახლოში... იქნება თვალი მოჰკრას... თითქოს დარწმუნებული იყო ამასი და ციხის მართობას გადარჩენილი — უკეთ გრძობდა თავს.

ესაა, რომ აქლემი უშლიდა მზერას... უფრო სწორად — აქლემზე გადაკიდებული მონადირე ბურჯინი... ბოლო უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — უშუალოდ ბურჯინი კი არა — არამედ ბუზები, ამ ბურჯინის ორთავე ჯიბეს რომ ედებოდნენ ირგვლივ...

„ან კი რა თაფლი მიიქვთ კონიაში?“ ფიქრობდა ბეჟან, გაშმაგებით იგერიებდა ბუზებს და მამის დანახვის იმედით თვალებს აცეცებდა გზაჯვარებზე.

მამის მეხსიერება გამოჰყვა შვილსაც... გზებშიაც კარგად ფრკვეოდა... აი იქ, დიხაშხო ხეობის სათავეში რომ მოსჩანს გზით ანატკეჩი... აღმა შებრუნებული რომ მისდევს თხემ-თხემი... იგია — სანუკვარი გზა. ერთი თვე ცხენმარჯვეთ რომ იაროს ბეჟანმა, საქართველოში მიიყვანს ეს გზა... ეპ, იმ საოცნებო საქართველოში, სადაც მან ბავშვობა და ყრმობა გაატარა, ბოლო ექვაცობა კი აღარ დასცალდა. „იქნებ აღარც დაგცალდეს!“ ლაჯებში ყრულ ჩხრიალებდნენ ბორკილები, „მაშინ მამა მაინც წავა ამ გზით“ ეხშიანებოდნენ ბორკილებს ფიქრები... მაგრამ ბუზები არ აცლიან ფიქრებს... სულში უძვრებიან ბუზები... ბურჯინის ირგვლივ მოზუზუნე ბუზები.

სანუკვარ გზაჯვარედინთან უეცრივ შედგა აქლემი. ქარაევანბაში შეაჩერა. თავად ჩამოვიდა ცხენიდან.

— აი ის გზა, იცი შენ, სად მიდის?! — ენა-ჯღუღ გამოთქმულ ქართულით შეეკითხა ბეჟანს.

— ვიცო! იქ... საიდანაც ამ გზით არ უნდა წამოვსულიყავ არასდროს! ქარაევანბაშია ორი თითი დაადო მხარზე:

— შენ კარგი ვაქვაცი დადგები, მამის მადლი შენთვის ალალია.

უეცრივ დაიბარა. წელიდან ჩამოხსნილი გასაღებით ფეხბორკილი გაუხსნა და გააშორა.

გაოგნებული ბეჟანი უძრავად იდგა. ისკანდერმა აქლემს აეშარა დაუწია და მუხლებში მათრახი დასცხო. გაქირვეულა აქლემი. მაგრამ ცხვირის ნესტოში გაყრილმა რგოლის სიმწვავემ თავი დაახრევეინა და ჩააჩოქა. ისკანდერმა დიდ ბურჯინს ზევით დამაგრებული საკარვე ქეჩა გადასწია და თოფრა ვადმოიღო.

— მამის თოფრა?! უფრო განცვიფრდა ბეჟან... მაგრამ როცა თოფრას ვერზე გამოჰმული მამის მცირე ჯვარი შეაჩინია, მაშინ შეძრწუნდა.

...ო, ბავშვობაში, მამის მკერდზე, რამდენჯერ შეთამაშებია ბეჟანი ამ გადალესილ ვერცხლის მცირე ჯვარს...

... უეცრად ბუზები შემოაფრინდნენ, სახე და ფეხები დაუბნინეს.

— მამა სად არის?

— იარე! ხეირი ნახე! ხელი აუჭნია ისკანდერმა და აქლემს მოეჭიდა ასა-  
ყენებლად.

— ვერ წაველი უნდა ვიცოდე მამის... ყველას ამბავი... სად არიან ჩვენ-  
ები... ორმოცდაცხრანი... ჩვენი საყნიდან?

— ორმოცდაათი...— გაუსწორა ისკანდერმა.— შენ შენი იკითხე ახლა.

მოულოდნელად ბეჯანმა ყველაფერი შეიგულისხმა. ტვირთიც, ბუზე-  
ბიც... ნესტოები აუთამამდა. საფეთქლებთან დარეკა ზარმა და წვივებამდე  
ჩავეიდა ზრიალით.

— ანგარიში შეგშლია, ჯალათო, ერთი თავი დაგკლებია! ჩემი თავი...  
ჩემი!

— მე გავითავე ანგარიში... არაფერი მაკლია. ასის ნახევარი, მუდამ ორ-  
მოცდაათია! მერმე თითქოს შესამოწმებლად დაძხვდა სპილოს ძვლის  
ყრიალოსანს და ხმა მოიღბო:

— მამა-შვილობასა, დროს ტყვილად ჰკარგავს იარე!

საშინელმა მიხვედრამ თითქოს ხმალი შემოჰკრა ბეჯანს.

— ჩემი მაგიერი მინდა ვნახო! ჩემი მაგიერი!— შესძახა და ეძგერა აქლე-  
მის ტვირთს. გაწყვიტა ხურჯინის გარსაკრი თასმა და ჩაიხედა... ისკან-  
დერმა შეუძახა აქლემს. ზღაზღით იწყო წამოდგომა ალქემმა. გახევებულ  
ბეჯანის წინ ზეადიოდა ხსნილი ხურჯინი საშინელი ნადავლით.

ხოლო იგი ვერაფერს ხედავდა, მშობლის ღიათ დარჩენილ თვალებს  
გარდა.

გორგასალს სიკვდილშიაც ღიათ დარჩენოდა თვალები.

ბეჯანი მისწვდა ამბორად... მაგრამ წამის შემდგომ უკვე ქვევით ჩამორ-  
ჩა ხურჯინს. აქლემი ადგა უკვე. შეიღს რალაც ცივის გრძნობა დარჩა ტუ-  
ჩებზე. მუხლები ჩაეყეცა უნებურად.

დანარჩენი ბურანით იყო მოცული... რალაცას ეუბნებოდა ქარავანბაში.  
არიგებდა, ქისაც კი ჩაუგლო მამისეულ თოფრაში... ისიც კი უთხრა: „არ  
უწყალიო მოხელს“. თავის მარჯვენა დაიფიცა, „ერთი დარტყმით მოგ-  
ვეთო“... სიტყვა შეესრულებინა პირნათლად...

ერთი და მოახერხა ბეჯანმა:

— კი, მაგრამ, იმან თუ ირჩია, შენ რაღას უსრულებდი? ურჯულოვ!  
შენ რაღას?

— შეც მამა ვარ... შენც ვაიგებ, როცა მამა იქნები!

სახსრები მოეშალა ბეჯანს. დაემხო გზაზე და აქვითინდა და... თავი როცა  
ასწია, შორს, ხრიოკ გორაკის მუხლთან ქარავანის დასაწევად, ცხენს მიჩ-  
ქარებდა თურქი. მას უკან ძუნძულით მისდევდა ავშარა დაქიმული აქლე-  
მი. კუხებს შორის, ჩამოტეხილ ფრთებად თრთოდნენ ხურჯინის ამობურ-  
თული ფიბეები... გაფრენას ლამობდნენ თითქოს.

მერმე გაუჩინარდა საშინელი ქარავანი, მიწყდა ბორკილების ჩხრიალი.

ბეჯანი ადგა და საქართველოსაკენ იბრუნა პირი.

მიდიოდა და გულისყურში მბჰქონდა უგზო ქარავანის ზინზილაკის ხმა,  
ხოლო თოფრაში მამისეული მცირე ჯვარი და სააკაძის ხმლის ნატეხი თუ  
ნამუსრევი.



## მზა ნითღარ აპოლიოდა<sup>1</sup>

ეფრემა ელენტიის დუქანში დილიდანვე აპყვიზინდა არღანი. ელენტი შე-  
თქმული იყო მეარღანესთან. მეარღანეს დილიდანვე უნდა დაეკრა არღანი და  
ხალხი მოეზიდა მხიარული ბაიათებით. ელენტიის დუქანში უმთავრესად  
მუშები ქეიფობდნენ. იშვიათად თუ ვინმე სხვა ჩამოუქროლებდა ეტლით.  
მხოლოდ ბოქაული ჩხიკვაძე იყო ხშირი სტუმარი. მოვიდოდა ეტლით,  
ახედ-დახედავდა მოქეიფეებს და ვაბრუნდებოდა უკან.

ამ დღესაც დილიდან დაიწყეს ქეიფი ელენტიის დუქანში. მოქეიფეები  
ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ, ბოთლები ბოთლებს ემატებოდა. ზოგჯერ კარტის  
თამაში გაეჩაღებინათ. შმაგის ძალიან უნდოდა კარტის თამაში, მაგრამ  
ფულის წაგებისა ეშინოდა და თავს იკავებდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა  
კარგი ტანისამოსი შეეკრა და ისე ჩვენებოდა ცირუს, ამიტომ დღეგამო-  
შვებით ნახევარ კერძს სჭამდა. კერძი შაური ღირდა, შმაგი ამ შაურსაც  
ანახევრებდა, ოღონდა ლამაზად ჩაეცვა. იმ დროს ბათუმში ყოველი თავ-  
მომწონე მუშა კარგად იცვამდა, არც შმაგის უნდოდა ჩამორჩენა.

შმაგი იმ ჯგუფში იჯდა, სადაც ტარიელი ქეიფობდა.

ტარიელის სუფრაზე უკვე მესამედ მოიტანეს ექვსი ბოთლი. ამიშინებუ-  
ლი მწვადი ამშვენებდა სუფრას. ხალისიანად ჭახუნებდა ჭიქები. შორს ის-  
მოდა ტარიელის ძლიერი „მრავალყამიერი“ და შმაგის მოძახილი.

აივანზე ტანწერწეტი ვაეკაცი გამოჩნდა. მას ჩაქურა ეცვა. შმაგიმ მი-  
რიანი იცნო. გვერდით ცხვირკეხიანი და მუღამ ხუმარა ანდრო შანიძე ედგა.

— როგორ ჩამჯდარა იარაღში! — მოეწონა შმაგის.

მირიანს წელს ზევით მწვანე მაუდის მოკლე ჩოხა ეცვა. შიგნით საყე-  
ლოიანი და ღირკილებით ასკენილი ელედი. ქვემოთ შავი მაუდის შარვალი,  
უკან დანაოჭებული და წინ მუხლამდე შემოჭირებული. წინ და უკან ჯი-  
ბები. სამოგვეს საცვეთებზე შავრენის წულა-მესტები. საცვეთში ჩაკრული  
იყო შარვლის ტოტები. წელზე ბელყაიში ჰქონდა—თოლაბულისის სარტყე-  
ლი. სარტყელში ფიშტო ჰქონდა ჩარჭობილი, წელზე — რევოლვერი.

მირიანს ხელში ღვინით სავსე ჩაის ჭიქა ეკირა. ზურგს უკან ელენტი ედ-  
გა, ლამბაქით ხელში. ლამბაქზე ექვსი ბოთლი იდგა. მირიანის დანახვანზე  
ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ტარიელი წელში გასწორდა და თავი დახარა.  
მირიანმა თვალი შეავლო ტარიელს.

ტარიელს აფურისფერი გრძელი, წვივამდე დაშვებული ჩოხა ეცვა. მა-  
ღალი ბუხრის ქუდი. ქილები ვერცხლით მოჭედული ჰქონდა. ახალუხის  
პირზე მარცხნიდან მარჯვნივ გადაჭიმული სირმა უბრწყინავდა. ჩოხის ფა-  
რთე ტოტები ავეცილი ჰქონდა, გულისპირზე და მკლავებზე ახალუხის ღი-

<sup>1</sup>) იხ. „მნათობი“ № 4—5.

ლები მოსჩანდა. ამბობდნენ ეს ღილაკები მისი საცოლის თმისგან ბრტისო დაგ-  
რუნდილი... ტარიელს სატევარი და შალი ეკიდა. სატევარს სპილოს ძვლის  
კოტა ჰქონდა. ხმალს ბუდეზე თქრო-ცურვილი არშიები. მირიანმა ფეხზეც  
შეხედა ტარიელს: შავრენის ტყავის ლამაზი უძირო და მწესტებ... ქობტად  
მოერგო მის ძმა-კაცს.

— ბატონო ტარიელ და თქვენ ბატონებო! — სთქვა მირიანმა. — ჩვენმა  
სუფრამ მოგიკითხათ და ვისურვათ გემრიელი ქეიფი.

— რატომ შესწუხდით, ბატონო. — ტარიელმა მდაბლად დაუკრა თა-  
ვი, — მადლობელი, დიდი მადლობელი..

მირიანმა ქიჩა გამოსცალა და გაბრუნდა. მირიანის სუფრიდან მშვენიერი  
სამღერა მოისმა:

ალიფაშამ გვიღალატა,  
ჩაგვიყვანა კვირიკეში,  
იმან ფულეები აიღო,  
ჩვენ ჩაგვეყარა რუსის ხელში....

აქედან ტარიელის მაგიდამ შემოსძახა:

მასპინძელსა მხიარულსა  
ყავს სტუმრები საყვარლები.  
ღმერთო, იმას ნუ მოუშლი,  
რაც რომ ყავდეს საყვარლები...

გზის პირას ვიღაც გამოჩნდა. ზურგზე შეკრული ბარგი აეკიდა და თავდა-  
ღუნული მიდიოდა. ღუქანს რომ მიუახლოვდა გზას გადაუხვია და შორით  
მოტარა.

— რას გვერიდები, ძმაო, რა დავიშავეთ? — მიძახა მირიანმა მიშაელს.  
მგზავრი არ მობრუნდა. მირიანი მგზავრისაკენ გაქანა. გზა გადაულობა  
და გაშეშდა:

— ზოსიმე? საით?

— ოდიშს, — უპასუხა ზოსიმემ — ერთი თვეა სამუშაოს დავეძებ და ვერ  
მიშოვნია... მშვიდობით, ძმაო.

— ზოსიმე, მე მთვრალი არ გეგონო. მართალია დილიდან ვსვამ, მაგრამ  
შენ იცი ჩემი ამბავი, კიდევ ამდენს დავლევ და ასე ვიქნები. ხუთი წელი-  
წადი ერთად ვეიმუშავნია. ასე როგორ დავშორდეთ ერთმანეთს? ვინ იცის  
როდის და სად შევხვდებით?. წამობრძანდი ჩემს სუფრაზე.

— შენ ვეძიებ. მე კი... ეეს, მუშისათვის სამართალი არ არის.  
მშვიდობით...

— არა, ზოსიმე, ასე არ ვაგიშვებ! — და მირიანმა ზოსიმეს ხელი ჩა-  
ბღუჯა. — წამო, ტარიელიც მანდა.

— სირცხვილია, თქვენ ყველა ჩაცმული, მე კი თითები მიჩანს.

მაგრამ მირიანმა ხელი არ გაუშვა და ზოსიმეც წამოვიდა.

— ტარიელ, იცი ვინ მოგიყვანა? — შესძახა მირიანმა — ზოსიმე ოჩიგავა.  
ზოსიმეს ხსენებაზე ყველა აიშალა. ყველა თავისკენ ეძახდა ზოსიმეს. ტა-  
რიელი და მისი თანამესუფრეებიც გარეთ გამოვიდნენ. თეთრ-წითლად,



— დიდი ფული სადაა, ბატონო.

— შენ ძალიან დაგშვენდება ჩოხა-ახალუხი და ცხენზე შეჯდომა. მეგრელებს ხომ გიყვართ ცხენი?

— კი ბატონო, ცხენი ძალიან გიყვარს მეგრელებს. მაგრამ <sup>ქარგი</sup> ცხენი ორასი მანეთი ღირს. ჩვენში კარგი ცხენი ყავთ მუკოჩის <sup>ხოლოვას</sup> და ქუთარ ბერულას, ორას მანეთს აფასებენ.

— ჰოო... აი, ისეთი ცხენი რომ გყავდეს, ა?— ჩხიკვაძემ თითუბი ერთმანეთზე მიატკაცუნა. — მართალია, ერთბაშად ამდენი ფული სადაა. მაგრამ თუ კაცი ვარგოსანია შეუძლებელი არაფერია. რას იტყვი?

ბოქაულმა ქვე-ქვეშ შემოხედა შმაგის.

— სხვა, რა ამბავია ქარხანაში. მანთაშევის სადილზე დადიხარ?

— არა, ბატონო, იქ მარტო ლტოლვილები, დადიან.

— საკვირაო სკოლაში თუ დადიხარ?

— კი, ბატონო!

— საკვირაო სკოლის გარდა სად დადიხარ?

შმაგის არ მოეწონა ბოქაულის შეკითხვები, რაღაცა იქვმა გაიღვიძა მის გულში. ბოქაულს ეს არ გამოეპარა და ხმა შეიბილა.

— მე იმიტომ გეკითხები ამ ამბავს, რომ შენ ჩემი ვაგზავნილი ხარ ქარხანაში. დიდი თხოვნა დამკირდა, შენ რომ ქარხანაში მიეღეთ, ვიცრუე კიდევ, ჩემი ცოლის ნათესავია მეთქი. ხედავ? ამიტომ მინდა ვიცოდე, ხომ არ გიჭირს რამე, ხომ არ გაკლია რამე. კარგი ბიჭი ხარ და მინდა ხელი გაგიმართო.

— დიდი მადლობა, ბატონო! მე ისედაც დავალეზული ვარ თქვენგან. არ ვიცი რით ვადაგიხანდით. მე რა შემიძლია საწყალ კაცს.

— აი, რა შეგიძლია, — და ჩხიკვაძემ ხმას დაუწია, საიღუმლო გამომეტყველება მიიღო — კაცს მტერი არ გამოეღევა, ხომ იცი. მე ბევრი მტრები მყავს. შენ შეგიძლია გაიგო ვინ რას ამბობს ჩემზედ და მითხრა.

„ეს ენის მიტანა იქნება“, — გაიფიქრა შმაგემ, მაგრამ ბოქაულს კი არაფერი უთხრა.

— მე მეფის კაცი ვარ. თუ რამე დაგჭირდა ყოველთვის დაგეხმარები. შენ არაფრის შეგეშინდეს, — დაარივა ბოქაულმა — ოღონდა არ უნდა გაამხილო არაფერი. მაგალითად, ჩემთან რომ დადიხარ...

— ჰელეე! ვიცი რა გინდა, ჩემო ჩონგურო! — მუკოჩისებურად გაიფიქრა შმაგემ, და ბოქაულს გაკვირვებით უთხრა:

— რატომ, ბატონო? თქვენ მეფის კაცი ბრძანდებით. განა სამარცხენო არაა მეფის კაცმა რამე მითხრას და მუშებს დავუმალო? პირიქით, მე ხელვე ვეტყვი ჩემს ამხანაგებს ყველაფერს... ალბათ დავაზარებ.

— ჰა, ეს არ ჰქნა — წამოიძახა ჩხიკვაძემ — საქმეს გააფუქებ.

— რა საქმეს, ბატონო, — ისევ გაკვირვებით ჰკითხა შმაგემ, გულში კი ჩაიციინა: — მოიცა, რა გიქნა. მე შენ სულელი გგონივარ?

— რა საქმეს და — ჩხიკვაძე ადგა. ორჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში. შმაგის პირდაპირ დადგა. შელებილ წვერზე ხელი ჩამოისვია.

— შელებილ წვერზე საერთოდ ხელს არ ჩამოისვამენ, — გაიფიქრა შმაგემ. — აჰა, ლელავ, შე ხმლით ასაქუწო? იმიტომ მომაწყვე ქარხანაში, რომ გინდოდა ჯამუში გყოლოდა? კუკაში მატყუებ? ვნახოთ...



— ქვეყანა ფულზე ტრიალებს, ბიძია! — დაიწყო ჩხიკვაძემ. <sup>სადა</sup> კაცი ისა ვისაც ფული აქვს. მე შენ ფულს გამოვინებ. ბევრ ფულს.

— ბევრ ფულს რა სჯობია, ბატონო, — უპასუხა შმაგიმ — <sup>ვისაც</sup> ბევრი ფული აქვს იმას სამსახური რათ უნდა. ბედნიერი კაცები <sup>გაქვს</sup> და <sup>მეტი</sup> „კვიანია, მამაძალი — მიუხედა ჩხიკვაძე შმაგის — ასე ახალგაზრდა და როგორი გადაკრულები სცოდნია.“ — ხოლო შმაგის ასე უთხრა:

— კაცია და გუნებო, არ გაგიგონია? ზოგს მღვდელი უყვარს, ზოგს მღვდლის ცოლი. შენ რომელი გიყვარს. ცოლი გიყვარს, ალბათ...

— მე უცოლო ვარ, ბატონო.

ჩხიკვაძე აენტო. ყვრიმალზე კუნთები აუთამაშლა.

— აი რა ვითხრა, შენ უნდა გესმოდეს შენი სიკეთე. ჩემთან ურჩობა არ გარგებს. თუ დათანხმდები თვიურ ჯამაგირს დავანიშნებ შენთვის. იოლ სამუშაოზე გადავყვანებ. ოღონდ ესეც საიღუმლოდ უნდა დარჩეს, თორემ ხომ იცი, დამესვენებ და მე სად მაქვს ამდენი ფული. მე მხოლოდ შენი სიკეთე მინდა.

— სიკეთისათვის დიდი მადლობა, ბატონო, მაგრამ თქვენ რომ სიკეთეს მიშვებით ამას ვერ დავმალავ.

— იფიქრე, ბიძია, სამი დღე მომიცია პასუხისათვის...

— სამ დღეს როგორ გალოდინებთ, ბატონო. თქვენს სიკეთეზე ზვალე დავიტრამაზებ ქარხანაში...

შმაგი კიბზე ჩაღიოდა, როცა მოესმა არც თუ თხოვნა არც თუ მოთხოვნა.

— ბატონმა გრიგოლმა იცის... მოახსენეთ... ქერა მოვიდათქო...

— რა ნაცნობი ხმაა? — გაიფიქრა შმაგიმ — ვინ არის ნეტავი?

„ქვირფასო ბაბუ მუკოჩია!

რა ხანია შენთვის წერილი არ მომიწერია. თავი ხელთ არა მქონდა... რაც მანთაშევის ქარხნიდან დამითხოვეს ჩემი საქმე ცუდათ წავიდა. სოფელში რას ვაფაწყობდი რომ დავბრუნებულიყავი. არც ხელცარიელს მინდოდა დაბრუნება. დედას შეეპირდი ოდას დავიდგამ მეთქი. ოდის ფული კი არა ეს ზაფხული ძალღვივთ ვავატარე... ის ბოქაული ჩხიკვაძე დიდი მამაძალი ვინმე ყოფილა. ჯაშუშად რომ ვერ გამომიყენა და მამაძალობა გამოვუმღვლავნე ქარხნიდან დამითხოვეს... დავიწყე ზეტიალი. აქ ბევრი ქარხანაა: როტშილდის, ნობელის, მანთაშევის, ტუმაევის, შიბაევის, სიდერის, ხაჩატურიანის, რილსკის, რიხნერის, „ბნიტოს“. სახელები ყველასი ვისწავლე, მაგრამ რა ზეირი გამოვიდა. ყველგან ერთი პასუხი იყო, მუშა არ გვჭირიაო. მივდიოდი დილით ქარხანაში, რას ნახავს კაცის თვალი? ქარხნის კარებთან მთელი ჯარია მუშების. ყველანი ისე დგანან, თითქოს იმ კარებს იქით შვილი ან დედა იწვეს მძიმე ავადმყოფი და უცდიან როდის გამოვა ექიმი და იტყვის კარგს ან ცუდს. აი, ვაილო ქარხნის კარი, გამოვიდა ნოქარი ან ზედამხედველი და გამოაცხადა: დღეს მუშები არ გვჭირდებაო და ყველა დაიშლება... ამ ზაფხულს ბევრი ხალხი დაიღუპა. მერა არ გადავიტანე. ერთ თვეს შუა მუშად ვიყავი. ქაობის ამოშრობაზე ვმუშაობდი ბათუმის გარშემო. ამ სამუშაოზე ბევრი ხალხი დაინოცა ციებისაგან. მე

შევეშინდა და ისევ ბათოსმ დაებრუნდი. ორი კვირა ზმელა მუტრით ვცხოვრობდი. ერთ ხანს ელექტრონის სადგურზე ვმუშაობდი. ერთი თვით სანაპიროზე მოვეწყვე ნავთიანი ბოჭკების დატვირთვაზე. ორი კვირა წაუბახტში ვავატარე. სილიბისტრო ლომჯარიას რომ არ ვეხსენებო, ამისთვის რა დამემართებოდა. ვაცნობე და გამომიხსნა. თავის თავდებობით გამომიშვა. ჩხიკვაძემ უთხრა ეს ბოსიაეკააო. დასწყევლოს ღმერთმა, რა სახელი მომაკერა! ამ სექტემბრის დამდევს ბევრი მუშა წავიდა სოფლად მოსაულის ასაღებად და მე იზბალზე ისევ მოვეწყვე ქარხანაში. ახლა ისევ როტშილდთან ვმუშაობ. მკვდლობა ვისწავლე და გვარიანად ვარ. მართალია 16—17 საათს ვმუშაობ, მაგრამ ოთხ აბაზს ვაკეთებ და ერთი თვეა არა მიშავს რა. ახლა დედას ეუფავანი ათ მანეთს. ძალიან მენატრება სოფელი. მაგრამ სანამ ოდის ფულს არ შევაგროვებ არ ჩამოვალ. მე მინდა ოღა დავიდგა, დედა გავაბარო და მამაჩემის ოჯახი არ წავაქციო. მეტი რა მოგწერო. ზოსიმეს ხშირად გაიხსენებენ მუშები. მაგრამ რა გამოვიდა. მუშა აქ კაცად არ მიაჩნიათ. მეც დაკოდილივით დავდივარ, თითქოს რაღაც სამარცხენოს ჩავდიოდე.

შენი შმაგი“.



მთვარე მავნოლის ყვაეილივით მოჩანს ღრუბლებში. დაღლილი შმაგი ნელა მიდის. მთელი დღე ქალაქში დაჰყო. ეგებ სადმე შეგვხვდეთ ცირუს. ეერსად შეგვდა. ახლა გადასწყვიტა იმ ქუჩას ერთხელ კიდევ ჩაუაროს, იმ სახლს ერთხელ კიდევ შეხედოს.

აი ის სახლიც. აი ბაღიც, სადაც ცირუს გაკვეთილის სწავლა უყვარს. როგორი მტკიცე მესერიითაა შემოვლებული ეზო და ბაღი. შეიხედოს? ეგებ თვალი მოჰკრას ვინმემ და ქურდი ეგონოს... მართალია, ახლა კარგად აცვია შმაგის, მაგრამ კარგად ჩაცმული ქურდებიც ხომ არიან?

რაც მოხდეს, მოხდეს, შეიხედავს.

ჩუ! რაღაც ჩურჩული მოესმა.

ფართო ფოთლებიან ბანანს ქვეშ ორი ჩრდილი ჩანს. ერთს თავი დაუხრია. მეორე ზედ დასდგომია.

ზეზე მდგომმა თავდახრილის ხელს კოცნა დაუწყო. ხელი წელზე წაუპოტინა.

თავდახრილი წამოვარდა.

მთვარემ პალმების ჩრდილი გაარღვია, ბანანების ფოთლებში შეიხედა, აქ რა ხდებაო, და...

— ცირუ! — კინალამ შეყვირა შმაგიმ.

ხანჯალზე დაიდო ხელი, ამოსწია.

— ის ოფიცერი, ის... სოფელში, რომ იყო... კაპიტანი.

აბ, დაბადება დაწყევლილო! აბ, ხმლით აიაქუწო! თავისკენ მიიზიდა ცირუ.

მოიცა მთვარე, ნუ დაიმალები! რას იზამს ცირუ?

მაგრამ მთვარემ თავი ჩარგო ღრუბლებში. — ვინ ეშმაკი მოგდევდა, ახლა რომ დაიმალე მთვარე? როგორ გაიგოს შმაგიმ რა მოხდა ახლა, ამ წუთს, ამ უეცარ სიბნელეში?

და გაბრაზებულმა შმაგიმ რაც ძალა და ღონე ჰქონდა ხანჯალი დაარტყა მესერს და გადასწია. მესერმა დაიღრპიალა, თითქოს დაიყვირა: მე რას მერჩოდო, აბა მოწმეს ვინ ერჩისო.

— ახ, გამეცალეთ! — წამოიძახა ცირუმ და გაიქცა. მთვარემ ამოაწათა და შმაგიმ დაინახა ოფიცერმა ხმალი მოიგო, და დარცხვენით ბალიდან გამოვიდა.

შმაგი ნულა ჩაყვა მესერს. რაღაც მძიმე დააწვა მხრებზე.

ასეთი მძიმე ტვირთი მას არც ერთ ქარხანაში არ აუწევია...



ბარცხანაში ყოველკვირაობით იმართებოდა ჯარობა. ივლიანე შაფათავა გამოიტანდა დოღს და გაჩაღდებოდა ცეკვა-თამაში.

შმაგი კარგი მოცეკვავე იყო, მაგრამ სანამ კარგი ტანისამოსი არ შეიქცრა ჯარობაში არ გასულა. რცხვენოდა. ერთხელ მირიანმა უთხრა, შენ როცა ჯარობაში წამოხვალ ეტლი ჩემი იყოსო. მას შემდეგ შმაგი სანარდოზე გადავიდა. მთელი ორი თვე თამაში ოფლი იდინა. მთელი ორი თვე ნახევარ კერძზე გადადიოდა. მოუყარა ცოტა ფულს თავი და გამოეწყო.

მირიანმა გამოწყობილი შმაგი რომ ნახა გაეხუმრა:

— ტანზე კი ჩაიცვი, მაგრამ ტყავი რომ გაგძვრა?

— აწი კვლავ დღიურზე გადავალ — უპასუხა შმაგი.

— ეტლი, როგორც გითხარი, ჩემია, — უთხრა მირიანმა...

მეეტლემ ისე ლამაზად შეაყენა ეტლი, რომ მთელმა ჯარმა დაინახა მირიანი და შმაგი. შმაგი თამამად შევიდა მოცეკვავეთა წრეში. გაიხედ-გამოიხედა. ივლიანე შაფათავა დოღს უკრავდა. თეოფილე, მირიანი, ქიშვარდი, პორფილე, მიხა გაბუნია, „ჭაირიას“ მღეროდნენ. ერთი გოგონა დაირას უკრავდა და ტურზე ღიმილი დასთამაშებდა. შმაგი დააკვირდა. გოგონას გრძელი ნაწნაგები კოჭებამდე სწვდებოდა, თმები ზუჭუჭუნუჭუნად ეცემოდა შებლზე. გოგონას ცისფერი თვალები და გიშრისფერი თმა ჰქონდა. მრგვალ პირისახეზე მოკლე ცხვირი გამომწვევად ედგა. წითელი კოფთა ეცვა, უსართყელო, წელში გამოყვანილი. კოფთას სახელოები გრძელი ჰქონდა და გულს დახურული. ფართო ყვავილებიანი შლაპა ეხურა. ოქროს საყურე ეკიდა. გოგონამ იგრძნო შმაგის გამოხედვა, თეთრ ლოყებზე სიწითლე შეეპარა, მძიმე ნაწნაგები შეარხია და შმაგის თამამად გაუსწორა თვალი.

„თო, ჯიმა! ამასთან უნდა ვიცეკვო,“ — გადასწყვიტა შმაგი და მირიანს პკითხა ვინ არისო.

— ნატალია კირთაძეა. მოგეწონა თუ?

— ანგელოზია. ის მეორე ვინაა?

— ლიზა სადრაძეა. აი, მაგას კი არ გაეარსიყო, თორემ წაეჩხუბებოდა. ორთავეს გაეცინა. ნატალიამ დაირა ლიზას გადასცა, შლაპა მოიხალა და ხელები თმაზე გადაისვა. შმაგიმ ხელი ხანჯალზე დაიდო. აიწურა.

— ჰაირირა! — დაიწყო თეოფილემ.

ივლიანემ დოღი შეუწყო. შმაგი გაეარდა წრეში.

— აი ლეკური! — მოეწონა ნატალიას — ტანი სანთელივით აქვს გაჩერებული, მარტო ფეხებს ათამაშებს... ჰმ... აფხაზური ფიგურა... ალბათ მეგრული იქნება.

შმაგი მოსხლეტით გაჩერდა ნატალიას წინ და თავი დაუჯერა. ნატალია გაწითლდა, უკან დაიხია, თვითონაც გაუყვირდა რატომ დავიხიეო.

შმაგიმ წინ წაიწია. ისევ დაუჯერა თავი. ნატალიამ გაშალა ხელები და ჩაუარა შმაგის, თითქოს შმაგი სულაც არ მდგარიყო მისი წინ.

შმაგი აედევნა. ნატალია გაეჭვა, წრე შემოიარა, შმაგის პირისპირ გაჩერდა და გაშლილი ხელები ხმალივით მოიმარჯვა თითქოს ეუბნებოდა:

— არ გებრძვი, თუმცა საბრძოლველად შხადა ვარ.

— ახ, არაფერი გამოვა ამ ხვეწნიდან, — თითქოს უპასუხა შმაგიმ და გაექანა ნატალიასაკენ.

— ვერ დამიჭერ — და ნატალიამ ყელი მოიღერა, გაეჭვა შმაგის.

— შმაგი მოგიკვდეს თუ გაგიშვა, — თითქოს მთელი ტანით შესძახა შმაგიმ და გამოედევნა, მაგრამ პატივსაცემი მანძილი მაინც დასტოვა, თითქოს ეუბნებოდა: ხომ ხედავ, დაგეწიე. ჰოს თუ არ იტყვი, უარსაც ნუ გაიხსენებო.

— ნატალია მოგიკვდეს თუ შენ დამირჩინო, — თითქოს უპასუხა ქალმა. უცბად შემოტრიალდა და განით, ცეკვა-ცეკვით, მოედანი შუაზე გადასტრა, განაპირდა და გაჩერდა: მოვისვენო, მოვიფიქრო, ეს რა ამბავია ჩემს თავზეო.

— აჰა, ფიქრი შეგეპარა? ეს კარგის მომასწავებელია, — თითქოს გაეხარდა შმაგის და ორ-სამჯერ შემოუარა წრეს. თითქოს არწივმა ირაო გააქეთა და წრის მეორე მხარეზე გაჩერდა. ფეხები აამღერა, ტანი კი სანთელივით უძრავად ეჭირა.

— ახ, რა აფხაზური! რა აფხაზური! — მოისმა ხალხში.

ნატალია კი იღვა უძრავად, ყელმოღერებული. ცისფერი თვალები სიამით უელავდა. მჭიდროდ ჩასხმულ თეთრ კბილებზე მოწითალო ტუჩები ოდნავ გაეხსნა. შუე უთამაშებდა საყურეებზე და ამ საყურეებიდან თეთრ კისერზე სიზმარივით ჩრდილი გასწოლოდა. თითქოს ეხვეწებოდა ნატალია:

— ვაჟო, დამტოვე ბუღეში. ვაჟო ნუ ამაფრენ!

— არ შემიძლია. აფრინდი, ქალო, აფრინდი! — თითქოს უპასუხა შმაგიმ და შურდულივით გაექანა ქალისაკენ.

მოსწყვიტა ადვილს. ააფრინა. წაიყვანა შორს. წრის ნაპირზე.

შემოელეს ნაპირი, შეიჭრნენ შუაგულ წრეში. თითქოს გაიგეს ერთმანეთი-ლო, დადგნენ ერთმანეთის პირისპირ და დაუჯერეს ერთმანეთს თავი:

ქალმა ოდნავ.

ვაჟმა მღაბლად...

ბინდი წვებოდა, როცა შმაგიმ ნატალია ბინაზე მიაცილა.

## ნაწილი მეორე

### I

მთელი დღე დათარეშობდა ქარი ბათუმის ქუჩებში, რახარუხით გადადიოდა სახურავებზე, კენესოდა ფანჯრებთან, ლაწა-ლუწი გაჰქონდა ქისკრებში და ავაზაკივით თარეშობდა დარბაზებში. ბოლოს, თითქოს მოსწყინდოა მართობა, წვიმა მოიყვანა და ქექა-ქუხილი დაუშინა ბათუმს.

წვიმა წამოვიდა კოკისპირული. ასხამდა ისე, თითქოს ზღვა ცანი ბეიდა და იქიდან გადმოიღვარაო. ბათომის განიერი ქუჩები მდინარეებად აქცა. შიგადაშიგ იკლანებოდა ელვა და ღმუროდა ცა.

ამ ქარიშხალში მხოლოდ ორი კაცი არ ეძებდა საფარს, <sup>ქარიშხალში</sup> მხოლოდ ერთი — შიგადაშიგ მხარზე და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ. მათ თითქოს ქუჩილი მოსდევდა, ელვა უნათებდა გზას.

— დასწყველის ღმერთი, რა დარია! — ჩაილაპარაკა ერთმა. — ძალღს არ გამოაგდებს კაცი გარეთ ასეთ დარში.

— სწორედ რომ ასეთი დარია საჭირო, ჩემო სილიბისტრო, — უბასუხა მეორემ — ძნელია თვალყურის დევნება. შორსაა კიდევ შენი ბინა?

— ახლოსაა, აი ეს სოუქსუს სასაფლაოა. აწი ახლოსაა.

— რაღა სასაფლაოზე დასახლდი, შე კაცო!

— იაფი იყო მიწა — გაიცინა სილიბისტრომ — საყენი შაური ღირს. ქაობი ხომ სულ მექთადაა, კაბიკად. თავი კი მოაქვთ ქალაქის მამებს: მუშა ხალხს მექთად ვაძლევთო მიწას. ხალხიც ესახლება.

— იციან თვალის ახვევა, ჩემო სილიბისტრო! ბევრ მუშას აქვს თავისი ბინა?

— აქვს, მაგრამ რა ბინა! უმრავლესობა საშოვარზეა ჩამოსული. აქ ის ესახლება, ვისაც უკან დასაბრუნებელი გზა არა აქვს. ეხ, რა ეშველება ხალხს!

— ეშველება, სილიბისტრო, ეშველება!

— შენს პირს შეჭარი, ჩემო სოსო! აი მოველით!

ელვამ გაჰკრა და შუშაბანდიანი სახლი სიბნელიდან გამოაჩინა.

— შენიანების სახელი მითხარი — უთხრა სილიბისტროს სოსომ.

— ოჯახობას აღათი ჰქვია. ძმას — პორფილე. დას — ვერა. ამათ გარდა ჯახლის მეორე ნახევარში მუშები ცხოვრობენ. კარგი ბიჭებია.

სოსო პარშალზე შეჩერდა. მიიხედ-მოიხედა.

— ალაგი მყუდროა — სთქვა მოწონებით.

— ვინ არის? — მოისმა კარს უკანიდან.

— სილიბისტრო ვარ. გააღე, პორფილე!.. იცნობდე, ეს ჩვენი სტუმარია. სოსო ჰქვია სახელად. იცნობდე და მოუარე.

— სტუმარი ღვთისაა — გაიცინა პორფილემ და სტუმარს მდაბლად დაუქრა თავი.

თბილ ოთახში ბუხარი გიზგიზებდა. სტუმარმა ოთახი შეათვალიერა.

ერთ კედელზე ხალიჩა ეკიდა. ხალიჩის თავზე შუა ალაგას რუსთაველის სურათი. სურათის ქვეშ დიასახლისის ყვავილების კონა ჩამოუყვლიდა. ხალიჩაზე ხმალი, ხანჯალი, ფიშტო. ოთახის მეორე კედელზე ჩონგური. იქვე მარჯნისაგან მოჭსოვილი ქოში. ქოშში სურათიანი ღია ბარათი: ტიტველი ანდრომდე ზელფეხზე ბორკილ გაყრილი და კედელზე მიჯაჭვული. შუა ალაგას სილიბისტროს სურათი ლამაზ ჩარჩოში ჩამჯდარი.

კუთხეში მრგვალი მაგიდა იდგა. ზედ ხელით ნაქსოვი ქუპრუტანიანი საფარი. წიგნები. სტუმარმა გადაათვალიერა: „ვეფხისტყაოსანი.“ ილია, აკაკის კრებული, ნინოშვილი, ყაზბეგი, სახარება, სიზმრის ახსნა, „ყარამაზიანი, ქალვაფიანი, „მოამბის“ ნუმრები, „ასი წლის შემდეგ“, „კვალი“.

„კვალის“ დანახვაზე სტუმარმა წარბი შეიკრა და თავი გაიქნია. უბიდან

სველი წიგნები ამოიღო და რაფაზე მზრუნველობით დააწყო მგზობელ ოთახში სილიბისტრო ძმას ენურჩულებოდა:

— ის კაცი რომ მოვიყვანე, თბილისიდანაა გამოგზავნილი, განათლებული კაცია. ინტელიგენტი. ის ებრძვის მეფის მთავრობას და კაბიტალისტებს. მას უნდა ხალხი ასწიოს ამ ბრძოლისათვის, ხალხისთვის თავდადებული კაცია. ჩვენ უნდა შევიინახოთ იგი და დავეხმაროთ. ისე უნდა მოვეუაროთ, როგორც თვალის ჩინს, ვერასაც უთხარი.

— ძმავ, სანთელივით დავდნები მაგისთანა კაცისათვის!

— აბა, ქალები სად არიან? — იკითხა სილიბისტრომ ხმაშავლა და შემოსული ცოლი რომ ნახა, ღიმილით უთხრა: — აღათი, მოსარიდებელი და საჩუქარი სტუმარი მყავს. აბა, დატრიალდი შენებურად!

ვერას კი ტუჩი ყურთან მიუტანა, ჩასჩურჩულა:

— ხმა, კრინტი არავის! გაიგე?

— მესმის, — უბახუბა ვერამ და ცალი თვალთ კუქრუტანაში შეიხედა.



შუალამე გადავიდა. გარეთ ღმუის ქარი, წვიმა აწყდებდა ფანჯარას. ისმის გრუ ქუხილი და ზღვის ღრიალი.

ბუხრის წინ გაშლილ სუფრას უსხდნენ სამნი: სტუმარი, სილიბისტრო და პორფილე. პორფილე აკვირდება მეფესთან მებრძოლ კაცს და უკვირს, რაში სჭირდება ამ კაცს გაეგო ხარშოს ფასი ელენის დუქანში, რამდენი საათი სძინავს როტშილდის მუშას, დადიან თუ არა მუშები აბანოში, თეატრში, ბაღებში? პორფილეს ბრძოლა ისე წარმოედგინა, როგორც მამამისს უამბნია გურიის აჯანყების ამბავი. თოფი, ხარბახანი, ჯარი, ბუკი და ნაღარა. თვალს ვერ ამორებს სტუმარს და ყურს უგდებს ძმისა და სტუმრის საუბარს.

— დამიხსიათეთ ბათომელი პოლიციელები, — სთხოვა სტუმარმა ბოლოს.

— პოლიციეისტერი ლოვენი არც ღვინოა და არც წყალი. უფრო ენერგიული კაცია მისი თანაუემწე ჩიქოვანი, დარდიმანდი, პოლკოვნიკი, უყვარს კლუბში სიარული. დიდი მეგობარია როტშილდის ქარხნის დირექტორის ვაინშტეინისა. ბოჭაული ჩიხკვაძე დიდი მექრთამე ვინმეა. ჩვეულებად აქვს ყოველ კვირას ჩამოიაროს მუშათა უბნები. ბარცხანაში ჩვენ ხშირად ვმართავთ ცეკვა-თამაშს. მოეა ხოლმე, დადგება თავისი მსლებლებით და გვიყურებს. ურიადნიკი, ლევან გურიელი, ოო, ეს დიდი ძალია. ესე გურიელის შვილი. სრულიად არა აქვს თავმოყვარეობა, თორემ გურიელი ურიადნიკად დადგებოდა? სძულს მუშები. მე მგონი, საერთოდ უნდა სძულდეს ადამიანი... არსენიშვილი ბოჭაული, საკვირაო სკოლაში უყვარს სიარული.

— ხა... ხა... ხა... — გაიცინა სტუმარმა.

— არიან ეანდარმების ოფიცრები შაბელსკი და ჯაყელი. ორივე ფუქსაეტი, მოქეიფე, მოარშიყე, კარტის მოთამაშე. სასტიკი. განსაკუთრებით შეგვაწუხა ამ ორმა: გურიელმა და ჩიხკვაძემ.

— მუშებში ვინაა ისეთი, გავლენა რომ აქვთ?

სილიბისტრომ ჩამოუთვალა და დაუხასიათა.

— მანვენე ყველანი, მხოლოდ ერთად კი არა, ცალცალკე. შემახვედრე ივანე და ისიც, სამსონა. პო, ახლა ეგ მითხარი: როგორი ხალხია მუშის ცოლები?

სილიბისტროს გაუკვირდა, მაგრამ დაუხასიათა ვისაც იცნობდა.

— მაშ დესპინე შეფათავა გამომიძახე. ახლა კი დავიძინოთ, ამბანაგებო!



შმაგის დროს სილიბისტრომ ღიმილით ჰკითხა შმაგის ოდის საქმე როგორ გაქვსო, რამდენი შეაგროვეო.

— ეხ, ბატონო, მარტო ერთი ბოკონის ფული თუ მაქვს.

— ერთი სიტყვით მეგრელისა და ნალის ამბავია. ხომ იცი, მეგრელმა ცხენის ნალი იპოვა და სთქვა: ახლა კარგადაა ჩემი საქმე, მარტო ცხენი, სამი ნალი და უნაგირი მაკლიაო.

ორივემ გადინახარა. შმაგიმ დაუმატა:

— ის იმედიანი კაცი ყოფილა. მე ამასაც ვერ ვიტყვი.

— იმედი ყოველთვის საქიროა, ჩემო შმაგი. მართალია, ასეთ პირობებში ოდის კი არა, ხანჯალს ვერ შეიძენს კაცი... მაინც იმედი დიდი საქმეა.

— იმედიანი შიშშილიც კარგიაო, ბატონო, მაგრამ ჩვენს პირობებში... — შმაგიმ ხელი ჩააქნია — ეხ ვინაა, გამკითხავი.

— რომ გამოჩნდეს ისეთი კაცი, რომელიც გეტყვის: გამომყე და ამ უკუღმართ ცხოვრებას წაღმა წაფიყვანო?

— აჰ, ასეთი კაცი სადაა, ბატონო! ზღაპარში კი გამოიგონია.

— შე კაი კაცი, სიტყვაზე ვამბობ, რომ გამოჩნდეს მეთქი...

— რომ გამოჩნდეს, იმისათვის თავს გავსწირავ.

— მაშ, ჩემო შმაგი, ერთი საქმე უნდა გაგანდო. შენ იმიტომ აგირჩიე, რომ გენდობი, არ მიღალატებ!

— თქვენ გიღალატოთ? — შმაგი აენთო — ის დღე არ გამოთენდეს! თქვენი გულისათვის კისრამლე წყალში ჩავდგები.

— არა, შმაგი, ამ შემთხვევაში ჩემი პატივისცემა არაა მოსატანი. კაცია ისეთი! — თუმცა მარტონი იყვენ, სილიბისტრომ ხმას დაუწია! — მუშათა საქმისათვის თავდადებულია და სურს ჩვენს აე-კარგზე გველაპარაკოს, დაგვრაზმოს და გვაბრძოლოს.

ნაწიემარი ცა ნახევრად გადაწმენდილიყო. ზენა ქარმა ღრუბლები გარეკა და დედამიწას მზის სხივები ეფინებოდა. შმაგის მოეჩვენა, თითქოს მზეს სიბოლო მოემატა და დღეს სინათლე. ხალისით იკითხა:

— გვაბრძოლოს? ვისთან?

სილიბისტრომ უღუაში აიგრიხა, კუნთებიანი წელი აიწურა, თვალში ჩააჩერდა შმაგის და დაბალი ხმით, მაგრამ საოცარი სიძლიერით უთხრა:

— მეფესთან!

შმაგის დაეცხლა. ზენაქარი, ცა, მზე და ქარხნის მილი თითქოს ერთმანეთში აირია.

— ბატონო... კარგად ვერ გავიგონე!

სილიბისტრომ გაეძეორა.

— ზერე სადაა ის კაცი? — მეტი ვერაფერი მოისაზრა შმაგიმ.

— შმაგი, ჩვენს საუბარს ყურს უგდებდა ზევით ცა და დაბლა დედამი-



წა. — უთხრა სილიბისტრომ — ეს ისეთი საქმეა შიგ ცალი ფენით ღვთაობა არ შეიძლება... ვინც იმ კაცთან მივა მთელი სულით და გულით, მთელი ძალღონით, უკან მოუხედავად უნდა მივიდეს.. ან ასევე, არც ვაძინებო არც კი გვილაპარაკებია მე და შენ. დაიფიქვე ეს საუბარობა... სწავლა სწავიროს ჩემი პატივისცემა იქონაო და დაიფიქვე. გაიგე?

შმაგის ცრემლი მოადგა თვალზე.

— ბატონო სილიბისტრო! სადაც თქვენ იქ მეც, თუ მიკადრებთ. ხანჯლის წვერზე რომ ამბავს როგორ გილალატებთ?

სილიბისტრომ აქეთ-იქით გაიხედა. თუმცა ყურს არაეინ უგდებდა, ისევ ჩერჩულით უთხრა:

— მაშ, ამაღამ, ჩემსას. გიცდი!..

...გულის ფანქვალით ელოდა შმაგი დაღამებას. ახარებდა, რომ სილიბისტრო გაენდო მას. თან უკვირდა, განა შეიძლება ისეთი კაცი აღმოჩნდეს მეფეს რომ შეებრძოლება? რა კაცი იქნება ასეთი კაცი? ქარხანაში დღემარად ცემატყუებას ვერ შეებრძოლებიან მუშები. აქ კი, პაი, პაი, მეფეს ებრძვის ის კაცი...

შიღის შმაგი ქუჩაში და ათას ფაქრში შეცურდა. როგორი იქნება ის კაცი? სჩანს, დიდი ვინმე უნდა იყოს, უშიშარი, გამბედავი, რომ მეფესთან ბრძოლა გაბედა... მაგრამ ის მეფეც როგორია?

შმაგის წარმოდგა მეფე. აი, ისეთი, როგორც ენახა სურათებში. მოინდომა, მაგრამ რეალურად მინც ვერ წარმოიდგინა. ეს კი წარმოიდგინა: ჯარი, პოლიცია, ოფიცრები, ზარბაზნები. ეს ყველაფერი მას ბათომში ენახა პარადზე. თვითონ მეფე, ალბათ, ძალიან შორს უნდა ცხოვრობდეს, შორს, ზუგდიდს იქით...

პო, მუშა-კაცი რას გახდება მეფესთან ან ჩიხკაძესთან? თუმცა იმ წიგნებში კი ეწერა, ივანეს რომ მოაქვს: საფრანგეთში მეფეს თავი მოსკრესო, ინგლისშიაც წავლიჯესო. მაგრამ, ალბათ, საფრანგეთში თუ ინგლისში სულ სხვანაირი ხალხი ცხოვრობს. ჩვენში კი ასეთი ამბები შეუძლებელია. საკვირაო სკოლაში ამბობენ: — ამას ჩვენი შეიღის შეიღები თუ მოესწრებიანო...

— თო ჯიმა! რით შემიძლიან დავებმარო? ყუავს არ ქონდა ბუს გაპქონდაო ისე არ გამოვიდეს... მაგრამ რადგან სილიბისტრო ამბობს დასაჯერებელია... ენახოთ... ღმერთმა ჰქნას და ეგებ ეშველოს ადამიანს...

— აი სილიბისტროს სახლიც. შმაგი შესდგა. გულმა ცემას უხშირა. იგრძნო, რომ ოფლი დაასხა. ხომ არ დაეფვიანე? ვახ, სირცხვილო!

სილიბისტრო ჭიშკარზე დახედა.

— შმაგი, დადექი აქ და თვალყური ადევნე ამ მხარეს. თუ პოლიცია გამოჩნდა ორჯერ დაუსტეინე.

— კი ბატონო!

— დიდ საქმეს განდობთ, ამხანაგო შმაგი! ათას კაცში შენ შეგარჩიეთ! სირცხვილი არ მაჭამო!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო!

— ამხანაგო თქვა, — გაუღიმა სილიბისტრომ, — ასე გეასწავლის მასწავლებელი.

— ვინ მასწავლებელი?

— აი ის, ვინც მეფეს ებრძვის. და ვისაც შენ დარაჯობ ახლა. ჩვენ ვვაქვს არალეგალური კრება, შენ იცავ ამ კრებას.

— როგორი კრებაო?

— არალეგალური, ე. ი. ფარული. თუ პოლიციამ დაგვიჭირა ციმბირი აქეთ დაგვრჩება. მასწავლებელს კი უარესიც მოეღოს. ზაქარიაძე მათემატიკაში მუშების ხელმძღვანელია.

— თო ჯიმა! მერე მე მომანდეთ ასეთი დიდი საქმე? მე დამდეთ პატივი? თუ პოლიცია კრებაზე მოვიდა იცოდეთ, შმაგი თოდუა ცოცხალი არაა!..



ნათელი მთვარე უხვად ანათებს.

გაიანემ ორ-სამჯერ შემოვლო ეზო. ქუჩაშიაც კი გაიხედა. შემდეგ შეთქმულის სახით ჭიშკართან გაჩერებულ მირიანს უთხრა:

— ჯერ არ სჩანან. როცა გამოჩნდება ნიშანი მოგვეცი.

მირიანმა თავი დაუქნია, თითო ტურზე მიიღო. გაიანე მოტრიალდა. კიბეზე ამოვიდა და შმაგის უთხრა:

— შენ ყურის გდებაც შეგიძლია და ყარაულობაც... ოღონდ არ გაგიტაცოს ყურის გდებამ.

შმაგიმ თავი დაუქნია. დაუდასტურა.

— ჯერ არ სჩანან, — უთხრა გაიანემ შეკრებილთ.

— ჩვენ აღრე შევიკრიბებით, — სთქვა თეოფილემ — მან გუშინ გაზეთი მომცა. ყური დაუგდეთ რა სწერია.

დაიწყო:

— „ბრძოლა“ № 1. მარტო სათაური რად ღირს! — ენაცვალე შმაგის მომგონს! „პერიოდული გამოცემა რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატიული დასისა. სექტემბერი 1901 წელი“. ჰო, ამხანაგებო! თუ რამე მოხდა, მასპინძელი ავადმყოფია და სანახავად მოველით.

ყველას გაეღიმა. შმაგის ცალი თვალი და ყური ჭისკრისაკენ ჰქონდა, ცალი ოთახისაკენ. ყური დაუგდო. თეოფილე კითხულობდა:

— „...ჩვენ დიდ შეცდომათ ჩავთვლიდით, თუ რომელიმე მუშა ლეგალურ გაზეთს, რა პირობითაც უნდა იყოს იგი გარემოცული, რა მიმართულებასაც უნდა ადგეს იგი, ჩასთვლის თავის, მუშის ინტერესების გამოხატულებად. მუშებზე „მზრუნველ“ მთავრობას მშვენიერად აქვს მოწყობილი საქმე ლეგალურ გაზეთებთან. მთელი ზროვა ჩინოვნიკებისა ცენზორებად წოდებულნი მიჩენილი ყავს მათ და ისინი საგანგებოდ ადევნებენ თვალს წითელ მელანს და მაკრატელს, თუ სადმე, თუნდა ჰუჭურუტანიდან, გამოსჭვიოდეს ეს სიმართლის და ჭეშმარიტების სხივი“.

შმაგიმ ისევ გაიარ-გამოიარა აივანზე. ისევ გახედა ეზოს, ჭიშკართან იდგა მირიანი და გაჰყურებდა ქუჩას. შმაგიმ ისევ დააყურა კითხვას.

— „ქართულმა გაზეთმა უნდა ითამაშოს საერთო პარტიული და მათანე რაიონული, ადგილობრივი ორგანოების როლი ერთსა და იმავე დროს. რადგან მომეტებულ ნაწილს ქართველ მუშა მკითხველებისას არ შეუძლია თავისუფლად ისარგებლოს რუსული გაზეთით, ქართული გაზეთის ხელმძღვანელებს არა აქვთ ნება აღუხსნელი დატოვონ ყველა ის კითხვები, რასაც ეხება და უნდა შეეხოს რუსეთის პარტიის საერთო გაზეთი... ქართული გაზეთი უნდა იყოს შუამავალი, შემაერთებელი ქართველ და რუს მებრძოლ მუშებისა“...

— აი, ახლა გავიგე მუშური გაზეთის დანიშნულება — თქვა მიქელმა — ეს გაზეთი მართლა მუშურად ლაპარაკობს.

— მუშებს თვისი გაზეთი უნდა ჰქონდესო, ე. ი. არალეგალური გაზეთი. ეს კარგი აზრია, — მოიწონა დესპინემ.

— თურმე მზეზე რომაა იმ გაზეთს არ უნდა ენდო — გაიციანა მიქელმა, — ეს კი არ ვიცოდი.

— რაა ის კითხვები, რასაც უნდა შევეხოთ? — იკითხა ნოემ და ცოლს გადახედა.

გაიანე ჰკვიანო, უშიშარი და შეუპოვარი ქალი იყო. ნოე გრძნობდა ცოლის უპირატესობას და ეძებდა შემთხვევას ინიციატივის გამოჩენისათვის.

— ამ კითხვებს თვითონ მასწავლებელი განგვიმარტავს დღეს, — უბასუხა თეოფილემ.

ჰიშკართან მირიანმა ასანთს გაჰკრა (საშიშროების დათქმული ნიშანი). შმაგიმ ფანჯარაზე მიუკაეუნა სამჯერ ზედიზედ და კიდევ ერთხელ ცოტახნის შემდეგ (ესეც ნიშანი).

თეოფილემ გაზეთი დესპინეს გაუწოდა. დესპინემ დაკეცა და უბეში ჩაიღო.

ნოე გაშლილ ლოგინში ჩაწვა, (ის ისედაც ნახევრად იწვა. ეხლა ახალუხიც გაიხადა). კენესა დაიწყო. დესპინემ ცივი ტილო დაადო შუბლზე. მერე კედლიდან ჩონგური ჩამოიღო და ააწკრიალა.

ბანი მისცეს და შეუხმატკბილეს:

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,

ვერ ვნახე დაკარგულიყო,

გულამოსკენილი ვტიროდი

სადა ხარ, ჩემო სულიკო!“

ეტლმა ნელა ჩაიარა. ეტლში ბოქაული ჩხიკვაძე იჯდა.

— ოო გაწყდა თქვენი სინსილა! — მიაწყველა გაიანემ. — ამ შუა ღამეს რომ დაგრიხინობს ვითომ საჭმეს აკეთებს... საროსკიპოში წავიდა. ახლა დილამდე მანდ იქნება...

გაიანე თავად დადგა სადარაჯოზე. ქურჩის სიღრმეს აკვირდებდა.

აი გამოჩნდნენ ორნი. ერთი სილიბისტროა, მეორე ვინაა? ხომ მასწავლებელი უნდა მოსულიყო? მასწავლებელი წუხელის ნახა გაიანემ. ქმარმა წაიყვანა კრებაზე. მასწავლებელს მოეწონა გაიანეს გაბედული სიტყვაბასუხი, გაესაუბრა და გადაჭრით უთხრა ნოეს:

— შენი ცოლი სანდო ამხანაგი იქნება. კარგი რევოლუციონერი დადგება. თვითონ გაიანეს კი ასე უთხრა:

— თქვენ, ამხანაგო გაიანე, დესპინეს დაუკავშირდით! — ასეთი უბრალოება, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ, ძალიან მოეწონა გაიანეს.

— ეგებ გვეშველოს! ეგებ გამოკეთდეს ჩვენი ცხოვრება, რეცხვისაგან ვანი გამძვრა თითებზე, — ფიქრობდა გაიანე და მიმინოს თვალებს არ აშორებდა გზაზე მომავალთ. იცნო სილიბისტრო. ხოლო მეორე ვერ გამოიცნო.

— ალბათ დღეს სხვაგანაა წასული და თავიზამგივრათ სხვა გამოგზავნა, — გადასწყვიტა გაიანემ, როცა ორივე მოახლოვდა.



— გამარჯობა, გაიანე! გამარჯობა, მირიან!

— ღმერთო ჩემო! ეს ხომ ისაა? როგორ გამოცვლილა. წუხელის რუსულად ეცვა, დღეს ჩოხა-ახალუბი ჩაუცვამს. წუხელის სხვანაირად ამხატვრად, დღეს სხვანაირად. რა ფერისცვალება სკოდნია ამ კაცს? — გაუცვირდნ გაიანეს...

— როგორ ხარ, შმაგი? — მოისმა სილიბისტროს მხიარული ხმა.

— ესაა შმაგი? გამარჯობა შენი! — და მასწავლებელმა ხელი ჩამოართვა შმაგის.

— თქვენი გამარჯვებისა, ბატონო! — მაგრამ როცა იცნო, გაიხსენა, მეორე, თბილი და იმედიანი ახალი სიტყვა და უთხრა, — ამხანაგო!

მასწავლებელს ღიმილა გადაჰკრა.

— სოსო, ხომ არ დაიღალე? — მზრუნველობით ჰკითხა სილიბისტრომ — მესამე წრეში გიხდება, შე კაცო, მეცადინეობა.

— შენ მუშები მოიყვანე და მე თუნდა ათ წრეში ვიმეცადინებ, — გაიცინა მასწავლებელმა.

...ნოე ჩხაიძე გაოგნებულვით უსმენდა მასწავლებელს. თითქოს უცნაურ ოპერაციას უკეთებდა მასწავლებელი. გაახსენდა ქალაქის საავადმყოფოში რომ ხელის საოპერაციოდ მივიდა და საოცარი რამ ნახა ფანჯარაში: ექიმს თავის ქალა გაეჭრა და ნატეხს იღებდა. თითქოს მასწავლებელმაც გახსნა მისი თავის ქალა და ძველი აზრების ნატეხებს იღებს. თანდათანობით, ნელინელ იღებს მასწავლებელი ნოეს თავიდან ძველ აზრებს, ძველ შეხედულებებს და ალაგებს შიგ ახალს... თურმე, ნუ იტყვი, სამართალი როდია ერთმა იმცონაროს და ათასმა, ათი ათასმა იმუშაოს. ტყუილია. ეს ზღაპარი მთავრობისა და ხაზინების, ხუცებისა და მემამულეების მოჩმახულია. აბრიყვებენ და აბრუებენ მუშა-ხალხს. მუშა ყოველგვარ უფლებას მოკლებულია. მას ადამიანად არ სთვლიან. ყველას შეუძლია მისი დაჩაგვრა. სანამ უნდა ვიყოთ უენო პირუტყვივით, ილიას ლაბასავით? სანამ?

ვთქვათ ის, რაც თვითეულ ჩვენთაგანს გულში აქვს და ენით ვერ უთქვამს. ვთქვათ ერთად, ერთხმად და შით ძმური ჰირო და ლხინი ძმურად გაფიყოთ.

ვთქვათ, რომ ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვყავს დედ-მამა, ოჯახი, რომელნიც შევლასა და რჩენას საჭიროებენ.

ვთქვათ, რომ ჩვენც გვესმის ცხოვრების მოთხოვნილება, ჩვენც გვინდა რიგიანი სადგომი, წმინდათ ჩაცმა, დახურვა, ჰამა-სმა, შეილების აღზრდა სასწავლებელში, წიგნები, თეატრი.

ვთქვათ, რომ ყველა ამის წყაროთ გვაქვს მხოლოდ ერთად-ერთი ჩვენი ძალღონე, ჩვენი შრომა. ჩვენ ვყიდით ჩვენს ძალას, ვამდიდრებთ სხვებს და ჩვენ კი ნასუფრალი გვრჩება.

ვთქვათ, რომ ჩვენსა და ჩვენს ხაზინებს შორის ინტერესთა ბრძოლაა, კლასთა ბრძოლა...

უღდებს ყურს ნოე, მაშ, ასე ყოფილა? რატომ აქამდე არ დაუფიქრდა ამას? არა, როგორ არ დაუფიქრდა, მაგრამ ასე დალაგებით და ერთად იკინძული არავის უჩვენებია მისთვის მისი საკუთარი ცხოვრება. თითქოს თავის საკუთარ ცხოვრებას შორიდან, გარედან შეხედა, გაუცვირდა ეს რა ყოფილია?..

არა, კაცმა რომ შართალი თქვას, ნოეც კი უფიქრდებოდა ბოლო დროს მოწინავე მუშების სიტყვებს. მაგრამ ეს სიტყვები მძივის მარცვლებივით გაბნეული იყო სადღაც ცნობიერების კუთხეში. მოვიდა ეს საკვირველი

კაცი, მასწავლებელს რომ ეძახიან, და ის გაბნეული მარცვლებზე ერთად აკინძა, აჩვენა და უთხრა: აბა, შეხედე, კარგად შეხედეო — მ, რა ყრფილა, როცა ყველაფერს ერთად დაინახავ თავმოყრილსა და დაწყობილს... ფიქრობდა ნოე — მართლაც, კაცმა რომ იფიქროს, აი ასე უბრალოდ რომ იფიქროს, ტყავს გვაძრობენ ხაზეინები. წუბრებლასავეთ გეწოვენ სისხლს. რატომ აქამდე არ ვიფიქრე ასე? ჩემი მოგლეჯილი თითების ამბავიც ცოდნია? ჩემი განდევნის ამბავიც, ცემის ამბავიც... რაც უფრო მეტს მოითმენ მით უფრო მეტს დაგვჩაგრავენო, ამბობს მასწავლებელი. რაც უფრო მონურათ მოღუნავთ კისერს, უკეთ დაგაჯდებიანო. უნდა შევივნოთ, რომ აღამიანები ვართო, რომ პირუტყვიც კი აბლაღდება ჭრილობის მიყენებისას. და მით უმეტეს, თუ იმ ჭრილობაზე ჯოხი დაჰკრესო...

ნოემ სასწორზე დასდო ძველი და ახალი, ის ახალი, რაც ახლა გაიგონა... და გადაწონა ახალმა. ნოემ ამოისუნთქა, თავი ასწია, თითქოს ახალი თავი გამოეხა.

მიქელი დინჯად უყურებდა მასწავლებელს.

მასწავლებელმა კრებას არაკი მოაგონა:

— კაცი წყალს მიჰქონდა. მიშველეთ, მიშველეთ, იძახდა. ხელი გაიქნიე და გეშველებაო, დაუძახეს ნაპირიდან.

მიქელს გაეცინა. ეს ზღაპარი დედის კალთაში გაეგონა, მასწავლებელიც თითქოს მოვიდა მიქელთან და უთხრა.

— ხომ ხედავ, როგორია შენი ცხოვრება? წყალს მიაქვს შენი თავი. იხრჩობი. გააქნიე ხელი და გახვალ ნაპირას.

უგდებს ყურს მიქელი და, პოი საკვირველებაც, თითქოს მიქელის გულში იხედება მასწავლებელი. მიქელს გულზე მოეშვა. გაჰკრა იმედს ტალკვესმა.

თუფილე ერთ ალაგს ვერ დაჯდა. ადგა, კარის წყრთილს მიეყრდნო, მასწავლებელს მიაჩერდა და ხელი ხანჯალზე დაიდო.

პაი, პაი რა შესძლებია კაცს თუ იმარჯვა? კაცი თუ ხარ უნდა ღირდეს შენი ცხოვრება. ქუდი თუ გზურავს ვაჟკაციც უნდა იყო. პაი ხომ არა ხარ ფეხი დაგაბიჯონ და გავსრისონ. რა არის საჭირო აღამიანური უფლების მოსაპოვებლად? ბრძოლა. ქვეყანა ბრძოლის ველია. შუაში ბარიკადებია. იქითა მხარეს დგანან ბურჟუაზია, სამღვდლოება, მემამულეები, შეფის მთავრობა. აქეთა მხარეს მუშათა კლასი და გლეხობა. მათ შორის შუამავალი მხოლოდ ბრძოლაა. პოლიტიკური ბრძოლა.

— ეს ბრძოლა უკვე დაიწყო პეტერბურგში. — განაგრძობს მასწავლებელი. — ამ წლის 1 მაისს ობუხოვის ქარხანამ გაფიცვა გამოაცხადა. ატყდა ბრძოლა მუშებსა და ჯარს შორის. შეიარაღებულ ჯარს მუშებმა ქვით უპასუხეს.

მუშები იბრძოდნენ ვაფთრებით. 800 კაცი დააპატიმრეს და ჩაჰყარეს ჯურღმულებში. როგორ ფიქრობთ, პეტერბურგელი მუშები მარტო თავისთვის იბრძოდნენ? არა ამხანაგებო, ის შორეული მუშები თქვენი ახლობელი მეგობრებია, თქვენი ძმები, სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი... მუშათა კლასი რომ გაერთიანებული იყოს და საკვირაო სკოლის ლეგალიზაცია, ე. ი. მთავრობის მიერ ნებადართული ლექციებით არ იყოს გართული, იგრძნობდით, რომ იქ, პეტერბურგში გასროლილი ტყვია აქ მოხვდა გულში ბათომის მუშებს, და გეტკინებოდათ... თქვენ იგრძენით ეს ტკივილი? თუ ძალის ცხოვრებაზე ფიქრობდით?

ოსტატურად გასროლილი სიტყვა ნიშანში მოხვდა. ყველამ ერთმანეთს გადახედა. უჩუქარმა და წყნარმა ნოემაც კი იგრძნო რაღაც უხერხულემა. მას ვერ წარმოედგინა სად იყო პეტერბურგი, მაგრამ მიხვდა, რომ პეტერბურგში დაღვრილი სისხლი მისი მოკლეჯილი თითებისათვის სწრაფად შეჭრილა.

თეოფილემ ხელები ასწია და შეჰლაღადა:

— შენ ავაშენა ღმერთმა! სად იყავი აქამდე?...

სილიბისტრომ სიტყვა აიღო:

— ამხანაგებო, უნდა ავმოძრავდეთ! დადგა დრო... თვითონ ჩვენმა მასწავლებელმა თბილისში ამ წლის 22 აპრილს მუშები გამოიყვანა ქუჩაში და შეაბრძოლა მთავრობას. ასწიეს წითელი დროშა და დაიძახეს „ძირს თვითმპყრობელობაო“!

ისედაც ყველანი მასწავლებელს უყურებდნენ, მაგრამ ახლა იგი მათ თვალში ერთი ორად გაიზარდა. სილიბისტრო კი განაგრძობდა:

— თბილისის ქუჩებში პირველად მასწავლებელმა ააფრიალა წითელი დროშა. ამ ღირსშესანიშნავ დღეს თბილისის მუშებმა პირველად აღიმადღეს ხმა მეფის ჯალათების წინააღმდეგ და ეს მოხდა არა ფარულად, არამედ აშკარად, შივ შუა ქალაქში. მათ იღვესასწაულეს პირველი მაისი...

— როგორ? პირველი მაისი 22 აპრილს? — ვერ მოითმინა თეოფილემ.

— სწორედ ასე, — გაიცინა სილიბისტრომ — მთავრობამ გაიგო, რომ 1-ლ მაისის დღესასწაულისათვის ემზადებოდნენ. მიიღო ზომები: გააძლიერა პოლიცია, ჯაშუშების ქსელი, მეთვალყურეობა. მაგრამ პოლიციას ეს ამბავი გაუგო მასწავლებელმა. აიღო და დაასწრო. 1-ლი მაისი 22 აპრილს იღვესასწაულა.

— ხა... ხა... ხა... — გულიანად გაიცინა კრებამ.

მასწავლებელმა განწყობილება გავიშო და თქვა:

— ლაპარაკი ლაპარაკად რომ არ დარჩეს შევადგინოთ ახალი წრე, ამოვიჩიოთ წრისთავი, ე. ი. ათის თავი. დაენიშნოთ სამეცადინო დღე. ავიჩიოთ ხაზინადარი. ეს ხაზინადარი მთელი ქარხნის უნდა იყოს. მას ექნება საწვერო ფულები.

— ხაზინადარად ვასახელებ ნოე ჩხაიძეს, — თქვა სილიბისტრომ.

— ჩინებულია, — დაუდასტურა კრებამ.

ნოე წამოდგა. უცნაურ, ჯერ უნახავ სიმაღლეზე იგრძნო თავისი თავი. ძველი ცხოვრების ოცდაათი წელი თითქოს დარცხვენილად გადასდო კუთხეში, და ახალმა მზესავით გაუშუქა გული. მხოლოდ ესღა მოახერხა:

— შევსძლებ, მასწავლებლო?

— საჭმე გასწავლის, — უბასუხა მასწავლებელმა.

— ათისთავად ვასახელებ თეოფილეს, — თქვა დესპინემ.

თეოფილემ ამაყად ასწია ლამაზი თავი და სთქვა:

— ჩემი წრის მეცადინეობას ვნიშნავ ზეგ. გიცდით, მასწავლებლო!

შმაგი ისევ ისევ იდგა ფანჯარასთან. ცალი ყური, ცალი თვალი და მთელი გული კრებისაკენ ჰქონდა. ხოლო ცალი ყური და ცალი თვალი კიშკრისაკენ.

კიშკართან იდგა მირიანი და ლამის ხინუმეს სინჯავდა.



ო, ეს სამხრეთი, ო, თეთრი ნიცა,  
 ო, მათი ბრწყინვა როგორ მალონებს.  
 სიციცხლეს, როგორც დაპრილ ფრინველსა  
 სურს აღგეს, მაგრამ არ ჰყოფნის ღონე.  
 არ ძალუძს ფრენა, არ უფეთქს გული,  
 ჩამომტვრეული ჰკიდია ფრთები,  
 და იგი სულმთლად მიწას მიკრული  
 ცახცახებს ტანჯვით და უძლურებით.



მახსოვს ოქროთი დრო მოოკველი,  
 მახსოვს გულისთვის ნეტარი მხარე,  
 ბინდი წვებოდა, ვიყავით წყველი,  
 ძირს კი ღუნაი ყეფდა მწუხარე.

და მაღალ სერზე, სადაც დარბაზის  
 მოსჩანდა შორით ნანგრევთა ჩრდილი,  
 იდექ ფერია, ნორჩი და ნაზი  
 ხავსიან ქვაზე მხარმიყრდნობილი.

ბავშვეური ფეხით როს ეხებოდ  
 შენ დროგადასულ ნამსხვრევთა გროვას,  
 გვიანი ჩასვლით ეთხოვებოდა  
 მზე სერებს, კოშკსა და შენსა თრთოლვას.

და სიო წყნარი ოდნაევი ქროლვით  
 მიმოარბევდა შენს ნათელ სამოსს,  
 ეელური ვაშლის ყვაველთა თოვლი  
 ეფინებოდა შენს მხრებს საამოს.



და უდარდელი შორს გასცქეროდი,  
 ცის კიდე ფერფლად ერთოდა სხივებში.  
 დღე კი იწოდა, და კვლავ მღეროდა  
 მღინარე ვიწრო, ბნელ ნაპირებში.



უზრუნველობით, ლხენით აღესილი  
 შენ აცილებდი იმ დღეს კაშკაშით,  
 და სწრაფმავალი სიცოცხლის ჩრდილი  
 ტკბილად დაჰქროდა შენს ირგვლივ მაშინ.

### გაზაფხულის კუხილი

მიყვარს ქუხილი მაისის ქარში,  
 როს გაზაფხულის პირველი ქება  
 თითქოს ცელქობით, თითქოს თამაშით  
 ცაში გასკდება და ლაქვარდს შეხავს.

სტეჰენ ღრუბლებში ნორჩი გრგვინვანი...  
 დაუშვა წვიმამ და მტვერს მიაფრენს.  
 ნაზ მარჯალიტთა იფრქვევა ცვარნი,  
 მზე აოქროებს დაკიდულ ძაფებს.

ჩამორბის მთიდან ნაკადი მარდი,  
 არ ცხრება ტყეში ფრინველთ ხმაური.  
 და ტყის გუგუნე, წყალთა ნავარდი  
 ქუხილს აძლევენ ბანს სიხარულით.

შენ იტყვი: როცა კვებავდა გება  
 ზევესის არწივს — თავქარიანი,  
 ციდან მგრგვინვარე თასი ვეება  
 მან გადმოასხა მიწას სიამით.

თარგმანი შალვა აუხაიჩისა

# რომეო და ჯულიეტა<sup>1</sup>

(ზუთმომკმედებიანი ტრაგედია)

მოკმედემა მესამე

სურათი I

ვერონა, სახალხო მოედანი.

(შემოდინ შერკუციო, ბენვოლიო, ფარეში და მსახურები.)

**ბენვოლიო**—გემუდარები, შერკუციო, წამო, წავიდეთ.

ცხელი დღე არის; კაპულეტნიც გარეთ დადიან და თუ მათ შეგხვდით, ეს იცოდე, ჩხუბს ვერ აცდებით, რადგან სიტხეში შმაგი სისხლი უფრო ჩქარა დღღს.

**შერკუციო**—შენ იმ ჭაბუკსა ჰგეეხარ, რომელიც სამიკიტნოში შესვლისას ხმალს მაგიდაზე დაანაოცხებს და იტყვის: „ღმერთმა ქნას, შენი თავი აღარ დამჰირებოდესო“. მაგრამ როგორც კი მეორე ჭიქა შეუჯდება თავში, ისევე წაავლებს ხელს და მიკიტანს მივარდება, თუმცა სრულიად უსაბაბოდ.

**ბენვოლიო**—ნუ თუ მაგეთ ჭაბუკსა ვგეეარ?

**შერკუციო**—რალა თქმა უნდა. შენისთანა ჩხუბისთავი მეორე არაა იტალიაში. ცოტა რომ გაგაფიცონ მაშინვე იფეთქებ, ზოლო როგორც კი იფეთქებ, ფიცხლავ ეკვეთები.

**ბენვოლიო**—კიდევ რას იტყვი?

**შერკუციო**—კიდევ იმას, რომ შენისთანა ორი რომ იყვეს ქვეყნად, მალე არც ერთი არ დაგვრჩებოდით: ერთმანეთს დახოცავდით. შენა? შენ ამისთვისაც კი წაეჩხუბები<sup>1</sup> კაცს, მას რომ ერთი ღერით შენზე ნაკლები, ან ერთი ღერით შენზე მეტი წვერი ჰქონდეს. შენ კაცს კაკლის გატეხისთვისაც წაეჩხუბები და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კაკლისფერი თვალეები გაქვს. შენს გარდა, ამა ვისი თვალეები იპოვიან ამაში ჩხუბის მიზეზს? შენი თავი ჩხუბით ისევეა სავსე, როგორც კვერცხი გულცილით, თუნდა ამ ჩხუბისთვის ისევე გაგიტეზონ თავი, როგორც ლაყე კვერცხს გატეხენ. ერთხელ შენ იმისთვის წაეჩხუბე კაცს, რომ მან ქუჩაში დაახველა და ძალი გაგიღვიძა, რომელსაც მზეში ეძინა. განა შენ არ ეჩხუბე ერთ თერმს, რომელმაც ახალი ჯუბა აღდგომამდე ჩაიცვა? მეორეს კი იმისთვის, რომ ახალი ფეხსაცმელები ძველი თასმებით ჰქონდა შეკრული. ასეთი კაცი მე მიშლი ჩხუბს?!

<sup>1</sup>) იხ. „მნათობი“ № 11.

ბენვოლიო—მე რომ შენისთანა ჩხუბისთავი ვიყო, ყოველი გამწვანებული იყილდა ჩემს თავს და მისი მიღებისათვის საათის და მეოთხედის ლოდინიც არ დასჭირდებოდა.

მერკუციო—შენს თავს? აი თავი.

ბენვოლიო—თავს გეფიცები, კაპულეტები მოდიან აქეთკენ.

მერკუციო—ფეხებსა ვფიცავ, ჩემთვის ერთია.

(შემოდიან ტიბალტი და სხვები).

ტიბალტი—აქეთ მომყვებით, რაღაც უნდა ვუთხრა მე იმათ.

(მერკუციოს და ბენვოლიოს).

სალამი თქვენდა, ერთი სიტყვა ერთ თქვენთაგანთან.

მერკუციო—მერე და მხოლოდ ერთი სიტყვა? დააწყვილე, დარტყმაც მიუმატე.

ტიბალტი—მაგისტვისაც მზად გახლავარ, ოღონდ საბაბი მომეცით.

მერკუციო—რაღა ჩვენ მოგცეთ, თვითონ ვერ მონახავ?

ტიბალტი—მერკუციო, შენ რომეოს გუნდში ხარ?

მერკუციო—გუნდში? შენ იქნებ მეძუსიყვები გგონივართ. თუ ასეა, ტყბილ სიმღერას ვერ მოისმენ ჩვენგან. აი ჩემი ქამანი, ამით აგაცეკვებ. ღმერთმა დასწყევლოს გუნდი!

ბენვოლიო—მყუდრო ადგილი გამოვანახოთ და იქ განვსაჯოთ სადავო საქმე ან გავშორდეთ ერთმანეთს მალე, —

აქ ხალხი დადის და ჩვენ გვიტყვობს სუყველას თვალი.

მერკუციო—თვალი მისთვის გვაქვს, რომ ვუცქიროთ, — მათაც გვიცქირონ. ამ ადგილიდან ფეხს ვერაფერს მომაცვლევიანებს.

ტიბალტი—კარგი, დამშვიდდი, ჩემი ბიჭი მოდის აქეთკენ.

(შემოდის რომეო).

მერკუციო—ჩემივე ზელით დავიხრჩობ თავს, თუ კი შენ მართლა ბატონობ იმას. გაიწვიე სადმე მინდორში

და დაინახავ, მზად იქნება შენს სამსახურად.

ამ მნიშვნელობით ეძახი მას იქნება შენს ბიჭს.

ტიბალტი—(რომეოს) ჩემი შენდამი მძულვარება უკეთეს სახელს ვერ მოიგონებს — არამზადა ხარ შენ, რომეო.

რომეო—იგივე მიზეზი, რომლის გამოც უნდა მიყვარდე,

ახლა მბორკავს, რომ მაგგვარადვე მოგესალამო.

მე არამზადა არ ვარ, ტიბალტი. მშვიდობით იყავ!

როგორც ეტყობა, შენ რომეოს ვერ იცნობ კარგად.

ტიბალტი—ბალო, ნუ ფიქრობ დამაფიწყო შეურაცხყოფა, რაც მომაცყენე შენ მე ერთხელ. ხმალი იშვივლე!

რომეო—მაგრამ ახრადაც არ მომსვლია შეურაცხყოფა.

შენ ვერც კი შეესძლებ წარმოდგენას, როგორ მიყვარხარ,

ვიდრემდის მიზეზს გაიგებდე ამ სიყვარულის.

ახლა დამშვიდდი, საყვარელო ჩემო კაპულეტი,

რომელს სახელსაც, ვით ჩემს სახელს, ალერსით ვამბობ.

მერკუციო—ო, ეს წყეული, სამარცხენო დამორჩილება!

Alla stoccata-მ უნდა გვიხსნას სირცხვილისაგან.

თაგვიპარია ტიბალტ, ჩქარა ხმალი იშვიშლე.

(იძრობს ხმალს).



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ტიბალტ—ჩემგან რა გინდა?

მერკუციო—მხოლოდ ერთი შენი ცხრა სიცოცხლიდან, კატების დიდებულ მეფეზე, სხვა არაფერი. და ვნახოთ მერე, იქნებ დანარჩენი რვა ცუდად წაგართვათ. არ ინებებთ ყურით ამოსწოთ თქვენი ხმალი ქარქაშიდან? ჩქარა, თორემ ჩემი დაგასწრებ და ყურთან გაგიჭროლებს.

ტიბალტ—შადა ვარ სამსახურისთვის.

(იძრობს ხმალს).

რომეო—კეთილ მერკუციო, ჩააგე ხმალი!

მერკუციო—აბა, ბატონო, თქვენი passado.

(იბრძვიან).

რომეო—ხმალი იშვიშლე, ბენვოლიო, და გავაშველოთ.

უნდა გრცხვენოდეთ, ბატონებო, დამშვიდდით, კმარა!

ტიბალტ, განშორდი მერკუციო! პრინცმა აკრძალა

ქუჩებში ჩხუბი. მერკუციო, ტიბალტ, დამშვიდდით!

(ტიბალტი დასჭრის მერკუციოს და მხლებლებთან ერთად გაიქცევა).

მერკუციო—ო, დაეჭერი. ორივე გვარი ჭირმა გასწყვიტოს!

ვაი, გავთავდი, უვნებელად წავიდა იგი?

ბენვოლიო—რა მოგივიდა, დაჭრილი ხარ?

მერკუციო—უბრალოდ გაკაწრული ვარ, გაკაწრული, მაგრამ მაინც

კმარა. ჩემი ფარეში სადღა არის? აბა ხეპრევე, ჩქარა ექიმში!

(ფარეში გადის).

რომეო—გამაგრდი, მეგობარო, დიდი ჭრილობა არ იქნება.

მერკუციო—არა, არც ჭასავით ღრმაა, არც ტაძრის კარებივით ფართო.

მაგრამ მაინც კმარა, თავისას იზამს. ხეალ მიკითხე და განსვენებულს

მნახავ. დამამარილეს: საამქვეყნოდ აღარ ვარგვივარ. ჭირმა წაიღოს

ორივე გვარი. ღმერთმა დასწყევლოს, ვიღაც ლეკვმა, კატამ, ვირთხან

თუ თავმა სასიკვდილოთ არ დამქრა! ბაქია არამზადა, ავაზაკი არათ-

მეტიკული წესების დაცვით იბრძვის. შენ რაღა ეშმაკმა ჩაგაყენა

ჩვენს შორის? სწორედ შენი მკლავის ქვეშ გამოატარა ხმალი.

რომეო—მე იმას ვცდილობდი კარგად დამესრულებინა.

მერკუციო—მხარში შემდექ, ბენვოლიო, და მიმიყვანე

ვინმესთან ახლოს, თორემ ვატყობ, გრძნობასა ვკარგავ.

ჭირმა გასწყვიტოს ორივე გვარი! მაგათ მიზეზით

მატლის საჭმელად გადვიქეცი. თქვენი გვარები!

(ბენვოლიოს და მსახურებს გაყავთ).

რომეო—ჩემი ძვირფასი მეგობარი, პრინცის მოკეთე,

სასიკვდილოდა განიგმირა ჩემივე მიზეზით,

რათა დაეცვა შებღალული ღირსება ჩემი.

ტიბალტმა, ვინაც ცოტა ხნის წინ მოყვრად მიმაჩნდა,

მე შეურაცხყო. ჯულიეტა, შენმა მშვენიერმა

მოსდრიკა ჩემი ნებისყოფა რკინისებური

და მე საბრალო, ქალაჩუნად გადამაქცია.

(შემოდის ბენვოლიო).

ბენვოლიო—მოკვდა მამაცი მერკუციო, გესმის, რომეო?

იმის ამაყ სულს შეეზიზღა ცოდვილი მიწა  
და ნაჩქარევად გაეშურა ღრუბლებისაკენ.

რომეო—ეს ბედშავი დღე კიდევ მრავალ დღეს გააშაქტებს  
ამ დღით დაიწყო მწუხარება, სხვა დაამთავრებს.

(შემოდის ტიბალტი).

ბენვოლიო—ჰა, ცოფიანი ტიბალტი ისევ აქეთკენ მოდის.

რომეო—ეს ცოცხალია და ზეიმობს თვის გამარჯვებას,

მერკუციო კი მკვდარი გდია. შორს მოთმინებაე!

ჩემი არსება აწ ცეცხლთვალა სიშმაგემ მართოს.

ჰეი, ტიბალტო, ავაზაკი თვითონ შენა ხარი

თავს დაგვტრიალებს მერკუციოს ნათელი სული

და შენსას უცდის, რომ ორივე ერთად გაფრინდეს.

აბა, გამოდი, ან შენ, ან მე ანუ ორივე

თანამგზავრები უნდა გავხდეთ მერკუციოსი.

ტიბალტი—საბრალო ბალო, აქ შენ ჰყავდი იმას მეგობრად,

იქაც შენ გაჰყევ.

რომეო—ვინ გაჰყვება, ხმალმა გვიჩვენოს.

(იბრძვიან. ტიბალტი დაცემია).

ბენვოლიო—ჩქარა, რომეო, თავს უშველე, ხალხი ბოზობრობს.

ტიბალტი მოკვდა. რას გაშეშდი? თუ კი შეგიბურეს,

სიკვდილით დასჯა არ აცდებდა. მამ ჩქარა გასწი!

რომეო—ბედი დამცინის.

ბენვოლიო—წადი ჩქარა, რაღას უდგებარ?

(რომეო ვადის. შემოდიან მოქალაქენი და მცველები).

პირველი მცველი—რა გზით გაიტქა მერკუციოს მკვლელი ტიბალტი?

ბენვოლიო—აი აქა წევს.

პირე. მცველი—ადექ ჩქარა და გამომყევი,

პრინცის სახელით ვბრძანებ ამას, დამემორჩილე!

(შემოდიან პრინცი, მოხუცი მონტეგა, კაპულეტები, მათი ცოლები და სხვანი).

პრინცი—აბა, ვინ არის ამ სისხლისმღვრელ ჩხუბის მოთავე?

ბენვოლიო—მე შემიძლია მოგახსენოთ, ბატონო პრინცი

საბედისწერო ამბავი ამ ბედკრული ჩხუბის.

თქვენი მოკეთის მერკუციოს მკვლელი აქ გდია,

თვით განგმირული ახალგაზრდა რომეოს ხმლითა.

ქ-ნი კაპულეტი—ტიბალტი, ო, ჩემო საყვარელო, ჩემო ძმისწულო!

პრინცი, მისმინეთ. ოჰ, მეუღლე, — ოი, ძმისწულო!

მაგათ დაღვარეს ჩემი კარგი მოკეთის სისხლი.

ახლა კი, პრინცი, თუკი მართლა სამართალი გაქვს,

მონტეგის სისხლიც დაიღვაროს ჩვენის სანაცვლოდ.

პრინცი—სთქვი, ბენვოლიო, ეს სისხლის ღერა ვინ წამოიწყო?

ბენვოლიო—ტიბალტმა, ვინაც აწ მკვდარია რომეოს ხელით.

მას ტყბილი სიტყვით მიმართავდა რომეო, მშვიდად,



თბილისში  
ბიბლიოქონოსი

შეაგონებდა ის ქიშპობის ამოებას,  
თქვეენის რისხვითაც დაემუქრა და თუმცა ამას  
ნაზი ალერსით შესთხოვდა და მუხლის მოდრეკით,  
შმაგი ტიბალტის დაწყნარება მიინც ვერ შესძლო,  
დამწვიდებისთვის ერთი სიტყვაც არ მოისმინა  
და მერკუციოს ბასრი ხმალით ეკვეთა მარდაღ.  
ვაფიცებულნი მერკუციოც ჩაება ჩხუბში  
ომის საზარი გაცოფებით. ერთის მოქნევით  
ცივსა სიკვდილსა მასზედ მოსულს იგერიებდა,  
მეორეთი კი ტიბალტისკენ გზავნიდა უკან,  
ვინაც, თავის მხრივ, მოხდენილად იცდენდა დარტყმას.  
რომეო ყვირის: „მეგობრებო, კმარა, გაშველდით“.  
შუაში ჩადგა და ხელებით სიტყვაზე სწრაფით  
საბედისწერო მახეილები დააყრევინა.  
მაგრამ ტიბალტმა დაასწრო და იმის მკლავის ქვეშ  
განგმირა გმირი მერკუციო მუხდალი დარტყმით,  
თვით კი გაიქცა. მაგრამ შემდეგ, როცა მობრუნდა,  
შურისძიებით აგზნებული დახვდა რომეო.  
ელვაზე სწრაფი იყო მათი ხმლების ტრიალი,  
და ვერც მოვასწარ ჩავრეოდი გასაშველებლად,  
რომ მარდი ტიბალტ ძირს დავარდა გულგანგმირული,  
ხოლო რომეომ თავს უშველა. სიკვდილმა ჩამოქას,  
თუ ყველაფერი, რაც გითხარით, ტყუილი იყვის.

**ქ-ნი ე ა ჰ უ ლ ე ტ ი**—სიცრუეს ამბობს, ეს მონტეგის მოკეთე არის  
და მოკეთობის თანაგრძნობით ფარავს სიშართლეს.  
ოცნი იბრძოდნენ ამ შავბედით საზარელ ჩხუბში  
და ოცმა ერთად ერთი სიცოცხლის მოსპობა შესძლო.  
სამართალსა გთხოვ, უნდა მოგცე შენ სამართალი.  
რომეომ მოჰკლა, დე, აწ ისიც ნუღარ იცოცხლებს!

**პ რ ი ნ ც ი**—რომეომ მოჰკლა მერკუციოს მკვლელი ტიბალტი.  
ახლა მითხარით, ნათესავეს სისხლი ვინ მიზღოს?

**მ თ ნ ტ ე გ ი**—არა რომეომ, მეგობრობდა ის მერკუციოს.  
მისი ბრალდება იგივეა, რაიც ისედაც  
სამართალს უნდა დაედგინა—ტიბალტი მოჰკლა.

**პ რ ი ნ ც ი**—სწორედ მაგისტვის გაეძევებთ აქედან ახლავ.  
მეც ბევრი მეწნო თქვეენის მტრობით და მძულვარებით,  
თქვენს უგნურ ჩხუბში ჩემმა სისხლმაც ბევრი იდინა.  
ახლა კი ისეთ გადასახალს მოგცემთ სასჯელად,  
რომ სინანულით დაიტიროთ ჩემი ვარამი.  
იცოდეს ყველამ, არ შევისმენ თხოვნა-მუღარას  
და ვერც ცრემლებით დამავიწყებთ ჩემს ღიდ დანაკარგს.  
რომეო ჩქარა გაეშუროს აქედან, თორემ  
რა წამსაც ნახვენ, მისი ბოლო წამი იქნება.  
მკვლელის დაზოგვა იმას ნიშნავს, შენც მკვლელი იყო.  
ეს გაასვენეთ და რაცა ვთქვი, კარგად გახსოვდეთ!

## ხურათი II

კაპულეტების ბაღი.

შემოდის ჯულიეტა.



ჯულიეტა—გასწით, გაფრინდიო, ცეცხლოვანო მერნებო, ჩქარა, ფეხის სასახლეს მიაშურეთ. რომ ფაეტონი გმართავდეთ ახლა, დასაველეთით გაგაქროლებდათ და ქვეყანაზე დადგებოდა უკუნი ღამე. მიჯნურთ მფარველო ბნელო ღამევე, გაშალე ფარდა, რომ შენს წყვილიადში უცხოს თვალმა ვერ დაინახოს ჩემი რომეო, რომ იდუმალ მოვიდეს ჩემთან და მომეხვიოს. მიჯნურთ ძალუძთ საკუთარივე მშვენიერების სინათლეზე იხილონ ყველა, რაიც თვითონ სურთ და ბრმა იყვეს თუნდ სიყვარული, მით უფრო მსგავსი იქნებოდა ის ბნელი ღამის. ღამეო, მოდი, შავმოსილო მანდილოსანო, მასწავლე, როგორ წავაგო იმ მომგებ თამაშში, სად წყვილ უმანკოს უბიწობა მიაქვს საწინდრად. გადამაფარე შენი შავი წამოსახამი, რომ არ გამოჩნდეს მღელვარება უხედნი სისხლის, ვიდრე ეს მორცხვი სიყვარული გამამაცლებს და მას გაიგებს, რომ ჭეშმარიტ მიჯნურებისთვის მოკრძალება და გულწრფელობა არის ჯერადი. მამ მოდი, ღამევე, და შენც მოდი, ჩემო რომეო, შენ, დღეო ჩემო ამ ღამეში, დღეო, რადგანაც ღამის შავ ფრთებით მოფრენილი უფრო ეღვარებ, ვიდრემდის ყორნის ფრთაზე ფიფქი ახალი თოვლის. ო, ტკბილო ღამევე, საყვარელო, შავთვალა ღამევე, მალე მოფრინდი, მომიყვანე ჩემი რომეო! როცა მოკვდება ის, ზეცაში წაიღე მაშინ, იქ ეარსკველავებად დასჭერ, ცაში მიმოაბნე და ისეთ ნათელს მოჰფენს ზეცას მის ეღვარება, რომ ბრძყევილა მზეს მოაკლდება ხობტა ქვეყნისა, და მთელი ხალხი, ტკბილო ღამევე, შენ შეგიყვარებს. თუმც ნაყიდი მაქვს სიყვარულის თავშესაფარი, ჯერ არ ეფლობ მაინც, და გავყიდე თუმც ჩემი გული, მისი მყიდველი არ დამტკბარა ჯერაც იმითი. ისე გრძელი სჩანს ეს დღე ჩემთვის და მომქანცველი, როგორც დღეობის წინა ღამე გოგონასათვის, მოუთმენლად რომ ელოდება დღის გათენებას, რათა ახალი ტანსაცმელი ჩაიცვას ჩქარა.

(შემოდის გამდელი თოკის კობით).

პა, ძიძაც მოდის, მოაქვს ჩემთვის ტკბილი ამბავი. ყოველი ენა ვინც რომეოს სახელს ახსენებს, საამოა და ზეციური. რას მეტყვი ახალს? ეს რა მოგაქვს თან? თოკის კიბე, იმან რომ გითხრა?



გამდელი—კიბეა სწორედ.

(დაადებს კიბეს).

ჯულიეტა—ხელს რად იმტვერევ? რა მოგივიდა? გამდელი—რა დღე გათენდა, ის მკვდარია, მკვდარია ჩვენ დავიღუბეთ, ქალბატონო, ჩვენ დავიღუბეთ.

ვაგლახ, ასეთ დღეს ის მკვდარია, ის მოკლულია!

ჯულიეტა—ნუთუ ასეთი შურიანი ყოფილა ზეცა?

გამდელი—ზეცა კი არა, რომეოა, ჰიო, რომეო.

ჯულიეტა—ბოროტი სული ხომ არა ხარ, ასე რომ მტანჯავ? ეს სატანჯველი ჯოჯოხეთსაც ააყენესებდა.

თავი მოიკლა მამ რომეომ? შენ მხოლოდ „ჰო“ სთქვი, და ეს მშრალი „ჰო“ უფრო სწრაფად მომწამლავს, ვიდრე, თვით გამგმირავი ბასილისკოს თვალის შევლებია.

მე, მე აღარ ვარ, ასეთი „ჰო“ თუ კი იქნება, თუ მის თვალეში დაიხუტნენ, ვისზეც „ჰოს“ იტყვი.

მკვდარია იგი? მიპასუხე, სთქვი „ჰო“ ან „არა“, მოკლედ გადმომეც სიხარული ან მწუხარება!

გამდელი—ჩემი თვალეშით დაეინახე მისი ქრილობა.

ღმერთო უღბინე! სწორედ აქა, ვაჟაკურ მკერდში.

საბრალო გვამი შედედებულ სისხლში სცურავდა.

გაფითრებული ნაცარივით, სისხლით შესვრილი.

გრძნობა დავკარგე როგორც ვნახე.

ჯულიეტა—ო, ვასკდი გულო! უმწეო გულო, მალე-მეთქი! თქვენ კი, თვალეში, ბნელ საკანს ჩადით, დღის სინათლეს ნულარ იხილავთ. საბრალო გვამო, მიწა ხარ და მიწად იქნები, რომეოს გვერდით განისვენე, მასთან კუბოში.

გამდელი—ვაიმე, ტიბალტი, მეგობარო ჩემო ძვირფასო, კეთილშობილო ვაჟბატონო, ზრდილობით საცხევ.

რას მოგესწარი შენ მკვდარი ხარ, მე კი ცოცხალი!

ჯულიეტა—რა უკულმართი ქარიშხალი დაგტყდომია თავს?

რომეო მოჰკლეს და ტიბალტიც მკვდარია თურმე,

ბიძაშვილიც და საყვარელი მეუღლეც ჩემი.

საყვირო, შენის საზარის ხმით ამცნე ქვეყანას,

რომ აღსასრული დადგა მისი. ან ვინღა ცოცხლობს,

თუ კი ეს ორი აღარ არის.

გამდელი—მარტო ტიბალტი,

ხოლო რომეო გააძევეს იმის მოკვლისთვის.

ჯულიეტა—ღმერთო, რომეომ დაანთხია ტიბალტის სისხლი?

გამდელი—მან დაანთხია, სწორედ იმან. ო, ბედშავი დღე!

ჯულიეტა—ლამაზ ვარდებით დაფარული ასპიტის სახევე!

ნუთუ ურჩხული ასეთ კოხტა მღვიმეში ცხოვრობს?

ბოროტი სული, ანგელოზის სახით მოსილო!

მტრედის ბუმბულში გახვეული შავო ყორანა!

მგელო ცხვრის ტყავში, მშვენიერო ბოროტმომქმედო!

ბილწო ქმნილებავ, ღვთაებრივი კდემით მოსილო!

სულ სხვა სახეზე იმისა, რაც ნამდვილად ხარ!  
წმინდანო ცოდვით დატვირთული! ჰოი, ბუნებაც,  
ვილას ამყოფებ ჯოჯოხეთში, როს ეშმაკის სულს  
ასეთ მშვენიერ სამოთხეში მიეცი ბინა?  
ნუთუ ჰქონია ასეთ საზარ შინაარსის წიგნს  
შესამკობელად ასე კარგი და ბრწყინვალე ყდა?  
ო, ვერაგობა სასახლეში უნდა ცხოვრობდეს?!



გამდელი—კაცებს ვინ მისცა სინიღისი ან ერთგულება?

ყველა უნდოა, მოლაღატე, ფიცის გამტეხი.  
ჩემი მსახური სად წავიდა? არაყი მასვი.  
ამდენმა ვაიმ, მწუხარებამ და სატანჯველმა  
სულ დამაბერეს. ეჰ, რომეო, შერცხვენა შენი!

ჯულიეტა—ენა გაგიხმეს მაგ სიტყვების წარმოთქმისათვის!

ის შერცხვენისთვის არ შობილა და თვითონ სირცხვილს  
რცხვენია ყოფნა კეთილშობილ იმისა შუბლზე.  
იგი ტახტია, რომელზედაც უნდა ეკურთხოს  
ქვეყნიერების მბრძანებელი პატიოსნება.  
და მე კი, მხეცმა, უდიერი სიტყვით ვახსენე.

გამდელი—მაშ უნდა აქო ბიძაშვილი ვინაც მოგიკლა?

ჯულიეტა—შემიძლია კი ჩემი ქმარი ავად ვახსენო?

საბრალო ჩემო მბრძანებლო, სხვამ ვილამ უნდა  
შოვიხსენიოს შენ აღერსით, როცა თვით ცოლმა,  
შენთან ნაკურთხმა სამიოდე საათის წინათ,  
უკვე მოვასწარ და შევრყვენი შენი სახელი?  
ან რად მომიკალ, საძაგელო, მე ბიძაშვილი?  
თუმც საძაგელი ბიძაშვილი ქმარს მომიკლავდა!  
სულელნო ცრემლნო, დაუბრუნდით მშობლიურ წყაროს!  
თქვენ მწუხარების მოხარკე ხართ, ახლა გეშლებათ  
და სიხარულთან მოგაქვთ ხარკი: ჩემი ქმარი ხომ,  
ვინაც უნდა მოეკლა ტიბალტს, ცოცხალი არის;  
ტიბალტი—მკედარი, ვისაც სურდა ჩემი ქმრის მოკვლა.  
ეს ყველაფერი მანუგეშებს. მაშ რაღად ვტირი?  
მაგრამ აქ სიტყვა გავიფონე უფრო მტანჯავი,  
ვიდრე სიკვდილი ტიბალტისა. ის სიტყვა მკლავს მე  
და თუმცა მინდა დაევიწყო, აღარ მშორდება,  
თავში მეჭობა, როგორც ცოდვილს ცოდვები მძიმე:  
„ტიბალტი მოკვლეს, რომეო კი გააძევესო.“  
ამ „გაძევებამ“, ერთმა სიტყვამ ამ „გაძევებამ“  
ათიათასჯერ გააქარწყლა ტიბალტის მოკვლა.  
იმის სიკვდილიც მეყოფოდა მე მწუხარებად,  
მარტო იგი რომ ყოფილიყო. ან ნაღველს თუ სურს  
სხვა ნაღველთან სელა, თუ მოითხოვს იგი თანამგზავრს,  
რატომ არ მოითხრეს, როს ტიბალტის მოკვლა მაცნობეს,  
რომ შენი მამა, ანუ დედა, ანუ ორივე  
მიიცივალო მასთან ერთად. ეს მწუხარება  
უფრო ადვილი იქნებოდა, ჩვეულებრივი.



მაგრამ ტიბალტის სიკვდილს შემდეგ იმის ცნობება რომ გააძევეს, მომავლორეს ჩემი რომეო, ეს იგივეა მომკვდარიყოს თუნდ მამა, დედა, ტიბალტიც მათთან, რომეოცა და ჯულიეტაც, სუყველას სიკვდილს უდრის იგი, და ამ ერთ სიტყვას, შემადრწუნებელ თქმას — „რომეო გააძევესო“, არა აქვს ბოლო, არც საზღვარი და არცა ზომა. სიტყვებს არ ძალუძთ გამოხატონ ჩემი ვარაში. დედა და მამა სად არიან, შენ ეს მითხარი?

**გამდელო**—ტიბალტის ცხედარს დასტირიან. შენც წახვალ მათთან? მაშ მე წაგიყვან.

**ჯულიეტა**—მათ საკუთარ ცრემლით იტირონ. ჩემსას დაეზოგავ და როს მათი ცრემლი გაშრება, მე დაეიტირებ ჩემს განდევნილ რომეოს მაშინ. ძიძა, ეს თოკიც გაიტანე. საბრალო კიბეე! ჩვენ ორივენი მოვტყუვდით დღეს: ის გააძევეს. ის ჩემს საწოლში ხომ შენ უნდა ამოგეყვანა? მაგრამ ქალწული ქალწულადვე მოგვედები მალე. მაშ წამო, კიბეე, შენც წამოდი, ჩემო გამდელო, ჩემს საქორწინო სარეცელში უნდა ჩავწვი მე, და რაკი ჩემთან ვეღარ მოვა რომეო მეტად, დეე, სიკვდილმა ქალწულობა ჩემი წაიღოს.

**გამდელო**—წადი შენ მალლა. მე წავალ და შენს სანუგეშოდ რომეოს ენახავ. ვიცი კიდევ, სადაც იქნება. იმედი გქონდეს რომ იხილავ ამაღამ იმას. მასთან მივიდივარ, ლორენცოსთან იმალება ის.

**ჯულიეტა**—ო, ნახე იგი. ეს ბეჭედი მიეც ჩემს რაინდს, უკანასკნელად მნახოს უთხარ, გამომეთსოვოს.

(გადაიან).

### ხუ რ ა თ ი III

ბერ ლორენცოს სენატი.

(შემოდიან ლორენცო და რომეო).

**ლორენცო**—მოდი, რომეო, შე საბრალოვ, უბედურებამ შეგიყვარა და მასთანა ხარ ჯვარდაწერილი.

**რომეო**—მითხარ, მამაო, განჩინება პრინცისა, ჩქარა, ჯერ ჩემთვის უცნობ რა ტანჯვას სურს გაცნობა ჩემი?

**ლორენცო**—შენთვის ასეთი სატანჯველი ნაცნობი არის, მე მოვიტანე პრინცის მსჯავრი, ძვირფასო შეილო.

**რომეო**—მერე და უფრო ღმობიერი, ვიდრე სიკვდილი?

**ლორენცო**—ჰო, ღმობიერი, გაძეება მოსწყდა მის ბაგეს. არა სიკვდილი ხორციელი, მხოლოდ განდევნა.

**რომეო**—სტქვი, სიკვდილი-თქო, შემიბრალე. სიკვდილი მიჯობს. უფრო საზარი თვალუბი აქვს მაგ გაძეებას, ვიდრემდის სიკვდილს. გაძეებას ნულარ მიხსენებ.

ლორენცო—მხოლოდ აქედან, ვერონადან ხარ განდევნილი.

იყავ სულგრძელი, ეს ქვეყანა ვრცელია, დიდი.

რომეო—ვერონას გარდა არ არსებობს ქვეყანა ჩემთვის.  
მის კედლებს გარეთ წამება და ჯოჯოხეთია.

აქედან წასვლა ნიშნავს თვით ამ სოფლიდან წასვლას,

ხოლო სოფლიდან წასვლა იგივე სიკვდილი არის,

მამ გაძევებაც სიკვდილია სახელშეცვლილი

და რაკი სიკვდილს გაძევებას ეძახი, ახლა

ოქროს ნაჯახით მკვებთავე თავსა, თან ილიმები

მომაკვდინებელ შემოკვრის დროს და მით მამწვიდებ.

ლორენცო—ო, მძიმე ცოდვა, ო, ეს ტლანქი უმადურება!

სიკვდილს გულისხმობს თუმცა შენი დანაშაული,

კეთილმა პრინცმა შეგიბრალო, არ გაპყვა კანონს

და შავი სიტყვა შეგიცვალა გაძევებითა.

სიკეთე გიყო და შენ ამას ველარც კი ხედავ.

რომეო—იგი სიკეთე ნუ გგონია—ის წამებაა.

აქ ზეცა არის, ჯულიეტა ცხოვრობს ხომ აქა?

და ყოველ კატას ანუ ძაღლსა, თავგსა პატარას,

ყოველ ქმნილებას უსუსურსა ნება ექნება

აქ, ზეცას, იყენენ, ჯულიეტას ცქერითა დატკბენ,

მე კი არა მაქვს ამის ნება. თვით უსუსურ მწერთ

მეტი ნება აქვთ სიყვარულის, თავისუფლება,

პატივისცემა უფრო მეტი, ვიდრე რომეოს.

მათ შეუძლიანთ იმის სპეტაკ ხელებს შეეხონ,

თვით უკვდავების სიტკბოება წარსტაცონ ბაგეთ,

ბაგეთ, რომელნიც ღვთაებრივის უმანკოებით

სირცხვილელნი წითლდებიან მარტოღენ იმით,

თითქოს ზრთერთის შეხებით და კოცნით სცოდავდნენ.

მწერთ ძალუთ, ჩემთვის კი ბედს გაცლა დაუწერია.

იმათ უფლება ნეტარების, მე კი განდევნა.

და მაინც ამბობ, გაძევება სჯობსო სიკვდილსა.

ნუთუ არა გაქვს საწამლავი შეზავებული,

ან ბასრი დანა, ან სხვა რამე, რაც სწრაფად მომკლავს,

თუმცა არც ისე საშინელი, როგორც განდევნა.

„გაძევებული,“ ამ სიტყვას ხომ ცოდვილი სულნი

კენესით ამბობენ ჯოჯოხეთში, და შენ, მამაო,

ციტ მოვლენილო ჩვენთა ცოდვით მისატყვევლად,

ჩემო მოძღვარო, სულთ მკურნალო, ვით მოგცა გულმა,

რომ ასე მწეწავ მე მაგ სიტყვით—„გაძევებული.“

ლორენცო—მე მომისმინე, შმაგო კაცო, სათქმელი რამ მაქვს.

რომეო—კვლავ გაძევების გინდა, ალბათ, მითხრა რაიმე.

ლორენცო—მე მსურს გასწავლო იარაღი მის წინააღმდეგ.

მწუბარების დროს—მალამოა ფილოსოფია,

ის განუგეშებს მაშინაც, როს განდევნილი ხარ.

რომეო—ისევე „განდევნა“. ჯანდაბას ეს ფილოსოფია!

მას ხომ არ ძალუძს ჯულიეტა შექმნას, დაჰბადოს



ანუ ქალაქებს შეუცვალთ თვისი ადგილი,  
 ან პრინციის მსჯავრი გააუქმოს? არ ძალუძს-მეთქი.  
 მაშ შენც დაეხსენ, ამის მეტად ნულარ ახსენებ! იარაქნული  
 ლორენცო—მე როგორც ვხედავ, შმაგებს სმენა არა მქანჩოყუნა  
 რომეო—მათ ვინ მისცემდა, როცა ბრძენნიც ბრმები ყოფილან?  
 ლორენცო—ახლა მოდი და შენი საქმე განვსაჯოთ ერთად.  
 რომეო—რასაც არა გრძნობ, იმის განსჯა არც შეგიძლია.  
 რომ შენც კაბუჯი იყო ჩემებრ, რომ ჯულიეტა  
 ჯვარდაწერილი იყოს შენთან ერთ საათის წინ  
 და რომ ჩემსავით გაშმაგებულს მოგეკლას ტიბალტ,  
 რისთვისაც ჩემებრ ყოფილიყო გაძევებული,  
 მაშინ შეგეძლო გეთქვა რამე, მაშინ ხელებით  
 თმებს დაიგლეჯდი და მიწაზე განერთებებოდი,  
 და შენც ჩემსავით გაზომადვი გაუთხრელ საფლავს.  
 (გამდელი აკაუნებს გარედან).

ლორენცო—ადექ, რომეო, დაიმაღე, ვილაცა მოდის.  
 რომეო—არა, არ წავალ. მე ჩემივე გულისა სუნთქვა  
 ბურუსის მსგავსი დამიფარავს უცხოთ თვალისგან.

(ყვავ აკაუნებს გამდელი).

ლორენცო—არ გესმის, ადექ! — მანდ ვინ არის? ვინ აბრაახუნებს?  
 წა, იმ ოთახში დაიმაღე. — ახლავ გავადებ! (აკაუნებენ).  
 რალას ჯიუტობ, ღმერთო ჩემო! — აპა მოვდივარ! (აკაუნებენ).  
 ვინ აბრაახუნებს ასე მაგრა, ვინა ხარ, რა გსურს?

გამდელი—(კარებს უკანიდან) კარი გამიღეთ და გაიგებთ, რისთვის  
 მოვედი.

მე ქალბატონმა ჯულიეტამ გამომავზანა.

ლორენცო—კეთილი იყვეს შენი მოსვლა!  
 (შემოდის გამდელი).

გამდელი—პოი, მამაო,  
 წმინდაო მამავ! მითხარ ჩქარა, სად უნდა იყვეს  
 ჩემი პატარა ქალბატონის ქმარი რომეო!

ლორენცო—აგერ მიწაზე, თავისივე ცრემლებით მთვრალი.

გამდელი—როგორაც ჩემი ქალბატონი, ისიც ასეა.

ლორენცო—ო, მწუხარების თანაგრძნობავ, ო, საბრალონი!

გამდელი—ისიც ასევე წევს და ტირის, ტირის და მოსთქვამს.

კარგი, გეყოფა, წამოდექი, ვაეკაცი არ ხარ!  
 ადექი-მეთქი, ჯულიეტას გულისთვის ადექ.  
 იმას გაფიცებ! რატომ ოხრავ ასე მწუხარედ?  
 (რომეო წამოდება).

რომეო—ძიძა!

გამდელი—ბატონო, სიკვდილია ყველაფრის ბოლო.

რომეო—ჯულიეტასას ამბობდი შენ. ის როგორ არის?  
 მკვლელ ავაზაკად არა მრაცხავს. მე ხომ შევებლალე  
 ნორჩი დღეები ჩვენი წმინდა ბედნიერების



სისხლით, რომელიც ახლობელი იყო იმისთვის.  
ახლა სად არის? რას აკეთებს ანუ რას ამბობს.

ჩვენს დაღუპულსა სიყვარულზე მეუღლე ჩემი?  
გამდელი—არათერს ამბობს, ტირის მხოლოდ, მუდამ **ქეზინუნუნა**  
ხან დაეგდება თვის საწოლზე, მერე კი უცებ **გინგ-გინგინა**  
წამოვარდება ისევე ზეზე, ტიბალტს ეძახის,  
მერე რომეოს დაიყვირებს და დაეარდება.

რომეო—თითქოს ამ სახელს ტყვიასავეთ მოეკლას იგი,  
როგორც რომეოს წყეულ ხელმა მოჰკლა ტიბალტი.  
მითხარ, მამაო, ეს სახელი ჩემი სხეულის  
რომელ დაწყევლილ და საზიზღარ ნაწილში ცხოვრობს?  
მითხარ რომელში და ამოვგლეჯ მის თავშესაფარს.

(უნდა დაიკრას ხანჯალი, მაგრამ ძიძა ვააგდებინებს).

ლორენცო—მოასვენე ეგ შფოთიანი ხელები, დადექ!  
კაცი არა ხარ? გარეგნულად ვაეკაცსა ჰვეხხარ,  
მაგრამ ქალურად კი ღვრი ცრემლებს და მოქმედება  
უგუნურისა მხეცისა გაქვს, გახელებულის.  
ჰოი, უღირსო დედაკაცო, კაცის სახისავ!  
უგუნურო მხეცო, მოქმედება შენი მაკვირვებს.  
ღმერთს გეფიცები, უფრო მტყიცე ნების მეგონე.  
ტიბალტი მოჰკალ, ახლა გინდა თავიც მოიკლა?  
მაგრამ ასეთის მძულვარებით და წყევით შენივე  
თავისა მიმართ ცოლსაცა კლავ, ვინც შენით ცოცხლობს.  
რად ურიახდები ზეცას, მიწას ან გაჩენის წუთს?  
ისინი ყველა შეხმატებილდნენ შენს გასაჩენად,  
შენ კი სამთავეს—მიწას, ზეცას და გაჩენას ჰგმობ.  
ფუ, შენვე ირცხვენ სილამაზეს, გრძნობას, გონებას,  
რადგან დიდ განძს ფლობ, მაგრამ უფიც მევახშის მსგავსად,  
ვერ იღებ მაინც ამ განძიდან ისეთ სარგებელს  
რაც სილამაზეს, გონებას და გრძნობას შეგიძვობს.  
შენი ბრწყინვალე გარეგნობა აწ სანთელსა ჰგავს,  
რადგან დაჰკარგე გულოვნება მამაკაცისა.  
ნაფიცი ტრფობა ვერაგობა ყოფილა თურმე,  
რადგან სატრფოს ჰკლავ, ერთგულუბა ვისაც აღუთქვი.  
გონება შენი, რაც სიყვარულს და გარეგნობას  
შემამკობელად უნდა ჰქონდეს, ორთავეს იმათ  
ცუდად წინამძღვრობს და დენთსა ჰგავს მოუხერხებელ  
ჯარისკაცისას სასწრაფოში: ახლა შენივე  
უგუნურებით აფეთქდა და ნაცვლად დაცვისა  
გავანადგურა. წამოდექი, აკი ჯულიეტა  
ვისიცა ჯავრი გკლავდა შენა, ცოცხალი არის.  
ბედნიერი ხარ შენ ამითი, მეტა რა გინდა?  
ტიბალტს უნდოდა შენი მოკვლა, მაგრამ შენ მოჰკალ.  
აქაც აგრეთვე ბედნიერი ისევე შენა ხარ.  
ყანონი, რაიც სიკვდილითა გემუქრებოდა,  
მეგობრად გეტყა, — გაძევება გაემარა მხოლოდ,

ბედნიერი ხარ აქაც კიდევ. ლოცვა-კურთხევის  
ნათელი გადგას, თავს გველება ბედნიერება.  
შენ კი ჯიუტი და პირქუში გოგონას გვარად  
ამრეზით უცქერ სიყვარულსა და ბედსაც შენსას.  
სჯობს მოერიდვ, მოერიდვ უბადრუკ სიკვდილს.  
წა შენს ტრფიალთან, როგორც გვემონდა გადაწყვეტილი.  
ადი იმასთან ოთახში და ნუგეში ეცი.  
მაგრამ მცველების დადგომამდე ნუ დააყოვნებ,  
თორემ მანტლას ვეღარ წახვალ. შენ მანტლაში  
ღარჩები, ვიდრე გამოვნახავთ ხელსაყრელ დროს და  
შენს ქორწინებას გავამელაგნებთ, მტრებს შევარიგებთ  
და პატიებას გამოვთხოვთ პრინცს. შემდეგ კი ისევ  
უკან მოვიხმობთ. მხიარული იქნები მაშინ  
ასი ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე წასვლისას  
ღალრეჯითა ხარ. შენ კი, ძიძავ, ახლავე წადი  
და მომიკითხე ქალბატონი. უთხარ, ეცადოს  
ოჯახის ადრე დაძინება. ეს ადვილია:  
გლოვისგან ისეც მოქანცული არის სუყველა.  
რომეოც მალე მოვა თქვენთან.



გ ა მ დ ე ლ ი — ო, ღმერთო ჩემო!

მე შემძლია მთელი ღამე დავრჩე, ვისმინო  
ასეთი ბრძნული დარიგება. სწავლა რას ნიშნავს!  
ბატონო ჩემო, ჩემს ქალბატონს ვეტყვი, რომ მოხვალთ.

რ ო მ ე ო — პო, ისიც უთხარ მოემზადოს სასაყვედუროდ.

გ ა მ დ ე ლ ი — აი, ბეჭედი, იმან თქვენთან გამომატანა.

(გადის, მაგრამ შემობრუნდება).

ბატონო ჩემო, ჩქარა, თორემ დაგვიანდებით.

(გადის).

რ ო მ ე ო — ო, ამ ბეჭედმა გამიცოცხლა ტყბილი იმედი.

ლ ო რ ე ნ ც ო — მშვიდობის ღამე! ახლა წადი და ეს გახსოვდეს,

რომ შენი ბედი და იღბალი მას ემყარება —

მცველთ დადგომამდე გაცეცხლო აქაურობას

ანდა ცისკრისას გადაცმული წახვიდე შენა.

ცოტა ხანს დაჰყოფ მანტლაში. შენს მსახურს ვნახავ

და ის გაცნობებს იქ დროდადრო აქაურ ამბებს.

მაშ ხელი მომეცი! ნუ აყოვნებ. მშვიდობის ღამე!

რ ო მ ე ო — აღმატებული სიხარული რომ არ მიხმობდეს,

შენთან ასეთი უეცარი გამოთხოვება

დამამწყურებდა. მაშ მშვიდობით!

(გადიან).

#### ხ უ რ ა თ ი IV

ოთახი კაპულეტების სახლში.

შემოდან მოხუცი კაპულეტი, ქანი კაპულეტი და გრაფი პარისი.

კ ა პ უ ლ ე ტ ი — ისე ბედშავად დაგვატყდა თავს ეს მწუხარება,

რომ დროც ვერ ვნახეთ გვეთქვა რამე ჩვენი ქალისთვის.

აბა, იფიქრეთ, მას ტიბალტი როგორ უყვარდა,



მეც მიყვარდა. ეჰ, სიკვდილისთვის ვართ გაჩენილი.

ახლა კი მაინც გვიანაა და ვერ ჩამოვა.

დიდი ხანია ვიქნებოდი მეც ჩემს ლოგინში,

რომ, დამერწმუნეთ, თქვენთან ერთად არ ვიყო ახლა.

პარისი — მწუხარების დროს სამაჰანკლოდ ვიღას სცალია?

მშვიდობის დამე, ქალბატონო! თქვენს ქალს მოკითხვა.

ქნი კაპულეტ — გადავეცე მდილით და გავიგებ, რა აზრისაა;

ამაღამ მძიმე დარღს მოუცავს იმისი გული.

კაპულეტ — ბატონო პარის, მე ვიქნები თავლები იმის,

რომ ჩემი ქალი შეგიყვარებს. ასე მგონია,

კი არ მგონია, ეჭვიც არ მაქვს, ის ყველაფერში

ჩემი გამგონე და მორჩილი იქნება მუდამ.

შენ კი, მეუღლე, ახლავ, ვიდრე დაიძინებდე,

ჯულიეტასთან შედი, უთხარ რომ იგი ჩემს ვაჟს

პარისსა უყვარს. თან უთხარი, კარგად მისმინე,

რომ ოთხშაბათსა, თუმცა არა, დღეს რა დღე არის?

პარისი — ორშაბათია დღეს, ბატონო.

კაპულეტ —

ორშაბათია.

ოთხშაბათს არა, ოთხშაბათი ახლოა მეტად.

ხუთშაბათს ისევე. ასე უთხარ, რომ ხუთშაბათსა

ის ჯვარს დაიწერს კეთილშობილ გრაფსა პარისთან.

თქვენ მზად იქნებით? თანახმა ხართ ამ დაჩქარებით?

დიდი ღრეობა არ გვექნება — ორიოდ კაცი,

რადგან თქვენც ხედავთ, სულ ახლახან მოკლეს ტიბალტი

და დიდი ღზინი თუ გავმართეთ, ხალხი იფიქრებს,

აი თქო ჩვენ იმას, ჩვენს ნათესავს აღარ ვგლოვობდეთ.

მას მოვიწვიოთ მეგობარი ხუთი თუ ექვსი

და ამით მოერჩეთ. ხუთშაბათზე რა აზრისა ხართ?

პარისი — ნეტავ ხვალ იყვეს ხუთშაბათი, ბატონო ჩემო.

კაპულეტ — ხუთშაბათს იყვეს, რაკი თქვენც გსურთ. შენ კი ახლავე

ჯულიეტასთან მიდი, ვიდრე დაიძინებდე

და შეამზადე, მეუღლეო, ქორწინებისთვის.

მშვიდობით იყავ, ვაჟბატონო! აბა სანთელი!

ოთახისკენ გამინათეთ. ახლა ხომ ისე

გვიანაა, რომ მალე ვიტყვით რა აღრეაო.

მშვიდობის დამე!

(გადიან).

## ხუროთი V

ჯულიეტას ოთახი.

რომეო და ჯულიეტა გამოჩნდებიან დანჯარასთან.

ჯულიეტა — უნდა წახვიდე? მაგრამ დილა შორსაა კიდევ.

ის ბუღბულია, ტორიოლას ხმა ნუ კი გგონია,

რამაც გაჰყვებ შენი ფრთხილი, მოშიში სმენა.

ის მუდამ დამე ბროწეულის ბუჩქზედა გალობს.

ბუღბული იყო, დამიჯერე, ჩემო ტრფიალო.

რომეო—ბუღბუღი არა, ეს ტოროლამ გვაუწყა დილა.

აბა, შეხედე, სიყვარულო, მომურნე სხივებს,  
აღმოსაელეთის მკმუნებარ ღრუბლებს როგორ ჰქარგავენ.  
ლამის სანთლები ჩაიფერფლენ და განთიადი  
ნისლიან მწვერვალს ფეხაყრფით უახლოვდება.  
უნდა წავიდე ან დავრჩე და სიკვდილს ვუცადო.



ჟულიეტა—დილის სინათლე არაა ის, მეტეორია,  
მზისაგან შენთვის მეჩირადღნეთ გამოგზავნილი,  
რომ მანტუსიკენ ღამით გზები გაგიჩირადღნოს.  
მაშ დაიცადე, ჯერ წასვლის დრო არ დაგდგომია.

რომეო—თუნდა შემოაყრან, თუნდ სიკვდილით დამსაჯონ ახლაც,  
მე თანახმა ვარ, რაკი შენაც ასე ისურვებ,  
და ეგ სინათლე დილის თვალი როდია მართლა, —  
ანარკელია ის ცინთიას ფერმიხდილი შუბლის.  
არცა ტოროლას ხმა ყოფილა, თავის წკრიალით  
ზეცის კამარა რომ გაჰყვება. მე მირჩენია  
აქ განსაცდელში დავრჩე ისევ, ვიდრე წავიდე.  
მოდი, სიკვდილო, გესალმებო ჩემს მზეს სურს ასე.  
მელაპარაკე, სულო ჩემო, ჯერ დღე შორსაა.

ჟულიეტა—უკვე დღე არის, გაეშურე, ჩქარა გამშორდი!  
ეს ტოროლაა, უხმატბილოდ რომ მღერის ასე  
გულგამწვერილებელ და უამო ჰანგების ფრქვევით.  
ზოგნი ამბობენ, თითქოს ტბილად მღეროდეს იგი,  
მაგრამ სტყუიან — სწორედ ეს ხმა გვაშორებს ურთერთს.  
ზოგიც მას ამბობს, რომ ტოროლას და საზარელ მყვარს  
ერთმანეთისთვის თვისნი თვალნი გადაეცვალოთ,  
ო, ნეტავ ხმებიც გაეცვალოთ, იმ ხმამ გათიშა  
ჩვენი მკლავები, ერთმანეთთან გადაქლობილნი,  
და გათენების მაუწყებელ სტვენით აქედან  
შენაც გაგდენა. ო, ძვირფასო, ახლა კი წადი:  
უფრო და უფრო ემატება დილას სინათლე.

რომეო—უფრო და უფრო წყველიადდება ჩვენი ვარამი.  
(შემოდის გამდელო).

გამდელო— ქალბატონო!

ჟულიეტა— რა იყო ძიძა?

გამდელო— აქეთკენ მოდის  
დედათქვენი და ფრთხილად იყავ, უკვე გათენდა.  
(ვადის).

ჟულიეტა—დღე შემოუშვი, მაშ სარკმელო, სული გაუშვი.

რომეო—მშვიდობით იყავ! ერთი კოცნაც და გაგშორდები.  
(ჩადის დაბლა).

ჟულიეტა—უკვე წახვედი? მზრძანებულო, ჩემდ მეუფევ,  
ჩემო ტრფიალო, მეგობარო, ყოველ საათის  
ყოველსა დღეში მომაწვდინო უნდა შენი ხმა;  
ჩემთვის კი წუთში ბევრი დღეა, ამ ანგარიშით

მე დაბერდები, კვლავ რომეოს ვიდრე ვნახავდე.  
 რომეო—შევიდობით სატრფოვ! დამერწმუნე, რომ ხელსაყრელ წმას  
 არ გაუშვებ და შემოგათვლი ყოველთვის სალამს. *უკრძანებულა*  
 ჯულიეტა—როგორ გგონია, შევიყრებით კიდევ რატყვეს? *მეც*  
 რომეო—ევეიც არა მაქვს მე მაგისა და შეხვედრისას  
 ამ მწუხარებას მოვიგონებთ ტკბილი საუბრით.  
 ჯულიეტა—ო, ღმერთო ჩემო, რა წყუღული წინათგრძნობა მაქვს.  
 ასე გგონია, როცა ქვემოთ დგახარ შენ ახლა,  
 თითქოს ვუძქერდე ცხედარს ცივი სამარის გულში.  
 თვალი მატყუებს ანდა მართლა ფერმიხდილი ხარ.  
 რომეო—მენდე, მეც ასე მეჩვენები, ჩემო ტრფილო.  
 გულქვა ვარამი ჩვენს სისხლსა სვამს. გემშვიდობები.  
 (გადის).

ჯულიეტა—წყუღლო ბედო, შენ სუყველა მუხდალს გეძახის  
 და თუ კი მართლა მუხდალი ხარ, რა გესაქმება  
 იმასთან, ვინაც ქებულია თვის ერთგულებით?  
 იყავ მუხდალი, მაშინ ღიღხანს არ დაიტოვებ  
 შენთან რომეოს და უკანვე გამომიგზავნი.

ქ-ნი კაპულეტა—(შიგნიდან) უკვე ადექი, ჩემო ქალო?

ჯულიეტა— ვინ არის მანდა?

დედაჩემია? ის ამდენხანს არ დაწოლილა,

თუ ასე ადრე ადგა უკვე? რა უჩვეულო

მიზეზებმა აქ მოიყვანეს ასეთ დროს ჩემთან?

ქ-ნი კაპულეტა—თავს როგორა გრძნობ, ჯულიეტა?

ჯულიეტა— ცუდად ვარ, დედა.

ქ-ნი კაპულეტა—ისევ ბიძაშვილს დასტირი შენ? ხომ არ გგონია,

რომ მაგ ცრემლებით საფლავიდან ამორეცხ მკვდარსა?

კიდევ რომ შესძლო მაგით მაინც ვერ გააცოცხლებ.

ახლა დამშვიდდი. მცირე გლოვა სიყვარულს ნიშნავს,

ზედმეტი ურვა კი გონების სილატაკეა.

ჯულიეტა—გამოვიტირო უნდა გრძნობა მე დაკარგული.

ქ-ნი კაპულეტა—მაგით შენ უფრო გააცხოვლებ დაკარგვის გრძნობას,

მაგრამ მეგობარს, ვისაც გლოვობ, ვერ გააცოცხლებ.

ჯულიეტა—მაგრამ, რაკი ვგრძნობ ამ დანაკლისს, არ შემიძლია  
 არ ვიტირო მე მეგობარი.

ქ-ნი კაპულეტა—

კარგია, შვილო,

ტიბალტს არ ტირი შენ იმდენად, რამდენად იმას,

რომ მისი მკვლეელი არამზადა ცოცხალი დადის.

ჯულიეტა— ვინ არამზადა, ქალბატონო?

ქ-ნი კაპულეტა—

აი, რომეო.

ჯულიეტა—(თავისთვის) არამზადა და მის სახელი შორიშორ დგანან.

ღმერთმა შეუნდოს! მიფუტყევებ მეც მთელის გულით,

თუმცა არავინ არ მიშფოთებს გულს ახლა მისებრ.

ქ-ნი კაპულეტა—ეს იმიტომ, რომ იმის მკვლეელი ცოცხალი დადის.

ჯულიეტა—იმიტომაც, რომ ვერ მისწვდება მას ჩემი ხელი:

ბიძაშვილისთვის მსურს მხოლოდ მე ვიძიო შური.

ქ-ნი კაპულეტო—შენ ფიჭვი ნუ გაქვს, ნულარ ტირი, შურს ჩვენ ვიძიებთ:

მანტუას, საცა ის ღვენილი ყაჩაღი ცხოვრობს, ცადი მყავს, იგი შეასმევს მას ისეთგვარ სასმელს, რომ ის რომეოც მოკლე ღროში ტიბალტს გაჰყვება და აი მაშინ, ვიმედოვნებ, შენც დამშვიდდები.

ჯულიეტო—ვერ დაგშვიდდები მე მანამდე, ვიდრე რომეოს არ ენახავ... მკვდარსა... ჰო, მკვდარსა ჰგავს ეს ჩემი გული ამდენი დარდით. მაგრამ, დედა, თუ კი მონახავთ ისეთ კაცს, ვინაც მანტუაში წამალს წაიღებს, მე მოვამზადებ იმგვარ სასმელს, რაიც რომეოს მაშინვე მშვიდად დააძინებს. ო, გულს მიმრეზავს, ვისმენ მის სახელს და არ ძალმიძს მასთან მივიდე, რომ სიყვარულო, რომლითაც მე ტიბალტ მიყვარდა, ახლა მის სხეულს დაეანთხიო, ვინც იგი მოჰკლა.

ქ-ნი კაპულეტო—მამ შეამზადე შენ წამალი, მე კაცს მოვნახავ. ახლა კი, შვილო, გასახარელ ამბავს გადმოგცემ.

ჯულიეტო—ამ მწუხარე დღეს როგორ შეგნის მზიარულება! მაინც რა ამბავს, გთხოვთ, გადმომცეთ, დედა ბატონო.

ქ-ნი კაპულეტო—ახლავე გეტყვი, შვილო. შენ გყავს მზრუნველი მამა და რომ მას ასეთ სევდისაგან შენ განერიდე, გამოგირჩია უცნაური სიზარულის დღე, ანაზღი წენტვის და ჩემთვისაც მოულოდნელი.

ჯულიეტო—მაგრამ რა დღეა, ქალბატონო, ეს შეგებისა დღე?

ქ-ნი კაპულეტო—ხუთშაბათ დილას წმინდა პეტრეს ტაძარში, შვილო, კეთილშობილი, მოხდენილი და ახალგაზრდა გრაფი პარისი თვის ბედნიერ ცოლად გაგიზნის.

ჯულიეტო—მამ ვფიცავ წმინდა პეტრეს ტაძარს და თვითონ პეტრეს, რომ არ გავხდები არასოდეს იმისი ცოლი.

მიკვირს ასეთი აჩქარება: უნდა გავთხოვდე მანამდე, ვიდრე ჩემი საქმრო თანხმობას შეითხავს?

გემუდარებით, უთხრათ მამას, დედა ბატონო, ჩემსა მზრძანებელს, რომ არა მსურს ჯერ გათხოვება

და როს ვისურვებ, გეფიცებით, მე მივთხოვდები რომეოს უფრო, რომელიც მძულს, თქვენც კარგად იცით, ვიდრე პარისსა. უცნაური ამბავი მითხარ.

ქ-ნი კაპულეტო—ჰა, მამაშენიც, მას შენ თვითონ უთხარი ასე და ნახე ერთი, თუ რას გეტყვის მაგაზე აგი.

(შემოდინ მოხუცი კაპულეტო და ძიძა).

კაპულეტო—როცა მზე ჩადის, ნამს აკურებს ჰაერი მიწას, ჩემი ძმისწულის მზის ჩასვლისას კი დელგმა მოდის.


რა გემართება, შენ გოგონი? ისევ ცრემლსა ღერი? შენი არსება ნავიც არის, ზღვაცა და ქარიც:

რადგან თვალეზი, რასაც ახლა მე ზღვას ვუწოდებ, ცრემლთა მოჭყევით გევსებიან, ნავი კი არის

შენი სხეული, მცურავი ამ მლაშე ტალღებში.



- ქარი — ეს შენი ოხვრა არის, გამძაფრებული ცრემლის ტალღებთან შებრძოლებით, და რომ უეცრად არ ჩაღვეს ქარი, ის დაამსხვრევს შენს სხეულს მაშინ, როცა, მეუღლე, გადაეცი ჩვენი განზრახვა?
- ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი — დიახ, ბატონო, მაგრამ იგი უარზედაა თუმც თქვენ მადლობას მოგახსენებს. ამ სულელს უჯობს შავ სამარესთან შეუღლება.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი — რაო, რას ამბობ? გამაგებინე, არ სურს მაგას? არც კი გვიმადლის? ნუთუ ამითი არ ამაყობს, აღარცა ხედავს ბედნიერებას, რომ თვით უღირსს ჩვენ ღირსეული და მოხდენილი, კარგი საქმრო გამოვუძებნეთ?
- ჯ უ ლ ი ე ტ ა — ვერ ვიამაყებ მაგ არჩევნით, თუმცაღა გმადლობთ. არც შემიძლია ვიამაყო იმით, რაიც მძულს. მადლობას კი მოგახსენებთ მისთვისაც, რაც მძულს, რადგან ის ჩემმა სიყვარულმა გააფიქრებინათ.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი — როგორა ყბედობ? რასა ბრძანებ? ანუ რას ნიშნავს „ვიამაყებ“ და „მაგრამ გმადლობთ“, „თუმც არა გმადლობთ“? მერე კიდევ „ვერ ვიამაყებ“. თქვენ, ნებიერო ქალბატონო, მადლს ნუ გვიმადლი, ნურცა ამაყო. შენ მოამზადე მოხდენილი ფეხები შენა, რომე ხუთშაბათს გრაფ პარისტან ერთად წახვიდე პეტრეს ტაძარში საქორწინოდ, თორემ იცოდე, ხელით მიგათრევ მე იქამდე. ახლა გამშორდი შენ, მწვანე მძოვრო, შენ მანქიავ, ყვითელლოყებავ.
- ქ-ნ ი კ ა პ უ ლ ე ტ ი — ფუი, რას ამბობ? ო, სირცხვილო, ხომ არ გავიყდი?!
- ჯ უ ლ ი ე ტ ა — კარგო მამილო, დაჩოქილი გემუღარები, რომ ერთი სიტყვა მომისმინო მოთმინებითა.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი — გადი, გამშორდი შე მანქიავ, ჯიუტო გოგო! დაიმახსოვრე, ან ხუთშაბათს წახვალ ტაძარში, ანუ ვერასდროს ამის შემდეგ ველარ მიხილავ. ნულარას იტყვი, ნურას ამბობ, ნუ მიპასუხებ, ხელები ისეც შექავება. ჩვენ ბედნიერად არცა ვრაცხდით თავს, მეუღლეო, რომ ღმერთმა მხოლოდ ეს ერთი ბავშვი მოგვივლინა. ახლა კი ვხედავ, ერთიც ბევრია. ამის ყოლით ღმერთმა დაგვსაჯა. იქით გამშორდი, უნამუსოე!
- გ ა მ დ ე ლ ი — ღმერთო, მოხედე! ჩემო ბატონო, ქალის ასე გალანძღვა თქვენთვის დასაძრახია.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი — მერე რატომ, ჰკუის კოლოდო? ხმა ჩაიკმიდე, ქალბატონო გონიერებაე, ანუ წადი და ილაქლაქე შენისთანებთან.
- გ ა მ დ ე ლ ი — მე ცუდს არაფერს ვლაპარაკობ.
- კ ა პ უ ლ ე ტ ი — ო, ღმერთო ჩემო!
- გ ა მ დ ე ლ ი — ლაპარაკიც არ შეგვიძლია?

კ ა ბ უ ლ ე ტ ი — დაჩუმდი-მეთქი,  
ენაქართალავ! არ გვეკირდება აქ შენი სიბრძნე,  
სჯობს შეინახო და წარმოსთქვა ნათლიდედებთან.  **ეროვნული**  
**ქ-ნი კ ა ბ უ ლ ე ტ ი** —, მეტიმეტად გაცხარდი შენ. **გიგლიჩიშვილი**  
კ ა ბ უ ლ ე ტ ი — ჰოი, მეუფე!

ქეთიდან შემშლის ეს ამბავი. დღისით თუ ღამით,  
სახლშიც, გარეთაც, აღრე, გვიან, მღვიძარს, მძინარეს,  
მარტოკა მყოფს თუ მეგობრებთან სულ ეგ მახსოვდა,  
მის გათხოვება მქონდა მუდამ მე საზრუნავად.  
მოვნახე კიდევ საქმრო, ღირსი შთამომავლობის,  
წრდილი ჭაბუკი, მშვენიერის შეძლების მქონე,  
კეთილშობილი ახალგაზრდა, შემკული ისე,  
როგორც ისურვებს კაცის ფიქრი. მაგრამ, მერე რა —  
ეს არამზადა და ტირია ბრიყვი ტიკინა  
კარზე მომდგარ ბედს უბასუხებს, „არა ვთხოვდები,  
არ შემიძლია შევიყვარო, ჯერ მეტიმეტად  
ახალგაზრდა ვარ, შაბათიეთ“, — მაშ გაბატიებ:  
თუ გათხოვება არ გწადიან, წადი, სადაც გსურს  
და იქ იცხოვრე, ჩემთან ბინა აღარ გექნება.  
კარგად დაფიქრდი, მე ხუმრობა როდი მჩვევია.  
ეს ხუთშაბათიც ახლოს არის. გულზე ხელები  
დაიდევინ და თვით განსაჯე: თუკი ჩემი ხარ,  
მაშინ გაჰყვები ჩემს მეგობარს. თუ არ ხარ ჩემი,  
წადი მათხოვრად, იშიშვილე, ქუჩაში მოკვდი.  
მე კი, სულს ვფიცავ, აღარასდროს ჩემად არ გიცნობ  
და არაფერიც ჩემი შენი აღარ იქნება.  
მაშ მოიფიქრე. ეს იცოდე, მე ფიცს არ გავტებ.

(გადის).

ჯ უ ლ ი ე ტ ა — ნუ თუ აღარ აქვს ზეცას გრძნობა სიბრალულისა?  
იგი ხომ ხედავს ჩემს სატანჯველს. ტკბილო დედილო,  
ნუ მომიძულე, გადასდევინ ეს ჯვარისწერა  
ერთი თვით ანდა ერთი კვირით, ან თუ არ ძალგამს,  
შენ საქორწინო სარეცელი მაშინ მომიწყე  
იქ ბნელსა და ციეს აკლდამაში, ტიბალტის გვერდით.

ქ-ნი კ ა ბ უ ლ ე ტ ი — ნუ ლაპარაკობ, სულერთია კრინტსაც არ დაეძრავ,  
რაცა გინდოდეს, ისა ჰქმენით, მე მოვრჩი შენთან.

(გადის).

ჯ უ ლ ი ე ტ ა — ო, ღმერთო ჩემო, ო გადია, როგორ გადავრჩე!  
ჩემი მეუღლე მიწაზეა, აღთქმა ზეცაში.  
ვით დაბრუნდება იგი ფიცი თვისით მიწაზე,  
თუ კი მეუღლემ არ დასტოვა მიწა და თვითონ  
არ გამოგზავნა აღთქმა ზეცით? ო, მანუგეშე,  
მირჩიე რამე. ახ, ვაიშე, თვის ძლიერებას  
ჩემებრ უსუსურ ქმნილებაზე რატომ ცდის ზეცა?  
შენ რაღას იტყვი? ნუთუ არ გაქვს სიტყვა ნუგეშის?



გამდელი—როგორ არა მაქვს: რომეო აწ განდევნილია და მაშინ მართლაც არაფერი არ გამეგება, თუ ის გაბედავს დაბრუნებას შენს წასაყვანად. მაშ რაჟი საქმე ამგვარად დგას, მე უმჯობესად მიმაჩნია, რომ გრავს მისთხოვდე. ო, რა კაცია! რომეო მასთან ჩვარი არის. არწივსაც არ აქვს მისებრი მწვანე და ნათელი, მკვირცხლი თვალები. მე ასე ვფიქრობ, გეფიცები, რომ ამ მეორე დაქორწინებით ბედნიერი გახდები მართლაც, რადგანაც იგი პირველსა სჯობს. თუნდაც არ სჯობდეს, ის პირველი ხომ მკვდარი არის ან თითქმის მკვდარი, რადგან, თუმც ცოცხლობს, შენთვის მაინც უსარგებლოა.

ჯულიეტა—შენ მაგას გულით მეუბნები?

გამდელი— მთელის სულითაც, და თუ ეტყუოდე, წამეწყმიდოს სულიც და გულიც.

ჯულიეტა—ამინ!

გამდელი— რას ამბობ?

ჯულიეტა—ჩინებულად დამამშვიდე შენ.

მაშ ახლა წადი, მოახსენე დედაბატონსა, რომ მე მივდივარ ლორენცოსთან სააღსარებოდ. მოტევენას ვთხოვ მაშიჩემის გახელებისთვის.

გამდელი—მაშ მოვახსენებ. შენი ქცევა ახლა ბრძნულია...  
(გაღის).

ჯულიეტა—ო, დაწყევლილო ბებრუხანავ, ბოროტო სულო! იმაზე უფრო მძიმე ცოდვა იქნება რამე, ვიდრე ის რჩევა, რომ გაეტეხო პირველი აღთქმა, ან დამცილება ჩემის ქმრისა იმავე ენით, რომლითაც იგი აღმატებულს ქებას ასხამდა. განვედ მაცდურო, აღარა რა გვაქვს საზიარო! ახლავე წავალ ლორენცოსთან. ვნახავ, რას მეტყვის. თუ ვერ მიშეელის, სიკვდილისთვის თვით შემწევს ძალა.

(გაღის).

(დასასრული იქნება)

თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ზელიძისა.



ი. ხანთაძე

## ი. ბ. სვადინის ენის თავისებურებანი და გარემოების ხერხები\*

(წერილი მეორე)

როცა სვადინის ენას ახლობლივ ეცნობით, თვალნათლივ ხედავთ იმას, რომ ავტორი ერთ წუთსაც არ იფიწყებს მკითხველს თუ მსმენელს და განუხრელად ზრუნავს იმაზე, რომ თავისი ნათელი და ცხადი აზრები ცხადად და გასაგებად მიიტანოს მასთან.

როგორც აღვნიშნეთ, სვადინურ სტატიებსა და გამოსვლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თერმინოლოგიის სწორად გამოყენება და აზრების მოკლედ და ზუსტად ფორმულირება. ვინ არ იცის, თუ ზოგჯერ რაოდენ ბუნდოვანებას და არეგულარებას იწვევს სიტყვა, როცა ის თანაშესაბამისი მნიშვნელობით არ არის მსჯელობაში გამოყენებული. თეორეტიულად ჩვენ მხოლოდ მაშინ გვესმის სიტყვის ან ტერმინის სრული მნიშვნელობა, როცა ვიცით მისი ყველა თანაშესატყვისი ნიშნები (соозначаемые признаки) და ვიყენებთ მას, ამ სიტყვას, მხოლოდ იმ საგნების მიმართ, რომლებიც ამავე ნიშნებით ხასიათდებიან. ასეთია სიტყვის ლოგიკურად გამოყენების იდეალი. მაგრამ ის, რაც უნდა იყოს ლოგიკის მიხედვით და ის, რაც არის ნამდვილად პრაქტიკულ ცხოვრებაში, ხშირად ერთი მეორეს არ ეთანხმება. ჩვეულებრივად ჩვენ, ადამიანები, ხშირად ეხმარებით სიტყვას, რომლის ანალიტიკური განსაზღვრა გავვიწყდებოდით, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ჩვენ ეს სიტყვა კარგად გვესმის. მაგალითად, ხშირად ვამბობთ ზოლმე: ეს კაცი გენიოსია, კეთილი, პატიოსანი, სამართლიანი და სხვა. მაგრამ რომ შეგვეკითხოვნ, რა არის სიტყვების გენიოსის, სიკეთის, პატიოსანების თანაშესატყვისი ნიშნები, ნათელ პასუხს ერთბაშად ვერ მივცემთ.

ტერმინოლოგიის აღრევა უმთავრესად აზრის არასაკმაოდ დისციპლინირებისაგან წარმოსდგება, ე. ი. იმ ჩვეულებისაგან, რომ ზოგჯერ დაუკვირვებლად, აუწონ-დაუწონლად და უპასუხისმგებლად ვეჭყევივით სიტყვას.

როცა სიტყვის ლოგიკურად გამოყენების თვალსაზრისით ვიხილავთ სვადინის სტატიებსა და გამოსვლებს, არა მგონია მსოფლიოში მოინახუბოდეს მეორე პიროვნება, რომლის ნაწერებსა და გამოსვლებში იმდენი პასუხისმგებლობა იგრძნობოდეს სიტყვისადმი და, მაშასადამე, იმ საქმისადმი, რომელსაც ეს სიტყვა ემსახურება, რამდენიც იგრძნობა სვადინის ნაწერებსა და გამოსვლებში. სიტყვისადმი ეს პასუხისმგებლობა თანაბრად ახასიათებს სვადინის როგორც ბოლო დროის ნაწერებსა და გამოსვლებს,

\* იხ. „მნათობი“, № 12, 1944 წ.

ისე მის აღრინდელ სტატიებს, სააგიტაციო ფურცლებსა და მოწოდებებს. მუდმივი ზრუნვა მკითხველზე და თავისი პასუხისმგებლობის შეგნება მის წინაშე, ფიქრი იმაზე, თუ როგორ იქნება გაგებულნი „ქუჩის“ სიტყვა მკითხველის მიერ, — აი ის, რასაც განუხრელად ამჩნევთ სტალინი. ამ პასუხისმგებლობით უნდა აიხსნას ის, რომ სტალინი ზოგჯერ ტექსტშივე არჩევს და აზუსტებს სიტყვებს, რომლებიც შეიძლება მკითხველს არასწორად გაეგო. სიტყვისადმი სტალინურ პასუხისმგებლობაზე მკერმეტყველურად ლაპარაკობს მარტო ის ორი მოკლე რეპლიკა, რომლითაც ამხანაგი სტალინი გამოეხმაურა მეცხოველეობის მოწინავე მუშაკების თათბირზე (1936 წ.) ერთ-ერთ მომხსენებელს.

როცა ხსენებული ტრიბუნიდან ამ მომხსენებელმა ახსენა კონცესიონერ კრუპის სახელი, — კრუპის, რომელიც ნაკლებად ფიქრობდა საკვებ ბაზაზე და უფრო ნაკლებად ზრუნავდა მასთან მომუშავე 1900 კაცზე — შეექმნა შათთვის თუნდაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, ამხანაგმა სტალინმა შემდეგი რეპლიკით შეაჩერა მომხსენებელი:

„თქვენ აგვიხსენით, ვინ კონცესიონერია, რა ეროვნების, რას წარმოადგენს იგი? ყველასათვის ეს როდია ცნობილი“.

„ვინ არის ეს კრუპი? უნდა აიხსნას, რომ ეს გერმანული ფირმაა, რომელსაც იჯარით ჰქონდა ჩვენგან აღებული მიწა და ფიქრობდა გადაეკარბებინა საბჭოთა წარმოების ნორმებისათვის“, — კვლავ მიუთითა მას სტალინმა.

განსაკუთრებით აზუსტებს და აკონკრეტებს სტალინი სიტყვას, თუ ამ სიტყვას ის ახალი აზრით და მნიშვნელობით იყენებს. სტატიაში „ჩვენი უთანხმოება“ (გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906 წ. № 14) ამხანაგი სტალინი სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობას უპირისპირებს ქუჩას, სათათბიროს ლაყბობას — „ქუჩის მოქმედებას“. და რომ სტალინის ტექსტიდან სიტყვა „ქუჩა“ მკითხველს პირდაპირი მნიშვნელობით არ გაეგო, სტალინი იქვე აკონკრეტებს ამ სიტყვას და იძლევა მის განმსაზღვრელ ნიშნებს.

„ქუჩა, — სწერს სტალინი, — ეს თვითონ მასაა, ქუჩის მოქმედება — ეს მასის პირდაპირი მოქმედებაა, მისი პირდაპირი ბრძოლა მტრებთან: მიტინგები, გაფიცვები, მანიფესტაციები, დემონსტრაციები, აჯანყება, — აი რა არის ქუჩა, აი რაში გამოიხატება მისი მოქმედება“.

თუ რამდენად ზუსტად და სრულად იძლევა სტალინი ქუჩის ამ განსაზღვრას, ეს ნათლად სჩანს იმ შენიშნიდან, რომელსაც იგი იმავე სტატიაში აძლევს ამხ. ბროლიაგას. ბროლიაგას მიმართ, რომელმაც სიტყვა ქუჩა მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებად წარმოიდგინა, სტალინი ამბობს:

„ამხ. ბროლიაგა მხოლოდ იმაში შესცდა, რომ მან სიტყვა ქუჩა ძალიან მარტივად წარმოიდგინა და მარტო შეიარაღებულ აჯანყებად მიიღო, მაშინ, როდესაც ბოლშევიკების აზრით... ქუჩა — ეს მასის რევოლუციური მოქმედებაა, რომელიც ხან მიტინგებში გამოიხატება, ხან გაფიცვებში, ხან მანიფესტაციებსა და დემონსტრაციაში და ხან კიდევ აჯანყებაში“.

ამხანაგი სტალინი ტექსტშივე არჩევს და აზუსტებს სიტყვას აგრეთვე მაშინ, როცა ზოგიერთი მოხერხებული პოლემისტი არა თანამესატყვისი მნიშვნელობით იყენებს სიტყვებს და ცნებების აღრევით ცდილობს კონტრადანად გააპაროს თავისი ყალბი აზრები, მისცეს ამ აზრებს კემშარტიტების მოჩვენებითი წარმოსახულება.

აი ერთი შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ როგორ აზუსტებს და არჩევს

სტალინი სიტყვებს „არსებითს“ და „სავსებითს“, რომელთაც ხალხის მტრები — სორინი და კამპანია აიგივეებდნენ.

ლენინს თავის ნაწერებში გამოთქმული აქვს ფრაზა: „პროლეტარიატის დიქტატურა არსებითად გვესმის როგორც მისი ორგანიზებული და შეგნებული უმცირესობის დიქტატურა“. სორინის მიმართ, რომელმაც თავისი ანტილენინური პოზიციის გასამაგრებლად ხელი ჩასჭიდა ლენინის ამ ფრაზას და ეს ფრაზა გაიგო ისე, რომ თითქოს „პროლეტარიატის დიქტატურა არის ჩვენი პარტიის დიქტატურა“, სტალინი ამბობს:

„ეს დებულება, როგორც ჰხედავთ, აიგივეებს „პარტიის დიქტატურას“ პროლეტარიატის დიქტატურასთან. შეიძლება თუ არა, თუ ლენინიზმის ნიადაგზე დავრჩებით, მართებულად ვსცნოთ ეს გაიგივება? არა, არ შეიძლება და აი რატომ.“

ჯერ ერთი — ლენინის მიერ კომინტერნის II კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვიდან შემოთმოყვანილ ციტატაში ლენინი სრულიად არ აიგივეებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან. იგი მართო იმას ამბობს, რომ „მხოლოდ შეგნებულ უმცირესობას (ე. ი. პარტიას. — ი. სტ.) შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა ფართო მასებს და თან გაიყოლიოს ისინი“. რომ სწორედ ამ აზრით „ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა არსებითად გვესმის, როგორც მისი ორგანიზებული და შეგნებული უმცირესობის დიქტატურა“, სთქვა — „არსებითად“, ჯერ კიდევ არ ნიშნავს სთქვა — „სავსებით“. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ნაციონალური საკითხი, არსებითად, გლუხთა საკითხია და ეს სავსებით სწორია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გლუხთა საკითხი ჰფარავს ნაციონალურ საკითხს, რომ გლუხთა საკითხი თავისი მოცულობით უდრის ნაციონალურ საკითხს, რომ გლუხთა საკითხი გაიგივებულია ნაციონალურ საკითხთან. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ნაციონალური საკითხი თავისი მოცულობით გლუხთა საკითხზე უფრო ფართო და მდიდარია. ამასთან ანალოგიით იგივე უნდა ითქვას პარტიის ხელმძღვანელი როლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. თუ პარტია ანხორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას და ამ აზრით პროლეტარიატის დიქტატურა, არსებითად, წარმოადგენს მისი პარტიის „დიქტატურას“, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ „პარტიის დიქტატურა“ (ხელმძღვანელი როლი) და პროლეტარიატის დიქტატურა ერთი და იგივეა, რომ თავისი მოცულობით პირველი უდრის მეორეს... ვინც აიგივეებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, იგი პროლეტარიატის დიქტატურას სცვლის პარტიის „დიქტატურით“. (ი. ბ. სტალინი: „ლენინიზმის საკითხები“ გვ. 155—156. მე-11 ქართ. გამოც.).

მოყვანილ ამონაწერიდან მკითხველი გაიგებს, თუ როგორ ამხელს ამხანაგი სტალინი ასოკირკიტებს, რომელთაც არ ესმოდათ ლენინური თეორიის არსება. ვერ არჩევდნენ ისინი ამ თეორიის არსს მის ასოსაგან და ცნებების აღრევით ცდილობდნენ ლენინის სახელით გაემართლებინათ თავიანთი ანტილენინური შეხედულებანი.

სტალინის მახვილი კრიტიკული თვალი სიტყვებს დაზუსტების საქმეში სწევდება ზოგიერთ მთარგმნელსაც.

სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ სტალინს მოჰყავს საპირო ციტატა ბაუერის წიგნიდან და იქვე სქოლიოში შენიშნავს:

„მ. პანინის რუსულ თარგმანში (იხ. პანინის თარგმანი ბატუერის წიგნი-სა), ნაცვლად „ნაციონალურ თავისებურებათა“, ნათქვამია „ნაციონალური ინდივიდუალობანი“. პანინს სწორად არა აქვს გადმოთარგმნილი ეს აღვნი-ლი. გერმანულ ტექსტში არაა სიტყვა „ინდივიდუალობანი“, არამედ „Nationalen Eigenart-ის შესახებ, ე. ი. თავისებურებათა შესახებ, რაც სრულიად ერთი და იგივე არაა.“<sup>1)</sup>

სტალინი ყველასაგან მოითხოვს თავისი აზრების ზუსტსა და სწორ ფორმულირებას და ამ მოთხოვნას უყენებს ის პირველ ყოვლისა საკუთარ თავს. როცა მოვლენათა ზედმიწევნითი შესწავლისა და ანალიზის შედეგად, სტალინი ხედავს, რომ მისი რომელიმე ძველი ფორმულირება საკმარისი არ არის, დაუყოვნებლივ ისწრაფვის შესცვალოს იგი სხვა, უფრო სრული და ზუსტი ფორმულირებით. ცნობილია, მაგალითად, რომ სტალინი „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“; სტალინიმა არა საკმაოდ მიიჩნია „პერმანენტული რევოლუციის თეორიის“ დახასიათება, როგორც გლეხობის როლის არასაკმაო შეფასების „თეორია“ და შესცვალა იგი სხვა, უფრო სრული და ზუსტი დახასიათებით. ბროშურაში „ლენინიზმის საკითხებისათვის“, სტალინი ამის შესახებ სწერდა: „1924 წლის დისკუსიამ, ერთი მხრით, და ლენინის შრომების ზედმიწევნითმა ანალიზმა, მეორე მხრით, დაგვანახვა, რომ რუსეთის „პერმანენტულების“ შეცდომას შეადგენდა არა მარტო გლეხობის როლის შეუფასებლობა, არამედ გლეხობის გაძლიერების საქმეში პროლეტარიატის ძალების და უნარის შეუფასებლობაც, პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეისადმი რწმენის უქონლობა.“

ამიტომ ჩემს ბროშურაში „ოქტომბრის რევოლუცია და კომუნისტების ტაქტიკა“ (1924 წ. დეკემბერი) მე გავაფართოვე ეს დახასიათება და შეეცვალე სხვა, უფრო სრული დახასიათებით... („ლენინიზმის საკითხები“ გვ. 139 — 140, მე-11 ქართ. გამოც.).

მოყვანილ ამონაწერიდან სჩანს, თუ როგორ დიდად აფასებს ამხანაგი სტალინი აზრების სწორსა და ზუსტ ფორმულირებას.

სტალინურ ზუსტ ფორმულირებაზე მოგვითხრობს აკადემიკოსი ლისენკო, როცა იგი ეხება საკითხს, თუ როგორ ხელმძღვანელობდა სტალინი იმ სარედაქციო კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტის—ჩვენი კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის დადგენა.

„კონსტიტუციის პროექტში, — გადმოგვცემს ლისენკო, — ნათქვამი იყო: „შრომის უფლება უზრუნველყოფილია... სამეურნეო კრიზისების აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით“. საბოლოო ტექსტში კი ჩაწერილია: „...შრომის უფლება უზრუნველყოფილია... სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღკვეთით...“ სტალინიმა სთქვა, „კრიზისების აღკვეთა კიდევ არაფერს ამბობს“. სტალინიმა სთქვა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც არის პერიოდები, როცა კრიზისები აღკვეთილია. ამიტომ საბჭოთა კონსტიტუციაში საჭიროა მიღობით, რომ ჩვენში სამეურნეო კრიზისები არა მარტო აღკვეთილია, არამედ ლიკვიდირებულია მათი წარმოშობის შესაძლებლობაც. როცა სტალინიმა შეი-

<sup>1)</sup> ი. სტალინი: „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, გვ. 28, ქართ. გამოც.

10. „მართობი“, № 7—8.

ტანა ეს შესწორება, მეც და კომისიის სხვა წევრებმაც, ნათლად დავინახეთ ამ შესწორების აბსოლუტური სისწორე.“<sup>1)</sup>

სტალინს აქვს გასაოცარი უნარი — ფიზიკური სიტყვებით ხედავდეს არაზუსტ ფორმულირების ადგილებს, რომელსაც, ვინაიდან ვერაფერს, სტალინის გარდა, ვერ შეამჩნევდა. 1925 წ. 29 ოქტომბერს, რ. ა. ლ. კ. კ. შეიღი წლისთავთან დაკავშირებით, „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციის მიერ დასმულ კითხვებს შორის იყო ასეთი შენაარსის კითხვა:

„შეიძლება თუ არა ჩვენს პირობებში კომკავშირის აქტივმა შეათავსოს პრაქტიკული მუშაობა მარქსიზმის და ლენინიზმის საფუძვლიან შესწავლასთან?“

საკითხის შენაარსი თითქოს სრულიად ნათელია, სიტყვებიც და სასვენი ნიშნებიც თავის ადგილზეა, მაგრამ სტალინის გენიამ საკითხის სწორედ ამგვარ ფორმულირებაში იქვე შეამჩნია ფრიალ მნიშვნელოვანი არაზუსტი ადგილი, რომელსაც შეეძლო გაუგებრობა გამოეწვია.

„ჯერ ერთი, — სთქვა სტალინმა, — პატარა შენიშვნა მარქსიზმისა და ლენინიზმის შესახებ. საკითხის ამგვარად ფორმულირების დროს შეიძლება იფიქრონ, რომ მარქსიზმი ერთია, ლენინიზმი კი სხვაა, რომ შეიძლება იყო ლენინელი და ამავე დროს არ იყო მარქსისტი, მაგრამ ასეთი შეხედულება სწორად ვერ ჩაითვლება. ლენინიზმი როდია ლენინური მოძღვრება მინუს მარქსიზმი. ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლენინიზმი შეიცავს ყოველივე იმას, რაც მარქსმა მოგვცა, პლიუს ის ახალი, რაც ლენინმა მარქსიზმის საგანძურში შეიტანა და რაც აუცილებლად გამომდინარეობს ყოველივე იმისაგან, რაც მარქსმა მოგვცა (მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, გლეხთა საკითხი, ეროვნული საკითხი, პარტია, რეფორმიზმის სოციალური ფესვების შესახებ, საკითხი ძირითადი გადახრებისა კომუნიზმში და სხვ.). ამიტომ უმჯობესი იქნებოდა საკითხის ფორმულირება ისე, რომ ლაპარაკი იყოს მარქსიზმზე ან ლენინიზმზე (რაც ძირითადად ერთი და იგივეა) და არა მარქსიზმისა და ლენინიზმის შესახებ“<sup>2)</sup>.

ამ შენიშვნის შემდეგ მკითხველისათვის სრულიად ნათელი ხდება „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციის შეკითხვის არასწორი ფორმულირება. ამ შენიშვნიდან სჩანს, თუ რას ნიშნავს, როცა დამაკავშირებელია და თავის ადგილზე არ არის, როგორი დაბნეულობა შეიძლება გამოიწვიოს ამ ორმა ასომ თვით უღრმეს მეთოდოლოგიური საკითხების გარკვევაში.

ენის უაღრესი სიზუსტისა და შეკუმშულობის გზით, აგრეთვე მასალის გარკვეული გეგმის მიხედვით განლაგებისა გამო, სტალინი ერთგვარ „ეკონომიას“ აღწევს მეტყველების საშუალებათა ხარჯვაში, უაღრესად მოკლედ და თან გასაგებად აშუქებს ურთულეს საკითხებს.

ცნობილია, მაგალითად, რომ იმავე შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ამხანაგი სტალინი II ინტერნაციონალის მთელ პოლიტიკურ საქმიანობას სულ სამ აბზაცში გადმოგვეცმა:

„მთლიანი რევოლუციური თეორიის ნაცვლად წინააღმდეგობრივი თეორიული დებულებები და თეორიის ნათლეთები, მოწყვეტილი მასების

<sup>1)</sup> ვაზ. „პრავდა“, 1936 წ. 20 დეკემბერი.

<sup>2)</sup> ვ. ა. ლენინი და ი. ბ. სტალინი: „ახალგაზრდობის შესახებ“ გვ. 229.

ცოცხალ რევოლუციურ ბრძოლას და გადაქცეული დახვეწებულ დოგმაბად. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, გაიხსენებდნენ ხოლმე მარქსის თეორიას, მაგრამ იმისთვის, რომ გამოეცალათ მისთვის **ე. ცოცხალი რევოლუციური შინაარსი.**

რევოლუციური პოლიტიკის ნაცვლად უილაჯო ფილისტერობა და ფრთხილი პოლიტიკანობა, საპარლამენტო დიპლომატია და საპარლამენტო კომბინაციები. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, გამოჰქონდათ „რევოლუციურა“ გადაწყვეტილებანი და ლოზუნგები, მაგრამ იმისათვის, რომ მაუღჭვევ ამოედოთ ისინი.

იმის ნაცვლად, რომ საკუთარ შეცდომებზე აღეზარდათ პარტია და შეესწავლებინათ მისთვის სწორი რევოლუციური ტაქტიკა, საგულდაგულოდ უხვევდნენ გვერდს მტყივნეულ საკითხებს, ჩქმალავდნენ და აფუჩეხებდნენ მათ. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, მსჯელობდნენ მტყივნეულ საკითხებზედაც, მაგრამ იმისათვის, რომ საქმე რაიმე „კაუჩუკური“ რეზოლუციით დაებოლოებინათ“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 10 — 11, მე-11 ქართ. გამოცემა).

როგორც ჰხედავთ მოყვანილ ამონაწერში მოცემულია II ინტერნაციონალის პოლიტიკური ფიზიონომიის, მისი მუშაობის მეთოდის, მისი არსენალის უაღრესად მოკლე, მაგრამ გამანადგურებელი დახასიათება. სტალინის ყოველი სიტყვა აქ სწორად გატყორცნილი ისარია, ფაქტებით დადასტურებული ბრალდებაა, უძლეველი თავისი სიტყვებით.

ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციას ამხანაგმა სტალინმა სულ სამ ფურცელზე განუმარტა ეს ახალი, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის საგანძურში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავიან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც 1942 წლის 6 ნოემბერს შესდგა, ამხანაგმა სტალინმა სულ ორ აბზაცში გადმოგვცა მოქმედების პროგრამები, რომელთა განხორციელებასაც მიზნად ისახავს მიმდინარე ომში ორი მოპირდაპირე ბანაკი, იტალია-გერმანიის კოალიციის ბანაკი და ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის ბანაკი.

სტალინის სწავლებას მეფოდური ხასიათი აქვს. ის იტყვას სიტყვას რაც შეიძლება მოკლედ და შემდეგ იძლევა მის ვრცელ განმარტებას. მოკლე და ზუსტი ფორმულირების და სიტყვების აზრობრივი სისავსის ნიმუშად ავიღოთ სტალინის მიერ მოცემული ლენინიზმის ცნობილი განსაზღვრა, რომელსაც თან მისდევს სათანადო განმარტება. თავის შრომაში „ლენინიზმის საკითხებისათვის“ სტალინი სწერს:

„ლენინიზმი არის იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით“.

მოჰყავს რა ეს განსაზღვრა, სტალინი კითხულობს: „სწორია თუ არა ეს განსაზღვრა?“ და ღვევ უპასუხებს:

„მე ვფიქრობ, რომ სწორია. იგი სწორია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სწორად მიგვიითითებს ლენინიზმის ისტორიულ ფესვებზე, ახასიათებს რა მას როგორც იმპერიალიზმის ეპოქის მარქსიზმს, წინააღმდეგ ლენინის ზოვერთი კრიტიკოსისა, რომელნიც უმართებულოდ ფიქრობდნენ, რომ

ლენინიზმი იმპერიალისტური ომის შემდეგ წარმოიშვა. მეორე, იგი სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის საერთაშორისო ხასიათს, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც, როგორც ვხედავთ, რომ ლენინიზმის გამოყენება შეიძლება მხოლოდ რუსეთის პარტიზანულ ბრძოლაში. მესამე, იგი სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის ორგანულ კავშირს მარქსიზმის მოძღვრებასთან, ახასიათებს რა მას, როგორც იმპერიალიზმის ეპოქის მარქსიზმს, წინააღმდეგ ლენინიზმის ზოგიერთი კრიტიკოსისა, რომელიც სთვლიან მას მარქსიზმის არა შემდგომ განვითარებად, არამედ მხოლოდ მარქსიზმის აღდგენად და მის გამოყენებად რუსეთის სინამდვილეში“ („ლენინიზმის საკითხები“ მე-10 გამოც. გვ. 126).

ლენინიზმის ზემოთმოყვანილ განსაზღვრიდან მკითხველი დაინახავს, თუ როგორ ნათელს ხდის ამხანაგი სტალინი თავისი დებულების სისწორეს ამ დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებების ფონზე, თუ რა აზრობრივი სიღრმის შემცველია მის მიერ მოცემული ლენინიზმის ეს მოკლე განსაზღვრა, რამდენად მოფიქრებული და დაზუსტებული ყოველა სიტყვა ამ განსაზღვრისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა ამხანაგი სტალინი თავის ამა თუ იმ დებულებას ავითარებს, იქნება ეს დებულება ფილოსოფიური, პოლიტიკური თუ ეკონომიური ხასიათისა, იგი ამ დებულების დასაბუთებას ყოველთვის საწინააღმდეგო დებულებებს ფონზე იძლევა. ცნობილია, მაგალითად, რომ შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, სტალინი, არკვევს რა დიალექტიკური მეთოდის რაობას, მეტაფიზიკასთან დაპირისპირების გზით იძლევა ამ მეთოდის დამახასიათებელი ოთხსავე ძირითად ნიშანს, ხოლო იდეალიზმთან დაპირისპირების ფონზე შლის ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითად ნიშნებს.

რომ უფრო გასაგები გახადოს აზრი მკითხველისათვის ან მსმენელისათვის, სტალინი ერთხელ მოცემული ფორმულირების გვერდით ზოგჯერ იძლევა ამავე აზრის სხვა სიტყვებით ფორმულირებასაც, უმატებს რა სიტყვებს: „უფრო ზუსტად“ ან „სხვანაირად რომ ეთქვათ.“<sup>1)</sup> როგორც ზემოთ დავინახეთ, სტალინი ლენინიზმს განსაზღვრავს, როგორც „იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმს“, მაგრამ სტალინი არა კმაყოფილდება ამით და აკონკრეტებს ამ განსაზღვრას სიტყვებით: „უფრო ზუსტად, ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით“.

სტალინის ტექსტში შეხვედებით ასეთ ადგილს:

„რა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარმა ყველა ამ ცვლილებამ ახალი კონსტიტუციის პროექტში?“

„სხვანაირად რომ ეთქვათ (ზაზი ჩემია — ი. ხ.), როგორია ძირითადი თავისებურებანი კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც ამ ყრილობის განსახილველად არის წარმოდგენილი?“ (ი. ბ. სტალინი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, გვ. 20).

ერთსა და იმავე აზრის ორნაირი ფორმულირებით სტალინი თითქოს ეუბნება მკითხველს: თუ პირველი ფორმულირებით აზრი გაუგებარია,

<sup>1)</sup> ზაზი ჩემია. — ი. ხ.



ინებეთ მეორე, იმავე აზრის სხვა სიტყვებით ფორმულირება, უფრო ზუსტი და გასაგები.

საჭიროა ორიოდ სიტყვა ითქვას სტალინური სტატიების შესავალ-ზედაც.

ზოგჯერ რომელიმე სტატიის შინაარსი შესავალს არ მოითხოვს, რადგან შეიძლება მისი ვაგება უიშისოდაც. მიუხედავად ამისა, ავტორი ზოგჯერ ასეთ სტატიასაც შესავალს უკეთებს და მით მკითხველს დროს აკარგვინებს. ხდება ხოლმე ისიც, რომ მწერალი შესავალსა და შინაარსს შორის ვერ იცავს საჭირო სიმეტრიას და სტატია გამოუდის, რომ იტყვიან, რაბიტია, ე. ი. დიდთავა და პატარა ტანია.

სულ სხვაა სტალინური შესავალი, სადაც უმთავრესად მოცემულია საჭირო სახელმძღვანელო იდეები, რომელთა ვაცნობაც აუცილებელია თვით სტატიის შინაარსის დაუფლებისათვის. სტალინური შესავალი, ჩირაღდანია, რომლის შუქით მკითხველი ინათებს გზას წამოყენებული საკითხების რთულ ლაბირინტში.

მიუხედავად ამისა, სტალინის სტატიების შესავალი მაინც მოკლეა. სტალინი არასოდეს დიდხანს არ ალოდინებს მკითხველს დერეფანში და ზოგჯერ სტატიის პირველივე აბზაციით შეჰყავს იგი საქმის კურსში. მაგალითად, იმავე შრომის „ლენინიზმის საფუძვლებას შესახებ“ მეცხრე თავი დასათაურებულია ასე: „მუშაობის სტილი“. ამ პირველი სიტყვები ამ თავისა: „ლაპარაკია არა სალიტერატურო სტილზე. მე მხედველობაში მაქვს მუშაობის სტილი, ის განსაკუთრებული და თავისებური ლენინიზმის პრაქტიკაში, რომელიც ჰქმნის ლენინელი მუშაკის თავისებურ ტიპს. ლენინიზმი არის თეორიული და პრაქტიკული სკოლა, რომელიც ჰქმნის პარტიული და სახელმწიფო მუშაკის განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც ჰქმნის მუშაობის განსაკუთრებულ, ლენინურ სტილს. რაში მდგომარეობს ამ სტილის დამახასიათებელი ნიშნები? როგორია მისი თავისებურებანი? („ლენინიზმის საკითხები“, მე-10 გამ., გვ. 91).

როგორც ჰხედავთ, პირველივე სიტყვების მანძილზე მკითხველი შეპყრობილია ტექსტის ლოგიკით და შინაარსით.

სტალინის ენა არ არის ჰშირალი, განყენებული წიგნობრივი ენა, — იგი ზალხური, სასაუბრო ენაა. სტალინს არ უყვარს ფრაზების სტანდარტულად აგება. ტექსტში იგი ხშირად სვამს კითხვას, ამით სინჯავს აუდიტორიას, ამახვილებს მსმენელის ყურადღებას, იწვევს მასში მეტ დაინტერესებას და ამ კითხვას იქვე თვითონვე უპასუხებს და მით მსმენელს თუ მკითხველს თავისი აზრების ორბიტში აქცევს. სტალინის მიერ დასმული კითხვები ბუნებრივად გამომდინარეობენ თვით ტექსტის ლოგიკიდან.

ზოგჯერ სტალინის მიერ დასმული კითხვა ისეა შერწყმული სტალინური ტექსტის შინაარსთან, ეს კითხვა ისეთ აზრობრივ გარემოშია ჩაყენებული, რომ გადაჭრით მოითხოვს სტალინის მიერ წინათგამოთქმულ დებულებების ვაცნობას. ასეთი კითხვებია „რატომ?“, „რას ნიშნავს ეს?“, „რას ვეუბნება ეს ციფრები?“ და სხვ., თუმცა ამხანაგი სტალინის ტექსტში არა ხშირად შეხვდებით რიტორიკული ხასიათის კითხვებსაც, ე. ი. ისეთ კითხვებს, რომლებიც პასუხის ვაცემას არ მოითხოვენ.

როცა სტალინი რაიმე აზრს ანვითარებს, იგი თითქოს ხმამაღლა მსჯელობს, ესაუბრება თავის აუდიტორიას და კითხვა-პასუხის ფორმაში

აყალიბებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ახალ პრობლემებს, სოციალისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს. მაგალითად, სტალინის შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ სამოცდაათზე მეტი კითხვია დასმული და მათზე იჭევა პასუხი გაცემული.

ასეთივეა სტალინის ყველა ნაწარმოები. ასეთივეა მისი წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, სადაც არის დასმული ორმოცამდე კითხვა და მათზე გაცემული პასუხი.

სტალინის ტექსტში ჩართული კითხვები გასაოცრად აადვილებენ მის ნაწარმოებების შესწავლას. საკმარისია სტალინის ნაწარმოებიდან ამოიწეროთ ყველა მასში დასმული კითხვები, გასცეთ მას სტალინური პასუხი და უკვე მთლიანად და საფუძვლიანად გეცოდინებათ ამ ნაწარმოების შინაარსი.

როცა სტალინის სტატიებს კითხულობთ, თვალნათლივ ამჩნევთ იმას, რომ ავტორს მთავარ მიზნად დაუსახავს — თავისი მართალი, ბოლშევიკური სიტყვა სწორად და თან გასაგებად მიიტანოს მკითხველთან, რისთვისაც იგი ლიტერატურის ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას იყენებს. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად და აგრეთვე იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გამოხატოს თავისი ესა თუ ის დებულება, გარდა კითხვა-პასუხის ფორმისა იგი სარგებლობს შედარების ხერხითაც; რომ უფრო მკვეთრად გამოეხატა, მაგალითად, პირველი ხუთწულის წარმატება, სტალინი ამ წარმატებას ადარებს მრეწველობის წინანდელ სურათთან და ამბობს:

„ჩვენ არ გვქონდა შავი მეტალურგია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი, ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა სატრაქტორო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა საავტომობილო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა დაზგათმშენებლობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა სერიოზული და თანამედროვე ქიმიური მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი და სერიოზული მრეწველობა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების დარგში. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.“<sup>1)</sup>

მეტყველების ამ ხერხს საკითხის გარკვევაში შეაქვს მეტი სიცხადე და თვალსაჩინოება, რითაც ესა თუ ის თეზისი ხუთ მტკიცება უფრო დასამახსოვრებელი ხდება.

თავის სტატიებსა და გამოსვლებში სტალინი იყენებს დიალოგის ხერხსაც. დაუიწყებია, მაგალითად, პარტიის მე-17 ყრილობაზე მისი სიტყვის ის ადგილი, სადაც იგი დიალოგის ფორმით გადმოგვცემს მოლაყბის სახეს, — მოლაყბის, რომელთანაც თვითონ სტალინს ჰქონია საუბარი. აი ამ დიალოგის შინაარსი:

„მე: როგორ არის თქვენში თესვის საქმე?

ის: თესვის საქმე, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ჩავეტარეთ მობილიზაცია (სიცილი).

მე: მერე რა?

ის: ჩვენ პირდაპირ დავსვით საკითხი (სიცილი).

მე: მერე, შემდეგ?

<sup>1)</sup> ა. ბ. სტალინი: „ლენინიზმის საკითხები“. გვ. 467, მე-11 ჭიკით, გამოცემა.

ის: ჩვენ გვაქვს გარდატეხა, ამხანაგო სტალინ, მალე გვექნება გარდატეხა (სიცილი).

მე: მაინც?

ის: ჩვენში ისახება ძვრა (სიცილი).

მე: კი, მაგრამ, მაინც რა მდგომარეობაა თქვენში თესვენს მხრივ.

ის: თესვის საქმეში ჯერ არაფერი გამოდის, ამხანაგო სტალინ (საერთო სიცილი).

აი, — განაგრძობს სტალინი, — მოლაყბის ფიზიონომია. მათ მოახდინეს მოზილიზაცია, პირდაპირ დასვეს საკითხი, მათ აქვთ გარდატეხა, ძვრებიც, საქმე კი აღვლილად არ იძვრის.<sup>1)</sup>

თუ მოპირდაპირე მრავლობით რიცხვშია, სტალინი ალაპარაკებს თვითონ მათ და სცენიური დიალოგის ოსტატური გამოყენებით აშიშვლებს მათ პოლიტიკურ ფიზიონომიას. მაგ., სტატიის „სკედენ ბორკილებს“ („რაბოჩი პუტ“, № 9, 24 სექტ. 1917 წ.), საზამთრო სასახლეში შემდგარი ბურჟუაზიული თათბირის შინაარსს სტალინი შეზღვევს სცენიური დიალოგით ვადმოგვეცემს:

„განდევნეთ აქვენგან ბოლშევიკები და მაშინ ბურჟუაზიას და დემოკრატიას ექნებათ საერთო ფრონტი“, — ეუბნება ოპორონცებს კიშკინი.

— „სიამოვნებით შევეცდებით — უპასუხებს აქესენტიევი, მაგრამ ჯერ მოგვეცით დავადგინოთ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი“.

— „ბურჟუაზიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ბოლშევიზმის ზრდა და იზრუნოს კოალიციის ძალაუფლებაზე არა ნაკლებ, ვიდრე დემოკრატიაზე“, — ასრულებს აქესენტიევის სიტყვას ბერკენგეიმი.

თქვენ გესმით: კოალიციური ძალაუფლება თურმე საჭიროა ბოლშევიზმთან ბრძოლისათვის, ე. ი. საბჭოების, ე. ი. მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

— „წინაპარლამენტი უნდა იყოს სათათბირო ორგანო, ხოლო ხელისუფლება — „მისგან“ დამოუკიდებელი“, — ამბობს ნაბოკოვი.

— „სიამოვნებით შევეცდებით, — უპასუხებს წერეთელი, ვინაიდან ის თანახმა არის იმაზე, რომ დროებითი მთავრობა არ ატარებდეს ფორმალურ... პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე („რეჩი“).

— „წინაპარლამენტი კი არ ჰქმნის ხელისუფლებას, არამედ, პირიქით, ხელისუფლება ჰქმნის წინაპარლამენტს, აცხადებს რა მის შემადგენლობას, კომპეტენციას და რეგლამენტს“, — ამბობს კადეტების დეკლარაცია.

— „თანახმა ვარ, — უპასუხებს წერეთელი, — ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს ეს დაწესებულება“ („ნოვიაი ეიზნ“) და განსაზღვროს „მისი კონსტრუქციის ფორმები“ („რეჩი“).

პატიოსანი მაკლერი კი საზამთრო სასახლიდან ბ-ნი კერენსკი ავტორიტეტულად წარმოსთქვამს:

1) „ძალაუფლების ორგანიზაცია და შემადგენლობის შევსება ამჟამად მხოლოდ დროებით მთავრობას ეკუთვნის“.

2) „ამ თათბირს (წინაპარლამენტს) არა აქვს პარლამენტის ფუნქციები და უფლებები“.

3) „დროებით მთავრობას არ შეუძლია პასუხისმგებელი იყოს ამ თათბირის წინაშე“ („რეჩი“).

<sup>1)</sup> „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 699, მე-10 ქართ. გამოცემა.

ამგვარად, თათბირის მთელი შინაარსი, რომელმაც, ალბათ, რამდენიმე საათს და შესაძლოა დღეებს გასტანა, დიალოგის ხერხის მოქმედი მომარჯვებით მოკლედ, მკვეთრად და თვალსაჩინოდ არის გადქვეყნებული.

ასეთივე დიალოგის სახით გადმოგვცემს სტალინი სტატიის შემთხვევით არსებულ ორგანოების, — „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“, „პაწია გაზეთის“ და „ძველი დროების“ გალაშქრებას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას აბრალებდნენ:

„მერე რატომ განარისხებულან სოციალ-დემოკრატიაზე ეს „საქართველოს მხსნელები“, რას აბრალებენ მას?

— სოციალ-დემოკრატია „დაუფიქრებლად“ იწვევდა ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, მან „წინდაუხედავად გამოიწვია დეკემბრის აჯანყება, მით ტყუილ-უბრალოდ დაღვარა მოუშხადებელი ხალხის უმანკო სისხლით“, — იმახის „ივერია“ გულმტკიცნებულად. „მე დიდი ხანია, რაც მაგას ვამბობ, მაგრამ არ იქნა, არავინ დამიჯერაო“, — დასძენს „ხალხის მოყვარე“. „ცნობის ფურცელი“. „პაწია გაზეთი“ და „ძველი დროება“ კი უკანა ფეხებზე შემდგარან და თუთიყუშივით გაიძახიან: „ღიახ, ღიახ, სრული კეშმარიტებაა, სოციალ-დემოკრატიაჲ დაღუპა მუშა ხალხი, ძირს სოციალ-დემოკრატია“—ო! კაცი იფიქრებს — მისიონერების ეკლესიაში ეღვგეარ და გოროდცევის დემაგოგიას ვისმენო“.

სტალინის მტყველების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ხშირად ერთსა და იმავე გამოთქმას ან სიტყვას განგებ რამდენჯერმე იმეორებს და მით ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. როგორც დაენახეთ მოყვანილი ადგილიდან, სადაც სტალინი პირველი ხუთწლედის მანძილზე შექმნილი მრეწველობის სურათს აღარებს მრეწველობის წინანდელ სურათთან, სიტყვები: „ჩვენ არ გვჭონდა“ და „ახლა ჩვენ გვაქვს იგი“ რამდენჯერმე არის განმეორებული.

საბჭოების მეორე ყრილობაზე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ შესანიშნავ სიტყვაში, სტალინი კატეგორიული ფორმით ექვსჯერ იმეორებს ერთნაირად აგებულ ფრაზას: „გეფიცებით შენ, ამ ხანა გოლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს“.

განმეორებას სტალინის ტექსტში უფრო მეტად ვხვდებით მაშინ, როცა ის რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის ან საგნის დამახასიათებელ ნიშნებს ჩამოსთვლის. თვითეული ამ ნიშნის აღნიშვნის დროს იგი იმეორებს საგანს, რომელსაც ეს ნიშანი მიეკუთვნება.

სტატიაში „პირველი ხუთწლედის შედეგები“ სტალინი სვამს კითხვას: „რავი მდგომარეობდა ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა?“ და ამ კითხვას სულ ექვს მოკლე აბზაცში უპასუხებს, ხოლო თვითეულ აბზაცს შემდეგი სიტყვებით იწყებს:

„ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ... და მიჰყვება ტექსტი. სიტყვები „ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ“ სტალინის ტექსტში ზედიზედ ხუთჯერ არის განმეორებული (იხ. „ლენ. საკ.“, გვ. 573.—574 მე-10 გამოც.).

როცა ერთსა და იგივე სიტყვას ან გამოთქმას სტალინი რამდენჯერმე

<sup>2)</sup> „ოქტომბრის გზებზე“, გვ. 220 — 221. ზუსტ. გამოც.

იმეორებს, ამას იგი სჩადის იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას მას მნიშვნელობას, გაამახვილოს მასზე მკითხველის თუ მსმენელის ყურადღება.

ზოგჯერ, მნიშვნელოვანი სიტყვის ხაზგასმა სტალინის ძველ ნაშრომებშიც ხვდებით. მაგალითად:

სიტყვის დამარცვლითაც.

სტატიაში „ქუჩა ალაპარაკდა“ სტალინი ეხება სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობას. იგი სწერს:

„სათათბირო კი ამ დროს ლაპარაკობდა, დიახ, ლა-პა-რა-კობ-და...“<sup>1)</sup>

რატომ მარცვლავს სტალინი სიტყვას, რას ეუბნება იგი ამით მკითხველს? სიტყვის ასეთი დამარცვლით იგი მკითხველს ეუბნება: „ჩემო მკითხველო, მე ერთხელ ვითხარი და შენ ეს გაიგონე. მაგრამ საჭიროა, რომ შენ ეს უბრალოდ კი არ გაიგონო, ერთ ყურში მოისმინო და მეორე ყურიდან გაუშვა იგი. არა, ეს სიტყვა ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვაა. ამ სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს მთელი საქმიანობა ხასიათდება და რომ ეს კარგად ჩაგაგონო, კიდევ ვიმეორებ მას და ვიმეორებ დამარცვლით: „ლა-პა-რა-კობ-და!“ მტკიცედ გახსოვდეს ეს და იცოდე, რომ სათათბიროს საქმიანობა ამას იქით არ მიდის“. აი რა აზრია ჩადებული სტალინის მიერ სიტყვის დამარცვლით წარმოთქმაში.

სიტყვის ასეთ დამარცვლას ვხვდებით ამხანაგ სტალინის რუსულ ტექსტშიც: სტატიაში „Вчера и сегодня“ (кризис революции. „Солдатская правда“ № 42 1917 г. 13 (26) июня), ამხელდა რა დროებითი მთავრობის მინისტრების თვალთმაქცურ საქმიანობას, იგი სწერდა:

„О, наши министры не забывают о мире, о мире без аннексии и контрибуции, они усиленно го-во-рят, говорят и пишут, пишут и говорят“. (И. Сталин: „На путях к октябрю“, стр. 56).

სტატიაში „სათათბიროდან აგიტაცია საჭიროა თუ არა?“ (გაზ. „დრო“ № 5, 1907 წ. 16 მარტი) სტალინს აქვს ადგილი: „საჭიროა თუ არა სათათბიროდან სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გაწევა? დიახ, სო-ცი-ალ-დე-მო-კრა-ტი-ულ ლოზუნგებზე და არა კალეტურზე“. აქაც სიტყვა „სოციალ-დემოკრატიული“ დამარცვლით სტალინი ხაზს უსვამს სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის საჭიროებას.

მოყვანილ წინადადებაში გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ სხვა გარემოებასაც. ეს არის სტალინის ნ ა გ უ ლ ის ხ მ ე ვ ი ა ზ რ ე ბ ი.

ცნობილია, რომ ადამიანი არასოდეს ან თითქმის არასოდეს სრულად არ გამოხატავს სიტყვებით იმას, რასაც ფიქრობს. რომ სიტყვებში გამოთქმული აზრის გარდა, არსებობენ კიდევ ნაგულისხმევი აზრები, ე. ი. სიტყვით გამოთქმეული აზრის ის შინაარსი, რომელიც სინამდვილეში ესმის ან უნდა ესმოდეს მკითხველს თუ მსმენელს. რა თქმა უნდა, ბევრს არა აქვს უნარი ნაგულისხმევი აზრის მსმენელთან ან მკითხველთან მიტანისა. სწორედ ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე ჩვენში: „ამირან გულში იმღერის, შენ ბანი უთხარიო“. უფრო მეტიც: არიან ისეთებიც, რომელთა მიერ გამოთქმულ სიტყვებში აზრს ვერ ამოიკითხავ, არა თუ ნაგულისხმევი ში. მთავარია, იცოდე, რა სიტუაციაში შეიძლება ნაგულისხმევი აზრის მკითხველთან ან მსმენელთან მიტანა. იქ, სადაც, მაგალითად, ნათქვამია „პირველი“, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იქნება „მეორეც“. მაგრამ იქ, სადაც ნათქვამია „მეორე“, — სავალდებულო არ არის ვიგულისხმოთ „მე-

<sup>1)</sup> გაზ. „ახალი ცხოვრება“, № 8, 1906 წ.

სამეც“, რადგან შესაძლოა ჩამოთვლა „მეორით“ დამთავრდეს, როცა ტრამეის გასაჩერებელ ადგილზე ტრამეის ელოდებით და თქვენი თანამგზავრი ამბობს: „მოდის“, ეს ერთი სიტყვა თქვენთვის, სრულიად საკმარისია იგულისხმოს, რომ მოდის საჭირო ტრამეა, მაგრამ თუ თქვენთვის, რომ თანამგზავრის სიტყვაში ეს არ იყო გამოთქმული. მაგრამ თუ შემთხვევით შეხვედრილი თქვენი ნაცნობი საათს დახედავს და იტყვის „წასულა“, ეს სიტყვა შესაძლოა სრულიად საკმარისად აფორმებდეს ნაცნობის აზრს თავისთვის, მაგრამ თქვენთვის, თუ თქვენც იმ მომენტში იმავე სიტუაციაში არ იმყოფებით, რომელშიც თქვენი ნაცნობია, სრულიად გაუგებარი იქნება, რა „წასულა“ ან ვინ „წასულა“.

ამხანაგ სტალინს აქვს გასაოცარი უნარი ნაგულისხმევი აზრის მთელი სიცხადით მკითხველთან მიტანისა. კითხვაზე საჭიროა თუ არა სათათბიროდან სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გაწევა, სტალინი უპასუხებს: „დიახ, სო-ცი-ალ-დე-მო-კრა-ტი-ულ ლოზუნგებზე და არა კადეტურზე“. ამ ფრაზაში სტალინი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ აშკარად იგულისხმება, რომ არიან ისეთებიც, რომლებიც სათათბიროდან სოციალ-დემოკრატიის სახელით კადეტურ აგიტაციას ეწევიან და თითქოს იმათ გასაგონად სიტყვის დამარცვლით ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა აგიტაცია „სო-ცი-ალ-დე-მო-კრა-ტი-ულ ლოზუნგებზე და არა კადეტურზე“. ნაგულისხმევი აზრი აქ სტალინის მიერ ისე არის წარმოდგენილი, რომ მკითხველისათვის იგი სრულიად ნათელი და გასაგები ხდება.

ან ავიღოთ შემდეგი ფრაზა პროკლამაციიდან „რა გამოირკვა“ (1905 წ.), სადაც სტალინი პროლეტარიატის შეიარაღების მოთხოვნას შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს:

„იარაღი, იარაღი, ოპ, იარაღი მოგვეცით!“ — აი რას იძახდა გააფთხებული პროლეტარიატი“.

სტალინის მიერ ფორმულირებული ამ ფრაზით გადმოცემულია არა მარტო ის, რომ პროლეტარიატი მოითხოვს იარაღს, არამედ ისიც, რომ იგი მოითხოვს იარაღს რაც შეიძლება სასწრაფოდ. მართალია, ფრაზაში სიტყვა სასწრაფოდ არ არის ნახსენები, მაგრამ მოთხოვნის სიტყვები ისეა განლაგებული, რომ ნაგულისხმევი აზრი, სასწრაფოდ, მასში უფრო მკვეთრად და ეფექტიურად არის გადმოცემული, ვიდრე იგი სიტყვებით იქნებოდა გამოთქმული. აბა, რომელი ფორმულირება უფრო ეფექტიური და ემოციური, რომ ყოფილიყო:

„მოგვეცით სასწრაფოდ იარაღი!“

თუ

„იარაღი, იარაღი, ოპ, იარაღი მოგვეცით!“

რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ფრაზა ბევრად უფრო ეფექტიურია, უფრო ემოციური. ეს ფრაზა უსიტყვოდ გადმოგვცემს, რომ საქმე მეტად სასწრაფოა. თვით ამ მოთხოვნის სიტყვები ისეა აგებული, რომ მისი ნელი და ზანტად წარმოთქმაც კი შეუძლებელია. სტალინის სიტყვის ემოციურობაზე მკვეთრად კიდევ გვეჩვენება ლაპარაკი.

როცა რომელიმე სახელი ან სიტყვა პატივსაცემია და დიდმნიშვნელოვანი, სტალინი ამ სახელის თუ სიტყვის დიდმნიშვნელოვანებას იმით აღნიშნავს, რომ მას მხოლოდ საკუთარი სახელწოდებით იხსენიებს

და არასოდეს არა სცვლის ნაცვალსახელით. მაგალითად, ცნობილია, რომ ლენინის თავის ნაწერებსა და გამოსვლებში სტალინი ხშირად აციტირებს, მაგრამ იშვიათად ნახავთ სტალინის ტექსტში აცტირებას. ლენინის სახელს ნაცვალსახელით იხსენიებდეს.

სტატიას „პირველი ხუთწლედის შედეგები“, მშრომელი გლეხობის კოლექტივიზაციის სწორ პოლიტიკას, რომელსაც ატარებდა პარტია, სტალინი ამაგრებს ლენინის მიერ გამოთქმული აზრებით და ამბობს:

„ლენინი ამბობდა, რომ

„წერილი მეურნეობით გაპირვებას თავს ვერ დავაღწევთ (იხ. ტ. XXIV, გვ. 540)“.

ლენინი ამბობდა, რომ

„თუ ძველებურად დავრჩებით წვირლ მეურნეობებში, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებადაც თავისუფალ მიწაზე, ჩვენ სულ ერთია აუცილებელი დაღუპვა მოგველის (ტ. XX, გვ. 537)“.

ლენინი ამბობდა, რომ

„მხოლოდ საერთო, საარტელო, საამხანაგო შრომის საშუალებით შეიძლება გამოსვლა იმ ჩიხიდან, რომელშიც იმპერიალისტურმა ომმა შეგვრეკა (ტ. XXIV, გვ. 537)“.

ლენინი ამბობდა, რომ

„საჭიროა გადავიდეთ საერთო დამუშავებაზე მსხვილ სანიმუშო მეურნეობებში; უამისოდ თავს ვერ დავაღწევთ იმ ნგრევას, იმ პირდაპირ საშინელ მდგომარეობას, რომელშიც რუსეთი იმყოფება (ტ. XX, გვ. 418)“.

სტატიასშიც „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ სტალინი ფურცლის ერთ გვერდზე ერთი მეორის მიყოლებით ლენინს ექვსჯერ აციტირებს, ზოლო თვითუფლ ციტატას შემდეგი სიტყვებით იწყებს „ლენინი ამბობს, რომ“. ხაზგასმული სიტყვები სტალინის ტექსტში ექვსჯერ არის განმეორებული. ასევე იქცევა ხუთწლედის მიმართაც. მის ტექსტში შეხვდებით ასეთ ადგილს: „მით უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვებყრათ ჩვენ საკითხს ხუთწლედის შესახებ, ხუთწლედის შინაარსის შესახებ, ხუთწლედის ძირითადი ამოცანების შესახებ“ (იხ. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 537, მე-10 გამოც. ხაზი ჩემია— ი. ხ.).

რადგან ნაცვალსახელზე გვაქვს ლაპარაკი, საჭიროა აქვე შევჩერდეთ სტალინის მეტყველების ერთ სხვა თავისებურებაზედაც, რომელსაც გასაოცარი სიცხადე შეაქვს წინადადებაში. ჩვენ ვიცით, თუ ზოგჯერ როგორ ბუნდოვანობას იწვევს ტექსტში ნაცვალსახელი თუ ამ ნაცვალსახელს მკითხველი მიაწერს არა იმ საგანს, რომელსაც ის ეკუთვნის. და აი რომ არავითარ გაუგებრობას არა ჰქონდეს ადგილი და აზრი მაქსიმალური სიცხადით იქნას გამოთქმული, სტალინი წინადადებაში არსებულ ნაცვალსახელს ხშირად იქვე აკონკრეტებს და მიუთითებს საგანზე, რომელსაც ეს ნაცვალსახელი გამოჰხატავს.

სტალინის ტექსტში შეხვდებით, მაგალითად, ასეთ ადგილებს: „ვინ არიან ისინი, ჩვენი მტრები, გერმანელი ფაშისტები?“ „ჩვენ—ბოლშევიკები“, „ისინი—გერმანელი ფაშისტები“, „იგი—ეს საშუალება“, „ისინი—ეს ნიშნები“ და სხვ.



## შიო არაგვისპირელი<sup>1</sup>

კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ადამიანებს წაართვა ნორმალური ცხოვრების პირობები. პიროვნება შთანთქა კაპიტალისტური საზოგადოების უწყსრიფობამ. ადამიანი იქცა ნივთად, რომელიც როგორც საქონელი, ისე იცვლება. ადამიანთა ყოფა ცხოველთა ყოფისაგან არაფრით არ განსხვავდება. გამუდმებული შრომა, სხვისი მონობის ქვეშ ყოფნა, უსიტყვოდ მორჩილება და ქედის მოხრა მოძალადეთა წინაშე — ასეთია განაჩენი, რაც წილად ხდება მშრომელ ხალხს ექსპლოატაციამ აგებული საზოგადოების პირობებში.

აღექსა სალახი პირუტყვს დამსგავსებია:

„წელიწადი თორმეტი თვეა, — ფიქრობს აღექსა სალახი: — და ამ თორმეტ თვეში არც ერთი დღე მოსვენება არა მაქვს... შობა, ახალწელიწადი, აღდგომა — ესაც არ მანთავისუფლებს.“<sup>2</sup>)

თვითონ ხომ დაკარგა აღექსამ ადამიანობა და თავისუფლება და ეხლა იგი ღმერთს ევედრება, მისი შვილი მაინც ააცდინოს ამ ბედს:

„ჩვენმა პატარა ანდრომ მაინც გაიხაროს, გაიხაროს, სანამ პატარაა. ის, ვინ იცის, დედას ჩახუტებია და ტკბილად სძინავს, — გადაბრუნებულმა წაილაპარაკა და ანდროს მომავალზე ფიქრს თავი მისცა.“<sup>3</sup>)

აღექსა დარწმუნებულია, რომ მის შვილსაც არ ასცდება მისი ხვედრი. სიზმარში ეჩვენება აღექსას: დასაკლავად გამზადებული ძროხა ღვას მის წინ, დააკვირდა ძროხას და მასში თავის თავი იცნო.

„როგორღაც მეცნობა ეს ძროხა... თითქოს მინახავს სადღაც... ღმერთო, მომავონე, ძირს ცქერით გაიძახდა უსიტყვოდ და გონს ვერ მოსულიყო... უეცრად შეკრთა, უნდოდა წამოეყვირნა: ნუთუ მე ძროხა ვარო? როდესაც წუმბიდან ამომჭერეტ ძროხის ლანდში თავისი ლანდი იცნო. თავი მალა ასწია, აღარ უნდოდა ემზირნა...“<sup>4</sup>)

აღექსა სალახის სიზმარი ნამდვილად მისი ცხოვრების გამოხატულება იყო. მწერალმა აღექსას სიზმარში მოგვცა ჩაგრულთა ბედის ნამდვილი სურათი.

ბურჟუაზიული საზოგადოების ამ პირობებში იქმნებოდა მართობის, უიმედობის, დაცემულობისა და ეგოიზმის განწყობილება. კაპიტალისტურმა ყოფამ ადამიანები პირუტყვად გადააქცია. ეს მომენტი უდიდესი

<sup>1</sup>) დასაბრუნო. იბ. „მნათობი“, № 6.

<sup>2</sup>) შ. არაგვისპირელი: „იბ. ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!“ მეოთხე წიგნი, გვ. 56.

<sup>3</sup>) იბ. 56.

<sup>4</sup>) იბ. 57.

დამაჯერებლობითა და ოსტატობით არის გადმოცემული არაგვისპირელის ფსიქოლოგიურ ეტიუდებსა და ნოველებში.

ადამიანი და მისი ბედი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ბუნრეუაზიული ცხოვრების უწყსრიგობანი, ამ ყოფის მწარე სინამდვილე, უკომლიც უიმედობისა და დაცემულობის განწყობილებას ამუშავებს წერილბურეუაზიულ წრეში, სწორედ აქვს შენიშნული შოთ არაგვისპირელს. არაგვისპირელი მხოლოდ აღწერს იმ ფაქტს და ფარდასაც აქ უშვებს. საზოგადოებისა და პიროვნების შორის შექმნილი ანტაგონიზმი ერთი იმ მთავარ საკითხთაგანი იყო, რომელიც ყველაზე მეტად აფიქრებდა შოთ არაგვისპირელს, მაგრამ მთელი მისი მოქმედება ამ მიმართულებით წრფელ პროტესტით მთავრდებოდა. მომავლის ნათელი პერსპექტივა, კაპიტალისტური საზოგადოების მოსპობის გზები და მის წინააღმდეგ მებრძოლი ძლიერი მუშათა კლასი არაგვისპირელის ნოველებისათვის ძირითადად უცნობია.

შოთ არაგვისპირელმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მძაფრად აკრიტიკებდა კაპიტალისტურ საზოგადოებას, ვერ მოგვცა ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ მებრძოლი ძლიერი ნებისყოფის მქონე პიროვნებები. არაგვისპირელის გმირების უმრავლესობა საზოგადოებისაგან გარიყული, იმედდაკარგული და სასომიხდილი გმირები არიან. მათ არა აქვთ კარგად გარკვეული მომავალი, არც ნათელი გზა აქვთ ბრძოლისა. შოთ არაგვისპირელის წერილბურეუაზიული იდეოლოგია ყველაზე სრულად გამომჟღავნდა ადამიანების არსების განმარტებისა და საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების საკითხში.

## 2. სიყვარულის საკითხი

შოთ არაგვისპირელი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს „თანამედროვე ადამიანის სულს“, გააშუქოს მისი შინაგანი ბუნება და გვიჩვენოს იგი თავისი წინააღმდეგობებით, მისწრაფებითა და თვისებებით. ამისათვის შოთ არაგვისპირელი ეძებს ისეთ მასალას, სადაც მთელი თავისი შინაგანი განცდებით გამოიმჟღავნდება ადამიანი, სადაც უფრო ზელშესახები და გასაგები გახდება ადამიანის რაობა. ერთ-ერთ ასეთ ძირითად მასალად შოთ არაგვისპირელს სიყვარულის გრძნობა მიაჩნდა.

სიყვარულის გრძნობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. შოთ არაგვისპირელისთვის სიყვარული ერთგვარი ფოკუსია, „სადაც ადამიანის ყველა დამახასიათებელი თვისება მქლავნდება. ფსიქოლოგიურად ეს ყველაზე ფაქიზი და საიდუმლო გრძნობაა ადამიანისა. სიყვარული ყველაზე უფრო ძნელი საგანია, რომელიც გრძნობაზე დამოკიდებული“. ეს იცის არაგვისპირელმა. თუ ეს ძნელი საგანი აიხსნება, ამით ადამიანთა რაობის გაგებაც ვაადვილდება.

სიყვარულის გრძნობა ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობაა, ადამიანთან დაკავშირებული ცნებაა. ამიტომ თუ შოთ არაგვისპირელი საზოგადოებისა და პიროვნების დამოკიდებულების განხილვის დროს მივიდა იმ დასკვნამდის, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ მთლიანი ადამიანი დაშალა და დააზურდავა, სრულიად ლოგიკურად უნდა მისულიყო იგი ამ დასკვნამდე სიყვარულის გრძნობის გაგებაშიაც.

შიო არაგვისპირელის ნოველებში, მსგავსად მოპასანის ნოველებისა, იშვიათად შეხვდებით წმინდა სიყვარულს. კაპიტალისტურმა საზოგადოებამ წაბილწა გულწრფელობა, სიყვარულის წმინდა ცნება<sup>1)</sup> სიყვარულის გრძნობა დაახურდავა, იგი გადაიქცა ფულისა და ანგარების საქმედ, ან თავაშეებულ ენებად.

არაგვისპირელის ნაწარმოებთა უმრავლესობისათვის სიყვარულის პოეტური ზღაპარი იმთავითვე მოხსნილია. სიყალბე, ცბიერება დაპატრონებია თანამედროვე ადამიანებს და სიყვარულის გრძნობაც კაპიტალისტურ ბაზარზე იყიდება, როგორც ნივთი. თანამედროვე სიყვარული ნამდვილი გრძნობის სამოსელია, მოაცილეთ ეს სამოსელი და ხელში შეგრჩებათ დაბალი გრძნობა, ხორციელი გატაცება სქესთა შორის. შეყვარებულები ენებათა ღელვას შეუპყრია, მათ ავადმყოფური სიყვარული ამოძრავებთ.

არაგვისპირელის ასეთ სკეპტიციზმს სიყვარულის გრძნობის მიმართ საყვედურით შეხვდა ჩუენი კრიტიკა:

„სადაა დასაბამი ამდენის უბედურებისა, სადაა მიზეზი ამდენის ტანჯვისა და სისაძაგლისა? — ბ-ნ არაგვისპირელის ნაწერებში მკითხველი ხშირად ხედავს სიყვარულის ისტორიას, შეყვარებულების ურთიერთ აღერსს და მათ მიძალბებულს ხევენა-კოცნას, მაგრამ ეს სურათები მულამ ბინძურად მიაჩნია მკითხველს, ან სრულიად არ ხედება იმის გულს. ამის მიზეზი არ შეგვიძლიან ბ-ნ არაგვისპირელის ნიჭის ნაკლებობას მივაწეროთ. პირიქით, ჩვენ გვჯერა, რომ ვინც ტყვისა და ქარს ახერხებს ჩაპბეროს გამაცხოველებელი სული, ის მით უმეტეს ადვილად მოახერხებს სიყვარულის სცენებით მოახდინოს მკითხველზედ სინაზისა და სიწრფოების შთაბეჭდილება, და თუ ბ-ნ არაგვისპირელის ნაწერები ასე არ მოქმედებენ, ეს პირდაპირი შედეგია მისი ყალბი შეხედულებისა...“<sup>2)</sup>

ამ კამათში სიპართლე არაგვისპირელის მხარეზე იყო. შიო არაგვისპირელმა მართლაც „პოეტების ტრადიციულ სულისკვეთებას“ დაუპირისპირა სიყვარულის გრძნობის ახალი გაგება. ეს გაგება გამოდიოდა არაგვისპირელის ეპოქის სულიდან, ის ეფარდებოდა მაშინდელ ჩვენს ცხოვრებას. არაგვისპირელის სიყვარულის ამგვარ გაგებაში თვით ცხოვრებამ იჩინა თავი და ეს იყო არაგვისპირელის დამსახურება. და რომ ასეა, ამან ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ არაგვისპირელის ნაწერებში მოიპოვება საწინააღმდეგო შეხედულებაც სიყვარულის გრძნობის დახატვაში.

შიო არაგვისპირელის ნაწერები, რომელთა თემაც სიყვარულის გრძნობას შეადგენს შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ის ნაწარმოებნი, სადაც შიო არაგვისპირელი უარყოფს იდეალური, პოეტური სიყვარულის არსებობას კაპიტალისტურ საზოგადოების პირობებში; მეორე ჯგუფის ნაწარმოებებს — ის ეტიოდები და ნოველები, რომლებიც სიყვარულის წმინდა, პოეტურ ფაქიზ გრძნობაზე მოგვითბობენ; მაგრამ აქ აღებული თემა იშლება ისტორიული წარსულის ფონზე ან მოქმედების ადგილად საქართველოს განაპირა კუთხეა აღებული.

შიო არაგვისპირელის უარყოფით დამოკიდებულებას იდეალური სიყვარულისადმი, მის სკეპტიკურ განწყობილებას ნათლად გვიხატავს არაგვისპირელის ეტიუდი „წერილის ნაგლეჯი“. არაგვისპირელი ნამდვილი „გულ-

<sup>1)</sup> „ივერია“, № 20. 1901 წელი.

ახდილობით" მოგვეთხრობს ისეთი იდეალური სიყვარულის სიყალბეზე, რომელსაც პოეტები მოგვეთხრობენ. ამ ნაწარმოების მიხედვით იდეალური სიყვარული ოცნების ნაყოფია. ნამდვილად იგი არ არსებობს და მას ცხოვრებასთან კავშირი არა აქვს.

ახალგაზრდა ვაჟი შეყვარებულ ქალს წერილში გულწრფელად მოუთხრობს თავის გრძნობაზე, იმ გატაცებაზე, რომლის შედეგად მან სიყვარული გამოუცხადა ქალს და „ქმრობის პირობა“ მისცა. აი ახლა ვაჟი წერილში უკეთებს ანალიზს თავის გრძნობას და იმ დასკვნამდის მიდის, რომ თურმე „ყოველივე ის, რაც უთხრა ვაჟმა თავის გრძნობაზე და ფიცით დაუდასტურა ქალს“, სიყალბე და სიცრუე ყოფილა.

ვაჟი სწერს: „მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ ან მაგონლები. როდესაც კი შენს მაგიერად სხვასა ვხედავ ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს რა, მაშინ... მაპატიე, ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული, აღარ არსებობს, შენ აღარა ხარ ჩემი ყველაი. ჩემი ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემ წინ დგას იმეამად. ის მიყვარს იმ ეამად, მხოლოდ ის მიყვარს, ვაგიყვებით მიყვარს ის, და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორც შენდამი, იმაზედაც ისევე იმას ვფიქრობ იმ ეამად“).

ასეა ეს, მხოლოდ თვითონ ვერ აუხსნია, რადა ხდება ასე.

„რად მემართება ეს? არ ვიცი. პირველში ვფიქრობდი, ვითომ ჯერ გამოტურკვეველია ჩემი გრძნობა და ამისთვის მემართება ეს. იმის გამო გაგშორდი, რომ გამომერკვია და ჩავეკვირვებოდი, მაგრამ, რაც ბევრს ვცდილობ გამორკვევას, უფრო გამოტურკვევლად მრჩება და ჩემთვის გაუგებრად რჩება ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია, ამათთან ოცნების ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ან იქნება მე ვარ ამგვარი ბუნებისა და სხვები კი არა. ნეტავ მაგრე იყვეს, მაგრამ...“)

და შოთ არაგვისპირელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ წერილის ნაგლეჯში გამოხატული გრძნობა ზოგადია ადამიანებისათვის და არა კერძო ზასიათის შემთხვევა.

შოთ არაგვისპირელის აზრით, იდეალურ სიყვარულს, რომელსაც ხშირად პოეტები გვიხატავენ, ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ეს აზრი არაგვისპირელს განვითარებული აქვს სხვა ეტიუდებსა და ნოველებშიც. ამ მხრივ საინტერესოა მისი „უცნაურია, უცნაური!“

სიყვარულისაგან გარეტიანებული ცრემლმორეული ამნონი ჩამავალი ბზის უკანასკნელ სხივებს შესცქერის. ფიქრებში გართული იგი თრთოლითა და შიშით უმხელს მეგობარს სიყვარულის საიდუმლოს. ამნონს უყვარს თავისი და (თუმცა დედით სხვადასხვანი არიან) და რჩევას სთხოვს მეგობარს, როგორ მოინადიროს დის გული. მეგობარმაც გამოუნახა გზა:

„მოთავადმყოფე თავი, ავადმყოფობის ეამს თამარი დაიბარე, და თუ ნებით არ დაგყვა, ძალა იხმარე“. ამნონი იბარებს თამარს.

1) შოთ არაგვისპირელი — „წერალას ნაგლეჯი“, წიგნი მეორე, გვ. 147.

2) იქვე, გვ. 149 — 150.

— „თამარი! — ტანის ერვოლით წამოიძახა ამონმა და მკლავზე ხელი წაავლო“... არ გასჭრა თამარის მუდარამ და მთლად შემოაგდრჯა კრული სამოსი, რასაც მეფის ასულნი, „მყოფნი ქალწულობასა“ მხრე ეტყვიდნენ“.

ამონმა აისრულა მხეცური წადილი და მის თვალწინ მკვრივად სიყვარულიც, რომელიც უბრალო ხორციელი გატაცება ყოფილა:

„დასტკერის ამონი და გონს ვერ მოსულა, თუ ის თამარი, რომელიც მის სათაყვანებელ არსებად გარდაქმნილიყო, გვერდით როგორ უწევს ყოველი უბრალო მომაცვადივიით“... „ან ის თამარი კი არის? — უეცრად დაეკითხა თავის თავს, უფრო დაეინებით დაუწყო მზერა მიძინებულ თამარს“...“) და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ეს თამარი... არა, არა!.. ეს მჩვარია, მჩვარი, რომელსაც ვსრესავ, ვთელავ!.. ის თამარი მშვენიერება იყო, უმანკოება, მას თაყვანს ვსცემდი, მის წინ მუხლს ვიდრეკდი და... ახ!.. ჰაჰა!.. — კიდევ უფრო მწარედ მორთო ქვეთინი და თავი მაგრა დააჭირა თამარის მკერდს“.)

და სიყვარულისაგან დაკლილი ამონი ზიზღით იცილებს თავიდან იმას, ვინც თავდაუწყებამდე უყვარდა:

— „დაიკარგე, დაიკარგე აქედან!.. — დაუყვირა ამონმა და ზიზღით ხელი ჰკრა. — მძღუხარ, მძღუხარ!... ვიღაცა მჩვარი დაგდებულხარ აქ“...“). ასე სარკასტულად ათავენს შიო არაგვისპირელი ამ ეტაოდს.

სწორად სიყვარული ფულზე იყიდება. გულწრფელი გრძნობა სიმდიდრეზე იცვლება. ნამდვილი სიყვარულის იქით ფულით გატენილი ქასა იშალება. ეს აზრი აქვს გატარებული შიო არაგვისპირელს თავის ნაწარმოებში „სულ ერთია“.

თეკლესა და კიკოს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ თეკლე დაუკვირდება კიკოს მდგომარეობას და გადასწყვეტა:

„რას იტყვის საზოგადოება, რომ ამ ლატაკს ცოლად გავყვე?“ და ამ მოტივით თეკლე მიატოვებს სოფლის ღარიბ მასწავლებელს, თუმცა თეკლეს გულწრფელი გრძნობით უყვარს კიკო. ამას არც მამის წინაშე მალავს: „მიყვარს და მაგრე? — ეუბნება მას თეკლე. — არ ვიცი, ესე შეიძლება ვინმემ კაცი შეიყვაროს, როგორც მე კიკო მიყვარს?“ და მაინც თეკლე მიატოვებს კიკოს და გაჰყვება „სულელ, უშნოსა და უღამაზო“ თავადიშვილს, რომელსაც დიდი ქონება აქვს. თეკლემ გულწრფელი გრძნობა ფულზე გასცვალა.

მდიდარი, მაგრამ სულელი და ლოთი არჩილის მოქმედებით უკმაყოფილო თეკლე თავის დანაშაულს მიხვდება, მაგრამ გვიან არის.

„გუნებას დავემორჩილე, წმინდა გრძნობა სიმდიდრეზე, პატივცემაზე გავცვალე“, — გულწრფელად აღიარებს თეკლე.

შიო არაგვისპირელი ამხელს თეკლეს მოქმედებას:

„შენ შელაზე ჩვენი წმინდა გრძნობა, შენი აღამიანობა სიმდიდრესა და გვარიშვილობას მიჰყიდე“.

მწერალი ხედავს, რომ „წმინდა გრძნობა“ სიმდიდრეზე იყიდება. უფრო მეტიც: კამიტალისტურმა საზოგადოებამ ქალი აიძულა, საკუთარი სილა-

1) შ. არაგვისპირელი: წიგ. მეოთხე, „უცნაურია, უცნაური“, გვ. 171.

2) იქვე, გვ. 172.

3) იქვე, გვ. 173.

მაზე საეპროს საგნად გადაეჭვია („მომილოცია ახალი წელი“). დროცდა-ათი წლის დაგრდომილი როსკაბი ქალი სამართლიანად სდებს საზოგადოებას ბრალს თავის უბედურებაში: „მე ვარ დამნაშავე? უმანჯო, გამოუცდელ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის უთვისტომო ქალი! რა უნდა მომეგვარებინა? ყველას ენდობი, ყოველივე სამართლედ მიგაჩნია, მაგრამ თურმე ყოველივე შხამი ყოფილა და მისი მიკარება ადამიანს უწყალოდ წამოაგს. ჩემი გულწრფელი გრძნობა, ჩემი წმინდათა-წმინდა უსიანდისოდ შემოიღახეს, მიწასთან გამისწორეს, ტალახით შემოთხუპნეს და ვაი, სათქმელადაც ძნელია... იქამდის მინიყვანეს, რომ ჩემ ხორცს ყიდვა დაეუწყე, დახელოვნებულ ვაპარსავით ვფლიდობდი, ვთვალთმაქცობდი: ვეხვეოდი იმას, ვინც მძაგდა, ვიცინოდი, ვხარხარებდი“.

საზოგადოებისაგან გაბოროტებული ქალი გამსკვალუღია შურისძიების გრძნობით: „რატომ არ შემოძლიან, რომ ეხლა ყველა, ყველა გავსრისო ჩემი დამცირებისათვის, სამაგიერო მიუწყო?! ნეტავ ეხლა მოვიგდო ვინმე ხელში, რომ ჩემის კბილებით დავეგლიჯო, დაეფლითო და იმის ტანჯვით დავსტკბე, იმის ვარაშე ვიკასკასო.“<sup>1)</sup>

ასეთ პირობებში სიყვარული მხოლოდ ვნებაზე აგებული გრძნობაა. მას თან სდევს ორპირობა და სიყალბე — „წრფელ გრძნობას მხოლოდ ოცნება აჯილდოებს“. კაპიტალისტურ საზოგადოებაში იგი არ არსებობს. იქ ადამიანის გრძნობა ცხოველთა გრძნობას დამსგავსებია:

— „ქური დამიგდე: ხომ ვინახავს ყოჩთა ბრძოლა დედალი ცხვრისათვის? შე ყოველთვის ყოჩთა ბრძოლას მაგონებს მამა-კაცთა სიტყვით თუ საქმით შებრძოლება ქალის წინაშე. ორი მებრძოლი მამაკაცი სცდილობს ერთი მეორის გამასხარავენას, რომ ქალის ყურადღება დაიმსახუროს. ყოჩთა შეხედვე: მაგასვე არ სცდილობენ?! თავ-პირს იმტვრევენ, ილახვენ, რომ ერთმა მეორე შორს გააძევოს და თვითონ ხელთ იგდოს დედალი. დედალი ცხვარიც გულის ფინცქალით, ტუჩთა ცმატუნით და ენის საესავით გამარჯვებულ ყოჩს ქვეშ ეფინება. ქალი? განა ქალიც მაგავე გრძნობით არ ეგებება მამაკაცსა?“<sup>2)</sup>

შოთა არაგვისპირელის აზრით, სიყვარულის გრძნობა დახურდავდა. ამის შედეგად შეყვარებულები ყოველთვის ატყუებენ ერთმანეთს, ცბიერობენ ერთმანეთის მიმართ. არსად არა აქვს ადგილი იმდენ სიცრუეს, სიყალბესა და ორპირობას, რამდენიც სიყვარულის გრძნობაში. ქალი ატყუებს კაცს, ცოლი ცბიერია ქმრის მიმართ და პირიქით.

გულჩინასა და გაიოზს თითქმის თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი. გაიოზი ოცნებობს ერთგულ ცოლზე:

„ოხ, რა ნეტარებაა, როდესაც გგონია მაინც, რომ შენი არსება მეორეს შეუერთე და ორნი ერთ არსებად ხარტ გარდაქმნილი, რომ „შენ“, „ის“ ხარ და „ის“ კიდევ „შენ“.“<sup>3)</sup>

გაიოზი ეჭვის თვალით უყურებს გულჩინას გულწრფელობას, მაგრამ ეჭვიანობის საბუთი არა აქვს. და აი ეს საბუთიც აღმოჩნდება. გაიოზ გულჩინასაგან შემთხვევით მეორე შეყვარებულთან გაგზავნილ ბარათს

<sup>1)</sup> შ. არაგვისპირელი: წიგნი პირველი, გვ. 100—1.

<sup>2)</sup> შ. არაგვისპირელი: მეორე წიგნი, „სისულული“, გვ. 220—21.

<sup>3)</sup> შ. არაგვისპირელი: მეოთხე წიგნი, „მხრები-და ავრტე“, გვ. 101.

მიიღებს (გულწინა ერთსა და იმავე დროს დასწერს ორ წერილს: გაიოზისა და მეორე შეყვარებულის მისამართით, მაგრამ კონვერტის დაბეჭდვის დროს მისამართები შეეშლება). გამოირკვევა: გულწინას თურმე სხვა უყვარს, გაიოზი კი სჭირდება როგორც ფარი, ფარდა. „შენ, რომ ქალი იყო, სწერს გულწინა მეორე შეყვარებულს, მაშინ დამეთანხმებოდი, რომ ჩვენ დროში კანონიერი ქალი ქმარისათვის აუცილებელია.“

ქმარი ქალისთვის ფარია, ფარდა და მეც ამ ფარდას ეძებ, რომ იმის იქით მე და შენ უშიშრად, მოურიდებლად ვისიყვარულოთ...<sup>1)</sup>

შეიძლება არაგვისპირელი ფარდას ხდის გულწინას „სიყვარულს“, და ხაზს უსვამს, რომ სიყვარული გადაიქცა ცბიერებისა და ანგარების საჭედ. შეყვარებულები ერთმანეთს ატყუებენ, პირისპირ ერთმანეთს გულწრფელობას უმტკიცებენ, ზურგს უკან კი დალატობენ.

— „კაცი თუ ქალი, ორნივე დალატობენ. საჭმით თუ არა განზრახვით მაინც. განზრახვით დალატი და საჭმით ორივე ერთია, ორივე დალატია და არაფრით განსხვავდება. „რომელი ხედიდეს დედაკაცსა გულის თქმასა მას, მუნვე იმრუშა“<sup>2)</sup>. საცა დალატია, იქ ერთობას აღგილი არა აქვს. კაცი მარტოდ იბადება და მარტობა, ეულობა სიყვდილამდე თან სდევს.

„ნეტავი იმას, ვინც ამას გრძნობს, ის ბედნიერია.“

„რა არის ამის მიზეზი? რად არის აღამიანი დევნილი? ვინ დასწყევლა? ვინ, ვინ? ვინღა ვინ, თვითონ... აღამიანი ყველაფერს მოიმოქმედებს, მაგრამ გულწრფელად კი არაფერს. გულწრფელობა კი ნიადაგია ყოველივე ბედნიერებისა.“<sup>3)</sup>

ცოლი და ქმარი ყოველთვის უმტკიცებენ ერთმანეთს გულწრფელობას, მაგრამ საჭმით მაინც ცბიერობენ, ატყუებენ ერთმანეთს:

„მარტო ეხახუნებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი. არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგება.“<sup>4)</sup>

ასეთ ნილილისტურ დასკვნას უკეთებს არაგვისპირელი სიყვარულის გრძნობას.

ცოლი მთელი სიცოცხლის განმავლობაში დალატობდა ქმარს, ქმარს კი ეგონა გულწრფელად იტყუებოდა, თავს ევლებოდა, გატაცებითა და თავდავიწყებით უყვარდა. ასე მიდიოდა ცხოვრება და მხოლოდ ცოლის სიყვდილის შემდეგ გაიგო ქმარმა, რომ „ერთგული“ ცოლი დალატობდა. მაშინ, როდესაც ტიტეკო ერთადერთ იმედსა და საყვარელ არსებას ბათოს ცხედარს გულდაწყვეტილი და სასოწარკვეთილი დასტიროდა, კარები გაიღება და დამატარებელი ტიტეკოს ბათოს სახელზე წერილს გადასცემს. გულამღვრველი და ცრემლმორეული ტიტეკო, ბათოს ცხედართან ახლოს მიიტანს ამ წერილს და ხმამალა დაიწყებს კითხვას:

„მინდა ყოველდღე შენს გვერდით ვიყო, ყოველ წამს შენ გვხვეოდე და შენს მკერდზე ამომდიოდეს სული. და შენ-კი კვირაში ორი დღე დამინიშნე და ამ ორ დღესაც აღარ მოდიხარ.“<sup>5)</sup>

<sup>1)</sup> იმედი, გვ. 124.

<sup>2)</sup> „სახარებე მათისი“, თავი 5, მუხ. 28. შენიშვნა ავტორისა.

<sup>3)</sup> შ. არაგვისპირელი: მე-2 წიგნი, „მხრები-ლა ავიჩიე“, გვ. 122—130.

<sup>4)</sup> იმედი, გვ. 129.

<sup>5)</sup> შ. არაგვისპირელი: წიგნი მეოთხე, „ქარი კი ამ დროს კენსოდა, ზეობა და გმანავდა“, გვ. 41.



ქვანაკრავივით შესწყვეტა წერილის კითხვა ტიტკომ. დახედა ბოლოში ეწერა: „შენი ვახტანგი“. ტიტკომ წერილიდან გამოარკვია, რომ მისი „უწინა-კო“ ცოლი ყოველ ორ დღეს კვირაში ვახტანგთან იყო. შემორღვეწერილს უგზავნიდა იგი ბათოს. მაგრამ სიყვარულისაგან გამოვლენილს ტიტკოს ერთხელაც არ უფიქრია წაეკითხა წერილი ან გაეგო, ვისგან იყო ის. იგი ენდობოდა ცოლს, ცოლი კი წერილის შინაარსს ისე უამბობდა, თითქოს ამხანაგისაგან გამოგზავნილი ბაბათი ყოფილიყო. და აი ახლა, სიკვდილის შემდეგ, გამოირკვა, რომ ბათო სიკვდილამდე ატყუებდა ქმარს.

ასეთია აზრი არაგვისპირელის ეტიუდისა „ქარი-კი ამ დროს კენესოდა, ზუოდა და გმინავდა“. ეს ეტიუდი ძალიან ჩამოგავს მოპასანის „ბავშვისა“ და „ანდერძის“ შინაარსს.

ბურჯუაზიულ საზოგადოებაში ოჯახიც ერთმანეთის გაუტანლობაზე არის აგებული. მუდმივი უსიამოვნება, უკმაყოფილება თან სდევს ცოლ-ქმარის ურთიერთობას.

— ეპ. ჩემო ელიზბარ, ერთს კი გეტყვი: ყველა ქმარმა რომ ჩემსავით გულახდით გაამბოს, იქნება ათასში ზუთიც არ იყოს კმაყოფილი თავის მეუღლისა.“<sup>1)</sup>

ამ უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ირჩევს „არა სულიერი“ ნათესაობის, არამედ ქონებრივი ცენზის მიხედვით. წრფელი გრძნობა ფულმა შესცვალა.

ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ანა „ბებრუტუნა“ ქაიხოსროს მიათხოვეს. თავისი ბედით უკმაყოფილო ქალი შესაფერ ახალგაზრდას მოსძებნის და მთელი სიცოცხლის მანძილზე ქმარს ატყუებს. ასეთია შინაარსი არაგვისპირელის ეტიუდის „ხითხითებს და ხითხითებს“.

შიო არაგვისპირელი ღრმა ლირიზმით გამსჭვალულ მოთხრობებში იძლეოდა ბურჯუაზიული მეშხანური ყოფისა და ოჯახის კომიკურ სახეს. თვითონ ავტორს ღრმა სევდას ჰგვრიდა ეს სინამდვილე: არაგვისპირელის სევდა იყო სევდა იმ ადამიანისა, რომელსაც შეუგრძენია მთელი უბადრუტობა და სისაძაგლე მეშხანური ყოფისა, რომელიც გარს ერტყა მწერალს, მაგრამ არ ჰქონდა კარგად წარმოდგენილი, თუ რა გზითა და საშუალებით შეიძლებოდა მისი დაძლევა.

შიო არაგვისპირელის ნაწერებში გრძნობ, რომ კანონიერი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ღალატობს, მაგრამ ამ ნიადაგზე შექმნილი კომიზმი არ არის მკითხველის გასაციანებლად შექმნილი, არ არის უბრალო „გამოგონება“. ბურჯუაზიულ საზოგადოებაში ქალ-ვაჟის შერჩევა უმეტეს ნაწილად არა ხდება ფიზიკური და სულიერი ნათესაობის მიხედვით. ჰაბუკურ გატაცებას, სულიერ ტოლობას ქონებრივი უზრუნველყოფა სცვლის, გულისა და გრძნობის საკითხს კი — ქისის საკითხი, რამაც ბურჯუაზიული ოჯახი მოსაწყენი და უშინაარსო გახადა.

როდესაც არაგვისპირელის ნოველაში „ხითხითებს და ხითხითებს“ მომხდარ ინცინდენტს ეცნობით, თქვენ არა მარტო გულიანად ხარხარებთ, არამედ გულის სიღრმეში ძლიერ ტკივილსაც გრძნობთ, თუ რამდენად უკანონო იყო, რომ ჭკნების გულისათვის ეს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალი ვნებისაგან დაცილილ ბებრუტუნა კაცს გაჰყვა.

<sup>1)</sup> იქვე, „ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ“, გვ. 143.

არაგვისპირელის ნოველებში ცოლი და ქმარი ურთიერთს ცალკეობენ, როგორც მოპასანის ნოველებში, მაგრამ შიო არაგვისპირელი სიყვარულის გრძნობის დახატვაში არ დაინილა ბოლომდე ნორილისტად. გულწრფელი სიყვარული ძლიერი გრძნობაა. ამ გრძნობას შექმნილია მისი აამაღლოს, მომკვდავი გამოაცოცხლოს. ამ მხრივ საინტერესოა არაგვისპირელის ნოველა „ორი მკურნალი“.

ექიმების დიაგნოზით ახალგაზრდა შალვა მისამდე ვერ მიადგენს, თუ ნიცაში არ წავიდა და არ იმკურნალა. შალვას კი ამის საშუალება არა აქვს და გულხელდაკრეფილი უცდის მისს, სიკვდილის დროს. სიკვდილის მოლოდინში შალვას შეყვარებული ელიკო გამოეცხადება. გულწრფელი აღერსი და სიყვარული ისე იმოქმედებს შალვაზე, რომ ის სამაისოდ განიკურნება და აღგება. ასეთია სიყვარულის შემძლეობა.

ასე აქვს წარმოდგენილი არაგვისპირელის სიყვარულის ამადლეებელი ძალა. ამ ეტიუდმა ერთგვარი დაეაც კი გამოიწვია ჩვენს პრესაში.

„შიო არაგვისპირელის ესკიზს (ლაპარაკია „ორ მკურნალზე“) ჩვეულებრივად პირველი ადგილი აქვს დათმობილი და მართლაც ეს ახალი ნაწარმოები გარეგანი ფორმით და სილამაზით რამდენიმედ მოგაგონებთ ხსენებული ავტორის წინანდელ ნაწარმოებებს. მარა მხოლოდ მოგაგონებთ. „ორი მკურნალი“ დედაზრით ყალბ საფუძველზეა აშენებული: ასე გამოდის, რომ ჰლეჭით ავადმყოფს ნამდვილი ექიმი კი არ შეელოა, არამედ ახალგაზრდა სიყვარული ქალი, თავის გადამეტებული აღერსით. შეიძლება ასეთი შემთხვევა მართლაც მოხდეს სადმე, თუმცა ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, მარა ეს ტიპიურ მოვლენას არ შეადგენს.“<sup>1)</sup>

არაგვისპირელი სიყვარულს საერთოდ ყოვლისშემძლე ბუნებრივ გრძნობად ხატავს, მაგრამ იმავე დროს ხედავს, რომ „ჩვენს დროში“ ეს გრძნობა დასურდავდა, იგი ანგარებისა და ანგარიშის საკმედ გადაიქცა. ამიტომ შიო არაგვისპირელი გულწრფელი სიყვარულის გრძნობით აღკურვილ ადამიანებს უმთავრესად ხალხის დაბალ ფენებიდან, ცივილიზაციის მიერ შეუღობავი მთიელი ხალხის წრიდან იძლევა.

მეტეზარის შვილს ნინიას და მთიელის ქალს მაროს ერთმანეთი გულწრფელად უყვართ. ახალგაზრდა ნინიას ჯარში წაიყვანენ. ის ქალაქის მათნე გავლენას განიცდის.

ამ ნოველაში მშვენიერი სურათია მოცემული მთიელთა გულწრფელი სიყვარულისა. მთიელების ბუნებრივი, შეუღობავი გრძნობა სიყვარულისა დაპირდაპირებულა ქალაქური ყოფის შედეგად შექმნილ სიყვარულის გრძნობასთან. და ეს მომენტი მთიელთა ყოფის ფონზე იშლება. მთიელთა უმანკო გრძნობის გამოშხატველია მთიელი ქალი მარო. ქალაქური ყოფის შვილია ნინია. მართალია, წარმოშობით ესეც მთიელია, მაგრამ ქალაქური ცხოვრების გავლენის ქვეშ მოჰყვა იგი და მთიელის ანტიპოდად გადაიქცა. საინტერესოა ნინიასა და მაროს დიალოგი.

ჯარისკაცები ნინია და ბარამი რუს ქალებთან ქეიფობენ. მარო ბიჭის ტანსაცმელში გადაცმული ხედავს ამას. იგი ველარ ითმენს უნამუსობას.

— უნამუსო! — წამოიძახა ბაღმმა, და ფოცხტურივით ხანჯალ-ამოდებული გადახტა ნინიასაკენ.

1) „ქალი“, 1898 წელი, № 12.

ყმაწვილმა ხელი ამართა, უნდოდა დაეკრა ქალისათვის, მაგრამ ამ დროს ბარამმა მელავი დატყირა.

— რას სჩადი, ბალო? — შეუტია ბარამმა და იქით მიყვინჯა.  
 ყმაწვილი გატრიალდა, რა-კი ხანჯლის დაკერა ვერ შიშობდა ამო-  
 ლებული ხანჯალი ისევ ქარქაშში ჩააგო.

— ბალო, რისთვის გინდოდა მოგეკლა? — ჩაქინებით ჰკითხა ნინიამ,  
 როცა ყმაწვილთან მივიდა და ხელი დაუტყირა.

— ხელი უშვი!.. შენ წადი, აი ის უნამუსო ლოშნე... — ამაყად უბასუ-  
 ხა ყმაწვილმა და ხელი გააშვებინა.

— ბალო, ბედისწერამ ხომ არ აგიტანა?  
 ნინია რომ ყმაწვილს ელაპარაკებოდა, ბარამი და ნიკოლა ისევ მოუსხდ-  
 ნენ გვერდით ქალებს და სიმღერა დაიწყეს.

— უნამუსოება! — წამოიძახა ყმაწვილმა და გაბრუნდა.

— ბალო, ბედისწერამ ხომ არ აგიტანა-მეთქი! შე ცოტა შეყოფის,  
 მთიული ვარ!

— მთიულია!.. — დაცინვის კილოთი წამოიძახა ყმაწვილმა: — შენ მთიუ-  
 ლი არა ხარ, არა!.. წადი, ლოშნე აი ის უნამუსო!

— იყურე, ბალო, თორემ აი ესლავ თავს გაგაგდებინებ! — შეუტია  
 ნინიამ და ხანჯალი ამოიღო.<sup>1)</sup>

მარო დარწმუნდა, რომ ნინიას „მთიულობა“ დაუკარგავს.  
 თავდავიწყებამდის შეყვარებული ქალი ვერ ითმენს ლალატს და საბე-  
 დისწერო გადაწყვეტილებას დაადგება.

„ქალი შესდგა. გადახედა არაგვს და ტანში ერუანტელმა გაურბინა. ცო-  
 ტა ხნის შემდეგ ციემა ოფლმა დაასხა და კანკალმა აიტანა. „სადლა წა-  
 ვიდე, რისთვისღა ვიცოცხლო?“ წამოიძახა ქალმა და ქეთინი მორთო. კეი-  
 თინი ტირილად გარდაქცეა, რასაც არაგვის შუილი ბანს აძლევდა. ტირო-  
 და თავის ჯერ გაუშლელ ქალობას, სიცოცხლით გაუმადრობას და ესალ-  
 მებოდა წუთი-სოფელს. „ნინია, ნინია!“ — წამოიძახა ქალმა, როცა ტი-  
 რილით გული იჯერა: — რაისთვის გამკალ? დაიწვი ჩემო ცოდვით!.. არა!  
 არა! ლომისა, ნუ მისმენ!.. ნუ დააწონ ნინიას, აცოცხლე დიდხანს და  
 ბედნიერი ამყოფე!.. ნინია, ჩემო ყველაჟო.. არა, ყველა აღარა მყავს!..  
 ყველაი დაეკარგე!.. — წამოიძახა ქალმა და გადაიშვა კიდეც არაგვი,  
 რომელმაც ხარხარით დაალო პირი და საჩქაროთ ჩანთა...“<sup>2)</sup>

ასეთი ძლიერი სიყვარული მთიელისა ყაზბეგის გარდა არავის მოუცია  
 ჩვენს მწერლობაში. ასე ძლიერად არის სიყვარულის გრძნობა გადმოცე-  
 მული არაგვისპირელის მეორე ნოველაში — „ის“.

სიყვარულის გრძნობა ფაქიზი და სათუთი გრძნობაა. მისი ძალა და სი-  
 დიადე იშვიათის ოსტატობით აქვს დახატული არაგვისპირელს „გიულში“  
 და „გაბზარულ გულში“.

შოთ არაგვისპირელის შეხედულება სიყვარულზე, მოკლედ თუ ჩამოგა-  
 ყალიბებთ, ასე წარმოგვიდგება:

ბურჯუანიულ საზოგადოებაში გულწრფელი სიყვარული არ არსებობს.  
 ბურჯუანიული ცხოვრების პირობებში პოეტების მიერ ლამაზად დახატულ

<sup>1)</sup> შ. არაგვისპირელი: „ყველა დაეკარგე“. მეორე წიგნი, გვ. 45—46.

<sup>2)</sup> შ. არაგვისპირელი: მეორე წიგნი. „ყველა დაეკარგე“, გვ. 47—48.

ლი სიყვარულის გრძნობა ყალბი ილუზიაა. სინამდვილეში ის სანგარებასა და ენიაინობაზე აგებული გრძნობაა. („წერილის ნაგლეჯი“, „მხრები-და აეინეჩე“, „ბაღალი ყოფილხარ“ და სხვა).

ქალი სიყვარულის ფართო ატყუებს ქმარს, მოჩვენებასა და გულწრფელობით ცბიერობს მის წინაშე. მოაცილეთ სიყვარულს ცბიერების ხაზოხელი და ხელში შეგარებათ მატყუარობა და გაუტანლობა („ხითხითებს და ხითხითებს“, „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კენესოდა და გმინავდა“, „მხრები-და აეინეჩე“ და სხვა).

„ჩვენს დროში“ დაიკარგა გულწრფელი სიყვარული. წმინდა, ფაქიზი გრძნობა შესცვალა ანგარიშიანობამ და ფულმა. სიყვარულის გრძნობა ნივთად გადაიქცა („სულ ერთია“, „მომილოცნია ახალი წელი“ და სხვა).

ქმარი ქალისთვის ფარია. ქალი ცბიერი და მატყუარაა. საქმით თუ არა, განზრახვით მაინც დალატობენ ცოლ-ქმარნი ერთმანეთს („მხრები-და აეინეჩე“ და სხვა).

მიუხედავად ამისა, შიო არაგვისპირელი სკეპტიკოსად მაინც არ დარჩენილა. შიო არაგვისპირელის კონცეპციაში ძლიერად არის წარმოდგენილი სიყვარულის გრძნობით გამოწვეული თავდაფიწყება და კეთილშობილება. არაგვისპირელის ნაწერების ერთ ნაწილში — სიყვარული მოცემულია, როგორც უძლიერესი და უსპეტაკესი გრძნობა ადამიანისა, რომელიც უზრალო ხელოსანს რაინდად აქცევს („გაბზარული გული“), მოჯამაგირეს უშიშარ გმირად („ის“), მომაკვდავს კი გამკურნებელ ძალად მოველინება („ორი მკურნალი“). შიო არაგვისპირელის მოთხრობებში ისმის შეყვარებულთა ძლიერი გულისცემა მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ არაგვისპირელი სიყვარულის მთელ გრძნობას ხედავს დაბალი ფენის წარმომადგენლებში ან გადასული ეპოქის ადამიანებში. ერთგვარი განსხვავება თანამედროვე ქალაქურ ცხოვრებასა და სოფლის ბუნებრივ იდილიურ ყოფას შორის უთუოდ იგრძნობა.

არაგვისპირელის გამანადგურებელი სკეპტიციზმი და სიყვარულის გრძნობის უარყოფა უმთავრესად კაპიტალისტურ ქალაქურ წრეს შეეხება.

### პატრიოტიზმის თემა

მე-19 საუკუნის ქართველ მწერლებისათვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბედი. ამ თემას გამოეხმაურა შიო არაგვისპირელიც. ეროვნულ საკითხს, პატრიოტიზმის თემას არაგვისპირელმა უძღვნა ორი ნოველა: „მიწა“ და „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“.

სიკვდილის პირზე მისულ, ბორკილგაყრილ ავადმყოფ მთიელ ბეროს ციმბირში ჰგზავნიან. როდესაც ანანურის გზაზე გაატარეს, ბერომ ერთი მუქა მიწა აიღო. ამ მიწას ის საკუთარ თავზე უფრო უფროთხილდებოდა, სასოებით ინახავდა მას ცხვირსახოცში გამოხვეულს, რომ სიკვდილის წინ უცხო ქვეყანაში გულზე დაეყარა თავისი სამშობლო მიწა. გზაზე, უფროსის ბრძანებით, განზრავს ტყუალები, მათ შორის ბეროც. ბეროს ცხვირსახოცში გამოხვეული მიწა აღმოაჩნდება.

— „ეს რა არის? — ცოტა სინუშის შემდეგ დაეკითხა უფროსი ბეროს.

— მიწაა!

— რა მიწა?

— ჩემი ქვეყნის მიწა. ანანურს რომ ამოვიარე, იქიდან წამოვიდე. ჩემი სოფელი იქვეა.

— შერე რად გინდა?

— მე, შენი კვნესამე, ამ ქვეყანაში მოგვედები. გული ამას შეუბნება. მინდა სიკვდილის წინ გულზე დავიყარო, რომ ჩემი ქვეყნის მიწა თან ჩამყვეს, — ბერომ თითქმის ცრემლმორეულმა უპასუხა და ლმობიერად დაუწყო მხერა უფროსს.<sup>1)</sup>

ტუსალების უფროსი უბრძანებს მთიელს, გადაყაროს მიწა. ის ვერ იმეტებს სამშობლოს მიწას, რის გამოც გაწყველვა მიუსაჯეს მომაკვდავს. სანამ გონება არ დაკარგა, მიწა მაინც ხელიდან არ გაუშვა. გონებადარკარგულ ბეროს თანამემამულე ტუსალი გივარგი გამოსტაცებს ხელიდან ცხვირსახოცს და უფროსის თვალის ასახვევად გულმკერდზე დააყრის მიწას. როცა ცოტათი გონს მოვა ბერო, მიწა მოაგონდება... „ხელი გულზე მოისვა, უბეში ჩაიყრა და მიწა შეაგროვა“. სიკვდილის წინ მთიელმა გულში ჩაიკრა მუჭით შევროვილი მიწა და ისე განუტევა სული.

როდესაც ამ ნაწარმოებს კითხულობთ, მართლაც იგრძნობთ სამშობლოსადმი მთიელის თავდავიწყებულ სიყვარულს.

არა ნაკლებ მღელვარებით არის შესრულებული მისი მეორე ნოველა. მწერლის აზრით, მთამ შეინარჩუნა სამშობლოს გულწრფელი სიყვარული. ბარად კი ქართველების ერთ ნაწილს უკვე დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება.

წარსულში ქართველ ქალს სამშობლოსათვის თავგანწირვის არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერია ქართველთა ისტორიაში. აწყობში კი ზოგი ქართველი ქალი გადაგვარებულა. ამ გადაგვარებული ქართველი ქალის სახეს იძლევა შო არაგვისპირელი ნოველაში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“. მაროს პოლონელი ახალგაზრდა ზდისი უყვარს. არც პოლონელი ახალგაზრდაა გულცივი ლამაზი ქალის მიმართ. მაგრამ ვერ ბედავს თანაგრძნობის ხელი გაუწოდოს იმის შიშით, რომ ქართველი ქალი სამშობლოს არ გასცვლის „უცხო მხარეზე“ და არ გაჰყვება ცოლად პოლონელს. მაგრამ პოლონელის მოსაზრება მართალი არ გამოდგა. ქართველმა ქალმა თავად მისცა წინადადება — წაიყვანოს ცოლად.

— „ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნება! — აგზნებით წამოიძახა და თავის მთრთოლვარე ტუჩები ვაყის ტუჩებს შეახო“.

პოლონელი ზდისის პირით ავტორი ქართველ ქალს უბირდაპირებს პოლონელ ქალს.

„ჩვენი ქალები, — სწერს ზდისი ქართველ ამხანაგს: — სულ სხვას იძახიან ამ შემთხვევაში: ჩემი გული ჩემი სამშობლოსია და თუ ჩემი სამშობლო აღარ იქნება, ნურც ჩემი გული იქნებაო“. აი ჩვენი ქალების წმინდათა წმინდა და თავიანთ გულს კიდევაც ანაცვლებენ სამშობლოს...“

მწერალი ამ ნაწარმოებში უკეთებს ანალიზს ქართველთა ეროვნულ შეგნებას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მეფის რუსეთის გამარჯვებული პოლიტიკის წყალობით ქართული ენაც კი დავიწყებას ეძლევა. ზოგი ქარ-

1) „მიწა“.

თველი არ კადრულობს თავის „დედაენით ილაპარაკოს“ სასწავლებლიდან თითქმის განდევნილია ჩვენი ენა. ერი გადაგვარების წინაშე.

ავტორის გულს უკლავს ქართველი ერის ერთ ნაწილში დაკარგული ეროვნული თვითშეგნება. მთელი მისი პროტესტი მიმართულია ამ გადაგვარებულ ქართველთა წინააღმდეგ.

ადარებთ რა არაგვისპირელის ამ ორ ნოველას („მიწა“ და „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“), გრძნობთ თუ რაოდენი განსხვავებაა ამ ნოველებს გმირებს შორის, კეთილშობილ სამშობლოს პატრიოტ მთიელ ბეროსა და გადაგვარებულ მეშჩანური შეგნების ქალის მაროს შორის.

სამშობლოს მიწის წმინდა სიყვარულის გრძნობით შთაგონებული გმირის უკვდავი პორტრეტია მთიელი ბერო.

სიტყვის დიდმა ოსტატმა შიო არაგვისპირელმა დიდების შარაფანდელით შემოსა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი. სამშობლოსადმი მზურვალე სიყვარულით აღზნებულ სიტყვებში გააცოცხლა მან მთიელ ბეროს გმირული ამბავი და ამით საუკუნეებს შეუნახა მგზნებარე პატრიოტის მომადიდოებელი სახე. მკითხველი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით იმსკვალება მთიელ ბეროს გმირული საქმით და გრძნობს, თუ რა თავდადებით უყვარდათ ჩვენს წინაპრებს თავიანთი მიწა, თუ როგორ სათუთად ინახავდნენ ისინი გულში სამშობლოს სიყვარულს და როგორ ეწირებოდნენ მსხვერპლად მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობას.

# ილია ჭავჭავაძის გარემო

(მოკონია)

დაე თუნდ მოგვედო, არ მგზინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.  
რომ ჩემ საფლავზე დაყუდებულმან,  
ჭართველმა ჩემგან შევეარებულმან,  
გულწრფელობითა და სიპართლითა,  
მე ჩამომძახოს, თუნდ ჩემის ხმითა:

— იყავ მშვიდობით შენს მყდრო ძილში...  
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;  
თქვას შენი უნარი შორს ჩვენგან ჩადილში  
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

ილია ჭავჭავაძე

„მწერალ ვიჭტორ ჰიუგოს სახელი და სული თავს დასტრიალებს და აღაფრთოვანებს წინ მიმავალ არმიის დროშებს...“

ბელოვებმა, ეს კაცობრიობის ოცნებაა, ოცნება სინათლის, თავისუფლების, ნათელი დამშვიდებული ძლიერების. ეს ოცნება არ შეიძლება შეწყდეს და ამიტომ ჩვენ არ გვადლევენს მომავლის ბედით, ამბობს საფრანგეთის დიდი მწერალი რომენ როლანი.

და განა ჩვენ ჭართველებს არ შეგვიძლია ასეთივე სიტყვები ვთქვათ დღეს ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომლის ოცნება იყო სინათლე და თავისუფლება, განა არ სწამდა მას ძლიერი საქართველოს დამშვიდებული მომავლის ბედი? განა ილია ჭავჭავაძის სახელი და სული არ დასტრიალებს, არ აღაფრთოვანებს და არ მიუძღვის დღესაც ჩვენი მწერლობის წინ მიმავალ დროშებს?

და თუნდ მოგვედო, ამბობს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ისე კი, რომ ჩემი კვალი ნახონ, ვინც ჩემს მერე მოვა, თქვას, რომ მან აღასრულა თავისი ვალიო.

აბა, ვინ იწნება ახლა ჩვენში, ვინც წაიკითხავს ილიას ლექსს, ამ მცირე მოკონების თავში მოთავსებულს, და იტყვის, ილია ჭავჭავაძემ არ აღასრულა თავისი ვალი, რომ მისი ჩანგი ამაოდ ხმაურობდა ჩვენთვის?

ახლა ამას არავინ და ვერავინ ვერ იტყვის!

ახლა ვიცით, რომ მისი ჩანგი ძლიერად ჟღერდა სამშობლოსათვის, მაგრამ იყო დრო, როცა სხვადასხვა გვარად განწყობილ თანამედროვეთა გულში ეს ჩანგის ჟღერა, როგორც გრიგალი ზღვაში, იწვევდა გრძობათა აფორიაქებას და მღელვარებას. მღელვარებას მისდამი ღრმა სიყვარულისას და უარყოფისას.



როგორც ზღვის მიმოქცევა, ისე ქვეყანის თანამედროვეთა გულში იცვლებოდა სიყვარულისა და სიძულვილის გრძობათა დღეღამე და თანამედროვეობამ ვერ მოახერხა მისდამი ურყევი აზრის დამყარება. გამომშავება.

მხოლოდ მისმა სრულიად მოულოდნელმა „უღვთო“ სიკვდილმა, რომელიც მების ხმასავეთ გაეარდა მოულოდნელად მთელს საქართველოში, მედგრად დაიჭედა და გამოათხიზლა მთელი ერი. თითქოს წიწმურის საშინელი ტრაგედია იყო საჭირო, რომ ყველა ქართველის გულში ანთებულიყო ქვეყანაშიადმი სიყვარულის ჩაუქრობელი ლამპარი.

მე მაგონდება მწერალ ეკატერინე გაბაშვილის წინასწარმეტყველური სიტყვა ილიას გამოსვენების დღეს საგურამოდან: „დიდო ილიაჲ, შენ ვერ დაგაფასა თანამედროვეობამ, მაგრამ მომავალი თაობები გაიგებენ, თუ რა დიდი ადამიანი იყავი და რა გააკეთე შენ ქართველი ხალხისათვის და სამშობლოსათვის“. და განა ეს ახლა ცხადი არ არის ყველასთვის?

მე კი უნდა ვთქვა, ჩემდა სამწუხაროდ, რომ ჩემი ცხოვრებაც ვერ ასცდა დიდი ილიას ღვაწლის დაფასებისა და დაუფასებლობის მიმოქცევას.

მე არ ვიცი, როდის შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში პირველად მწერალი ილია ქვეყანაჲ. იმ დროს, როდესაც შევიღირეა წლის ბავშვი გურიის სოფ. ღანუელში დავედებოდი ხოლმე ზამთრობით ბუხრის წინ მაგიდასთან, ჩემს გვერდით ყოველთვის იჯდა დედაჩემი საკერავით მუხლებზე. ტახტზე ეძინათ ჩემ პატარა სამ ძმას. მაგიდას შემოუსხდებოდნენ ირგვლივ მამაჩემი, ჩვენი მოჯამაგირე არჯევან, უთვისტომო შინაყმა ქალი მოხუცი ლამაზისახარ, რომელიც ყმების განთავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა მისთვის საგანგებოდ დაწულ ფაცხაში, მაგრამ დღითა და ღამით დედაჩემთან იყო, ახალგაზრდა მეზობელი გლეხი ესტატე ტრაპაიძე და ოსმანა „თათარი“, — ასე ვეძახოდით ჩვენ აჭარელ მოხუცს, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ჩვენთან დარჩა საცხოვრებლად. მე ვუკითხავდი იმათ „სიბრძნე სიერულისას“, „ყარამიანს“, „ვისრამიანს“, აკაკის და ილიას ნაწარმოებებს. დიდი ინტერესით ისმენდნენ ილია ქვეყანის ნაწარმოებებს: „ნანას“, „იანიჩარს“, „სტუდენტების სიმღერას“, „გაზაფხულს“, „რა ვაკეთეთ, რას ვმერებოდით?“, „ხმა სამარიდან“ და სხვ. მახსოვს „იანიჩარი“ იმდენჯერ წამაკითხეს, რომ ყველამ, ლამაზისახარის გარდა, ზეპირად ისწავლა. ყველას უყვარდა „გლახის ნამბობი“, „სარჩობელაზედ“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. მაგრამ „აკაცია ადამიანი“ ვერ იზიდავდა ჩემს მსმენელებს, მამა ჩემის გარდა. ამბობდნენ, ამისთანა ბრიყვი კაცი, როგორიც ლუარსაბია, ქვეყანაზე არ დაბადებულა და თუ დაბადებულა, იმის ცხოვრების შესახებ არც ღირს წაკითხვაო. რამდენჯერაც არ დავიწყე მისი კითხვა, პირველ ორ თავს არ გავცილებივარ. მე მიყვარდა ეს სალამოები და კითხვები და ვფიქრობდი, ოდესმე, როდესაც ვნახავ ილია ქვეყანაჲს, უთუოდ ვკითხავ, მართლა ამშვენებდა „იანიჩარი“ — ჩვენს დამღუპელ ოსმალეთს? რას ნიშნავდა „იანიჩარი“ და რატომ სძულდა ასე ოსმანას ეს ლექსი? ოსმანას უყვარდა ოსმალეთი და ჩვენს დამღუპელად არ სთვლიდა და, თუმცა მისი ნათესაეები ყველანი გადასახლდნენ ომის შემდეგ ოსმალეთში, ის იმიტომ დარჩა, რომ მისი სიტყვით, როგორც აჭარა, ისე გურიაც მისი სამშობლო იყო. ამას გარდა მოხუციც იყო და სად უნდა წასულიყო უცნობ ქვეყანაში — თურქეთში!

მგონია, ილია ჭავჭავაძე ნამდვილად და ბრწყინვალედ შემოვიდა ჩემ ცხოვრებაში, მაშინ როდესაც სკოლაში შევედი და როდესაც ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ნინო (ეფო, როგორც მას ეძახდნენ) ერთდროულად ცებით გვიკითხავდა თავის სასიამოვნო ხმით პოემებს „კამდენსაჲს სტრატის ყაზალის ცხოვრებიდან“, „დედა და შვილს“, „დიმიტრი თავდადებულს“ და სხვა ნაწარმოებებს.

მე მახსოვს, რა აღტაცებაში მოვდიოდით მთელი მესამე განყოფილების გოგონები „დედა და შვილის“ კითხვის დროს და როგორ ვოცნებობდით მასწავლებელთან ერთად დიმიტრი თავდადებულებით, თავის განწირვის ხალხისა და სამშობლოსათვის. მასწავლებელთან ერთად გვენატრებოდა და ვოცნებობდით ილიას ნახვას. მაგრამ.....

დრომ სხვა მიმართულება მისცა ჩემს ცხოვრებას და ილიას ნახვის სურვილი და ნატვრა, რაც ესე საგულისხმიერო და საოცნებო იყო ბავშვობაში, დაიფერღლა, აღარ მაინტერესებდა ი. ჭავჭავაძე. სხვა მწერლებმა, სხვა მისწრაფებამ, სხვა გრძნობებმა გამიტაცა და, თუმცა ყოველთვის სასიამოვნოდ მჭონდა გულში, რომ ცხოვრობდა ქვეყანაზე დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, მის მოღვაწეობას მაინც გულგრილად ვუყუარებდი.

მხოლოდ 1895 წლის ზამთარში ისევ ჩამოანათა ჩემ გულში ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობამ. მე ისევ მომინდა მისი ნახვა და ისევ დამკვიდრდა ია ჩემ ცხოვრებაში. ბევრი რამ იყო მგონია ამის მიზეზი, მაგრამ პირველი ბიძგი შემდეგი შემთხვევა იყო.

ეს მოხდა პეტერბურგში, ახლანდელს ლენინგრადში.

1895 წლის ზამთარში მე და ჩემი მეუღლე ილიკო ნაკაშიძე, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რესტორან „კიუბაში“ სადილად დაგვპატიჟა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ. მელიტონი მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა და სტუდენტთა საზოგადოებაში ტრიალებდა. სტუდენტებს უყვარდათ მელიტონი. ამბობდნენ, მელიტონი ქართულ რომანსებს სწერს და ქართული ოპერის დაწერასაც აპირებსო.

სადილად ცალკე კაბინეტში ვისხედით. მელიტონი სულ მუსიკაზე ლაპარაკობდა. ამბობდა:

— ქართველებს ოპერა არ გვაქვს და მინდა დავწერო, მაგრამ ისეთი

1) ილია პეტრესძე ნაკაშიძე (1866 — 1923) — მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში, თბილისში დაბრუნდა 1895 წ. და ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1897 წ. ლ. ტოლსტოისთან დღეობორების მოძრაობის შესახებ მიწერა-მოწერისა და დღეობორების დახმარებისათვის ხუთი წლის ვადით გასაბღებულ იქნა ამიერკავკასიის ფარგლებიდან. გადასაბღდა მოსკოვში, იქ დაუახლოვდა ლ. ტოლსტოის და მასთან ურთიერთობა არ შეწყვეტილა ტოლსტოის გარდაცვალებამდე, მოსკოვშიც ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას რუსულ ჟურნალ-გაზეთებში და გამოამკველბა „პოსრედნიკში“.

1903 წლიდან საქართველოში დაბრუნდა და კეთილშობილად ლეკიცება.

საქართველოში საშკოთა ხელისუფლების დამყარებიდან განააღების სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეული იქნა ლეკტორად და ამ თანამდებობაზე იყო გარდაცვალებამდე.

1923 წელს დასაბღდა ს. კიკელიძე. მისი ინიციატივით სოფ. დიდების გლეხებმა დააარსნა სასწავლო-სამეურნეო არტელი.

თემა უნდა გამოენახო, რომ მთელი ჩვენი ერის გენია გამოჩნდეს, მუსიკა ჩვენი მდიდარია, მხოლოდ დამუშავებული არ არის. ჩვენს მუსიკას მხოლოდ იტალიური მუსიკა თუ გაუჩვენებს მეტოქეობას, ფორტეპიანოებზე ვერაფერი ვერ შევიტოვებთ. აქებდა უკრაინულ მუსიკას, ამბობდა, მანკა მანკა, ხოლო აქვთ, მხოლოდ იმათი სევდიანი მუსიკა სჯობს. მათს მხიარულ მუსიკასო. აიღეთ, ჩვენი, ქართული სიმღერები, პირდაპირ შედევრებია: სევდიანიც და მხიარულიც. მაგალითად, რომელი ხალხის სიმღერა შედევრება ჩვენ სევადურ სიმღერას „ლილეცს“. აიღეთ თუ გინდა „ხელხვაი“—გურული სიმღერა, თუნდ ნადური, ვისა აქვს ისეთი გამყვივანი. „ია-უას“ რომ დასძახებს გურული.... ეს შედევრია, შედევრია....

ცოტა ხანს დაჩუმდა და მერე განაგრძო:

— მე მიხდა ოპერის თემად ავიღო „მეფე დიმიტრი თავდადებული“, უწინ ვფიქრობდი „დედა და შვილზე“ შევჩერებულეყავი, მაგრამ ოპერისათვის ძალიან პატარაა. დიდი ხანია მაქვს კიდევ ერთი თემა — აკაკის — „თამარ ცბიერი“... შენ რას ფიქრობ, ილიკო?

ილიკომ უპასუხა.

— მე ძალიან ცუდი მუსიკოსი ვარ, მელიტონ, შენ წარმოიდგინე, ყარანაის მეტი სიმღერა არ ვიცი.

— არა, კაცო, იქნება მამაშენისაგან გაგიგონია, ილია და მამაშენი ხომ დიდხანს მეგობრები არიან. იქნება უთქვამთ რამე ქართული ოპერის შესახებ.

ილიკომ უთხრა, რომ როგორც ვიცი, ილიას და მამაჩემს ჰქონიათ ლაპარაკი ქართული ოპერის შესახებ, ორივეს მწუხარება გამოუთქვამთ, კომპოზიტორი არ მოგვეპოვებო.

— ეჰ, შე კაცო, მერე შენ ვერ უთხარი რომ მე აქ ვიყავიო, — იოხუნჯა მელიტონმა.

ილიკომ ურჩია, რომ თვითონ მელიტონს მიემართა ილიასათვის.

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ, — სთქვა მელიტონმა, — მაგრამ იმასაც ამბობენ, ილიას მუსიკის არაფერი გაეგებაო. მაინც ჯერ მე საბოლოოდ თემის არჩევანზე უნდა შევჩერდე. „დიმიტრი თავდადებულში“ საოცარი ადგილებია ოპერისათვის: ერთი ის რად ღირს, როდესაც თათბირი აქვს მეფეს დიდებულებთან, როდესაც ყველა დელაგს და მეფე თავის გადაწყვეტილების გასამართლებლად მიმართავს მღვდელმთავარს.

ის ადგა, ორივე ხელი გასწია ილიკოსაკენ და მიმართა მას სიმღერით:

— შენ რას იტყვი, მღვდელმთავარო, სიტყვა შენი გვიღირს ძვირად!.....

ილიკო სწრაფად წამოიღგა, თითქოს ისიც აპირებდა სიმღერით პასუხის მიცემას.

— თუ ღმერთი გწამს, ილიკო, ყარანაი არ იმღერო, — უთხრა მელიტონმა სწრაფად ილიკოს და ორივემ გადაიხარხარეს. — აქ რალაც სერიოზული და დამაჯერებელი პასუხია საჭირო, — განაგრძო მან, — რალაც დიდებული საგულდაგულო მუსიკა უნდა, რომ საგსებით ასახოს მღვდომარეობა.... ისიც კი უნდა ითქვას, რომ ვინ მოგცემს ახლა მღვდელმთავარის სცენაზე გამოყვანის ნებას.... ესეც ცოტა არ იყოს, ხელს მიშლის და მინელებს წერის სურვილს.

— შენ დასწერე, მელიტონ, და მანამდის....

— ეჰ, — გაიციანა მელიტონმა, — შენც არჩილ ჯორჯაძესავეთ ლაპარაკ-

კობ, — ამბობს, სანამ შენ მაგ ოპერას დასწერდე, ვინ იცის რა მოხდებაო. ხედავ რამდენ სტუდენტს იჭერენ, იქნება რევოლუცია მოხდებაო. მაგრამ ახლა ისიც კია, რომ ილია ჭავჭავაძე თანდათან კარგავს პოპულარობას და მისი პოემის აღება თემადა...

— მართალია ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ენერჯით შთანთქა ბანკის საქმიანობაში, მაგრამ არა მგონია, რომ ის, რაც დასწერა, იმან დაჰკარგოს მნიშვნელობა. შენ ვერ წარმოიდგენ, მელიტონ, რა კოლოსალური შტაბაქვს ილიას... — მიუგო ილიკომ.

— აბა რა ვიცი, აქ სტუდენტები კი აკრიტიკებენ...

ერთ წუთს დრო გაჰკვეთა ჩემში მოგონებამ და თვალწინ დამიძვრა „დიმიტრი თავდადებულის“ კითხვა სკოლაში. ჩვენი ტირილი დამიტრისათვის, ცოცხლად აისახა მისი სულიერი განცდა და ისევ მომწყურდა „დიმიტრი თავდადებულის“, „ეკო ყაჩაღის“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორის, ილია ჭავჭავაძის, ნახვა, მისი ხმის გაგონება. ვეღარ მოვითმინე, და ვსთხოვე:

— არა, ბატონო მელიტონ, დასწერეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს და რა მადლობელი იქნება თქვენი ხალხი და ის, ვინც ახლა მას აკრიტიკებს, გაიგებს, რომ ილია ჭავჭავაძეც გასწირავს თავს ხალხისა და სამშობლოსათვის, თუ ამას მოითხოვს მდგომარეობა... მე ასე მგონია, — დავუმატე მე.

— გასწირავს კი?... ახლა კი ბანკს სწირავს თავის დროს და ნიქს, მაგრამ ვინ იცის, თუ საჭირო იქნა, კი გასწიროს იქნება, ა? ილიკო, შენ რას იტყვი? იქნება ბანკი უკუაგდოს და აისხას თოფ-იარაღი. დიდი პატრიოტიზომ არის?

— დიდი ნებისყოფის კაცი არის, შეიძლება აისხას! — სთქვა ილიკომ.

მელიტონი ადგა, მივიდა პიანინოსთან, დაუკრა და ნელი დაბალი ხმით დაამღერა:

„დიმიტრი ერჭვა სახელად  
მხარბეჭბრტყელი, ტანშალალი,  
ჯირითში და შეილდისარში  
არაფინ ყვანდა ბადალი.“

„გრძნობიერი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა მელიტონს. მერე მოტრიალდა სკამზე და სთქვა:

— ერთის მხრით „დიმიტრი თავდადებული“ დიდებული თემაა ოპერისათვის, მაგრამ ქალი-არ ურევია და უქალოდ ოპერა... მართალია შევსება შეიძლება: მეტეს ხომ ეყოლებოდა ცოლი, ქალიშვილი, ვინმე მზეთუნახავი საყვარელი, უიმისობა არ იქნებოდა, ხომ იცი, ილიკო? — გაიხარხარა მან და განაგრძო, — „თამარ ცბიერში“-კი ყველა და ყველაფერია. თავის ტეხა-არ გჭირდება.

1895 წ. ჩვენ გადაწყვეტილი გვექონდა ზაფხულშიც პეტერბურგში დავრჩენილიყავით, რადგანაც ილიკო სახელმწიფო გამოცდის ჩასაბარებლად ემ-

ზადებდა. გადაესახლდით კიდეცაც სააგარაკოდ პეტერბურგის ახლოს, სოფ. ლიგოვოში, მაგრამ ავვისტოში დებეშა მოგვივიდა, ილიკოს მამა, პეტრე ნაკაშიძე გარდაიცვალა და ჩამოდიოთ. მაშინვე წამოვედით. პეტრე ნაკაშიძე გარდაიცვალა ბორჯომში და დროებით იქ დასაფლავეს. იქვე დაკრძავა ვერ დაესწრო დასაფლავებას და თანაგრძნობის წერილი მოსწერა პეტრეს მეუღლეს.

შემოდგომაზე ბორჯომიდან თბილისში ჩამოვედით. ამ შემოდგომაზე და ზამთრის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე რამდენჯერმე იყო ნაკაშიძის ოჯახში და აი, სწორედ ეს დრო ვერ მიმატიებია ახლა ჩემი თავისათვის, რადგანაც შემეძლო იმ ადამიანის ნახვა, რომლის ნახვაც ბავშვობიდანვე საოცნებოდ მქონდა, და ახლა კი არც ერთჯერ არ გამოვსულვარ მის სანახავად. მიუხედავად იმისა რომ ჩვენს ოჯახში დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ ილიას, მის მსოფლმხედველობას არ იზიარებდნენ ახალგაზრდა ნაკაშიძეები — პეტრეს შვილები. პატივისცემა კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მემკვიდრეობითი გრძნობა იყო ილიას პიროვნებისადმი.

უნდა გამოვტყდე, რომ მაკაეებდა იმათი მიმბაძველობა და, როგორც ისინი, ვფიქრობდი, უფრო სასარგებლო იქნებოდა მომეხმარა ი. ჭავჭავაძესთან საუბარში გატარების მაგიერ დრო სახალხო თეატრში, სახალხო კითხვების და მასწავლებელ ქალთა საზოგადოების კრებებზე სიარულით საქმიანობისათვის. ნაწილობრივ მეკრძალებოდა კიდეცაც, რადგანაც ამბობდნენ, ილია ჭავჭავაძე უბრალო კაცი არ არის და თუ პატრიოტი არ ხარ, არც დაველაპარაკებოთ. პატრიოტიზმი კი მაშინ საზოგადოდ ახალგაზრდობას დასაძრახის საქმედ მიჩნდა. განსაკუთრებით მწყინს ახლა და ვერ მიმატიებია ჩემი თავისათვის ერთი საღამო.

ეს იყო შემოდგომის საღამოს. ჩვენთან, ე. ი. ილიკოს დასთან — ელენესთან,\*) რომელსაც რელიგიური მოძრაობა ძალიან აინტერესებდა, მოვიდა ერთი მოხუცებული გრძელ თეთრწვერა ინგლისელი მისიონერი, გვირად ბედიკერი, თან ახლდა ახალგაზრდა ქალი, — შიღვანი. ქალი იჯდა ბედიკერის გვერდით, ეჭირა ხელით ბედიკერის გამხდარი დაპრანჭული ხელი. საკვირველი იყო იმათი ლაპარაკის მანერა. ბედიკერი ლაპარაკობდა ინგლისურად, ნელი, სიმღერასაკვით გაგრძელებული სიტყვებით და თითქმის ეს სიტყვები ასე ნელა და სიმღერით დიოდა წყალივით ბედიკერის პირიდან, სულიდან მის ხელზე, შემდეგ ქალის ხელზე და გადმოდიოდა რუსულად ქალის პირიდან, ისევე ნელი სიტყვების სიმღერით, როგორც ბედიკერის პირიდან და ისმოდა სიერცეში ჩვენ მოსარჯულებლად.

\*) ელენე პეტრეს ასული ნაკაშიძე (1868 — 1943) — განათლება მიიღო თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში. დუბოზორების დაბმარების საქმისთვის 1896 წ. გადასახლებულ იქნა ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან. იქიდანვე წაიღო ინგლისში და იქ კროიდონში მისტერ კენვორტის მიერ ლევ ტოლსტოის თანამგრძნობათათვის დაარსებულ კოლონიაში ცხოვრობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. იქ ეხმარებოდა ტოლსტოის მეგობარ ჩარტკოვს. შემდეგში ელ. ნაკაშიძემ ტოლსტოის მოძღვრება უარყო. 1905 წ. დაბრუნდა რუსეთში, თბილისში კი ცხოვრობდა 1917 წლიდან და კერძოდ მასწავლებლობდა.

ჩვენს ვარდა იყენენ კიდევ ელენეს მეგობრები, რამდენიმე სასწაულ-ბელი.

ის იყო მოხუცს უნდა დაეწყო ქადაგება, რომ მსახურე მემოვიდა და გვითხრა, რომ დედა გეძახით, ილია ჭავჭავაძე მობრძანდეთ, მეშინვე აღვა და წავიდა, მაგრამ დანარჩენები არ დაგძრულვართ ადგილიდან.

მოხუცი ლაპარაკობდა იესო ქრისტეს მიერ მოხდენილ სასწაულებზე, როგორ გააძლო ხუთი შური და ორი თევზით ხალხი, როგორ აღადგინა მკვდრები, როგორ განდევნა ეშმაკეულები და შემდეგ როგორ ამალდა და სხვა. ყველა ეს მოსაწყენი და არაბუნებრივი იყო. მაგრამ საქმე იმა-შია, რომ ილიაც თურმე ამ დროს ებაასებოდა ილიყოს დედას სწორედ იესო ქრისტეს შესახებ. ანუგეშებდა და ეუბნებოდა, რომ ცოცხალი კაცი ყოველთვის უნდა ცოცხლობდეს და ცხოვრებაში მონაწილეობას იღებდეს. იესო ქრისტე თვითონ ამბობდა, დაუტევეთ მკვდრები მკვდრებში დაასაფლავონო. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მიცვალებულები დაყარეთ ქოჩებშიო. ამას იესო ქრისტე, როგორც უაღრესად ჭკვიანი, არ იტყოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მკვდრებისათვის არ არის საჭირო, რომ მთელი ჩვენი ჯონება და ფიჭვი იმათკენ გვეკვიროს, როდესაც ჩვენი დახმარება მახლობლებისათვის არის საჭიროო. ჩემთვის არ არის საჭირო, ყოველ წუთს მახსოვდეს, რომ იესო ქრისტე აღადგენდა მიცვალებულებს. ეს მცნება ჩემგან ძალიან შორსაა და არც არის გასაგები, მაგრამ როდესაც იესო გვასწავლის მოყვანისათვის თავისდადებებს, ეს გასაგებია, და ეს უნდა გვახსოვდეს მთელი არსებით ყველასო და სხე.

ილია რომ წავიდა, ილიყო ისევ შემოვიდა ჩვენთან, მაგრამ აღარ დარჩა და ისევ ჩქარა გავიდა. მან შემდეგში მითხრა, რომ ილია ჭავჭავაძის ლაპარაკის შემდეგ ბელოკერის და იმ ქალის სანტიმენტალური კრუსუნის მოსმენა აღარ შემეძლოო.

პეტრე ნაკაშიძე და მისი მეუღლე ყოველთვის თანაუგრძნობდნენ ილია ჭავჭავაძეს. ილია, პ. ნაკაშიძე და ილია ლაზარეს-ძე ოქრომჭედლიშვილი<sup>1)</sup> დიდი მეგობრები იყვნენ ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან და ერთად ოცნებობდნენ თურმე საქართველოს კეთილდღეობისათვის. განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდნენ ისინი, ოქრომჭედლიშვილის სიტყვით, მრეწველობისა და მეურნეობის განვითარების ნაკლებობას საქართველოში და უნდოდათ ამ საქმისათვის მოეკიდათ ხელი. პირველად იმათი მუშაობა საქართველოში გამოისახა ბატონყმობის განთავისუფლების საქმეში. ჭავჭავაძეც და ნაკაშიძეც იყვნენ მომრიგებელ შუამავლებად. შემდეგ ნაკაშიძე არჩეულ იქნა მაზრის, მერმე კი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალად. გარდაცვალების წინა წლებში მას მიეცა საშუალება მრეწველობისათვის მოეკიდა ხელი და 1890 წლიდან აწარმოებდა გურიისი ნავ-

1) ილია ლაზარეს-ძე ოქრომჭედლიშვილი — მოსკოვის ლაზარეის ინსტიტუტის პროფესორი. ცნობილია თავის წერილებით მაშინდელ ქართულ პერიოდულ გამოცემებში. მისი საფასურით გამოიცა ბევრა ქართული წიგნი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტერატურის აღორძინების საქმეში. მან გამოისცა აგრეთვე პროფესორ ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონი.

გარდაიცვალა 1898 წ. დასაფლავებულია დიდუბას პანთონში.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა მის მოღვაწეობას, ეს სწამს იმ ნეკროლოგშიაც, რომელიც მოათავსა მან გაზ. „ვერიაში“.

თის საბადოების აღმოჩენის საქმეს, რასაც მოანდომა თიბუქის ქოველი თავისი ქონება. სწორედ იქ, გურიაში, ვაცოვდა და შემდეგ ფილტვებს ანთებით გარდაიცვალა.

შეტრე ნაკაშიძე დიდი ენტუზიასტი იყო და სწამდა, რომ მისი მდიდარი ნაეთის საბადოებია და დიდი მომავალი აქვსო.

ილია ლაზარეს-ძე ოქრომჭედლიშვილი და მისი მეუღლე ხშირად დადიოდნენ ჩვენსას. მე მიყვარდა ოქრომჭედლიშვილის სასიამოვნო ხმით დამწვიდებული, საქმიანი ლაპარაკი ლიტერატურაზე, საზოგადოდ ზელოვნებასა და მრეწველობაზე. მას სამტრედიის კქონდა ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ტყის ნაწარმი ჩამოქონდა სვანეთიდან. მისი მეუღლე კლავდია ივანეს-ასული, ჩემი მეუღლის დედის დიდი მეგობარი, მოსკოველი მდიდარი ვაჭარი მახალოვის ქალი იყო და ეს აძლევდა საშუალებას ოქრომჭედლიშვილს გაეფართოებინა თავის საქმე. საუცხოვო ბიბლიოთეკა ქონდა და სხვადასხვა ქვეყნის ხელოვან-მხატვართა შემოქმედება ამშვენებდა მისი დიდი ბინის ნათელ კედლებს. ოქრომჭედლიშვილი ხშირად ლაპარაკობდა ილიას შესახებ დიდი სიყვარულით. ამბობდა, — ილია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ, ქართველები ასიწლით დაქვეითებული ვიქნებოდითო. არ არის არც ერთი დარგი ქართული საქმიანობის დასაწყისისა, რომ ილიას არ ეფიჭოს, არ ეზრუნოს იმის შესახებო. ჩვენ ყველანი მას მიეყვებითო.

1895 წ. მე მომეცა ბედნიერი შემთხვევა მენახა ილია ჭავჭავაძე.

სასახლის (ახლა კომინტერნის) ტუჩაზე მივდიოდი. დავინახე, ხალხი მორბის და მწკრივდება სასტუმრო „სევერნიე ნომერას“ წინ. გოლოვინის პროსპექტიდან კი მოისმოდა: „ურა“, „ვაშა“, „გაუმარჯოს სამ პოეტს!“

მეც შეეჩერდი სხვებთან ერთად კუთხეში, სადაც სურათების გამოფენა იწყება.

— ქაშვეთიდან მოდიან! — იძახოდნენ ხალხში.

— ვაშა!

— გაუმარჯოს რაფიელ ერისთავს!

— შეხედეთ, შეხედეთ, როგორ სხედან? — სთქვა ვიღაცამ.

ხალხი ფეხდაფეხ მისდევდა მომავალ ეტლს, რომელშიაც იჯდა სამი კაცი, ერთი უკანა ადგილას სავარძელში და ორი წინ სკამზე.

— თურმე ილია და აკაკი ერთმანეთს უთმობდნენ ადგილს რაფიელის გვერდით და ორივენი კი წინ დასხდნენო, — ამბობდა ვიღაც.

აკაკი იჯდა იქითა მხარეს, უჭუდოდ, შავ ტანისამოსში, მომცინარე მწვენიერი სახით და თავს უკრავდა ყველას. ჩემ მხარეს იჯდა ილია მონაცრისფრო პალტოთი, ამავე ფერის „კატელოკი“ ქუდი ეხურა და პაპიროსს ეწეოდა.

რაფიელი აქეთ-იქით იყურებოდა, არ ვიცი რატომ, და ცოტა არ იყოს შემკრთალი მეჩვენა.

— რაფიელ ერისთავის იუბილეა...

— ქაშვეთში პარაკლისზე იყენენ, იქიდან მოდიან.

— თეატრში მიდიან! — ისმოდა ხალხში.



ხალხი ერთბაშად ბლომად შექუჩდა.

ეტლმა გაიარა. ჩვენც გამოვედევნეთ, მაგრამ როდესაც თეატრის შესავალთან მივედით, ისინი უკვე გადმოსულიყვნენ ეტლიდან და უკვე თეატრში შესულიყვნენ. მხოლოდ თვალი მოგვყარი ჭავჭავაძის მხრისკენსაველ კარებში.

ახლაც მახსოვს ილია ჭავჭავაძის მაშინდელი დამშვიდებული, ოღონდ გაღიმებული მშვენიერი სახე. ასეთი დარჩა ჩემს მოგონებაში.

ამავე შემოდგომაზე ისევ ვნახე ილია. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ასე სასიამოვნოდ არ დამრჩა ეს ნახვა, როგორც რაფიელთან და აკაკისთან ერთად რომ იჯდა, მაგრამ მაინც მინდა აეწერო, როგორ და რა გარემოებაში მოხდა ეს.

ბანკის კრებები იყო. მთელი ქართველი საზოგადოება ორ ბანაკად იყო გაყოფილი, ჭავჭავაძისტებად და მაჩაბლისტებად. კრებები ხდებოდა კვირაობით, რომ ყველას ჰქონოდა დასწრების საშუალება.

აუარებელი ანეკდოტები და მითქმა-მოთქმა დადიოდა ხალხში. ამ კრებებზე ბეჯითად დადიოდა ილიკოს ძმა კოლია ნაკაშიძე და ყოველთვის რაიმე სასაცილოს ვგვიამბობდა. მას ძალიან ეხერხებოდა ანეკდოტების თქმა. გვიამბო, რომ არჩევნებისათვის მთელი კახეთის და ქართლის თავდაზნაურობა ჩამოვიდაო. ჭავჭავაძის მომხრე კახელები სასტუმრო „კავკაზში“ ცხოვრობენ და ყოველდღე იქ ქეიფობენ, მაჩაბლის მომხრე ქართლები კი — „ვეტცელის“ სასტუმროში. ორივენი — ილია ჭავჭავაძეც და ეანო მაჩაბელიც — ცდილობენ კარგი მასპინძლობა გასწიონ, მაგრამ ჭავჭავაძე სჯობნისო. და გუშინ ამან ძალიან გააგულისა კოლა ორბელიანი — მაჩაბლის მომხრე — და თურმე დიდი ოინი მოუწყო ილია ჭავჭავაძეს. ილიამ გააგზავნა თურმე მზარეული, ზუთხი იყიდე უთუოდ, სადაც არ იყოს, გააჩინეო. მზარეული წასულა და ერთი ვეებერთელა ზუთხი უნახავს და ევაჭრება თურმე.

მაჩაბლის მზარეულს კი ჰქონდა თურმე დაბარებული, რაც ჭავჭავაძის მზარეულმა იყიდოს, შენც სწორედ ისეთი იყიდეო. მაჩაბლის მზარეულს დაუნახავს, რომ ერთი ზუთხია მთელ ბაზარში და იმასაც ჭავჭავაძის მზარეული ყიდულობს. კოლა ორბელიანისათვის შეუჩივლია, რა გქნა, მეტი ზუთხი არ არის და იმასაც ჭავჭავაძის მზარეული ყიდულობსო.

კოლა ორბელიანს უთქვამს, — არა უშავს, იმ ზუთხსს დღეს ჩვენ შევსკამთო, დაუძახა თავის ძაღლს, — პილ-პილი! — შესძახა და მიუსია ჭავჭავაძის მზარეულს თავისი ვეება ძაღლი. ძაღლი მივარდა და თურმე მზარზე შეახტა ჭავჭავაძის მზარეულს. მზარეული დაფრთხა და გაიქცა. ამ დროს იყიდა მაჩაბლის მზარეულმა ზუთხი და წამოიღოო. თვითონ კოლა კი სიცილით კვდებოდაო.

ერთხელ კოლიამ გვიამბო კრებაზე მომხდარი „მართალი“ ამბავი. გენერალ ამილახვარს არ მოეწონა რაღაც შენიშვნა გენერალ ამირეჯიბისა, რომელიც მის ახლოს, ერთი რიგით წინ იჯდა. ადგა და მკაცრად უთხრა გენერალ ამირეჯიბს: — კნიაზ მიხეილ, ადგიტო, მოიფიქრეთ და თქვენს სიტყვები უკან წაიღეთო.

გენერალი ამირეჯიბი ადგა, ცოტა ხანს სდუმდა და უპასუხა:

— იი, ავდეკი, მოვიფიქრე და ჩემი სიტყვები უკან არ მიმაქვსო, — და დაჯდა.

ამილახვარი ისევ ადგა და უთხრა:

— კნიაზ მიხეილ, ადექით, მოვიფიქრეთ და წაიღეთ თქვენი სიტყვები უკანო.

ამირეჯიბი ადგა. ცოტა ხანს ჩუმად იყო და უპასუხა:

— აი, კნიაზ, ავდექი, მოვიფიქრე და ჩემი სიტყვა უკან არ მიმაქვსო, — და ისევ დაჯდა.

ხალხი დაძაბული უსმენდა, თუ რა მოხდებოდა ამ ორ გენერალს შორის. და აი ამილახვარი ისევ ადგა და უფრო მკაცრად მიმართა:

— კნიაზ მიხეილ, გუუბნები, ადექით, მოვიფიქრეთ და წაიღეთ უკან თქვენი სიტყვებიო.

— აი, ავდექი, მოვიფიქრე და არ მიმაქვს უკან ჩემი სიტყვებიო, — იყო ისევ დამშვიდებული პასუხი.

— არ მიგაქვთ?

— არ მიმაქვს!

ახლა ორივე გენერალი ამდგარი იყო. ხალხიც ადგა, ლოყებში ქალები შეშფოთდნენ. კოლა ორბელიანი წინა რიგიდან მათკენ წამოვიდა. ჩოხოსანი ქართლელები და ყურთშაჯიანი კახელები შიშმედ წამოიწიენ თავიანთ ადგილებიდან.

— არ მიგაქვთ?

— არ მიმაქვს!

— არა?..

— არა!..

— შენი ნებაა! — სთქვა უცებ ამილახვარმა, ბაკენბარდებზე ხელი ჩამოსვა და დაჯდა. ამირეჯიბიც დამშვიდებით დაჯდა.

ხალხი კი... მაგრამ სიცილი ჩვენც აგვიტყდა...

ერთხელ ასეთი რამ გვიამბო: ...მაჩაბელი ისე ღელავს, რომ აღარაფერი არ ახსოვს. ბანკში ილიასათვის საუზმედ ყოველთვის ჩაი და ორი „პირაეოკი“ მიაქვთ ხოლმე. გუშინ მთელი ბანკის ხალხი იცინოდა მაჩაბლის საქციელზე. თურმე ილიას წინ დგას ჩაი და ეს ორი პირაეოკი. ის კი ზის და, როგორც ყოველთვის, დინჯად სწერს რაღაცას. მაჩაბელი კი დარბის წინ და უკან ოთახში და აღელვებული ედავება ბანკის მეორე დირექტორს. ამ სირბილში წამოუსვა ხელი ილიას პირაეოკს და შესჭამა. სიარულს და დავას კი ისევ განაგრძობს, ერთი პირაეოკი რომ გაათავა, ახლა მეორეს წაავლო ხელი და ისიც მიირთვა. ილია სდუმდა და სწერდა. და როცა დაინახა, რომ მეორე პირაეოკიც შეჭამა მაჩაბელმა, თავი ნელა ასწია, ნელა დარეკა და როდესაც დარაჯი შემოვიდა, ნელადვე უთხრა.

— აჰა, ფული, ორი პირაეოკი მიყიდე და მომიტანეო.

— ბატონო აკი... — სთქვა დარაჯმა და შეხედა თურმე მაჩაბელს. მაჩაბელმა ახლა შეამჩნია, რომ შეუჭამია თავის მტრის პირაეოკები, შერცხვა და ტყვიასავით გაგარდა გარეთ.

იმანვე გვიამბო, თუ როგორ მიდიოდა ილია „ფრეილინის“ ქუჩაზე თავის ამრჩეულებთან ერთად სიგარის წვეით და როგორ დაინახა პატარა ბიჭუნა, რომელიც ცდილობდა როგორმე მისწვდომოდა დიდი სახლის შესასვლელ კარების ზარს და დაერეკა. ილიამ მოინდომა დახმარება; აიყვანა ბიჭუნა და როდესაც ბიჭმა დარეკა, ჩამოსვა ძირს და ჰკითხა:

— აბა, ახლა რაო, ბიჭიკო?

— ახლა ძია, — მიუვო ბიჭმა, — გავიქცეთ, თორემ გეცემენ, ამ გესმის, მოდიან კიბეზე, — და დაუწყო სახელოზე წევა. ილია სანტად დარია. მაგრამ ბიჭი რომ გაიქცა, ამრჩეველებთან ერთად სიცილი წაქეციდა. თორემ და როდესაც კარი გააღეს, ბოდიშის მოხდა დასჭირდა.

და სხვა ათასი ამგვარი ანეკდოტები დადიოდა ხალხში.

სადაც უნდა წასულიყავით, ვინც უნდა მოსულიყო, ყველას ბანკის ამბები ეკერა პირზე. ილიას მომხრეები ალტაცებული იყვნენ მისი ლოგიკით, მჭერმეტყველობით, სიდინჯით. ამბობდნენ, სულ ურტყამს მაჩაბელს, მიწასთან ასწორებს, სად შეუძლია მაჩაბელს გაუწიოს მეტოქეობაო.

მე უფრო ილიას მომხრე საზოგადოებაში ვტრიალებდი. ბანკის კრებებში არ მაინტერესებდა, მაგრამ გადავწყვიტე წავსულიყავი.

წავედი.

სწორედ იმ კრებაზე მოხვდი, რომელიც მანსვეტაშვილს აქვს აწერილი თავის მოგონებაში, მაგრამ მე ცოტა სხვანაირად მახსოვს. და ამიტომ მინდა აქ მოვიყვანო.

რომ შევედი, სხდომა უკვე დაწყებული იყო. ეს იყო ქართული თეატრის შენობაში, სადაც ახლა გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრია. მთელი თეატრი: ლოკები, ქანდარა გაშვდილი იყო ხალხით. მე და ანდრონიკაშვილის მეუღლე ერთად შევედით და დავსხედით პარტერში. ანდრონიკაშვილი დაჯდა წინა რიგში, მე — უკან ერთი ქალარაშერეული სიმპატიური ქალის გვერდით.

სცენაზე ბანკის გამგეობა იჯდა. პარტერიდან მარცხენა სცენის პირას იდგა დიმიტრი ჩოლოყაშვილი კამერგერის ბრწყინვალე ტანისამოსში გამოწყობილი და ლაპარაკობდა, ცივად, მკაფიოდ და უშიშოვოდ. კარგა ხანს ილაპარაკა, არკვევდა საკითხს, თუ საით სჯობია გაიაროს კახეთის რკინიგზამ ჩალიანზე თუ შაშიანზე. კარგად არ მახსოვს, რომელს აძლევდა უპირატესობას, მაგრამ, მგონია, ამტკიცებდა ჩალიანზე სჯობია გაიაროს, რადგანაც უფრო მჭიდროდ არის ხალხით დასახლებულიო. კახელების ბეგრი რეპლიკა გამოიწვია მისმა სიტყვამ. «რასაკვირველია, შენ ვინდა იქით გაიაროს, სადაც შენი მამულიაო», — ყველაფერი შენ ხომ არ უნდა ჩაიგდო ხელში?». «კახეთი შენთვის გააჩინა, გგონია, ღმერთმაო» და სხვ.

დიმიტრი ჩოლოყაშვილს ვიცნობდი უწინ. ხშირად დადიოდა ნაკაშიძეების ოჯახში, ძალიან ხუმარა კაცი იყო. ჩვენები მას ინგლისელს ეძახდნენ. იტყოდა რამ სასაცილოს, ყველას გაგვეცინებოდა და თვითონ დიმიტრი, მიტია, როგორც მას ეძახდნენ ჩვენს ოჯახში, იჯდა სერიოზულად ვითომც აქ არაფერი ამბავიაო. ახლა კი ამ ოქროს ბრწყინვალე ტანისამოსში გამოწყობილი, დიდებული შესახედაობით, მაკვირებდა, მეუცხოვებოდა და მწყინდა, რომ ვნახე. როგორც შევატყე, არავისზე არ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება.

ჩოლოყაშვილის შემდეგ ცოტა ხანს ილაპარაკა ბანკის დირექტორმა ავალიშვილმა. შემდეგ გამოვიდა შავგვრემანი, სიმპატიური კაცი. პარტერში მარცხნივ და ქანდარაზე ატყდა ტაშის ცემა.

— აი ეს არის ივანე მაჩაბელი. — მითხრა ანდრონიკაშვილმა. მაჩაბელმა ილაპარაკა დიდხანს. მისი ხმა გულს ხვდებოდა. გულის ტკივილი ისმოდა მის ადრეულ ხმაში და მიხერა-მოხერაში. ლაპარაკობდა ისე, თითქოს აუცილებლობა მოითხოვდა, რომ სიმართლე ეთქვა. უბრალოდ და

დინჯად დალაგებული არ იყო მისი სიტყვა. მე ახლა არ მახსოვს სიტყვა-სიტყვით მისი გრძელი სიტყვა, მაგრამ მახსოვს ლაპარაკობდა, როგორ უქანუქან პიდის ბანკის საქმეები ხელმძღვანელობის დაუდევრობით. რომ ის ვერაფერს გახდა თავმჯდომარესთან. მოიყვანა შავალბინო და ხელისშემშლელი მიზეზებიც. ჩემი აზრით მან ორ საათზე მეტ ხანს ილაპარაკა. ამ ლაპარაკის დროს ბევრჯერ შეაწყვეტინეს სხვადასხვა უკადროსი რეპლიკებით, მაგრამ იყო ტაშიც. ჩემს გვერდზე მჯდომი ქალიც დედა და არაფერში არ ეთანხმებოდა მოლაპარაკეს. ერთხელ კიდევაც მომმართა, როდესაც ხალხიც დედავდა და თავმჯდომარის ზარიც ძალზე რეკდა.

— ხედავთ, რას მიეღებმოეღება? ქვეყანაზე უშლის თურმე ხელს, ქვეყანაზე... ილია...

— შერე რაა? — ვუთხარი მე. — ხედავთ რა გულის ტკივილით ლაპარაკობს, რაღაც სიმართლე ისმის მის ხმაში, იქნება უშლის...

— ეინ, ილია უშლის?

ლაპარაკი არ შეიძლებოდა, რადგანაც ხალხი ბოლოს დააწყნარა თავმჯდომარის მრისხანე ხმამ და ზარმა.

გამოვიდა ილია.

ტაშმა იგრიალა. ქანდარა და უმცირესობა უსტევენდა. ილია გამოვიდა დინჯად, — დაუცადა ხალხის დაწყნარებას და აუჩქარებლად დაიწყო:

— ბატონებო, მე მინდა პასუხი გაცეც ბატონ ივანე მაჩაბელს, მაგრამ სწორედ არ ვიცი, საიდან დავიწყო. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენი ბანკის შენობიდან ამ შენობამდის, ბალით ოციოდ ნაბიჯი არის. ბევრი-ბევრი ოცდახუთი ნაბიჯი იყოს, მეტი არა, — და რა პასუხი უნდა ვასცე იმ კაცს, რომელიც ოც, ოცდახუთ ნაბიჯზე ამბავს ვერ გამოიტანს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ყველა იმ საკითხებზე, რაც აქ თვითონ მაჩაბელმა ილაპარაკა, ჩვენ სანამ კრებას ვაგვხსნიდით, გეტოლბა ბჭობა და ყველა საკითხები კრიტიკის ქარცეცხლში ვავატარეთ. ყველა მისი საბუთები უსაფუძვლო და უნიადაგო გამოდგა და ყველა საკითხებში გამტყუნდა. თითქოს მანაც შეიგნო თავისი შეცდომა, მაგრამ ივანე მაჩაბელი რის ივანე მაჩაბელი იქნება, რომ საბუთი საბუთად იცნოს და გაჩუმდეს. არა, ის მაინც თავისას გაიძახის.

ბატონებო, რუსებს ერთი სათამაშო აქვთ, რამდენიც უნდა წაართვათ თავში ამ სათამაშოს, დაეცემა, მაგრამ ისევ სწრაფად წამოხტება. რუსები ამ სათამაშოს ვანკა ესტანკას (ადგა ბიჭო) ეძახიან. ბატონი ივანე მაჩაბელი სწორედ ამ სათამაშოს ჰგავს, რამდენიც არ უნდა წაჰკრათ თავში, წააჭციოთ, დაუმტკიცოთ მტყუნი რომ არის, ის მაინც წამოხტება და თავისას გაიძახის. და რა ფიზიკურ საფუძველზეა აგებული ეს სათამაშო ეს ყველადათვის ცხადია. თავი ცარიელი აქვს და ძირში კი ტყვია აქვს ჩასმული....

ასტყდა საშინელი აურზაური. ყვირილი, ტაში, სტვენა, სიცილ-ხარხარი, სკამების ბრახუნი, ზარის წკრიალი, ხალხი წამოცვიდა ადგილებიდან. სტენაზე წამოცვიდა გამგობა. მაჩაბელი დედავდა და ცდილობდა რამე ეთქვა. მაგრამ შეუძლებელი იყო. ილია კი იდგა დინჯად თავის ადგილას და ელოდა ხალხის დაწყნარებას, რომ განეგრძო ლაპარაკი.

ბოლოს თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა. ხალხი მაინც ვერ სცხრებოდა დიდხანს.

ჩემს გვერდში მჯდომი სიმპატიური ქალი ალტაცებდლი ილიას მოსწრებელი პასუხით.

მე კი აღმავფოთა ილიას პასუხმა. ჩემი აღშფოთებამ შეგვექმნა იარე ანდრონიკაშვილს.

როგორ იკადრა ილიამ ამისთანა ტლანქი პასუხი, ნუ თუ შეიძლება კაცის ისე აბუჩად ავღება-მეთქი. არ მოველოდი ამას ილიასაგან, ეს არ იყო სერიოზული პასუხი გულწრფელად მოლაპარაკე მაჩაბლის მიმართ მეთქი...

ჩემ გვერდით მჯდომი ქალი უცებ მოტრიალდა ჩემკენ:

— თქვენ ქალბატონო, — მითხრა მან, — უთუოდ იმერეთიდან ჩამოსულხართ გუშინ, თორემ გეცოდინებათ, რომ ილიამ სერიოზული პასუხიც იცის, მაგრამ მაჩაბელს სწორედ მაგისთანა პასუხი ჩააჩუქებს.

ეს იმერლების ხსენება შეურაცხყოფად მივიდე, წამოვხტი და სწრაფად მოვეწორდი იმ ქალს, რომელიც თურმე ჩვენი საყვარელი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი იყო, ილიას დიდი თაყვანისმცემელი.

შემდეგ ბანკის კრებაზე აღარ წავსულვარ. ეს ერთი დღე კი ჩამრჩა გულში, როგორც არასასიამოვნო მოგონება ორი დიდი მწერლის შესახებ.

1895 წლიდან ჩემი მეუღლე ჩაება დუხობორების დახმარების საქმეში, ლევ ტოლსტოისთან და მის მეგობრებთან მიწერ-მოწერაში, მეც ნაწილობრივ ვეხმარებოდი, მაგრამ ჩემს ენერგიას სხვა საზოგადო საქმეებს ვანდომებდი.

1897 წელს ჩემი მეუღლე დუხობორების საქმის გამო გადაასახლეს ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან. ჩვენ გადავსახლდით მოსკოვში.

მოსკოვის პერიოც უღდად მოქმედობდა ჩემზე, და ამიტომ მხოლოდ შემოდგომასა და გაზაფხულს ვატარებდი იქ. ზამთარში და ზაფხულში ისევ ჩამოვდიოდი საქართველოში.

1900 წლის ზაფხული ბახმაროზე გავატარე. ბახმარო არ წარმოადგენდა მაშინ ისეთ სააგარაკო კეთილმოწყობილ კურორტს, როგორიც ახლაა. მაშინ, ვინც მიდიოდა, თან უნდა წავლო მთელი სეზონისთვის საკმაო საწოვადე, ქვეშსაგები და ყველაფერი, რაც მას დასჭირდებოდა თვენახევრის თუ ორი თვის განმავლობაში.

ბახმარო წარმოადგენს ფიჭვებით დაბურულ მთებშუა მწვანე დაფაკებას, ერთ მხარეს დაფერდებულს. მთელი დაფაკება ოდებით იყო მაშინ შექუტყული და მზით გაშუქებული. დაფაკება ეშვება პატარა ჩქრილა, სწრაფ მდინარე ბახვისწყლის პირას. კამკამა ბახვის წყალში ცქვიტი პრელურელი პატარა-პატარა კალმახები დასცურავდნენ, ვალმა კი გაშლილი მწვანე ხევრდოვანი მინდორი. ბახვისწყალი ვერცხლის ზოლივით სჭრის მინდორს და უელის გარს, ერთგული დარაჯებივით თვალწვდენ ფიჭვებით გარშემორტყმულ ბახმაროს. ფიჭვებს გარდა ბახმაროს დარაჯობენ მთა-გორები, რასაკვირველია, წიწვიანი ტყეებით შემოსილი და ცივ ნიაფს არ აკარებენ მზიურ ბახმაროს. ზევიდან ამაყად გადმოსცქერის ზაფხულობითაც თოვლით თავდაბურული თხელი გამჭვირვალე ნისლით შებურვილი მთა ქალარა საყორნია. მზე აელვარებს მის ამაყ მწვერვალს. მზე აშუქებს ციდან სიზმარივით მშვენიერს ბახმაროს და ავსებს მთელ არემარეს ფიჭვის საამო სურნელებით.

მზიან დარში ვინ დაჯდება „ოლაში“, ყველა სეირნობს ფიქვებში და ყვავილებით ამოქარგულ მთის მინდვრებში. და ჩვენც გამოვდით ნასეირნოდ. გავიარეთ ხიდი ბახვისწყალზე და ავედით ფიქვებზე. უცებ მოიღრუბლა, ჩამობნელდა, ელვა გაიკლაკნა ცის კიდურზე და გვიჩვენა მუხი. ჩვენ გვინდოდა შინისაკენ გამობრუნება, მაგრამ საშინელ გრუნუნს და ელვას მოჰყვა წვიმის მსხვილი წვეთები. ბინა შორს იყო და მივაშურეთ ესკია ნაკაშიძის სახლს.

ესკია ნაკაშიძე იყო გურული მემამულე, ერთი პირველი მოაგარავე ბახმაროზე. ეწეოდა უბრალო ცხოვრებას და შესაჭონლეობას. მთებზე ყავდა საძოვრად თავისი საქონელი.

ესკია ნაკაშიძე სცხოვრობდა ტყის პირად ფიქვებში. მიწური ოთხკუთხი სახლი ჰქონდა. ამ სახლის ყვერით დახურული სახურავი ისე იყო გაკეთებული ოთხ სახელურზე, რომ შეიძლებოდა ჩამოღება. ყოველ დღით ჩამოიღებდნენ და მთელი დღე სახლი ახლილი იყო. სადამოს და წვიმის დროს ახურავდნენ. ჩვენ რომ მივედით, ესკიამ და ორმა მეჯოგემ უკვე დაახურეს სახურავი და წვიმას ზედ ხმაური გაჰქონდა. ჩვენს შესვლისთანავე მასპინძელიც შემოვიდა. სახლში სხვა სტუმრებიც ისხდნენ, ჩვენსათვის შესაყურდრებლად მოსული, ნინო შარაშიძე<sup>1)</sup> და სტუდენტი ბებური-შვილი. შუაში მშვენიერი სურნელოვანი კვარის ცეცხლი გუზგუზებდა.

<sup>1)</sup> ნინო ათანასეს ასული შარაშიძე (1856 — 1945). პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თავის მამის ათანასე ჭიჭიძისაგან. შემდეგ კი განათლების მისაღებად ნინო წაბარეს ქუთაისში რუსის ოჯახში, რომელიც გადავიდა საცხოვრებლად ჭ. ოფსანი და ნინოც თან წიფებოდა. 16 წლის ნინომ დაამთავრა შინაური განათლება და მისი ბიძის — ეპისკოპოსის ვაზრეილის — სურვილის თანახმად მისთხოვდა ცნობილ მოღვაწეს და პედაგოგს გერასიმე კალინდარიშვილს. კალინდარიშვილი გარდაიცვალა 1875 წ. და ნინო 19 წლის ქვრივი გაემგზავრა ახალციხეს თავის მეგობარ ქალ ანა მუსხელიშვილთან და იქ ორივემ დააარსეს ქალთა ქართული სკოლა, სადაც თვითონვე მასწავლებლობდნენ.

სამოკლავითი წლებში ვაზრეილ ეპისკოპოსმა თავის სამშობლო სოფ. ზაბეში თავისი ბარჯით დააარსა პირველდაწყებითი სკოლა და ნინო მიიწვია ამ სკოლაში მასწავლებლად.

1879 წ. ნინო მეორედ გათხოვდა. გაჰყვა მეუღლედ ამ სკოლის გამგეს გიგო შარაშიძეს, რომელთანაც ერთად 30 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა თავის სამშობლო სოფელში. ცოლქმარი ნინო და გიგო, გარდა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისა მოღვაწეობდნენ ხალხში სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართოდ გავრცელებისათვის.

აღსანიშნავია ნინოს დამსახურება რაციონალური მეაბრეშუმეობის გავრცელების საქმეში. მან ზაბეში თავის მეუღლესთან ერთად თავის სახლში მოაწყო სააბრეშუმო სადგური, სადაც პრაქტიკულად სწავლობდნენ მეაბრეშუმეობას გურიის სხვადასხვა კუთხიდან მოსული ქალები. ნინოს პოპულარული ბროშურა „აბრეშუმის კიბის მოვლა“ მრავალჯერ გამოიცა და ფართოდ გრცელდებოდა ხალხში. ნინო ახალგაზრდობიდანვე თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში, ათავსებდა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წერილებს და კორესპონდენციებს. თანამშრომლობდა ეურნალ „ჯიჯილას“ და „ნაკადულში“.

აღსანიშნავია ნინოს მიერ თარგმნილი ოქტავ ნიროს პიესა „ეან და მადლენა“ და 1938 წ. გამოცემული ორიგინალური ნაშრომი „პასტერის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

1925 წ. ნინო და გიგო შარაშიძეებს ჭ. მახარაძეში ვანსპეკომმა გაუმართა 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. მთელმა გურიამ მიიღო მსურველ მონაწილეობა ამ დღესასწაულში.

გიგო შარაშიძე გარდაიცვალა 1933 წ. ნინო ამავე წელსვე ვადმოსახლდა თბილისში. ნინო დაიბადა 1856 წ. გარდაიცვალა 1945 წ.

ესიკამ მაშინვე განკარგულება მოახდინა და ჯაჭვზე ილარჯი შემოაკი-  
დეს. ელვა-ჭექისაგან მთელი ბახმარო ზანზარებდა, თითქოს ინტონაცია. ის-  
მოდა ხეების ქახუნბი. სადღაც მეზი გასკდა, დაირტერა და წყნად დგარტქა-  
ფად წაშოვიდა. ამისთანა წვიმაზე გურიისი ამბობენ ცეცხლმარჯობისო.  
ვიღაცამ დაიყვირა, გაღმა ტყეში, ზოტიველს ზემოდ, მეზი ჩამოვარდა,  
უშველებელი ზე გახეთქა და ტყეს ცეცხლი გაუჩნდაო. ჩვენც ვისხედით ჩუ-  
მად, უხმოდ, თითქოს ლაპარაკის უნარი დავკარგეთ. მეჯოგეები პირჯვარს  
იწერდნენ.

— ნუ გეშინიათ, ბატონო, ახლაც გამოიღარებს, — მოგვმართეს იმათ—  
მთაში ასე იცისო.

— თქვენ რა გიჭირთ, ბიძია, პირჯვარის წერა იცით და არხეინად ხართ.  
ამათ დააეიწყდათ პირჯვარის წერა.

მწყემსებმა როგორღაც აღმაცერად შემოგვხედეს.

— თათრები ხომ არ ბრძანდებიან, ბატონო?

— თათრები არა, ინტელიგენციაა, — გაიცინა ესიკამ.

— ინტ-ინტ-ინტ, — ველარ დაათავეს სიტყვა.

წვიმამ, როგორც დაიწყო, ისევე უცებ იკლო, გამოიღარა და ხეების  
წიწვებზე მსხვილი, კრიალა წვეთები დაეკიდა. ნისლი აიკრიფა და თეთრი  
ღრუბლების მთელი მთები შემოეხვია საყორნიას და სქლად ჩაწვა ხეებში,  
რუხი ღრუბლები მიეჭანებოდნენ ცის კიდურისაკენ. მზემ გამოაშუქა და  
ირგვლივ ყველაფერი გააბრიალა და გაახალისა.

წინ დაგვიდგეს ორი გურული სუფრა, ზედ დაალაგეს ილარჯი, მაწონი,  
რძიანი სულგუნები. გაემხიარულდით და აელაპარაკდით.

— შენთან მოვდიოდით ახლა და გზაში ეს საშინელი წვიმა მოგვეწია, —  
მითხრა ნინო შარაშიძემ. — მე და ეს ყმაწვილი დაბეჯითებით გთხოვთ,  
მიიღო მონაწილეობა იმ სპექტაკლში, რომელიც ამ ყმაწვილის სასარგებ-  
ლოდ უნდა დაიდგას.

— რას ბრძანებთ, — ვუთხარი მე, — აბა, მე როგორ შემიძლია „დედა  
და შვილში“ დედის როლის თამაში. ისეთი დრამატული როლია, ერთი და  
მეორე...

— ჯერ შენ ერთი არ დაგისაბუთებია და მეორეს თქმა დაიცადე.

— როგორ არ დამისაბუთებია, ამას რაღა დასაბუთება უნდა. ეს როლი  
გამოცდილმა მსახიობმა უნდა ითამაშოს და აბა მე სადაური გამოცდილი  
მსახიობი ვარ და მეორეც...

— არა, მეორე მოიცადე, შენ ეს მითხარი, სცადე ამ როლის თამაში?

— არა, მე მართალია ერთხელ ვითამაშე „გლაზა ჭრიაშვილში“ ქვრივის  
როლი, მაგრამ დედისა და ქვრივის როლის განსახიერებაში დიდი განსხვა-  
ებებაა და მეორეც.

— კიდევ გამეორებ, მეორეს ჯერ ნუ ამბობ, რა განქარებს, ჯერ სცადე  
მაგ როლის შესრულება, იქნებ შესძლო...

— დიად, სცადეთ — მითხრა ახალგაზრდა ბებურიშვილმა, — მე შვილის  
როლს ვითამაშობ. ერთხელ ვითამაშე მე ეს როლი და მგონია, კარგად გა-  
მოვიდა. უნდა გითხრათ, ეს როლი ისე მიყვარს, ასე მგონია, ჩემთვის დას-  
წერა იგი ილია ჭავჭავაძემ.



— აი ხედავ, შენ სცადე — მითხრა ნინომ, — იქნება შენც ამ მშვენილი-  
ვით შეგეფყარდეს დედის როლი, სიმართლე გითხრა, საუცხოველ როლია.  
მე მოვალ რეპეტიციასზე და გეტყვი, ივარგებ თუ არა. თუ არ ივარგებ, ხომ  
იცო, გულახდილად გეტყვი. ხომ შენდობი?..

რაღა მეტყმოდა, შევთანხმდით იმაზე, რომ ნინო მოვიდოდა რეპეტიცია-  
ზე და მეტყოდა, შემეძლებოდა თუ არა ამ როლის თამაში.

— ახლა, აბა, სთქვი მეორე! — მითხრა მან.

— ახლა მეორეს რაღა მნიშვნელობა აქვს?

— რატომ, მეორე თუ ისეთი საბუთი ვაქვს?

— მეორე ისაა, რომ მე ერთხელ მოვისმინე ილია ჭავჭავაძის ლაპარაკი  
და ამ ლაპარაკმა ისე მატყინა გული, რომ მას შემდეგ აღარ მინდა არც  
მისი ნახვა და არა თუ მის პიესებში თამაში, ეცდილობ მისი ნაწერებზე  
არ წაეციოთხო.

— თვითონ ილიას ელაპარაკე?

— არა, ბანკის კრებაზე ვისმენდა, როგორ მწარედ დასცინა მაჩაბელს,  
მაშინ როდესაც ი. ჭავჭავაძე ჩემი აზრით მართალი არ იყო და, მართალიც  
რომ ყოფილიყო, ისე მასხარად აგებდა... — როგორც მახსოვს კარგახანს ვი-  
ლაპარაკე ამ თემაზე.

ნინო დიდი ყურადღებით მისმენდა, შემდეგ ერთხანს სდუმდა. მერე  
ხელზე ხელი მომკიდა და მითხრა:

— შენი აზრით ილია ამ შემთხვევაში არ იყო მართალი?

— რასაკვირველია, არ იყო.

— კიდევ როდის არ იყო მართალი, სხვა დროს მოვისმენია?

— არა, ამ ერთის მეტად არ მომისმენია.

— გიფიქრია შენ იმაზე თუ არა, სხვა შემთხვევაში რამდენჯერ იყო  
მართალი?

მე სახტად დაერჩი ამ კითხვაზე და დაეჩუმდი.

— არა, შენ სთქვი, გიფიქრია თუ არა, რამდენჯერ იყო მართალი?

— არა, არ მიფიქრია.

— აი, მაგალითად „ჩაკო ყაჩაღში“ იყო მართალი? „გლახის ნაამბობ-  
ში“?, „ჩაკია ადამიანში“ არ იყო მართალი? „ანრდილში“, „სარჩობელა-  
ზედ“, „ოთარაანთ ქვრთში“? და ახლა თუ ვინდა ეს პიესა „დედა და შვი-  
ლი“ აიღე, არ არის მართალი? ახლა მისი სტატიები აიღე, მარტო „დიდი  
და პატარა ონაერები“ რად ღირს? და მრავალი სხვ.

შემმრცხვა, დაეჩუმდი, ხმა ვეღარ ამოვიღე.

— აი, ხედავ? — მითხრა მან, — ერთჯერ არ იყო მართალი და შენ სა-  
შვილიშვილოდ დაემდურე, ვერ დაგვიწყებია და იმას კი არ ღებულობ  
მხედველობაში, თუ რამდენჯერ იყო მართალი. იცი შენ თუ არა, — განაგრ-  
ძო მან, — რომ ი. ჭავჭავაძე ჩვენი მოჭირნახულეა. ეს გულში ატარებს ჩვენი  
ქვეყნის ჰირსა და სიხარულს. ავიღოთ მისი ლექსი. ხომ იცი ზეპირად, რა  
დიდი მწუხარების განცდაა შიგ, რომ ჩვენ ქვეყანას ასე დამცირებულს და  
მწუხარეს ხედავს მაგრამ რა დიდი იმედი აქვს ახალგაზრდობის, რომ  
აღადგენს ჩვენი ქვეყნის დიდებას და ეს ატარებს მას:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია? აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩენია. თუმცა ძველნი დაგეშორდნენ, ახალნი ხომ შენთვის მათ ახალთ აღდიდგინონ შენ დიდების დღეზედ“



და მან დინჯად, ოდნავის დეკლამაციით წაიკითხა მთელი ლექსი, ყველა-ნი სულგანაბული ვუსმენდით.

ყველაზე უფრო აღტაცებული იყო ესიკა ნაკაშიძე.

— ბატონო, ამის დამწერს საყორნიაზე უნდა დავედგათ ისეთი დიდი ძეგლი, შავი ზღვიდან რომ გამოიხედავ; დანახო, — სთქვა მან და დაუ-მატა. — თუ საყორნიდან ჩანს შავი ზღვა და ზღვიდან საყორნია, ძეგლის დანახვაც შეიძლება.

ესიკამ სთხოვა ნინოს რაიმე შესაფერი ლექსი ეთქვა მწყემსებისათვის და ნინომ სთქვა ზებირად რამდენიმე ადგილი „კაკო ყაჩაღიდან“.

რამდენიმე ლექსი ხელოვნურად წარმოსთქვა ბებურიშვილმა. ყველას განსაკუთრებით მოეწონა „ბაზალეთის ტბა“. ნინომ აღუხსნა მწყემსებს, თუ ვის გულისხმობდა ილია ბაზალეთის ტბის ძირას ჩადგმულ აკვანში მწო-ლარე ბავშვის სახით.

მეორე დღისათვის დაენიშნეთ რეპეტიცია. ნინო შარაშიძე, რასაკვირვე-ლია, დაგვესწრო და ყველანი ძალიან გაგვაძინვეს.

რამდენიმე დღის შემდეგ დავდგით წარმოდგენა. გაგმართეთ დ. ცეცხლო-ძის სახლის აივანზე. იმდენი ხალხი დაესწრო, რომ აივანი ვერ იტევდა და აივნის გადაღმიდან გვიყურებდნენ დამსწრენი.

უნდა ეთქვა, რომ ბებურიშვილი საუცხოოდ თამაშობდა კიაზოს როლს. მომღერლებიც აღტაცებით მღეროდნენ: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“. მთელი ბახმაროს ახალგაზრდობა ლებულობდა მონაწილეობას ამ სიმღე-რაში.

ფიჭეების უზარმაზარი ჩრდილები, ირგვლივ გოლიათი მთები, მთვარით გაშუქებული ოდები, ეს მომღერალი ხალხის ზეიმი, რომელსაც ბანს აძ-ლევდა ბანგისწყლის ჩქრიალი, — ყველას ავსებდა ილია ჭავჭავაძისადმი სიყვარულით და პატივისცემით. ხალხი არ აპირებდა დაშლას, ისმობდა ლექსების დეკლამაცია, მისი ნაწარმოებების შესახებ ბაასი, ყველა ეს ჰქმნიდა რაღაც არაჩვეულებრივ განწყობილებას, თითქმის ეს სადღაც ზღაპრით საოცნებო ქვეყანაში ხდებოდა, სადაც ყველას გულს ერთი და იგივე სიბარული ახარებდა.

— აი, ხომ ხედავ, — მითხრა ნინომ, — ხალხს უყვარს ილია. მხოლოდ ქა-ლაქის ცხოვრება ჰქმნის მის შესახებ უკმაყოფილებას. ის ახალგაზრდობა, რომლის შესახებაც ილია ფიქრობს, რომ ააშენებს და ააყვავებს ჩვენს ქვეყანას, ის ახალგაზრდობა ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძე ჩამორჩა ცხოვრებას და ებრძვის მას, მაგრამ აქ, ხედავ, როგორ გაერთიანდა ყველა და ეთანხმება მას. დიდი ნებისყოფაა საჭირო, რომ ფეხის ხმას არ აძვეს კაცი.

დიდ ხანს მელაპარაკა ამ საღამოს ნინო, თავის განსაკუთრებულ მანე-რით. მელაპარაკებოდა ისე, როგორც შვიდი წლის ბავშვს, როდესაც მას-

თან ვსწაელობდი ბახვის სკოლაში. ვუსმენდი მას და მიკვირდა ჩემი გონების სიმჩატე. მამშვიდებდა ნინოს ფართო თვალების ნათელი გამოხედვა, მისი გამზღარი სახის ყურება და მისი მსჯელობა. ამ მსჯელებიან სამუდამოდ გაანთავისუფლა ჩემი გული დაღონებული ფიქრებისაგან. ჭავჭავაძის შესახებ და შემოსა იგი პატივისცემისა და სიყვარულის შარავანდელით, მომშორდა ყოველი ეჭვები მის შესახებ და მას შემდეგ ყოველთვის ვეძებდი შემთხვევას მენახა ის პირადად. მაგრამ ისევ გავიდნენ წლები.

მე გამახსენდა ერთი საღამო. როგორც მახსოვს, 1902 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ჩვენთან შეიკრიბნენ ქართველი სტუდენტები: დგებუაძე, რომანიშვილი, კანდელაკი, ჯაფარიძე, ეკ. ანთაძე, მასალკინი და სხვ. იყო პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილიც. ლაპარაკი, როგორც ყოველთვის ჩვენსას, ტოლსტოის შესახებ ჩამოვარდა. ყველა ამტკიცებდა, რომ ტოლსტოის დიდება ურყევია რუსეთში, მისი ლიტერატურული სიდიადე მუდამ ბრწყინვალე იქნება და არასოდეს არ ჩაქრებაო, და გამოსთქვეს მწუხარება, რომ ჩვენ საქართველოში არ მოგვეპოვება ისეთი მწერალი, რომ ჩვენც შეგვეძლოს ვიამაყოთო.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა ჩარეჩიშვილმა, რომელიც ლაპარაკში აქამდე არ ლებულობდა მონაწილეობას, ახლა სთქვა:

— თქვენ ამბობთ, არ მოგვეპოვება ამისთანა მწერალი საქართველოში?

— არა, თუ ღმერთი გწამს რუსთაველზე ნურაფერს იტყვი, — გაისმა ხმები, — რუსთაველი ვიცი!

— არა, მე ვამბობ თანამედროვე მწერალზე.

— ვინ აღმოაჩინე ნეტავი? — გაეცინა ზოგს.

— ვინ აღმოვაჩინე? მე კი არ აღმოვაჩინე, თქვენ ვერ დაინახეთ, — სთქვა მან.

— მაინც ვინ?

— ვინა და ილია ჭავჭავაძე!

ყველა ახმაურდა. ამტკიცებდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ შეედრება ვერც ტოლსტოის, ვერც გოგოლს, ვერც ტურგენევს, რომ ის ბაძავს გოგოლსაც და ტურგენევსაც. თუ შედარებაზე წაეა საქმე, შეიძლება გრიგოროვისს შევადაროთ.

— არა, სწორედ ტოლსტოის უნდა შევადაროთ, — ამბობდა ჩარეჩიშვილი ჯიუტად. — ერთი მითხარით, სად ბაძავს გოგოლს — „კაცია აღამიანს“ თუ გულისხმობთ. მე შემიძლია დაგიმტკიცოთ, რომ იგი არ გავს არც „მკვდარ სულებს“ და არც მანილოვს. დიად, ილია ჭავჭავაძის დიდება, საქართველოში, ისევე ურყევია, როგორც ტოლსტოის დიდება რუსეთში. ი. ჭავჭავაძის შარავანდელი არ ჩაქრება საქართველოში, ისე როგორც არ ჩაქრება რუსეთში ტოლსტოის შარავანდელი.

— ტოლსტოის რა მოგახსენოთ და ჭავჭავაძისა უკვე ქრება, — გაისმა აქა-იქ.

— არაფერიც არ ქრება. — განაგრძო ჩარეჩიშვილმა, — აი, ბატონებო, მე მოვახსენებთ. ამ ზაფხულს თბილისში წიგნის ცენტრალურ მაღაზიაში ვიყავი. შემოვიდა ერთი ჩოხიანი კაცი და ილია ჭავჭავაძის წიგნი მოიკით-

ხა. ამ მაღაზიაში თურმე ჭართელ წიგნს სულ არ ყიდიან, უნდა გენახათ, როგორ გაბრაზდა ჩიხიანი კაცი, როგორ თუ საქართველოში, თბილისის მაღაზიაში, არა გაქვთ ილია ჭავჭავაძის წიგნიო.

— მერე რაა? ეს არაფერს არ ამტკიცებს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეროვნული ჩაგვრა არსებობს.

— მე ამით მინდა ვსთქვა, რომ ჭავჭავაძე იბრძვის ამ ჩაგვრის წინააღმდეგ, ვინც ილია ჭავჭავაძეს წესს უგებს ის ჩვენც გვებრძვის. იმის წიგნებს ხალხი კითხულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ არც ასე ადვილია მისი თავიდან მოშორება. დღეს ერთი მოითხოვს და მომავალში — ბევრი და ბევრს ანგარიში უნდა გაეწიოს. არა, იმის დიდების შარაგანდღედი არ ჩაქრება საქართველოში.

— ეს კარგად არის თქმული, რომ ილიას შარაგანდღედი არ ჩაქრება, — სთქვა ხახანაშვილმა.

— აბა, ჩაიწერეთ, ბატონო პროფესორო, გამოვადგებათ ლიტერატურის ისტორიისათვის, — იხუმრა ვილაძამ.

მაგრამ არავის არ გაეციენა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## ირაკლი აბაშიძე — „ლექსები“

„საბჭოთა მწიგნობალი“ — 1945 წ.

ირაკლი აბაშიძე იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი თაობის პოეტებისაგან, იგი ნაყოფიერად მუშაობდა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობის განმავლობაში ამ პერიოდს ეკუთვნის თანამედროვე და ისტორიულ თემებზე დაწერილი მისი არა ერთი შექანიშნავი ლექსი და საყვარელ დიდი მოცულობის პოემა „ილექსანდრე წულუკიძე“.

სამამულო ომის პერიოდში ირაკლი აბაშიძე კიდევ უფრო ინტენსიურად მუშაობდა. ამის სატყეეთსო ილუსტრაციას წარმოადგენს მისი ლექსების ახალი წიგნი.

სარეცენზიო წიგნში მოცემულია პოეტის მიერ ომის განმავლობაში დაწერილი ოცდამდე ლექსი. უნდა ითქვას, რომ ამ ლექსებში იგი იშვიათად დილატობს თავის პოეტურ ხმას, იგი თითქმის ყველგან ინარჩუნებს თავისებურებას.

ამის ნიმუშს წარმოადგენს მისი ცნობილი ლექსი „კაპატანი ბუხაიძე“. ეს ლექსი პოეტმა დაწერა ომის პერიოდში დადგენილი ფრონტზე უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილების შედეგად. უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია დავისახელოთ მეორე ლექსი, რომელსაც ასეთი რეზონანსი ჰქონოდას სამამულო ომის პერიოდში.

პოეტმა ამ ლექსში გადმოგვცა სამშობლოს თავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობისათვის თავდადებული გმირის ანდერძი:

„არ ვუშვებდი დარიალთან /  
გააფორებულ ყვითელ გველებს...  
მე საფლავში არა ვწევარ,  
აქ დააჯიად დამაყენეს,  
და ეუბარებ ყოველ ქართველს:  
მის წმინდა ვალი არი —  
მოკედეს, მაგრამ მკერდით შეჭკრავ  
დერბენდი და დარიალი“.

პოეტმა ამ ლექსში გამოხატა ჩვენი დიდი სამშობლოს უბოროტესი მტრის წინააღმდეგ შებრძოლი ყოველი პატრიოტის მართალი გრძნობა, ამით აიხსნება ამ ლექსის დიდი პოეტურობა.

აბაშიძეს ძლიერი პოეტური ცეცხლი გააჩნია იმისათვის, რომ მოგვეგონოს ჩვენი ქვეყნის პატრიოტის დიდი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ერთერთ თავის ლექსში იგი სწერს:

„მისთვის რქმევია ქართველს ქართველი,  
რომ მისი ხვედრი ბრძოლა ყოფილა,  
არცინ ჰყოლია ხელგამმართველი,  
მაგრამ მტრის მონად არ დამოხილა“.

სამამულო ომის წლებში პოეტი ბევრჯერ ყოფილა სახელოვან ქართველ მებრძოლებთან ფრონტზე. ამიტომ არის, რომ მის ლექსებში იშვიათად გვხვდება განყენებული, ზოგადი ხასიათის თემები და პოეტური სახეები. მისი ყოველი ლექსი კონკრეტულ ბრძოლას, ან კონკრეტულ მებრძოლს შეეხება.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებული ბევრი ლექსი პოეტური უშუალობითა და გულწრფელობით არის დაწერილი. მაგალითად, მას შესანიშნავად იქცეს მოფიჭებული და შესრულებული ლექსი „ილექსანდრე კერესელიძე“ და ბალადა „დაპრო“.

ლის ლექსი". მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს ეს უტანასწენლო ლექსი. აქ აწერილია, თუ როგორ შეხვდა ერთ ჩვენს მეზობელს მტრის სამი მწვერავი:

„სამი მწვერავი შემება,  
მტრის სოფიანი კატები,  
ჩვენებებს ჰგავდნენ საშინელს  
შიშავნეს, აღმომაჩინეს,  
მოიხსნეს, მომაჯრილეს,  
შავ-შავი ავტომობილი...  
ან სეტყვის ჰგავდა გრიალი,  
ან ტყეში ცეცხლის გაჩენას,  
წაფუწმა, გამოფუშიზნე  
შიგ შებლში დაჯვარ მარჯვენას...“

ე. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.  
გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

დაჭრილი მეზობელი პოსპიტალში წევს, წამალს ითხოვს, რომ ჩქარა მორჩეს, რომ ისევ ჩქარა დაედგნოს ამ მესამეს, რომელიც ამ შეტაკების დროს გატეკა მას. დაჭრილი მოუთმენლად გაიძახის:

„ან ანაპასთან იქნება,  
ან ტაგანროვთან იქნება,  
ან პოლტავისთან იქნება...  
გამიშვიო, შეგებდე ხელახლა  
ცაში, ზღვაში თუ ყამირში.  
ან მე, ან იგი — მესამე, —  
წამომაყენეთ, გამიშვიო“.

ამ ლექსში პოეტმა ოსტატურად გადმოგვცა სამშობლოს უბოროტესი მტრის მიმართ ზიზღით გულანთებული დაჭრილი მეზობლის სულეერი განწყობილება: „ან მე, ან იგი — მესამე! — წამომაყენეთ, გამიშვიო!“ ეს სტრიქონები ნათლად გვახედებენ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მეზობლის გულში. მკითხველი საესებით გრძნობს მის მიმწრადებას, ლტოლვას, მის ადამიანურ მაღალ ღირსებას.

ჩვენ გვახსოვს უდიდესი ზემოის დღეები, როცა ჩვენი წითელი არმიის გამარჯვებების აღსანიშნავად ეულშენილი ზალხთა დიდი ბელადის ბრძინებებს და სალუტებს მოსკოვიდან. ირავლი ანაშიძის ერთ-ერთ თეის ლექსში ძლიერად აქვს განცდილი ეს სიხარული, როცა მის ეკითხულობთ, არ შეიძლება ხელახლა არ განიცადოთ ის დიდი აღფრათოვანება, რომელსაც თვითთელი ჩვენთაგანი განიცდდა ჩვენი ჯარების დასაგლეეთისცენ გამარჯვებებით წინსვლის დროს:

„მარტო მოსკოვი გუგუნებს განა?  
ჩვენი მიწა და ჩვენი ბუნება,  
ჩვენი იღმზრდელი ლილე და ნანა,  
ჩვენი ქედები, ცა და ქვეყანა,  
არის სალუტის აბუბუნება!“

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი სიხარული განიცადა, როცა წითელი არმია ძლიერ-მოსილად შეიკრა დამსისტური გერმანიის ტერიტორიაზე. პოეტმა ეს სიხარული ძლიერად გამოხატა სახელოვანი მეთაური კოტე სოხაძისადმი მიძღვნილ ლექსში: „როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“.

„მთ შუბითიძე და ბუხაიძე  
მოკლეს ჩრდილოეთ-კავკასიაში.  
წავეალ ქალაქის მოსპეს ძირფესვი,  
დასწვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...  
ეს გაიხსენე, ახლა, ძვირფასო,  
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“.

ჩვენმა ხალხმა უდიდესი მშვერპალი ვაიღო თავის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ბევრმა უბედულო მამულშვილმა უნაგაროდ შესწირა თავი ჩვენს ხალხს და სამშობლოს, ამ გმირთა შორის ყოველთვის უდიდესი მადლობითა და თბილვ გრძნობით მოიგონებს ჩვენი ხალხი წითელი არმიის ერთერთ სახელოვან მამულშვილს — ტენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძეს. ამ იშვიათი გმირის უფროოდ გარდაცვალების შემთხვევაზე იგრძნო ჩვენმა ხალხმა, პოეტმა ლესელიძეს სხოვნას უღღვნა გულთბილი ლექთა:

„შენ მავ სიყვდილით დაამკვიდრე იმის უფლება,  
რომ როგორც ცოცხალს გესალუბროს მუდამ ქართველი“.

აბაშიძის ახალ წიგნში ერთერთ საუკეთესო ლექსად უნდა ჩათვალოს „ელადიკავაქში“.

„სულ ახლო იდგა ხმლებს კაშვავში,  
ახლოს იწვიდა ცეცხლის კერია,  
მაშინ უდერად ვლადიკავაქში,  
მე დაფინახე გზაზედ ბერია.  
უცებ ქალაქში ვნახე ბერია,  
ქუჩა ნაბიჯით დინჯად ვადასურია...  
მე შემოვხედე ჩვენსკენ დარიალს,  
ესთქვი — საქართველო უკვე ვადარჩა“.

პოეტი აქ არ ხატავს ამხანაგ ბერიას სახეს ომის რთულ ვითარებაში, იგი გვეუბნება უბრალოდ: „უნახე ბერია და ესთქვი — საქართველო უკვე ვადარჩა“.

ამ სტრიქონებში კარგად არის მოცემული ლ. პ. ბერიას დიდი პაიროვნება, მისი უდიდესი ღვაწლი ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ვადარჩენის საქმეში.

უნდა ითქვას, რომ სარეცენზოთა წიგნი უნაკლო არ არის, მასში მოთავსებულია რამდენიმე მხატვრულად დაუმუშავებელი ლექსი, როგორცაა: „ქართველებო ეკაფოთ მტერი“, „ქართველი გმირები“, „მხოლოდ ფრონტისთვის იბრუნე“ და სხვ.

მიუხედავად ამისა წიგნი სურთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოცებს.

თ. ლაზი.

## პროფ. შ. აშირანაშვილი — „ქართული ხელოვნების ისტორია“

წიგნი პირველი, სამ. მიცნიარებათა აკადემიის გამომცემა, 1944 წ.

ქართული ხელოვნების ისტორიის მეცნიერული შესწავლა კარგა ხანია დაიწყო. მას საფუძველი პეტრე კადიე მე-18 საუკუნეში ბატონიშვილმა ვახუშტმა ჩაუყარა. აღსანიშნავია ტიმოთე გაბაშვილის ღვაწლიც. მან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მოიარა იონი, სირია და პალესტინა, ასწერა იქ დაკრული ქართული ძეგლები. მე-19 საუკუნეში ამ მხრივ დიდი შეწყვიდებობა გვიანდერბა. საკმაოა გაეახსენოთ ბატონიშვილების იონანეს და თეიმურაზის, შ. ბრძინის, დიუბუას, გ. ვაგარინის, პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, ნ. კონდაკოვის, გრაფ უფაროეებისა და სხვათა ღვაწლი, ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმეში, რომ სურათი ნათლად წარმოგიდგეს. ამთ ტრადიციებს ახალ ეპოქაში განავრძობდნენ ექვ. თაყაიშვილი, თედო ეორდანიას და სხვანი.

მთავარ ხარვეზს ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში უკანასკნელ პერიოდამდე შეადგენდა ის, რომ: 1. ისინი არსებითად იფარგლებოდნენ ქრისტიანული ხაის მხატვრული კულტურის ძეგლებით და მთლად უგულვებელყოფდნენ წინაქრისტიანულ ქართულ არქულ ხელოვნებას და მის ისტორიულ შესწავლას; 2. ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისას ისინი, იზუღდებოდნენ რა ქრისტიანული ეპოქით, არსებითად მანეც ვერ ახერხებდნენ ამ ეპოქის გენეტიურ შესწავლას და განვითარების ისტორიულ პროცესში განხილვას, რადგან ხშირად სათავეებია ქართული ქრისტიანული ხელოვნ-



ნებისა წარმართულ, პრეტრისტანულ ეპოქაში იმალებიან. ამით აიხსნება წინა მიერ ქართული პრისტანული ხელოვნების ძეგლთა ანალოგიების საეჭვო ძეგლი. დასავლური და აღმოსავლური ქვეყნების ხელოვნებაში, მაშინ, როცა მათი აღმოცენებისა და განვითარების რეალური საფუძვლები იმავეითვე საქართველოში უნდა ყოფილიყო მსგავსი.

ზემოაღნიშნული შეუსაბამო წიაღსვლის მთავარი მიზეზი პანინი ასე უნდა განმარტავს: „პრეტრისტანული საქართველო არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელი იყო და ცხადია, მკვლევარის მოკლებული იყვნენ ქართული არქაული პრეტრისტანული ხელოვნების ძეგლების შესწავლის შესაძლებლობას.“

შეიძლოდ საქონათ ხელისუფლების დროს, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლა მკვიდრ მიცნიერულ საკუთველზე დადგა.

პროფ. შ. ამირანაშვილის გამოკვლევა „ქართული ხელოვნების ისტორია“ ამ თვალსაზრისით არქეოლოგიურ მონაცემებით განზოგადოების პირველი გაბედული ცდაა.

ავტორი ქართული ხელოვნების შესწავლის ვრცელ მიზმიდან იძლევა, იგი მოკრძალებას იჩინოს ლიტერატურულ წინამორბედათ მიმართ, დამსახურებისამებრ აღსაქმებს მათ ლეჟენს (გვ. 1—11) და იქვე იძლევა ლიტერატურის კლასიფიციკრებულ დასახელებას ქართული ხელოვნებისა და სიძველეების შესახებ (გვ. 12—26).

ამ გზით შეეცევათ ავტორს თავისი კვლევის ლაბორატორიაში, — იწყება გამოკვლევა იგი სამი ნაწილისაგან შესდგება: პირველ თავში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით განხილულია საქართველოსა და ამიერკავკასიის არქაული ხელოვნება, ამ თავში ავტორი პირველ ყოვლისა გვახსნავს პრეტრისტანული ქართული მხატვრული კულტურის შესწავლის ამოცანებს და თანმიმდევრობით გამოივლენს ქვის ხანის (პალეოლითი, ნეოლითი, მეგალითური კულტურა), ბრინჯაოს ხანის (ასევე ენეოლითის) და რკინის ხანის უწინაშენელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლებს ქართული ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით. (გვ. 22 — 81).

პროფ. ამირანაშვილის აზრით, უძველესი ხანის ქართული ხელოვნება კოსმიურია, „კოსმოსის სამ ძირითად ნაწილს ე. წ. სამი ცის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც მოცემულია ცის დედამწის და წყლის რეალურ და ფანტასტიკურ ცხოველთა და ასტრალური ნიშნელოების გეომეტრიული ფიგურების სახით, ხელოვნების მთავარ თემატიკას შეადგენს“ (გვ. 42). მისივე აზრით „განვითარების შემდეგ საფეხურზე კოსმიური თქმატკია შეიცვალა ტოტემური თემით, სადაც მთავარი მნიშვნელობა ცალკეული ცხოველების გამოსახულებას ენიჭება“.

ავტორი საგანგებოდ ეხება ბალთების მხატვრულ სტილს და ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას.

იგი ისტორიულად არჩევს ქართულ ხელოვნებაში ორ წრეს — კოლხურ-კაბანურს და იბერულ-მესსურ-ალბანურს. ამ მოსაზრებას იგი უმთავრესად ამყარებს არქეოლოგიურ მონაცემთა მხატვრულ შედარების შესწავლაზე, როგორცაა გამოხატულება ბრინჯაოს ცულებზე, ბალთებზე, რელიეფური ქანდაკების უძველეს ნიმუშებზე, — თითოეული ქანდაკებანი, გერამიკა და სხვ. ამ გზით ცდილობს ავტორი შეგვიანდის დამახუთებელი წარმოდგენა ქართულ არქაულ ხელოვნებაზე. ამასთან იგი, წერილობით, წყაროებთან ერთად, მოხერხებულად იყენებს უძველეს ქართულ თქმულებებს, ლეგენდებს, ენობრივ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს ქართველი ტომების ესთეტიურ და რელიგიურ მავიურ წარმოდგენათა შესწავლის მიზნით.

ამვე თემაზე ავტორი, სხვათა შორის ეხება ქართველი ტომების წარმოშობისა და ამიერკავკასიაში გადმოსახლების თეორიას. მართალია, განიხილავს იგი ამას აბალი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (უმთავრესად თრიალეთის გათხრების საფუძველზე), მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ორაზროვან შეხედულებას წარმოგივლიდა. ნაწილობრივ იგი იზიარებს ტრადიციულ მოსაზრებებს ამ საკითხში, რაც არსებითად, როგორც ცნობილია, მიგრაციულ თვალსაზრისამდე დადის, ერთ დეგალს ავტორი სწერს: „ქართული კულტურის ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში წინ უსწრებს ბერძენთა ახალშენების დაარსებას შავი ზღვის სოხუმ-მათუმის სანაპიროებზე“ (გვ. 29). ხოლო იქვე, მეორე გვერდზე სწერს: „არქეოლოგიური ფაქტების შესწავლა, განსაკუთრებით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ნაბოვნი მასალებისა, არკვევს, რომ საქართველოს ტერიტორია უძველეს დროიდან ქართველი მოდემის ტომობრივ ერთეულებს ეკუთრება“ (გვ. 30).

იქნებ ამგვარი ორაზროვნება საკითხის სირთულით და ავტორის ნიღბითადაც არის გამოწვეული. მიუხედავად აღნიშნული ვითარებისა, ერთი მაინც ცხადია: მთელ თავის გამოკვლევაში არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი დატკბობდა, ატარებს აზრს კავკასიაში ქართული კულტურის ავტოქონიუზის შესახებ. რასაც ავტორი ამ შემთხვევაში ავტორი, როგორც წესი, არ უვადლებდებოდა ხალხთა კულტურულ ურთიერთ შემოქმედებას და ვაგლენის შესაძლებლობას.

მეორე თავში (გვ. 81 — 125) განხილულია „ანტიკური პერიოდის ქართული ხელოვნება“, ავრთვე არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. ამ თავში ავტორი დიდს გულმოდგინებით იგვევს ქართული ანტიკური კულტურის წარმოშობას და მის ზოგად ხასიათს, ადგილობრივი მხატვრული ტრადიციისა და ანტიკური კულტურის ურთიერთ შემოქმედების, ენება კოლხურ-კობანურ ხელოვნების პრიორიტეტს სკეითურ ხელოვნებაზე. იქვე გამოვლინებულია კოლხი მხატვრებისა და ოქრომკვდელების არქაული შემოქმედების ნიმუშები ანტიკურ პერიოდში. ასეთია მაგალითად მე-6 საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) დამზადებული პიდრია (ათენში ნაპოვნი და დაცული ბერლინის მუზეუმში), რომელსაც შემდეგი ბერძნული წარწერა აქვს: „კოლხმა მე გამააკეთა“-ო. ასევე ათენშია ნაპოვნი ამფორა სიგნატურით: „ეგქსითემ გამააკეთა, კოლხმა მომხატა“-ო. ან ყუბანში ნაპოვნი ვერცხლის ფილა ბერძნული წარწერით: „მე ვეკეთენი კოლონ წინამძღოლს, თაზისში რომ არის“-ო და სხვა (გვ. 88).

ავტორი იქვე საგანგებოდ განიხილავს ქართულ ხელოვნებას რომის პოლიტიკურ ექსპანსიის პერიოდში, ენება ჭერნოფონტეს, სტაბონის და სხვათა ცნობებს საქართველოს შესახებ. მაგრამ რატომღაც შედარებით ნაკლებ არის გამოყენებული მცხეთის უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მონაპოვარი მდიდარი მასალა.

ავტორი საგანგებოდ ენება არქაული პერიოდის ქართულ საყურადღებო არქიტექტურულ ძეგლს — უფლისციხეს, სადაც, ავტორის საფუძვლიანი მოსაზრებებით, სხვათა შორის, ქართული დიდი სათეატრო დარბაზი უნდა ყოფილიყო გამართული. იქვე დაწვრილებით ავტორს უფლისციხის სათეატრო დარბაზს და ძლევა ანალიზს სათეატრო დარბაზთა კომპლექსიას ანტიკურ პერიოდში.

მესამე თავში ავტორი ენება ქართული ქრისტიანული რელიგიური ხელოვნების შესწავლას. იგი დაწვრილებით განიხილავს: 1. ქრისტიანულ რელიგიური ხელოვნების გავრცელების პოიციას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში; 2. გუმბათოვანი არქიტექტურის ძირითად ტიპებს ქართულ ხელოვნებაში; 3. მონუმენტალურ მხატვრობას და 4. ლითონის პლასტიკას (გვ. 127 — 195).

ავტორის აზრით, მე-5 საუკუნიდან მე-7 საუკუნის შუა წლებამდე ქართული ხელოვნება, განსაკუთრებით რელიგიური არქიტექტურა, უდიდეს მხატვრულ ოსტატობას იღწევს „იგი პოულობს ორიგინალურ მხატვრულ ფორმას და ჰქმნის საკუთარ სტილს“ (გვ. 198). მაგრამ ამ პროცესს აფერხებს არაბების შემოსევა.

ეს პირველი ტომი ქართული არქაული წარმართული ხელოვნების ისტორიოგრაფიაში სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევადაც უნდა ჩაითვალოს.

აბთ. იოსელიანი.





შთამავონებული წიგნი . . . . .

**მხატვრული ლიტერატურა**

აღიო მაშაშვილი — ლაგერენტი ბერიას. მე და ზაფხული. წინაპრები. დრო და მანძილი (ლექსები) . . . . .	3
გიორგი ნატროშვილი — ვიასური. სიზმარი (ნოველები)	6
ალექსანდრე აბაშელი — ნიკო ლორთქიფანიძე (ლექსი)	16
გიორგი კაჭახიძე — ვინ შთაგაგონა? ისევ ის დროა (ლექსები) . . . . .	18
აკაკი ბელიაშვილი — ქარიშხალი (რომანი. გაგრძელება)	19
იოსებ ვრიშაშვილი — ბრძოლის გმირებს.. სწავლის გმირებს.. (ლექსი)	49
კალე ბობოხიძე — ბოლშევიკი (ლექსი) . . . . .	50
ალ-ჯაფარიძე — ფიჭვი (ლექსი)	51
რევაზ მარგიაანი — დერეფანზე ხორბალი მაქვს, კაცკასიის ლურჯო მთე- ბო, წმინდა გვირიკეს ტაძარი (ლექსები) . . . . .	52
ოთარ ჭელიძე — ირემი (ლექსი) . . . . .	54
ადამ მიცკევიჩი — მეგობრებს რუსეთში (თარგმ. ვასო გორგაძისა) . . . . .	55
" " — ალბომში (თარგმ. კონსტ. ჭიჭინაძისა) . . . . .	56
ქ. ელისაბედაშვილი — ყრობა . . . . .	57
ამირან აბშილავა — სამშობლო (ლექსი) . . . . .	86
ლევან გოთუა — უგზო ქარავანი . . . . .	87
როდონ ქორქია — მზე წითლად ამოდის (მოთხრობა. გაგრძელება) . . . . .	103
თ. ტუტაძე — * * (ო, ეს სამხრეთი...) * * (მანსოვს ოქროთი დრო მოოქცილი), გაზაფხულის ქუჩილი (ლექსები თარგმანი შალვა აფ- ხაიძისა) . . . . .	120
უილიამ შექსპირი — რომეო და ჯულიეტა (ტრაგედია. გაგრძელება. თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა) . . . . .	123

**კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია**

ირ. ზანთაძე — ი. ბ. სტალინის ენის თავისებურებანი და გადმოცემის ხერხები (წერილი მეორე) . . . . .	142
ხერგო ჭილაია — შიო არაგვისპირელი (გაგრძელება) . . . . .	156
ნინო ნაკაშიძე — ილია ჭავჭავაძის გარშემო (მოგონებანი) . . . . .	170

**ბიბლიოგრაფია**

თ. ლაში — ირაკლი აბაშიძე — „ლექსები“ . . . . .	189
ავთ. იოსელიანი — პროფ. შ. ამირანაშვილი — „ქართული ხელოვნების ისტორია“ . . . . .	191



*Handwritten text in Georgian script, possibly a library stamp or signature.*



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

**„М Н А Т О В И“**

**ГОСИЗДАТ ГРУЗИИ**